საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

მიხეილ გარამია

ქართული ხალხი კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1960

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მიხეილ ივანეს ძე ბარამიას წინამდებარე ნარკვევში ნაჩვენებია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა კავკასიის დაცვის საქმეში, ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის პატრიოტიზმი, მათი თაედადება ფაშისტ ოკუპანტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

ნარკვევს საფუძვლად უდვეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომები, საარქივო მასალები, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, არსებული ლიტერატურა, პრესის მასალები.

რედაქტორის წინასიტყვაობა

სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებმა გაამდიდრა რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პირობების შესახებ, საბჭოთა მეცნიერთა და კერძოდ ისტორიკოსთა წინაშე ამოცანად დააყენა შემოქმედებითად დაამუშაონ და გააშუქონ საბჭოთა საზოგადოების უმაგალითოდ დიადი, გმირული ისტორია.

საბჭოთა ხალხების გმირული ტრადიციების შესწავლას დიდი შეშეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ახალი თაობისათვის, იგი ეხმარება საბჭოთა ხალხს XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ისტორიის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ფურცელია. კაცობრიობის ისტორიაში ეს ყველაზე უმძაფრესი ომი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სულიერი ძალების ყოველმხრივ გამოცდად იქცა: საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ. მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.

დიდი სამამულო ომი დამთავრდა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით, რომელიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა რუსი ხალხის მეთაურობით ლენინის დროშით, თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომლის სათავეში იდგა ი. ბ. სტალინი.

ამ უდიდესმა გამარჯვებამ, ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურებამ ფაშისტური მონო-

ბის საშინელეჩისაგან იხსნა არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხები, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

მრავალი თაობის ბედის გადამწყვეტ ამ ისტორიულ ბრძოლებში მთელი სიდიადით წარმოსდგა ხალხთა ურღვევი მეგობრობის ძალა, საბჭოთა ადამიანების მთელი პატრიოტიზმი და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა საქართველოს შვილები—ვაჟები და ქალები—ბრძოლასა და შრომაში ენერგიას და სიცოცხლეს არ იშურებდნენ, რათა ღირსეულად მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე. საქართველო დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის ერთ-ერთი მძლავრ არსენალად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში კავკასიის დაცვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ამიტომ კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეის გაშუქება, ცხადია, მეტად საპატიო და აქტუალური ამოცანაა. ახლა, როცა უკვე გამორკვეულია და თითქმის საყოველთაოდ აღიარებულიც, რომ გერმანელთა 1942 წლის ზაფხულის ოპერაციის მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა, მისი ეკონომიური რესურსებით და უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის კომუნიკაციების ხელში ჩაგდება, ინტერესი კავკასიის გმირული დაცვის მეცნიერული გამოკვლევისადმი, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად ღრმავდება.

მ. ბარამია ნარკვევში — „ქართველი ხალხი კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში“ მიზნად ისახავს წარმოგვიდგინოს საქართველოს მშრომელების პატრიოტული თავდადება ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის უაღრესად მძიმე პერიოდში, კერძოდ, კავკასიის დაცვის გმირულ დღეებში.

სათანადო ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს იმ საპატიო როლს, რაც ქართველმა ხალხმა ამიერკავკასიის მოძმე ხალხებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ და მისი თაოსნობით, შეასრულა კავკასიის დაცვისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლებში. ნაშრომში ნაჩვენებია ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების შესანიშნავი გმირული საბრძოლო ეპიზოდები, მასობრივი პატრიოტიზმი და ზურგისა და ფრონტის ურყევი ერთიანობა.

ავტორი კავკასიის დაცვაში ქართველი ხალხის მონაწილეობას განიხილავს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის საერთო ფონზე, ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ სტალინგრადის ისტორიულმა ბრძოლებმა და გამარჯვებამ გადამწყვეტი გაკლენა იქონია კავკასიის დაცვაზე და ჰიტლერელთა არმიის დამარცხებაზე კავკასიის მისადგომებთან.

1942 წ. ზაფხულში ჰიტლერელები კავკასიის მთავარ ქედს მოადგნენ. აგვისტოს დამდეგს ჰიტლერელთა მე-17 არმია და რუმინელთა კორპუსი ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს მიმართულებით მოიწევდნენ, სატანკო არმიამ კი ნალჩიკისა და ორჯონიკიძის მიმართულებით აიღო გეზი. ამიერკავკასიის ხალხებს დიდი საფრთხე დაემუქრა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები ფეხზე დადგნენ, სახალხო მეურნეობა მთლიანად ფრონტის ამოცანებს დაუქვემდებარდა, საბჭოთა არმიის ახალი რეზერვების მომზადება უჩვეულოდ გაძლიერდა.

გაიშალა მუშაობა უღელტეხილებზე სიმაგრების მშენებლობისა და თავდაცვით ნაგებობათა შექმნისათვის, ნავსადგურების — სოხუმის, ბათუმისა და ფოთის გასამაგრებლად. დაკვრითი წესით დაიწყო სამხედრო მნიშვნელობის გზების, ხიდების, აეროდრომების, რკინიგზის ახალი ხაზებისა და სადგურების მშენებლობა. ესოდენ დიდი მასშტაბის სამუშაოები ხალხის ფართო მასების პატრიოტული აქტივობით ხორციელდებოდა, რომელსაც სათავეში კომუნისტური პარტია ედგა.

1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველო და ამიერკავკასია სარკინიგზო ხაზით მოწყვეტილი აღმოჩნდა ცენტრისაგან. ამიერკავკასიას ჩრდილოეთიდან ჰიტლერელები უტევდნენ. ხოლო სამხრეთიდან თურქეთის რეაქციული ხროვა მომენტს ელოდებოდა. საბჭოთა მთავრობა კავკასიის დაცვის უმძიმეს დღეებში, იძულებული იყო ჯარების გარკვეული ნაწილი თურქეთის საზღვრებზე დაებანდებინა. თურქი აგრესორები ამ დაძაბულ ვითარებაში საქართველოში გზავნიდნენ ჯაშუშებსა და დივერსანტებს.

ჰიტლერელთა ე. წ. „ედელვეისის გეგმის“ თანახმად საქართველოს დაპყრობა დაკისრებული ჰქონდა გერმანელთა ჯა-

რების „ა" ჯგუფების მე-17 არმიას, რომელიც 30 რჩეული დივიზიისაგან შედგებოდა.

კავკასიის მთავარ გადასასვლელებზე გადმოსროლილ იქნა უმთავრესად ბავარელ და ტიროლელ მთასვლელებისაგან დაკომპლექტებული სპეციალურად გაწვრთნილი 49-ე სამთომსროლელი კორპუსი.

ფაშისტური არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ: „მე-17 არმიამ უნდა დაიპყროს შავი ზღვის ნაპირები ანაპიდან ფოთამდე, რომ შემდეგ თავის ნაწილებით განახორციელოს შეტევა, ერთი მხრივ, თბილისისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ბათუმისაკენ".

1942 წლის ივლისის ბოლოს ფაშისტური არმიის საგანგებოდ გაწვრთნილი სამთო დივიზიები, სატანკო და საავიაციო ნაწილები ფელდმარშალ ლისტის სარდლობით (შემდეგში იგი გენერალ-პოლკოვნიკმა კლეისტმა შეცვალა) კავკასიის მისადგომებზე გამოიჭრნენ. მოკლე დროში მათ გაარღვიეს ფრონტი და შემოაღწიეს მთავარი ქედის უღელტეხილებზე, მტერმა დაიპყრო ჩრდილო კავკასიის უმნიშვნელოვანესი რაიონები და ზღვისპირეთს მიუახლოვდა, კავკასიის მრავალეროვან ხალხებს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა.

1942 წლის 15 აგვისტოდან სექტემბრის პირველ რიცხვებამდე ფაშისტებმა მოახერხეს ქლუხორის, სანჭაროს და ზოგიერთი სხვა უღელტეხილის დაკავება, იწყეს გადმოსვლა ამ უღელტეხილებით.

სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე ფაშისტებმა დაიპყრეს სოფელი ფსხუ. მიუხედავად ჩვენი ჯარების ძლიერი წინააღმდეგობისა, მტერი წინ მოძვრებოდა და ზოგ ადგილას 25 — 35 კილომეტრით დაუახლოვდა შავი ზღვის სანაპიროებს.

1942 წლის ზაფხულში ჩვენი ქვეყნის სამხრეთის რაიონებში შემოჭრილი ჰიტლერელი დამპყრობლების დიდი მასშტაბის შემოტევების შედეგად სერიოზული საფრთხე შეიქმნა. 1942 წლის აგვისტოში ჰიტლერელები დასავლეთ კავკასიის მისადგომებზე გამოიჭრნენ. 1942 წ. ნოემბერში დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასიის მთელი რიგი ქალაქები — ნოვოროსიისკი, კრასნოდარი, სტავროპოლი, მინერალური წყლები, ნალჩიკი, მოზდოკი და სხვ. გამხეცებულმა მტერმა შემოაღწია

ქ. ორჯონიკიძის ძისადგომებთან და კავკასიის მთავარ გადასასვლელებამდეც კი.

მ. კალინინი ახასიათებდა რა კავკასიის მძიმე მდგომარეობას, კერძოდ 1942 წ. ზაფხულის ბოლოს წერდა: „კავკასია ცეცხლშია, ბევრი ხალხები საფრთხეშია"[1]. ეს ის პერიოდია, როცა მტერმა დაიპყრო ჩრდილო კავკასია და თავაწყვეტით მოიწევდა ამიერკავკასიისაკენ. იგი გზას იკაფავდა შავი ზღვის სანაპიროებისა და კავკასიონის მთავარი ქედის გადასასვლელებით ბათუმის, თბილისისა, ბაქოსა და ერევნის ხელში ჩასაგდებად.

ჰიტლერელ დამპყრობთა სარდლობა ძალებს არ ზოგავდა და თავგანწირვით მიიწევდა ბაქოს ნავთობის, საქართველოს მარგანეცისა და სომხეთის სპილენძის ხელში ჩასაგდებად, ისინი იქამდე იყვნენ გათავხედებულნი, რომ ბაქოს აღების დღედ გამოაცხადეს 1942 წ. 25 სექტემბერი.

მტერი ამიერკავკასიას სამი მიმართულებით უტევდა: პირველი — ჩრდილო კავკასიიდან, კავკასიის მთავარი ქედის აღმოსავლეთიდან შემოვლით, მოზდოკთან გააჩაღა გადამწყვეტი ბრძოლები; მეორე — მაიკოპ-ნოვოროსიისკისა და შავი ზღვის სანაპიროებისაკენ; მესამე — კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების გადმოლახვის გზით. სოხუმის, ქუთაისის და თბილისის (ქ. ორჯონიკიძესთან ბრძოლებით საქართველოს სამხედრო გზით სურდათ თბილისში შემოჭრა, ხოლო ქლუხორისა და სანჭაროს უღელტეხილებთან ბრძოლებით გზის გაკაფვა სოხუმის ხელში ჩასაგდებად) დაპყრობით ფაშისტები მიზნად ისახავდნენ რკალში მოემწყვდიათ საბჭოთა ჯარების დაჯგუფება ტუაპსეს მიმართულებით, დაეპყროთ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურები და გაბატონებულიყვნენ შავ ზღვაზე და შემდეგ მთელ ამიერკავკასიაში.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შედგა ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი. „მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს".

---

[1] გახ. „Правда", 1942.

„არც ერთი ნაბიჯი უკან. ამაყი კავკასიონის მთაგრეხილებთან „მოესპოთ მტერი“.—ნათქვამია მიტინგის მისალმებაში[2]. ამიერკავკასიის ხალხებმა ეს ფიცი საბჭოთა არმიის მხარდამხარ ბრძოლებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქმედ აქციეს.

1942 წლის 4 მაისიდან ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის დადგენილებით სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა შავიზღვისპირეთის ქალაქებში — სოჭაში, ადლერში, გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ფოთში, ქობულეთსა და ბათუმში (10—15 კილომეტრიან ზონაში), ხოლო 1942 წლის 24 აგვისტოდან—თბილისში, ქუთაისში, გორში, სამტრედიაში და შავი ზღვის სანაპიროებზე, 1942 წლის 9 სექტემბერს კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ცხადდება სამხედრო მდგომარეობა.

1942 წლის 24 სექტემბერს სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და გაგრაში თავდაცვის საქალაქო კომიტეტები ყალიბდება, უმაგალითო აქტივობით გაცხოველდა თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობა. მოკლე დროში ამიერკავკასიის მშრომელების თავდადებული შრომით კავკასიის მისადგომებზე აიგო თავდაცვის ნაგებობანი, რომელზედაც 9 მილიონი კაცდღეზე მეტი შრომა დაიხარჯა.

საქართველოში ჩამოყალიბდა 46-ე არმია და რიგი დივიზიებისა, რომელთა პირველი რიგის ამოცანად დაისახა უღელტეხილებზე შემოჭრილ ფაშისტური არმიის ნაწილების შეკავება, ბრძოლის გადატანა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, მტრის ძალების მოქანცვა და მისი განადგურება.

ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით დაძრული მტრის დიდი ძალების შესაჩერებლად და მის გასანადგურებლად, ჩვენი ყარების ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნილ იქნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრე-

---

[2] ამიერკავკასიის ხალხთა ფიცი, 1942, გვ. 11.

ბი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები; საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. ისინი მოქმედებდნენ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს რწმუნებულები თავდაცვის კომიტეტის მითითებით. მობილიზაციას უკეთებდნენ ფრონტის და ზურგის მთელ ძალებს მტრის განადგურების დასაჩქარებლად.

კავკასიის დაცვის უმძიმეს დღეებში შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი და განხორციელდა სამხედრო ნაწილების გადაჯგუფება ფრონტის გადამწყვეტ უბნებზე არმიის გენერლის ი. ვ. ტიულენევის სარდლობით.

საქართველოში ჩამოყალიბებულ 46-ე არმიას, რომელიც უმთავრესად ამიერკავკასიის ხალხთა შვილებით იყო დაკომპლექტებული, სარდლობდა გენერალი კ. ლუსელიძე. საბჭოთა სამშობლოს ამ დიდი განსაცდელის დღეებში საქართველოში გაფორმებულმა: 414-ე, 224-ე, 276-ე, 351-ე, 388-ე, 398-ე და 406-ე ქართულმა და ასევე შერეულმა მე-9, მე-20 და 242-ე დივიზიებმა, სადაც უმრავლესობას ასევე ქართველი მეომრები შეადგენდნენ, ასახელეს სამშობლო.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში სამშობლო ასახელა ანაპის წითელდროშოვანმა 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელმაც გმირული ბრძოლებით განვლო კასპიის ზღვიდან სევასტოპოლამდე და ბრძოლებით შეიჭრა ქალაქის ქუჩებში. დივიზიამ დიდი როლი შეასრულა ტამანის ნახევარკუნძულისა და ასევე ქ. ანაპისა და სევასტოპოლის გამოხსნისათვის ბრძოლებში. მამაცმა მებრძოლებმა დივიზიას სამუდამოდ დაუმკვიდრეს ანაპის სახელი, ხოლო დივიზიის ორ პოლკს კი — სევასტოპოლისა. უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებაში აღნიშნულია: „საბოლოოდ ლიკვიდირებულია გერმანელთა ოპერატიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმი ყუბანში, პლაცდარმი, რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის ყირიმის დაცვას და კავკასიისაკენ შეტევითი მოქმედების შესაძლებლობას“.

ამრიგად, საბოლოოდ ჩაიშალა ფაშისტ დამპყრობთა მტარვალური ზრახვები კავკასიის დამონებისა.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლა 15 თვეს გაგრძელდა. იგი სამხედრო ხელოვნებაში მუდამ დარჩება მთის უმძიმეს პირობებში შეტევითი და თავდაცვითი ბრძოლების ურთულეს კომპლექსად, სადაც სახმელეთო ბრძოლებთან ერთად მოქმედებდა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ავიაცია და პარტიზანული შენაერთები, სადაც საბჭოთა არმიის მხარდამხარ იბრძოდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიური ნაწილი. კავკასიის გმირულ დაცვას დიდი მნიშვნელობა ქონდა სტალინგრადის ისტორიულ გამარჯვებისათვის.

„კავკასიაში საბჭოთა ჯარებმა დიდი ხნით შეაკავეს მტრის მნიშვნელოვანი ძალები, ამიტომ სტალინგრადთან ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტში გერმანელ ფაშისტთა სარდლობას არ შეეძლო გაეძლიერებინა თავისი გადაჯგუფება სტალინგრადის რაიონში კავკასიის არმიის ჯგუფის ძალების ხარჯზე"[3].

ცნობილია, რომ კავკასიის დაცვის უმძიმესი დღეები ინგლის-ამერიკის მმართველმა წრეებმა „დახმარების" საბაბით თავიანთი ჯარების კავკასიაში შეჭრის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და ასეთი შეჭრის ვერაგული მიზნის განსახორციელებლად მეტად შენიღბულ ე. წ. „ეელვეტის გეგმას" ეფარებოდნენ. ირკვევა ბაქოს ნავთობი და საქართველოს მარგანეცი არა მარტო გერმანელ დამპყრობლებს, არამედ სხვათაც იზიდავდა[4].

„კავკასიაზე შეტევის უზრუნველსაყოფად ჰიტლერელები შეთანხმდნენ თურქეთის მთავრობასთან, რომ მას თავისი ჯარების დიდი ძალები გადმოეყვანა თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, რაც თურქეთმა შეასრულა. ამან მნიშვნელოვნად გაართულა კავკასიის მიმართულებით საბჭოთა ჯარების

---

[3] „Важнейшие операции Великой Отечественной войны". Сб. под редакцией доктора ист. наук полковника П. Л. Шилина, М., 1956, გვ. 153.

[4] Г. Деборин, „Вторая мировая война", Воениздат, М., 1958, გვ. 202—204.

მოქმედება, რადგან მოითხოვა დიდი ძალების გამოყოფა ამიერკავკასიაში ჩვენი საზღვრების უშიშროების დასაცავად [5].

ჩვენი სამშობლოს ამ უმძიმეს დღეებში, როცა ამიერკავკასია სარკინიგზო ხაზით დროებით მოწყვეტილი აღმოჩნდა ცენტრიდან, უმაგალითო მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებმა. ამიერკავკასიის მთელი ძალები, მისი ეკონომიკა კავკასიის დაცვის პერიოდში გაერთიანდა და ის მდიდარი გამოცდილება, რაც ამ დარგში ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდში დაგროვდა, შემოქმედებითად და მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. საქართველოს ქვანახშირით შეუფერხებლად მარაგდებოდა ამიერკავკასიის საწარმოები, ტრანსპორტი და შავი ზღვის ფლოტი. ყალიბდებოდა სატრანსპორტო რაზმები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო ავიაციასთან ერთად ძნელად მისასვლელ მაღალ მთებში მებრძოლ ნაწილებს უზიდავდნენ და ამარაგებდნენ იარაღით, სურსათითა და სხვა საჭირო საგნებით. ამ რაზმებს ავსებდა და ეხმარებოდა ფრონტისპირა მოსახლეობა, რომელთაც შეუცდომლად იცოდნენ ბილიკები და გადასასვლელები, ციცაბო კლდეებსა და ხევებში, ისინი ხშირად იარაღითაც იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და ჯარის ნაწილებში რჩებოდნენ. ქუთაისში, სოხუმში, გუდაუთაში, ონში ზუგდიდში და სხვ. ყალიბდებოდა ალპინისტური რაზმები, რომელთაც დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა არმიას. რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოველმყოფელი მონაწილეობით აშენდა სიმაგრეები, სამხედრო მნიშვნელობის გზები, ხიდები და შემუსრულ იქნა მტრის მიერ გადმოსროლილი პარაშუტისტები.

სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით 1944 წლის 1 მაისს დაჯილდოვდა რუს, უკრაინელ, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ხალხთა მრავალი შვილი. მათ დიდ გმირობაზე კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში ყველაზე ნათლად მეტყველებს მთავრობის მიერ დაწესებული მედალი „კავკასიის დაცვისათვის“ და მიღებული ჯილდო; მაგალითად, ბოლოდ ბუ-

---

[5] Б. С. Тельпуховский, Великая Отечественная война Советского Союза.

ხარის ოლქიდან 106 მებრძოლს, ხოლო უზბეკეთიდან 2974 მეომარს გადაეცა მედალი „კავკასიის დაცვისათვის“[6].

მ. ბარამია მიზნად ისახავს წრმოგვიდგინოს კავკასიის ფრონტზე შექმნილი საერთო მდგომარეობა. იგი კავკასიის დაცვას ორ პერიოდად ჰყოფს, მისი აზრით, პირველი პერიოდი მოიცავს 1942 წლის ივლისიდან 1943 წლის დასაწყისს, რომელიც ხასიათდება მხოლოდ მძიმე თავდაცვითი ოპერაციებით, ხოლო მეორე პერიოდი—1943 წლის დასაწყისიდან 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა და ~~ხასიათდებოდა, როგორც შეტევის პერიოდი.~~

კავკასიის დაცვაზე გამოქვეყნებულ ცალკე სტატიებსა და ნარკვევებში, აგრეთვე სამამულო ომის ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებულ ზოგ ნაშრომში ხშირად გვერდშეელილია, ან უმართებულოდაა კავკასიის დაცვის რიგი საკითხი გაშუქებული. უკანასკნელ ხანებში კავკასიის დაცვის საკითხებისადმი მეცნიერული კვლევა-ძიება გაძლიერდა. აქტივობას უმეტესად სამხედრო ისტორიკოსები იჩენენ. 1957 წელს გამოქვეყნდა სპეციალური ნაშრომი ა. ს. ზავიალოვისა და ტ. ე. კალიადინის «Битва на Кавказе», რომელიც უმთავრესად კავკასიის ბრძოლების სამხედრო ოპერაციების აღწერას შეეხება და საერთოდ დადებით შეფასებას იმსახურებს; ოღონდ სამწუხაროა ის, რომ მასში ოდნავადაც კი არაა ნაჩვენები ქართველი ხალხის ის პატრიოტული თავდადება, რაც მან კავკასიის გმირული დაცვის საქმეში გამოიჩინა.

1958 წელს გამოქვეყნდა ი. დ. კირინის ნარკვევი „Черноморский флот в битве за Кавказ», რომელშიც არამც თუ უგულებელყოფილია საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის შრომელთა მონაწილეობა კავკასიის დაცვაში, არამედ გაყალბებულია ისტორიული ფაქტები[7], ჩრდილი აქვს მიყენებუ-

---

[6] Т. Джураев, Трудящиеся Бухарской области в борьбе за победу, Автореферат, გვ. 17.

[7] ზავიალოვისა და კალიადინის დასახელებული ნაშრომის შესახებ მ. ბარამიამ გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ 1958 წლის 31 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა რეცენზია და პირველმა მიუთითა ნაშრომის ამ არსებით ნაკლოვანებაზე.

ლი და დამცავრებულია ტენდენციურად კავკასიის დაცვის მრავალი გმირი მეომარი და გამოჩენილი გენერალი.

ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის არმიის გენერალ ტიულენევის მემუარული ნაშრომი «Через три войны». ამ ნაშრომში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი დიდ სამამულო ომში კავკასიის დაცვის საკითხებს. გენერალ ტიულენევის ნაშრომის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასში გამოკვლეულია კავკასიის დაცვის არა მარტო სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის რიგი საკითხები ქვეყნის სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობის საერთო ანალიზთან ერთად, არამედ მას ნაჩვენები აქვს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კავკასიის ხალხების ცხოველმყოფელი მონაწილეობა კავკასიის დაცვაში*.

მ. ბარამიას თავის ნარკვევში არ შეეძლო გამოეყენებინა აქ დასახელებული სპეციალური ნაშრომები, მიძღვნილი კავკასიის დაცვის ცალკეულ საკითხებისადმი იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ყველა ისინი გამოქვეყნდა 1955 წლის შემდეგ, ე. ი. ბევრად უფრო მოგვიანებით, ვიდრე ავტორის წინამძღებარე ნარკვევი დაიწერა.

მ. ბარამია ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა თავისი ამ ნარკვევის გადამუშავებისა და ახალი მასალებით შევსებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, მას ეს არ დასცალდა. 1959 წლის ზაფხულში იგი სამეცნიერო მივლინებაში გაემგზავრა დამატებითი მასალების შესაკრებად აფხაზეთის რაიონებში და იქვე ტრაღიკულად დაიღუპა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა მიზანშეწონილად მიიჩნია გამოქვეყ-

---

* გენერალ ტიულენევის დასახელებულ ნაშრომიდან ნაწყვეტები, რაც კავკასიის დაცვას ეხება, სერიებად ბეჭდვა დაიწყო ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზია“-ში მიმდინარე 1960 წლიდან.

ნება ამ ნარკვევისა, რომელმაც მ. ბარამიას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოუპოვა. დიდი სამამულო ომის პრობლემიდან 1955 წელს დაწერილი ტექსტის სისტამბო მომზადებისას, ბუნებრივია, ნარკვევის ზოგიერთი ადგილი რედაქციულადაც დაზუსტდა.

ცნობილია, რომ მ. ბარამია კავკასიის დაცვის პერიოდში იმყოფებოდა ხელმძღვანელ პარტიულ პოსტზე საქართველოს სწორედ იმ მხარეში, საიდანაც მტერი გადამწყვეტ ბრძოლებს აწარმოებდა კავკასიაში შემოჭრისათვის, იგი მუშაობდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად და რაზმავდა მშრომელებს კავკასიის დაცვისათვის.

ძირითადი ღირსება მ. ბარამიას ნარკვევისა, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ის კავკასიის დაცვაზე თავისებურ პირველწყაროს წარმოადგენს, რადგან მისი ავტორი, როგორც აღინიშნა, კავკასიის დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის აქტიური მონაწილე იყო, ე. ი. თვითმხილველი და თანდამხვდური იმ მოვლენებისა, რაზეც ის წერს.

წინამდებარე ნარკვევი სათანადო დახმარებას გაუწევს დიდი სამამულო ომის გმირული ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებს და ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ავთანდილ იოსელიანი

„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრაველესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას—მშრომელთა ხელისუფლებას. რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით. ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“[1].

ლ ე ნ ი ნ ი

თავი პირველი

საბჭოთა საქართველო დიდი სამამულო ომის წინ

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე, 1941 წლის 25 თებერვალს, ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული ზეიმის ვითარებაში აღნიშნა თავისი უდიდესი ეროვნული დღესასწაული—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი.

ამ საერთო სახალხო ზეიმის დღეებში საქართველოს მშრომელებმა დიდი სიხარულის გრძნობით შეაჯამეს საბჭოთა წყობილების პირობებში მშვიდობიანი მშენებლობის დარგში მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებათა შედეგები.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. მე-4 გამოც., ტ. 29, გვ. 370.

განახლებულ საქართველოს უმაგალითო წინსვლას, მის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას, სოციალისტურ მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებულ წარმატებებს ქართველი ხალხი უკავშირებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, რომელმაც გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს სოციალიზმისაკენ.

1917 წელს, რუსეთის ხალხებმა, რუსეთის მუშათა კლასის მეთაურობით, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დააგვირგვინეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და შეუდგნენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს აშენებას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის სახელმწიფოს — მრავალეროვან საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რასაც წინათ არ იცნობდა კაცობრიობის ისტორია.

საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ყველა პირობა სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის. ამით ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

საქართველოს მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და სხვა ქალაქებისა და სოფლის რაიონებში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. მუშები, მშრომელი გლეხობა და მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები მხურვალედ ესალმებოდნენ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. კავკასიის ფრონტის ჯარისკაცები ესალმებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, პეტროგრადის რევოლუციურ მუშებსა და ჯარისკაცებს.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ საქართველოში წარმოიშვნენ მუშებისა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ მათში—უმრავლესობაში აღმოჩნდნენ შინაგანი და საერთაშორისო კონტრრევოლუციის აგენტები — მენშევიკები და ესერები.

რუსეთის ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიაში შექმნა საგანგებო კომიტეტი, რომელიც ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას ახორციელებდა.

ამიერკავკასიის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა დაინახეს რა, რომ პრაქტიკულად დადგა ძალაუფლების მუშებისა და გლეხების ხელში გადასვლის საკითხი, იწყეს თავიანთი ძალების კონსოლიდაცია. ექსპლოატატორთა კლასებმა ამიერკავკასიაში 1917 წლის 11(24) ნოემბერს თბილისში შექმნეს ანტისაბჭოთა კოალიცია ე. წ. „ამიერკავკასიის კომისარიატის" სახით, რომელიც იყო ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე ბოროტი კონტრრევოლუციური ბლოკი. ამრიგად, შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად მენშევიკებმა მოახერხეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რასაც 1921 წლამდე ინარჩუნებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის ავანგარდში ბაქოს პროლეტარიატი მიდიოდა.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა „დამოუკიდებელ" საქართველოს ოკუპაციას გერმანელების მიერ, თავის სიტყვაში 1918 წლის 29 ივლისს რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ამბობდა: „ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო, რადგან ირგვლივ მათ ლალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს კრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუებად იქცა, სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ" [1].

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ქართველი ხალხის ეს ისტორიული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მე-4 გამოც., ტ. 28, გვ. 7.

გამარჯვება მიღწეულ იქნა საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების აქტიური ბრძოლით, დიდი რუსი ხალხის უანგარო მეგობრული დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. განუზომლად დიდი იყო სახელოვანი წითელი არმიის გმირული როლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში. ამ დროიდან ქართველი ხალხის ისტორიაში იწყება ძირეული ცვლილებანი, მისი ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აღორძინება და აყვავება.

დიდი ლენინი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა საქართველოს. 1921 წლის 2 მარტს ლენინი წერილში ორჯონიკიძისადმი, რომელიც სტალინმა პირდაპირი მავთულით გადმოსცა, წერდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი"[2].

ამ წერილში ლენინი საქართველოს კომუნისტებს აძლევ და უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო მითითებებს საქართველოში საბჭოთა წყობილების განმტკიცების საკითხებზე.

ვ. ი. ლენინი პირველ რიგში მიუთითებდა, რომ „საჭიროა მუშებისა და უღარიბესი გლეხების დაუყოვნებლივ შეიარაღება, საქართველოს წითელი არმიის შექმნა"[3].

ვ. ი. ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს რევოლუციის შემდგომ განვითარებას საქართველოში და ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდა ხალხის ნება-სურვილით შექმნილ ახალ საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რსფსრ-სა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ქ. ბათუმი და ჩრდილოეთ აჭარის ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს. 14 აპრილს დიდი ლენინი წერს განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილს „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს". ამ წერილში ლენინი, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, კომუნისტებს აძლევს უმნიშვნელოვანეს მითითებებს საბჭოთა

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 32, ქართული გამოცემა, გვ. 189.

[3] იქვე.

ხელისუფლების განმტკიცებისათვის მათი ბრძოლის ტაქტიკის თავისებურებათა შესახებ. „მხურვალედ მიეესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს,—წერდა ვ. ი. ლენინი.—ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელ ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“ [4].

1921 წლის ივნისის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა ი. ბ. სტალინი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში. ამ პლენუმზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებზე. 1921 წლის 6 ივლისს ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის მითითებითა და კომუნისტური პარტიის დირექტივების საფუძველზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე მოხსენებით: „კომუნიზმის მორიგი ამოცანები საქართველოსა და ამიერკავკასიაში“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I-მა ყრილობამ, რომელიც 1922 წლის იანვარ-თებერვალში შედგა და საბჭოების I-მა სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დასახეს საქართველოს სამეურნეო აღორძინებისა და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების მშენებლობის დიდი ღონისძიებანი.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო ახალ საწარმოთა მშენებლობა. ამავე დროს სწრაფად მიმდინარეობდა ძველი ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა და რეკონსტრუქცია. იზრდებოდა სამრეწველო მუშების რიცხვი.

1922 წლის ბოლოს დაწყებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (ზაჰესი), რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირში ერთ-

---

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 295.

ერთი მსხვილი ელექტროსადგური იყო. ეს იყო საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიის პირველი მსხვილი საწარმო. ამ მშენებლობისათვის საკავშირო მთავრობამ საქართველოს მისცა 700 000 მანეთი ოქროთი. დაიწყო რიონჰესისა და აჭარისწყლის (აჭჰესი) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. მოკლე დროში ქუთაისში მოეწყო მაუდის ფაბრიკა, რომელიც მოსკოვის პროლეტარიატმა საჩუქრად გადასცა საქართველოს მშრომელებს. მწყობრში ჩადგა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. მრეწველობის განვითარება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. საქართველოს მრეწველობის პროდუქციამ უკვე 1928 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1921 წლის პროდუქციას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართოდ გამოყენება სამშობლოსა და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით ომამდელ ხუთწლედებში შეიქმნა საქართველოს დაზგათმშენებლობისა და ნანქანათმშენებლობის მრეწველობა. ამ ქარხნებისათვის ინჟინერ-ტექნიკური კადრები მომზადებულ იქნენ მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებში, სადაც მათ გაიარეს საწარმოო ტექნიკური ზრდის დიდი სკოლა. რესპუბლიკაში ომამდელი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული წარმოება გახდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც 1933 წელს შევიდა ექსპლოატაციაში.

მშენებლობის ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით განვითარდა საშენ მასალათა მრეწველობა. მთელ რიგ საშენ მასალებს საქართველო აწვდის ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქსა და უდიდეს მშენებლობებს. მოსკოვის მეტროს მშენებლობაში ფართოდ არის გამოყენებული საქართველოს შესანიშნავი მარმარილო. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემას და მთელ რიგ სხვა სამშენებლო მასალების მექანიზებულ საწარმოთა მოწყობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართოდ განვითარდა კვების მრეწველობა. გაფართოვდა და არნახული ტემპით წავიდა წინ მაღალხარისხოვანი მეღვინეობა. თბილისში, კახეთისა და ქართლის რაიონებში აგებულ იქნა. ღვინისა და კონიაკის ახალი, კეთილმოწყობილი ქარხნები. საქართველოში შეიქმნა მეღვინეობის სრულიად ახალი დარგი— შამპანურის წარმოება. ომამდელი ხუთწლედების პერიოდში საქართველოში ახლად შეიქმნა ჩაის მძლავრი მრეწველობა. ჩაის პლანტაციების ფართოდ განვითარების ბაზაზე 1940 წლისათვის აგებული იყო 40-ზე მეტი ჩაის ფაბრიკა. საქართველოს ჩაის ფაბრიკების მიერ გამოშვებული სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი ჩაი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უმაღლესი ხარისხის ჩაი „ექსტრა" და „საქართველოს თაიგული".

აგარის შაქრის ქარხანა წარმატებით ამუშავებს ქართლის რაიონებში გავრცელებულ შაქრის ჭარხალს. ფართო განვითარება პოვა აგრეთვე თამბაქოს, საკონსერვო და კვების მრეწველობის მრავალრიცხოვანმა სხვა დარგმა.

სამამულო ომის წინა პერიოდში საქართველოს მრეწველობის სწრაფი განვითარების მკაფიო მაჩვენებელია მისი მსუბუქი მრეწველობის განვითარება. გაიშალა ტყავეულისა და ფეხსაცმლის ფაბრიკების, აბრეშუმის, სამკერვალო და სხვა ფაბრიკების მშენებლობა. აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკები მოეწყო თელავში. მახარაძეში, წულუკიძესა და სამტრედიაში. ექსპლოატაციაში შევიდა სამკერვალო ფაბრიკები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. აბრეშუმის მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოები არის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა. ომამდელი წლების განმავლობაში დიდად განვითარდა სატყეო მრეწველობა, ადგილობრივი და რაიონული მრეწველობა. ფართო განვითარება ჰპოვა საქართველოში ყველა სახის ტრანსპორტმა—რკინიგზის, წყლის, საავტომობილო, საჰაერო. რკინიგზის ტექნიკური შეიარაღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ელექტროფიკაციას. 1932 წელს პირველად ჩვენს ქვეყანაში ელექტროწევა გამოყენებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზაზე, პირველ ხანებში — ხაშური-ზესტაფონის უბანზე. 1940 წელს უკვე

ელექტროფიცირებული იყო 275 კილომეტრი გზა. 1940 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ახლად გაყვანილი რკინიგზა ქ. გორიდან სამხრეთ ოსეთის ცენტრამდე — ქ. სტალინირამდე.

სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოში გაიზარდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების რიცხვი. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას თან სდევდა მშრომელი მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელად გაუმჯობესება და მშრომელთა კულტურული დონის მკვეთრი ამაღლება.

საქართველოს მრეწველობაში კაპიტალური დაბანდება აღდგენით პერიოდში 55 მილიონ მანეთს უდრიდა, პირველი ხუთწლედის წლებში—341,2 მილიონს, მეორე ხუთწლედის წლებში — 976,5 მილიონს, ხოლო მესამე ხუთწლედის მარტო სამ წელიწადში—793,8 მილიონ მანეთს. საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის მაღალმა ტემპებმა გამოხატულება პოვეს მრეწველობის პროდუქციის მოცულობის განუხრელ ზრდაში. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1927—1928 წლიდან 1940 წლამდე 15-ჯერ გადიდდა, ხოლო 1913 წელთან შედარებით 27-ჯერ გაიზარდა. ამრიგად, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად საბჭოთა საქართველო სრულიად მოკლე ვადაში მძლავრი ინდუსტრიის მქონე ქვეყნად გადაიქცა.

* * *

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისა და ტექნიკური შეიარაღების ბაზაზე შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე, განხორციელებულ იქნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია. სოციალიზმის რელსებზე გლეხობის გადაყვანა იყო მათი ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან ხსნის ერთადერთი სწორი გზა.

მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე განხორციელებული კულაკობის. როგორც კლასის ლიკვიდაცია იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დიდი მუშაობა ჩაატარა საკავშირო კპ(ბ) XV ყრილობის დირექტივებისა და ცენტრალური კომიტეტის სხვა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებზე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უდიდესი დახმარება გაუწიეს ჩვენს რესპუბლიკას მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით შეიარაღების საქმეში.

1940 წელს საქართველოში 58 სამანქანო-სატრაქტორო სადგური არსებობდა, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ 2000 კოლმეურნეობას. საგრძნობლად გაიზარდა მექანიზაციის დონე. ძველი ჩამორჩენილი წესით, ხელითა და კავით, ნიადაგის დამუშავების ნაცვლად ფართოდ დანერგილ იქნა სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის გამოყენება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე მუშაობდა 3000-მდე ტრაქტორი, 468 კომბაინი, 2000-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, ათიათასობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ სწორად წარმართა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარება. საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად გარდაქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობა. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ჩვენი სოფლის ჩამორჩენილობა და სიღატაკე. ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის კუთხიდან საქართველო გადაიქცა უძვირფასესი ტექნიკური და სპეციალური კულტურების მოწინავე ქვეყნად.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი გახდა დიდი მრავალფეროვნება და მრავალწლიანი, შრომატევადი კულტურების მაღალი ხვედრითი წონა. სპეციალური და ტექნიკური კულტურების დანერგვასთან ერთად მზადდებოდა და იზრდებოდა აგრონომების, აგროტექნიკოსების, წარმოების ნოვატორთა და მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრი, რომელთაც, თავის მხრივ, დიდი ენერგია და შრომა დახარჯეს ამ ახალი კულტურების ფართოდ გავრცელებისათვის. ამ მეტად საპატიო ამოცანების განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის გამოჩენილმა მეცნიერმა მუშაკებმა. შეიძლება ითქვას, რომ არსად მსოფლიოში ასე მოკლე ვადაში (10 — 15 წელი) არ ყოფილა ათვისებული ასე საფუძვლიანად რომელიმე მრავალწლიანი კულტურა, როგორც ეს განხორციელდა საბჭოთა საქართველოში. ქართველი კოლმეურნეებისათვის სუბტროპიკული კულტურები ისევე გასაგები და საყვარელი გახდა, როგორც ხორბალი, სიმინდი და ვაზის კულტურა.

ჩაის ფართობი 1921 წელს 1000 ჰექტარამდე ვერ აღწევდა და მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა 550 ტონას არ აღემატებოდა, 1940 წელს კი საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციის ფართობი აყვანილ იქნა 50000 ჰექტრამდე, სადაც მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 52000 ჩაის მწვანე ფოთოლი. 1940 წელს საქართველოში მოქმედი 36 ჩაის ფაბრიკამ გადაამუშავა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის მთელი რაოდენობა და მისცა საბჭოთა ქვეყანას 11000 ტონა ბაიბის მაღალი ხარისხის ჩაი და, ამას გარდა, 2600 ტონა ე. წ. „აგურა" ჩაი.

თუკი 1922 წელს ციტრუსების ნარგავები საქართველოში 500 ჰექტარამდე იყო, 1940 წელს ციტრუსოვან კულტურათა პლანტაციები 25000 ჰექტარამდე იქნა აყვანილი და სახელმწიფოს ჩაბარდა 423 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ანუ ორჯერ მეტი ვიდრე 1935 წელს. ლიმონის ნარგავები მთელ საქართველოში 1922 წელს მხოლოდ 3 ჰექტარს

შეადგენდა, ხოლო 1940 წელს 8000 ჰექტარამდე მიაღწია. ამასთან ერთად ფართოდ განვითარდა სუბტროპიკული მეხილეობა: ბურმა, ფეიხოა, მუშმალა, ზეთისხილი და სხვ. განვითარდა აგრეთვე ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიც არის ტუნგო, ეთერზეთოვანი მცენარეები, ბამბუკი, ევკალიპტი და სხვ. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირს დაფნით ამარაგებს. დაფნის ნარგავებს 1940 წელს ეკავა 2000 ჰექტარი. მევენახეობას საქართველოს ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. 1940 წელს ვენახების ფართობი საქართველოში 54000 ჰექტარამდე აიიდა, ანუ 20000 ჰექტარით მეტი იყო, ვიდრე 1928 წელს. ვენახის ფართობის მხრივ საქართველომ უკვე 1940 წელს ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მთელ საბჭოთა კავშირში.

დიდი ყურადღება მიექცა საქართველოში ხარისხობრივი მეხილეობის განვითარებას. 1940 წელს ხეხილის ნარგავების ფართობმა 75000 ჰექტარამდე მიაღწია, ნაცვლად 39000 ჰექტარისა 1933 წელს. ამავე წლებში თითქმის ორჯერ გადიდდა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკის დამზადება. 1939 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 20000 ტონა თამბაქო, ნაცვლად 13000 ტონისა 1933 წელს.

1941 წლისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს მთელი გლეხური მეურნეობის 95 პროცენტი. კოლმეურნეობათა ორგანიზაციული განმტკიცება ხელს უწყობდა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობათა წარმოების ძირითად საშუალებათა და განუყოფელი ფონდების სწრაფ ზრდას. საქართველოს კოლმეურნეობათა წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1932 წელს 80 172 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1940 წელს 809 000 000 მანეთს აღემატებოდა. ასევე, რამდენიმეჯერ გაიზარდა განუყოფელი ფონდების რაოდენობა. საკოლმეურნეო წყობილებამ საქართველოს გლეხობას მოუტანა შეძლებული და კულტურული ცხოვრება. ნათესი ფართობის სისტემატური ზრდის, მარცვლეულის, კარტოფილის, ბაღ-ბოსტნეულის, სპეციალური და ტექნიკური კულტურების ფართობისა და ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდების, მასთან ერთად საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი ტემპით განვითარების

შედეგად ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. 1932 — 1940 წლებში საქართველოს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 7-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო ფულადი შემოსავალი 9-ჯერ გადიდდა. კოლმეურნის თითოეულმა ოჯახმა 1939 წელს შრომადღეზე მიიღო თითქმის ორჯერ მეტი მარცვალი და ხუთჯერ მეტი ფული, ვიდრე 1932 წელს. გამრავლდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, უკვე ბევრი იყო საკოლმეურნეო კომლი, რომელთა საშუალო შემოსავალი წელიწადში 15 — 20 ათას მანეთს აღწევდა.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმაგალითო მიღწევებმა გამოხატულება პოვეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. 1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში საქართველოდან მონაწილეობდა 496 კოლმეურნეობა, 59 მეცხოველეობის ფერმა, 31 საბჭოთა მეურნეობა და 3500-მდე მოწინავე ადამიანი. ამათგან „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული იყვნენ: ზუგდიდის რაიონის, სოფ. ორსანტიის ს. გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა, ოჩამჩირის რაიონის, სოფ. ატარის სტალინის სახ. კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამავე მეურნეობებს საგამოფენო კომიტეტმა მიაკუთვნა პირველი ხარისხის დიპლომები. პირველი ხარისხის დიპლომებით სულ დაჯილდოებულ იქნა 24 მეურნეობა, მეორე ხარისხის დიპლომებით — 82 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. 1940 წელს გამოფენაში მონაწილეთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. 1941 წლის იანვარში პრესაში გამოქვეყნებულ იქნა მთავარი საგამოფენო კომიტეტის დადგენილება 1940 წელს გამოფენაში მონაწილეთაგან საუკეთესო მუშაობისათვის საქართველოდან 166 მოწინავე ადამიანის ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების შესახებ. პირველი ხარისხის დიპლომები მიეკუთვნათ ლაგოდეხისა და ზუგდიდის რაიონებს, 4 მტს-ს, მეხილეობის ერთ საბჭოთა მეურნეობას და 6 კოლმეურნეობას. მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭა 41 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. დაჯილდოებული იყვნენ საკოლმეურნეო შრომის ნოვატორები, რომლებმაც თავი ისახელეს მაღალი მოსავლის მიღების, შრომის ნაყო-

ფიერების ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. ოქროს დიდი მედლით დაჯილდოებულთა შორის იყვნენ კასპის რაიონის რგვალიჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური სონა ქეთიშვილი, რომელმაც საშუალოდ ჰექტარზე 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. გოგოტიშვილი, რომელმაც სრულმსხმოიარე ხეზე საშუალოდ 900 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი მოკრიფა, ზოგიერთ ხეზე კი 3750 ცალი, და სხვა მოწინავე ადამიანები.

1940 წელს საკავშირო გამოფენის მონაწილე იყო საქართველოდან 7 რაიონი, 828 კოლმეურნეობა, 49 საბჭოთა მეურნეობა, 6 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, 98 მეცხოველეობის ფერმა, 2 უმაღლესი სასწავლებელი, 9 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, 7000-მდე სტახანოველი და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე ორგანიზატორი [5].

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობამ თავისი პროდუქციის მიხედვით განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ცნობილია, რომ ჩაი, ციტრუსები, მაღალხარისხოვანი ღვინოები, თამბაქო და მთელი რიგი სხვა ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურები საქართველოში მოდის სამრეწველო მასშტაბით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ფრთა შეესხა ქართველი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას. დაიწყო ეროვნული, ეკონომიური და კულტურული აყვავების ეპოქა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის, ნამდვილი კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან ყალიბდება საბჭოთა სკოლის ძირითადი პრინციპები, იქმნება საერთო განათლებისა და პროფტექნიკური სკოლის ერთია-

---

[5] იხ. საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს 1941 წ. 24 თებერვლის საიუბილეო მე-4 სესიის მასალები. გაზ. „კომუნისტი", 1941, № 47 (6052).

ნი სისტემა, როგორც დაწყებით, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება სწავლება მშობლიურ ენაზე. 1933 წელს საბჭოთა ხელისუფლების 12 წლისთავისათვის საქართველოში უკვე განხორციელებული იყო საყოველთაო საგალდებულო სწავლება დაწყებით სკოლებში, ხოლო 4 წლის შემდეგ ბავშვების უმრავლესობა ჩაბმული იყო შვიდწლიან სკოლებში. 1941 წელს, სამამულო ომის დაწყების წინ, ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლების ადგილებში თითქმის ყველა შვიდწლედდამთავრებული სწავლობდა საშუალო სკოლებში ან სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში. თუკი საქართველოში 1914 წელს მხოლოდ 28 საშუალო სკოლა არსებობდა, 1940 წელს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების რიცხვი 750-ზე მეტი იყო. სკოლების საერთო რაოდენობა 1921 წელთან შედარებით 1941 წლისათვის ორ-ნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა—4900-დან 800 00-მდე. იმ დროისათვის მასწავლებელთა რიცხვი 36 000-მდე აღწევდა, ან 4,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1921 წელს.

ცარიზმის დროს საქართველოში მხოლოდ ერთი კერძო საბავშვო ბაღი არსებობდა, ხოლო 1940 წელს — 636. კულტურისა და განათლების მხრივ საქართველო მოწინავე რესპუბლიკა გახდა. დაწყებითი და საშუალო სკოლების უშაგალითო განვითარებასთან ერთად ფართოდ გაიშალა უმაღლესი სასწავლებლების ქსელი და მისაწვდომი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის. თუკი რევოლუციამდე საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა, 1940 წელს საბჭოთა საქართველოში 21 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა, რომლებშიც სწავლობდა 22 000 ახალგაზრდა—მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შვილები. უმაღლეს სასწავლებლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა 2500-ზე მეტი მასწავლებელი, პროფესორი, დოცენტი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე საქართველოს მარტო უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს და გამოუშვეს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის 30 000-ზე მეტი უმაღლესი განათლების სპეციალისტი-ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, ეკონომისტები და ბევრი სხვა ღარგის კვალიფიციური მუშაკები. საქარ-

თველოს სსრ- სკოლების ქსელით და საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვით გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს და სხვ. მაგალითად, 1939 წლის ბოლოსათვის მოსახლეობის ყოველი ათას სულიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინგლისში სწავლობდა 157,1, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 221,5, საქართველოში კი 223.5 მოსწავლე. უმაღლეს სასწავლებლებში ყოველი ათას სულიდან ინგლისში სწავლობდა 2, [illegible] შტატებში—6, ხოლო საქართველოში — 9 კაცი*.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოლმიერი მზრუნველობის შედეგად საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა და გაფართოვდა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. საქართველოს ეროვნული მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ქართველი ხალხის მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, რომელიც რესპუბლიკაში მეცნიერული აზროვნების ხელმძღვანელი ცენტრი გახდა. აკადემიის გახსნა დაუკავშირდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 20 წლისთავს (1941 წლის 25 თებერვალი), რაც მიღწეულ იქნა იმის შედეგად, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სწრაფად განვითარდა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი. აღიზარდა მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი ნიჭიერი კადრი, რომლებმაც მნიშვნელოვანი შრომები შემატეს საბჭოთა მეცნიერებას. ამასთან ერთად ის ფაქტი, რომ 1941 წლის მარტში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 15 ქართველ მეცნიერს, მწერალსა და ხელოვნების მუშაკს მიენიჭა სტალინური პრემიები — მოწმობდა ქართული კულტურის აყვავებას და დიდ აღმავლობას.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებას თან სდევდა მასების კულტურული დონის გა-

---

* იხ. ლ. ებანოიძე, სსრკ ხალხთა დიადი მეგობრობა, 1953 გვ. 173.

ნუხრელი ამაღლება, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის ყველა დარგის უმაგალითო წინსვლა და აყვავება.

1940 წლისათვის საქართველოში 1460-ზე მეტი საკლუბო დაწესებულება არსებობდა, ანუ 12-ჯერ მეტი, ვიდრე 1921 წელს. თუკი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს რესპუბლიკაში გამოცემული წიგნების წლიური ტირაჟი 390 000 ცალს შეადგენდა, 1939 წელს გამოცემული იყო 7 მილიონი 200 000-ზე მეტი წიგნი. რესპუბლიკაში გამოდიოდა 47 ჟურნალი 1 700 000 ტირაჟით, 137 გაზეთი 819 ათასი ერთდროული ტირაჟით. ქართულ ენაზე რამდენიმე მილიონ ცალად იყო გამოცემული მარქსიზმის კლასიკოსების 32 სახელწოდების შრომები. ასეულ ათას ცალად გამოიცა ქართულ ენაზე დიდი რუსი მწერლების — პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვ. ნაწარმოებები.

გაიზარდა ქართველ მწერალთა და პოეტთა ნიჭიერი კადრები, რომლებიც მაღალმხატვრულ ფორმებში ასახავენ სოციალიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და ბრძოლას კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები ითარგმნება რუსულ და სხვა მოძმე ხალხთა ენებზე. ამრიგად, ქართული კლასიკური ლიტერატურის დიადი მემკვიდრეობა და თანამედროვე მხატვრული სიტყვის შესანიშნავი მიღწევები საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის საერთო კუთვნილება გახდა. მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრი შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი" ათობით სხვადასხვა ენაზე აღერდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე გამოვიდა ამ პოემის მეოთხე, ყველაზე სრულყოფილი თარგმანი რუსულ ენაზე. ეს პოემა, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, აღტაცებას იწვევს თითოეულ საბჭოთა ადამიანში, რადგან ის თავისი მოწინავე იდეებით უშუალოდ ეხმაურება ჩვენს სოციალისტურ ეპოქას, გამოირჩევა შეუდარებელი მხატვრული ფორმით, ღრმა იდეური შინაარსით და წარმოადგენს ნამდვილ ჰიმნს ადამიანთა აქტიური ბრძოლისა ყოველგვარ ბოროტებასთან, უსამართლობასთან, მტკიცე, ურყევი მეკობრობის საფუძველზე. ამით აიხსნება ის სასიხარულო მოვლენა,

რომ 1937 წლის დეკემბერში, როცა ქართველმა ხალხმ აღნიშნა რუსთაველის უკვდავი პოემის 750 წელი, ეს შესანიშნავი იუბილე მთელი საბჭოთა ხალხის საერთო დღესასწაულად გადაიქცა. იმ დღეებში გაზ. „პრავდა" მოწინავე წერილში „საბჭოთა კულტურის დიდი დღესასწაული" წერდა: „ქართული გენიის პოემა „ვეფხისტყაოსანი" თავისი შეუდარებელი მხატვრული ძალით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით ეკუთვნის მთელ კაცობრიობას და პირველ ყოვლისა მის მოწინავე რაზმს საბჭოთა ხალხებს, სოციალიზმის მშენებლებს, მშვენიერებისა და სიმართლისათვის მებრძოლებს". რუსთაველი შეუდარებელი სიძლიერით უმღერის მეგობრობას, გმირობას და სიყვარულს ფართო გაგებით, რომლის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს სიყვარული სამშობლოსადმი.

დედა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარული, მამულის ღირსების დაცვისა და თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლის სახელოვანი ტრადიცია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აწრთობდა ქართველი ხალხის აზრსა და გრძნობას, თანამედროვე ლიტერატურის განსაკუთრებულ დამახასიათებელ თვისებად იქცა. საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით აღორძინებული და განახლებული საბჭოთა საქართველო ჩვენმა მწერლებმა მთელი მისი სიდიადით დახატეს. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ კომუნისტური პარტიის წარმძართველ როლზე, უკვდავი ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე შექმნა მეტად მდიდარი და ძვირფასი მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს მთელ საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობით უმაგალითოდ განვითარდა, იდეურ-შემოქმედებითად გაიზარდა საბჭოთა ხელოვნება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ თეატრალური ხელოვნების ოსტატები, მხატვრების, არქიტექტორების, მოქანდაკეთა მრავალრიცხოვანი კადრი. მოწინავე კომპოზიტორებმა შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებები. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შექმნა კინომრეწველობა, რაც წინათ არ იყო, აშენებულია თბილისის კინოფაბრიკა. საბჭოთა ხელი-

სუფლების პირველი 20 წლის მანძილზე, სამამულო ომის დაწყებამდე, თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა 116 სრულმეტრაჟიანი საბჭოთა ფილმი, რომელთაგან ბევრმა საერთო მოწონება დაიმსახურა და მაღალი შეფასება მიიღო.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 15 მარტის დადგენილებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საბჭოთა საქართველო დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

1936 წელს მიღებულ იქნა სსრკ ახალი კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა გაუქმებულ იქნა და საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში, როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები. ეს გამომდინარეობდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მიღწევებიდან, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის გამარჯვების უდავო ფაქტიდან. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოციალისტურმა ფედერაციამ თავისი ისტორიული როლი შეასრულა. მას უთუოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და გაერთიანებული ძალებით სამეურნეო კულტურული მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების ბრწყინვალედ გადაჭრისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკა მოწინავე რიგებში ჩადგა.

1937 წლის 13 თებერვალს სრულიად საქართველოს საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობამ მიიღო საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელიც შემუშავებულ იქნა სსრკ ახალი კონსტიტუციის შესაბამისად.

1938 წლის 12 ივნისს საქართველოს მშრომელებმა ახალი კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო რესპუბლიკაში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. არჩევნები ჩატარდა მშრომელთა არნახული მაღალი პოლიტიკური აქტივობის, სახალხო ზეიმის ვითარებაში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,2%-მა, მათგან 92.6%-მა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

`1940 წლის 15—20 მარტს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობა, რომელმაც დაადასტურა, რომ „საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდისა და აყვავების საფუძველზე მიღწეულია მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობა. დიდად გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ხელოვნებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე და სხვ. გაიზარდა დაწყებითი და საშუალო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ქსელი, ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა, გაუმჯობესდა მშრომელთა სამედიცინო და საკურორტო მომსახურება. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა და გაფართოვდა საბჭოთა ვაჭრობა[7].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მისალმებაში ნათქვამია: „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყანა სამეურნეო და კულტურულ აყვავებამდე მიიყვანეს“[8].

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით, სოციალიზმის მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები—მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები დაჯილდოებულ იქნენ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ლენინის ორდენით დაჯილდოებული იყო 38 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით—92, საპატიო ნიშნის ორდენით

---

[7] იხ. საქ. კპ (ბ) მე-13 ყრილობის რეზოლუცია ც. კ. ანვარიშის გამო, სტენოგრამა, გვ. 443.

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1941, № 47 (6052).

—136, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—155 და მედ-
ლით „შრომითი წარჩინებისათვის“—174 მუშაკი.

ამის გარდა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ 20 წლის იუბილეს-
თან დაკავშირებით სამეურნეო და კულტურული მშენებლო-
ბის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის მეცნიერებისა და
ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა 7
კაცს, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა—23 კაცს, სა-
ქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება—15 კაცს, ხელო-
ვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება—33 კაცს, საქარ-
თველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება—29 კაცს,
საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება
—139 პედაგოგს, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის
წოდება—109 მედმუშაკს და დაჯილდოებულ იქნა საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით 129 მუშაკი.
ეს ფაქტები იმის დადასტურება იყო, რომ საბჭოთა საქართვე-
ლოში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა
და აღიზარდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტე-
ლიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი, საბჭოთა ხე-
ლისუფლებისა და სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული
კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ საუკეთესო ნიმუშებს პარ-
ტიის გადაწყვეტილებათა შესრულების, სამშობლოს ძალე-
ბისა და სიმდიდრის გადიდებისათვის, მისი თავდაცვითი ძლი-
ერების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში.

ამრიგად, დიდი სამამულო ომის წინ, მშობლიური კომუ-
ნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობისა
და მუდმივი მზრუნველობის შედეგად საქართველო გახდა
ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა, მძლავრი მრეწვე-
ლობით, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული, მრავალფეროვანი
მსხვილი სოფლის მეურნეობითა და მაღალი სოციალისტური
კულტურით.

თავი მეორე

საქართველო დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში

1. დიდი სამამულო ომის დასაწყისი. საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა არმიის ძლიერების განმტკიცებისათვის

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს მუხანათურად დაესხა თავს ჰიტლერული გერმანიის შეირაღებული ძალები. ფაშისტური გერმანიის ჯარებმა ბევრ ადგილას იერიში მიიტანეს საბჭოთა საზღვრებზე. თვითმფრინავებიდან ბომბები დაუშინეს საბჭოთა მშვიდობიან მოსახლეობას.

ფაშისტური გერმანიის ავანტიურმა თავდასხმამ დროებით შესწყვიტა საბჭოთა ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, მშვიდობიანი მშენებლობა. დაიწყო ახალი პერიოდი —დიდი სამამულო ომის პერიოდი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყანა ჩაება ყველაზე მძიმე სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, როგორიც კი ოდესმე გადაუტანიათ საბჭოთა კავშირის ხალხებს მთელ თავიანთ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. განსაკუთრებით მძიმე იყო ომის პირველი თვეები, როცა წითელი არმია დიდი ზარალით იძულებული იყო უკან დაეხია.

„როგორ მოხდა, რომ მტერმა ომის პირველ კვირებში მოახერხა ხელში ჩაეგდო საბჭოთა ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია? არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირი მომზადებული არ იყო ომის წარმოებისათვის, პირიქით, კომუნის-

ტური პარტია, რომელმაც იცოდა იმპერიალისტთა ჩვეები და მათი სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ზრუნავდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის და აფრთხილებდა ხალხს იმის შესახებ, რომ საჭირო იყო მზადება თავდაცვისათვის... მაგრამ ეს ღონისძიებანი, როგორც აშკარა გახდა ომის პირველ დღეებშივე, დაგვიანებული აღმოჩნდა და საკმარისი არ იყო მტრის უზარმაზარი არმიის შემოტევის მოსაგერიებლად"[1].

სსრ კავშირზე მუხანათურად თავდასხმამ, მართალია, ფაშისტურ გერმანიას დროებით სამხედრო უპირატესობა მოუტანა, მაგრამ მთელი მსოფლიოს თვალში ჩამოგლიჯა ნიღაბი როგორც პირსისხლიან აგრესორს და საბჭოთა კავშირს მთელი პროგრესული კაცობრიობის თანაგრძნობა შესძინა და გადააქცია იგი მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის ძალთა შეკავშირების მიმზიდველ ცენტრად.

ამიტომ ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანი იყო არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დახმარებოდა ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავდნენ.

მიუხედავად წითელი არმიის გშირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის რჩეული დივიზიები, მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები მძიმე დარტყმებს განიცდიდნენ და სამარე პოვეს ბრძოლის ველზე, მტერი მაინც წინ მოძვრებოდა, ახალ-ახალი ძალები მოჰყავდა ფრონტზე. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. საჭირო იყო სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალების სწრაფი მობილიზაცია მტრის უკუსაგდებად, საჭირო იყო ქვეყნის ყველა მშრომელის მტკიცე დარაზმულობა წითელი არმიისათვის თავდადებული დახმარების გასაწევად, ვერაგ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ასეთ რთულ ვითარებაში, თავგასული მტრის განადგურების საქმის ორგანიზაციის მიზნით, ქვეყნის მთელი ძალების მობილიზაციის უზრუნველსაყოფად კომუნისტურმა პარ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 684—687.

ტიამ და საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შექმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიჩინა შეურყეველი მაპაცობა უდიდეს სიძნელეთა გადალახვაში, პარტიისა და ხალხის მთელი ძალების, ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაციაში და გააფთრებულ ომში სათავეში ჩაუდგა ხალხს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განაჭორციელეს დიდი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთელ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად ძლიერი და საშიში მტრის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინი დაინიშნა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად (1941 წლის 19 ივლისი) და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად (1941 წლის აგვისტო).

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამხილა ფაშისტური გერმანიის ვერაგული გეგმები სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში, ნათლად ჩამოაყალიბა საბჭოთა არმიისა და ხალხის ამოცანები და შეიმუშავა ფაშისტური გერმანიის უკუგდებისა და განადგურების მთელი პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დირექტივაში ფრონტისპირა ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი, გადმოცემული და განვითარებულ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის 1941 წლის 3 ივლისის გამოსვლაში რადიოთი.

წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოვიდა მთელი საბჭოთა ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ მტრის თავდასხმა იყო უეცარი, საბჭოთა ხალხმა უდიდესი ორგანიზებულობა გამოიჩინა. მუშებმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ პატრიოტული საქმეებით უპასუხეს ჰიტლერელთა შემოსევას.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად, ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობის გარდაქმნა საომარ ყაიდაზე და მთელი თავისი საქმიანობა მტერზე გამარჯვების საერთო ამოცანებს დაუმორჩილა.

ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე ქართველმა ხალხმა ასეული ათასობით თავისი შვილი სამამულო ომის ფრონტებზე გაგზავნა. თავიანთი მრავალრიცხოვანი გმირული საქმით მათ უჩვენეს უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიისადმი. ზურგში დარჩენილი მთელი მოსახლეობა განსაკუთრებული დაძაბულობით მუშაობდა წარმოებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, ჰოსპიტლებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში.

ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელებთან ერთად საქართველოს მთელ მოსახლეობაში საყოველთაო აღშფოთება დღითიდღე ძლიერდებოდა ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო.

თბილისში, საქართველოს რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში, სახელდახელოდ გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია აღშფოთებას და ღრმა სიძულვილს გამოთქვამდნენ გერმანელ ფაშისტთა თავდასხმის გამო. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანაში შემდგარ მიტინგს 3000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაესწრო, სადაც პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. მათ თავიანთ გამოსვლაში გამოთქვეს მთელი ქართველი ხალხის ერთსულოვანი აზრი: ორმაგი დარტყმა ომის გამჩაღებლებს, გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ვერაგ მტერს, გვერდში ამოუდგეთ და ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ წითელ არმიას ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად. პრესაში გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერების ნ. მუსხელიშვილის, ს. ჯანაშიას, ა. ჯანელიძის, ი. ბერიტაშვილის, კ. ზავრიევის, კ. შანიძის, გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძისა და ა. თვალჭრელიძის წერილი, რომელშიც ისინი გამოხატავდნენ მთელი ქართველი ინტელიგენციის აღშფოთებას ჰიტლერელთა უაჩაღური თავდასხმის გამო. ისინი გამოხატავდნენ ხალხის რწმენას, რომ თავხედი მტერი, რომელმაც გამოილაშქრა მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს წინააღმდეგ, განადგურებული იქნებოდა, რომ მუხანათ ფაშისტ აგრესორს დაღუპვა

არ აცდებოდა. ყველგან, თვალუწვდენელ საბჭოთა მიწა-წყალზე სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგა ტიტანი საბჭოთა ხალხი.

ქართველი ხალხი კარგად იცნობდა გერმანელ იმპერიალისტებს არა მარტო პრესის საშუალებით, არამედ იმ პერიოდის პრაქტიკითაც. როცა „გერმანელმა დამპყრობლებმა საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტეს ამიერკავკასია, სადაც პარპაში დაიწყეს გერმანიისა და თურქეთის ჯარებმა"[2].

ცნობილია, რომ 1918 წელს გერმანიის ჯარები საქართველოშიც იყვნენ, როგორც ხალხის თავისუფლების ჯალათები, ერთი მუჭა ქართველ მემამულეთა დამცველები, რომლებიც უსირცხვილოდ და უნამუსოდ ყიდდნენ სამშობლოს ინტერესებს. ქართველ ხალხს კარგად ახსოვდა ის აოხრება, ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა, რასაც საქართველოში ჩადიოდნენ პირსისხლიანი გერმანელი ოკუპანტები, რომლებსაც საჯიჯგნად მიუგდეს ჩვენი ქვეყანა ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა მენშევიკებმა. და როდესაც საბჭოთა ერების საერთო ოჯახს უაჩაღურად თავს დაესხა ვერაგი მტერი, ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. რესპუბლიკის მშრომელები გაიმსჭვალნენ ერთი აზრით, ერთი რწმენით—თავი დაედოთ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, ემუშავნათ გაათკეცებული ენერგიით, მხარში ამოდგომოდნენ წითელ არმიას, რომ გაენადგურებინათ და მოესპოთ გარეწარი მტერი.

მთელ საქართველოში, ქალაქად და სოფლად, წარმოებადაწესებულებებსა და საკოლმეურნეო მინდერებზე, შახტებსა და ლაბორატორიებში გაიშალა დაძაბული მუშაობა ომის პირობების შესაბამისად. საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს მოსახლეობასთან ერთად. შეუდგნენ მუშაობის გარდაქმნას სამხედრო ყაიდაზე, ისინი ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ჩვენს წითელ არმიას და სამხედრო საზღვაო ფლოტს.

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მოკლე ბიოგრაფია, მეორე გამოც. 1955, გვ. 241.

2. საძართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მრავალითი მამაცობა

ფაშისტურ გერმანიასთან ომი არ იყო ჩვეულებრივი ომი. იგი არა მარტო ორი არმიის ომი იყო, არამედ ამასთან ერთად იყო მთელი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. თავდამსხმელი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად წითელ არმიასთან ერთად გამოვიდნენ მრავალმილიონიანი მასები. მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში, რომლებსაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდა, ყველგან იქმნებოდა მრავალათასიანი სახალხო ლაშქარი წითელი არმიის დასახმარებლად.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა და ფლოტის მებრძოლებმა თავდაცვით ბრძოლებში გაანადგურეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ჰიტლერელთა მრავალი რჩეული ნაწილი, მაგრამ გამხეცებული მტერი არ ერიდებოდა მსხვერპლს, ოდნავათაც არ უფრთხილდებოდა თავის ჯარისკაცების სისხლს. და ბოლო ძალღონეს ძაბავდა, რათა ზამთრის დადგომამდე დაეპყრო მოსკოვი და ლენინგრადი, გაეტეხა ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ფიქრობდნენ 2—3 თვეში „მოეღოთ ბოლო“ საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ ისინი სასტიკად მოტყუვდნენ. გმირულმა წითელმა არმიამ ჩაშალა ჰიტლერელთა „ელვისებური“ კაბარჯვების ქარაფშუტული გეგმა.

გერმანელი ოკუპანტები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ საბჭოთა წყობილება მტკიცე არ იქნებოდა, საბჭოთა ზურგი მაგარი არ იქნებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ პირველივე ძლიერი დარტყმებისა და წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი სხვადასხვა ეროვნებებს შორის და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც გერმანელთა არმიას გაუადვილებდა წინსვლას, მაგრამ მტერი სასტიკად მოტყუვდა. წითელი არმიის დროებითმა წარუმატებლობამ ვერ შეასუსტა საბჭოთა ერების მონოლითური რიგები.

უდიდესი განსაცდელის ჟამს კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, კიდევ უფრო განმ-

ტკიცდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა. ურ-
ღვევ ბანაკად შეკავშირებული საბჭოთა ხალხი თავდადებით
ეხმარებოდა თავის არმიას და ფლოტს. ჩვენი დიდი სამშობ-
ლოს დაცვის ამ საერთო სახალხო ბრძოლაში აქტიურ მონა-
წილეობას იღებდნენ და თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი
შეჰქონდათ საქართველოს სსრ მუშებს, გლეხებსა და ინტე-
ლიგენციას.

უმაგალითო ორგანიზებულობით ჩატარდა გასაწვევ ას-
აკთა მობილიზაცია. თავხედი მტრის გასანადგურებლად
ფრონტებზე მიისწრაფოდნენ არა მარტო წვევამდელები,
არამედ ისინიც, ვისაც გაწვევა არ უწევდა. წითელ არმიაში
მოხალისეებად ეწერებოდნენ ქალები და კაცები, არა მარტო
ახალგაზრდები, არამედ ხანში შესული ადამიანები და ყვე-
ლაზე ახალგაზრდა პატრიოტები. თბილისში მცხოვრები ნი-
კოლოს კონსტანტინეს ძე სანებლიძე, რომელიც პირველი იმ-
პერიალისტური ომის მონაწილე იყო და მიღებული ჰქონდა
ორი ჯილობა, მოითხოვდა გაეგზავნათ ჰიტლერელი ოკუპან-
ტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

თადარიგის მეთაური ალექსი მიტიჩაიშვილი, რომელიც
დაჭრილი იყო თეთრფინელებთან ბრძოლაში და მოხსნილი იყო
სამხედრო აღრიცხვიდან, განცხადებაში წერდა, რომ თავს კარ-
გად გრძნობს და სურს წავიდეს ფრონტზე სამშობლოს დასაცა-
ვად, რადგან მას არ შეუძლია შორიდან უყუროს ჩვენის ენერ-
ველს და მონაწილეობა არ მიიღოს მტრის განადგურების სა-
ერთო საქმეში, რომელშიც მონაწილეობს მთელი საბჭოთა
ხალხი. თამარ კირილეს ასული ცერცვაძე, რომელსაც ოთხი
ძმა ჰყავდა წითელ არმიაში, წერდა: „მტკიცედ მაქვს გადაწყვე-
ტილი შევიდე წითელი არმიის რიგებში, მონაწილეობა მივი-
ღო გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურებაში. გთხოვთ
რაც შეიძლება დააჩქაროთ ჩემი განცხადების განხილვა და გამ-
გზავნოთ ფრონტზე“. ასევე დაჟინებით მოითხოვდა ფრონტზე
გაგზავნას ელექტრომავლის მემანქანის თანაშემწე ფიქრია მი-
ჩეილის ასული ლეჟავა და ბევრი სხვა. საქართველოს ყველა
რაიონისა და ქალაქის სამხედრო კომისარიატებში, პარტიულ
და საბჭოთა ორგანოებში ყოველდღიურად შეიმოდიოდა აუ-

რაცხელი პატრიოტული განცხადება სამამულო ომის ფრონტზე მოხალისედ გაგზავნის შესახებ.

სამამულო ომის ფრონტზე ქართველი ხალხის შვილები მონაწილეობდნენ წითელი არმიისა და ფლოტის ყველა სახის ნაწილში. ბევრმა მათგანმა ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის უკვდავ მატიანეში.

პარტიის მოწოდების საპასუხოდ საქართველოს მშრომელებმა ქმედითი მუშაობა გააჩაღეს ჩვენი არმიისა და ფლოტისათვის აქტიური დახმარების გასაწევად. ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში მაგალითის მაჩვენებელი და ტონის მიმცემი იყო მუშათა კლასი. ქართველი ხალხი ისწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიეწოდებინა ფრონტისათვის მასალები, საჭურველი; რაც უფრო ფართოვდებოდა და მედგარი ხდებოდა ბრძოლა, მით უფრო ჩვენი ხალხი განამტკიცებდა წითელი არმიის ზურგს; რადგან მას კარგად ესმოდა, რომ რაც უფრო მტკიცეა ზურგი, მით უფრო მტკიცე და უძლეველია ფრონტი.

1941 წლის 30 ივლისს თბილისის მშრომელებმა. როგორც კი მოისმინეს რადიოთი მოსკოვის მშრომელთა ინიციატივა თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის შესახებ, ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში გამართულ მიტინგებზე უდიდესი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი მოსკოველთა წინადადებას. ამ პატრიოტულ ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს ყველა მშრომელმა, რომელთაც თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ ხელფასიდან დანაზოგი, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, 2—3 დღის ხელფასი, ძვირფასი ნივთები (ოქრო, ვერცხლი და სხვ.). თუკი თავდაცვის ფონდში მარტო პირველ ორ დღეს 400 000 მანეთზე მეტი იყო შეტანილი, ორი დღის შემდეგ ერთ მილიონამდე მიაღწია, 8 აგვისტოსათვის—4 მილიონამდე, ხოლო 15 აგვისტოსათვის—15 მილიონ მანეთს გადააჭარბა. აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა თავდაცვის ფონდში შეიტანა 3000 მანეთი ფულად და 13000 მანეთის ობლიგაცია, აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა 10 000 მანეთი, აკადემიკოსმა გ. ხაჭაპურიძემ 1000 მანეთი ფულად და 1500 მანე-

თის ობლიგაცია და სხვ. ყოველდღიურად იზრდებოდა მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შენატანები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდში.

მრეწველობასა და ტრანსპორტზე ახალი ძვირფასი ინიციატივა წარმოიშვა. ომის დროს მოწინავე სტახანოველები 2—3 ნორმას ასრულებდნენ. რაციონალიზატორთა და გამოქგონებელთა რიცხვი არნახულად გაიზარდა. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალსარემონტო ქარხანაში ორასოვანთა პირველმა თათბირმა მიიღო მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებდა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის, ყველა საწარმოოს კოლექტივის მუშებს ებრძოლათ ცელაში ორი ნორმის შესრულებისათვის. წარმოების გაბედული ნოვატორების მოწოდებამ ფართო გამოხმაურება პოვა ფაბრიკა-ქარხნებსა და ტრანსპორტზე. გამრავლდა ორასოვანთა ბრიგადები, ორასოვანთა უბნები და საამქროები, გაფართოვდა და გაძლიერდა მრავალდაზგიანობა და პროფესიათა შემთავსებლობა.

ოქტომბრის რევოლუციის 24 წლისთავის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრმა საწარმოომ თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა. ამ თარიღისათვის თბილისის რამდენიმე ათეულმა საწარმოომ გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრის თვის გეგმა, ხოლო სატრიკოტაჟო კომბინატმა, მეორე სამკერვალო ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს წლიური პროგრამა. იმ დროისათვის მარტო სტალინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო ქარხანაში 400-ზე მეტი ორასოვანი და 100-ზე მეტი სამასოვანი სტახანოველი იყო, რომელთა უმრავლესობამ წლიური გეგმა შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის დღისათვის. მათ შორის ბრველ რიგებში იყვნენ მოწინავე მუშები— გეუაძე, მაჩაიძე, ბაბაევი, ქსოვრელი და სხვ., რომლებიც 3—4 ნორმას ასრულებდნენ. თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მჭედლები—ჩიმჩიური და ღუდუშაური 4—5 ნორმას ასრულებდნენ, ხოლო კომკავშირელი ლიაპკინი—5—6 ნორმას. მუშები, ინჟენერები და ტექნიკოსები ეძებდნენ და პოულობდნენ ახალ-ახალ გზებს წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

თბილისის არსენალის თანამშრომელი კომუნისტი ყოტა-შიძის მიერ გამოგონებულ იქნა მოწყობილობანი, რომელიც განსაზღვრული დეტალების დამუშავებისას შრომის ნაყოფიერებას ადიდებდა 20—21-ჯერ. მარტო კიროვის სახელობის ქარხანაში რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით სახელმწიფომ რამდენიმე თვეში 150 000 მანეთი ეკონომია მიიღო. ასეთი მაგალითები ბევრი იყო. სამამულო ომის წლებში საქართველოს თითქმის ყველა საწარმო უშვებდა ისეთ პროდუქციას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრონტისათვის. მუშები შრომითი გმირობის საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ. ჯარში წასული მუშები შეცვალეს ახალმა კადრებმა, განსაკუთრებით ქალებმა, აგრეთვე მოზარდებმა, რომელთაც წარმატებით აითვისეს რთული პროფესიები. 1941 წელს საქართველოს ყველა ძირითადმა საწარმომ შეასრულა გეგმა და 1940 წელთან შედარებით სამშობლოს მისცა 11,3%-ზე მეტი პროდუქცია, ხოლო წლის მეორე ნახევარში გამოუშვა 12%-ით მეტი პროდუქცია, ვიდრე პირველ ნახევარში. საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა აითვისეს ბევრი ისეთი ახალი პროდუქციის გამოშვება, რომლებსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა, მასთან ერთად მოაწყეს ბევრი ისეთი პროდუქციის გამოშვება მოსახლეობისათვის, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირის ცენტრალური რაიონებიდან შემოიქონდათ. ომის პერიოდში საქართველოს მრეწველობა თითქმის მთლიანად საკუთარ რესურსებზე მუშაობდა და მინიმუმამდე ამცირებდა ნედლეულის შემოზიდვას სხვა ოლქებიდან და მხარეებიდან, რომ ამით განეტვირთა ტრანსპორტი და მეტი წვლილი შეეტანა მტრის განადგურების საერთო საქმეში. ადგილობრივი რესურსების გამონახვისა და ადგილობრივი ნედლეულის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენების საქმეში სერიოზული მუშაობა გასწიეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის, საფეიქრო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა ვადაზე ადრე და საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ვადამდე ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა და ასეული ტონობით ქვანახშირი მისცა გეგმის ზევით ამიერკავკასიის მრეწველობას და შავი ზღვის საზღვაო ფლოტს. სტალინის სახელობის ორჯონიკიძე-ვაგონსარემონტო ქარხანამ წლიური გეგმა 17 დეკემბრისათვის შეასრულა. საქართველოს ჩაის მრეწველობაც ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობისა და წითელი არმიისათვის ასეული ტონობით ჩაი გეგმის ზევით მისცა სამშობლოს, ხოლო თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ გეგმის ზევით გამოუშვა 600 ტონა ე. წ. აგურა ჩაი. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ 4 ოქტომბერს შეასრულა წლიური გეგმა და სამშობლოს გეგმის ზევით მისცა ათასი ტონობით მაღალხარისხოვანი შენადნობი, რომელსაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ფრონტისათვის დახმარების ყოველდღიურ გაძლიერებასთან ერთად მრეწველობის მუშაკები ზრდიდნენ მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების გამოშვებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი დაძაბულ მუშაობას ეწეოდა ფრონტის შეუფერხებელი მომსახურებისათვის, ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებდა სახალხო მეურნეობისა და ფრონტისათვის ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმას.

საქართველოს კოლმეურნეები, ქალები და კაცები, დიდი და პატარა, შეუსვენებლივ მუშაობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, არ ზოგავდნენ თავიანთ ძალასა და ენერგიას, რომ ფრონტისათვის, სამშობლოსათვის მიეცათ სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით პური და ხორცი, ჩაი და ციტრუსების ნაყოფები, ღვინო, კარტოფილი და ნედლეული მრეწველობისათვის.

მიუხედავად ომის პირობებით გამოწვეული სიძნელეებისა, კოლმეურნეობებმა 1941 წელს შესძლეს ნათესი ფართობის გადიდება, სამუშაოთა შესრულების ვადების შემცირება და პურისა და სხვა კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს. შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მოიყვანეს ქართლისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებმა. ასპინძის, ადიგენისა და დმანისის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში 12—14 ტონა კარ-

ტოფილი მიიღეს საშუალოდ თითოეული ჰექტარიდან, ხოლო ახალციხის რაიონში—15 ტონა. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვადაზე ადრე და გეგმის გადამეტებით ჩაბარებაში განსაკუთრებული ინიციატივა გამოიჩინეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის, თელავის, გორის, გურჯაანის, წყალტუბოს, დუშეთის, თიანეთის, წითელი წყაროს, ხაშურის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, ქუთაისის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა. ვადამდე ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნისა და თამბაქოს ჩაბარების წლიური დავალება. თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულ იქნა ვადაზე ადრე და დაითესა 45000 ჰექტარით მეტი ვიდრე ომამდელ 1940 წელს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს წინა წელთან შედარებით 7 მილიონი კილოგრამით მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ომის მძიმე დღეებში, როცა სამშობლო მოითხოვდა მსხვერპლს და თავდადებას, საქართველოს მშრომელებმა გამოავლინეს გმირული პატრიოტული სული. მანამდე ბევრი უჩინარი ადამიანი ახლა საერთო საქმისათვის სახელგანთქმული მებრძოლი გახდა. 1941 წლის 6 სექტემბერს ჩაის ფოთლის კრეფის ცნობილმა ოსტატმა ქიონია სარსანიამ (ზუგდიდის რაიონი) ჩაის კრეფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იმავე წლის 3 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონის ქოროშილოვის სახელობის წარჩინებულმა კოლმეურნე ქალმა უშა ახუბამ ჩაის ფოთლის კრეფის ახალი რეკორდი დაამყარა. ნორმით გათვალისწინებული 15 კილოგრამის ნაცვლად ერთ დღეში მან მოკრიფა 1652 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და გამომუშაებული ხელფასი 1336 მანეთი მთლიანად თავდაცვის ფონდში შეიტანა.

კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა ახალი პატრიოტული მოძრაობა თავდაცვის ჰექტარების დასათესად. 1941 წლის აგვისტოს თვეში, ასპინძის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით

დაეთესათ თავდაცვის ფონდში საშემოდგომო ხორბალი არა ნაკლებ 65 ჰექტარისა. მათ მოუწოდეს საქართველოს კოლმეურნეებს არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელიც არ დათესავს თავდაცვის ჰექტარებს.

რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში აქტიურად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. სახელმწიფო გეგმის გადამეტებით კოლმეურნეობებმა ათასობით ჰექტარი დათესეს სხვადასხვა კულტურების ქვეშ ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდის გასაძლიერებლად.

ქართველი ინტელიგენცია მხარში ედგა საბჭოთა ხალხს და ყველა ზომას ღებულობდა ფრონტისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად. ჩვენი მეცნიერები აქტიურად ეხმაურებოდნენ სამამულო ომის მოთხოვნებს და თავდადებულად მუშაობდნენ თავდაცვითი მნიშვნელობის აქტუალურ პრობლემებზე.

1941 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქ თბილისში შედგა საქართველოს მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგი. აქ შეიკრიბნენ ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „მთელ ჩვენს ძალებსა და ცოდნას, გამოცდილებასა და უნარს და თუ საჭირო იქნება ჩვენს სიცოცხლესაც შევწირავთ დიად და წმიდა საქმეს— სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეს“[3].

ეს მტკიცე და მაღალპატრიოტული განცხადება იყო მთელი ჩვენი სახალხო ინტელიგენციის პასუხი ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ქართველი ხალხი თავის პატრიოტულ გრძნობებს სამშობლოს დასაცავად და მუდმივ ზრუნვას წითელი არმიის მებრძოლებისა და მათი ოჯახებისადმი მრავალი საქმით გამოხატავდა. ამ კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებით აქტივობას იჩენდნენ ქალები. საბჭოთა კავშირის პატრიოტი ქალების მოწოდების საპასუხოდ ათიათასობით ქართველი ქა-

---

[3] გახ. „კომუნისტი“, 1941 წ. 20 სექტემბერი.

ლი წავიდა წარმოებებში სამუშაოდ, დადგნენ დაზგებთან და შესცვალეს ფრონტზე წასული მამები, ქმრები და ძმები. ბევრი ქართველი ქალი მუშაობდა საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში, გახდნენ დონორებად და მთელ თავის ენერგიას და საკუთარ სისხლსაც არ ზოგავდნენ დაჭრილი მეომრების განსაკურნავად. ომის დაწყების მეორე თვეს საქართველოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში 1400-მდე ქალი ეუფლებოდა ტრაქტორებისა და კომბაინების მართვას. ქალები წარმატებით მუშაობდნენ სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიებსა და საჰაერო დაცვის ჯგუფებში.

1941 წლის აგვისტოს თვეში ახალციხეში შედგა ქალთა საერთო-ხალაქო მიტინგი, რომელსაც 1700-მდე მშრომელი ქალი დაესწრო. თავიანთ მოწოდებაში საქართველოს მშრომელი ქალებისადმი აღნიშნავდნენ — მთელი თავიანთი საქმიანობა დაუმორჩილონ ომის საჭიროებას, ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს.

„ვასრულებთ რა ჩვენს ვალს დიადი სამშობლოს წინაშე,—წერდნენ ისინი,—ჩვენ ახალციხელი მშრომელი ქალები თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის აქტიური მონაწილენი, ვკისრულობთ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შევუდგეთ საზამთრო საჩუქრების შეგროვებას წითელი არმიის მეომრებისათვის. რათა უზრუნველვყოთ ისინი ზამთარში შალის თბილი წინდებით, ხელთათმანებით და სხვ. ბევრი ჩვენგანი უკვე შეუდგა ამ გადაუდებელ საქმეს“.

პატრიოტი ქალების ამ საუკეთესო ინიციატივამ ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოს ყველა რაიონისა და ქალაქის მოსახლეობაში. ჩვენმა ხალხმა კარგად იცოდა, რომ საბჭოთა სახელმწიფო წითელი არმიის მებრძოლებს ამარაგებდა როგორც იარაღითა და პროდუქტებით, ისე საჭირო ტანსაცმლით: მაგრამ მოსახლეობას სურდა მიეწოდებინა სახელოვანი მებრძოლებისათვის ხალხის საჩუქარი, შეექმნა დამატებითი რეზერვები, არაფერი არ მოეკლო სამშობლოს დამცველებისათვის, მაქსიმალური დახმარება გაეწია მამაცი ჩეომრების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის მათს. ემირულ ბრძოლაში ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

1942 წლის 1-ლი იანვრისათვის საქართველოს სსრ მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციი-

საგან შეგროვილ იქნა ჩვენი სახელოვანი მეომრებისათვის: თექის ჩექმა 21 000 წყვილი, ქურთუკი 6 000 ცალი, ტყავის ჟილეტი 2000 ცალი, მატყლისა და ტყავის ხელთათმანები 72 000 წყვილი, მატყლის წინდა 151 000 წყვილი, თბილი თუთრეული 53 000 წყვილი, სვიტერი, ფუფაიკა, ჯემპერი 100 000 ცალი, საცვალი 81 000 ცალი, პირსახოცი 80 000, ზეწარი 33 000 ცალი, ფეხსაცმელი 126.000 ცალი; ამას გარდა,—ათეული ათასობით ყურსაფარიანი ქუდი, შარვალი, ნაბადი, მაზრა და სხვა საჭირო მასალა.

საახალწლო საჩუქრებთან ერთად წითელი არმიის მებრძოლებს საქართველოს მშრომელები უგზავნიდნენ გულთბილ წერილებს. ზურგის მშრომელთა ამ წერილებსა და საახალწლო მილოცვებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ იჩინა თავი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის მძლავრმა ერთიანობამ, არმიასა და ხალხს შორის არსებულმა განუყრელმა კავშირმა, ყველა საბჭოთა ადამიანის დარაზმულობამ კომუნისტური პარტიის გარშემო და მტკიცე გადაწყვეტილებამ მოსპონ ვერაგი მტერი.

საქართველოს მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იგზავნებოდნენ ფრონტის მრავალ უბანზე წითელი არმიის მებრძოლებთან შესახვედრად. ფრონტზე ახალი წლის შეხვედრებმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ეს შეხვედრები გადაიქცა წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტისადმი საყოველთაო-სახალხო სიყვარულის, ფრონტისა და ზურგის ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად.

ქართველი ხალხი მთელ თავის მატერიალურ რესურსებს, მთელ თავის ნებისყოფას იყენებდა ფრონტის დასახმარებლად, გმირული წითელი არმიის დასახმარებლად.

1941 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში საბჭოთა ხალხი აწარმოებდა მძიმე სისხლისმღვრელ ომს, რომელიც გერმანელმა ფაშისტებმა თავს მოახვია ჩვენს ქვეყანას. ამ პერიოდში მეტად მძიმე გასაჭირი განიცადა ჩვენმა არმიამ და მასთან ერთად მთელმა საბჭოთა ხალხმა.

ინგლისისა და ამერიკის რეაქციული მმართველი წრეების პოლიტიკის შედეგად მაშინ ვითარება ისეთი იყო, რომ ჩვენს ქვეყანას მარტოდმარტო, ვისიმე სამხედრო დახმარების გა-

რეშე. უხდებოდა განმათავისუფლებელი ომის წარმოება გერმანელთა, ფინელთა, რუმინელთა, იტალიელთა და უნგრელთა შეერთებული ძალების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხალხს არც ერთი წუთითაც არ შეუტანია ეჭვი, რომ მტერი განადგურებული იქნებოდა, მაგრამ შელახული იყო ხალხის თავმოყვარეობა, რომ გერმანელი ავაზაკები ჩვენს მიწა-წყალზე თავხედურად თარეშობდნენ, ათას სისაძაგლესა და გაუგონარ მხეცობას სჩადიოდნენ.

გერმანელ ფაშისტთა არმიის მძარცველურ საქმიანობას, მათი მხრივ საბჭოთა ტერიტორიისა და მოსახლეობის რბევა-აწიოკებას წარმართავდა ჰიტლერელთა პარტია—„პარტია ყველაზე უფრო მტაცებელი და ავაზაკი იმპერიალისტებისა მსოფლიოს ყველა იმპერიალისტთა შორის"[4],

ფაშისტური გერმანიის მმართველი ხროვა ფიქრობდა მოულოდნელი თავდასხმით გაეტეხა საბჭოთა ხალხის ხეპისყოფა, გაეთელა და უკუექცია წითელი არმია, ხელთ ეგდო ჩვენი მრეწველობა, დაენაწილებინა და მოესპო საბჭოთა კავშირი, დაემონებინა თავისუფლებისმოყვარე ჩვენი ხალხები, მაგრამ მტერს შავი ზრახვები არ გაუმართლდა. წითელმა არმიამ მთელი საბჭოთა ხალხის აქტიური მხარდაჭერით ჩაფუშა ჰიტლერელ ავანტიურისტთა უნიადაგო და გიჟური გეგმა.

1941 წლის ბოლოს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტთა ჯარებს მთელ რიგ ფრონტებზე მაგარი დარტყმები აგემეს და თავდაცვითი ბრძოლებიდან შეტევაზე გადავიდნენ. წითელი არმიის პირველმა დიდმა გამარჯვებებმა გერმანელ ფაშისტთა ურდოებზე მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა არმიის უძლეველობა. ჩვენი ძალები იზრდებოდნენ მტერთან გაფთრებულ ბრძოლაში. ბევრ ადგილზე მტერი იძულებული შეიქნა არა მარტო დაეხია უკან, არამედ უწესრიგოდ გაქცეულიყო, დაეტოვებინა ტანკები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და სხვა სამხედრო ქონება.

როცა 1941 წელს წითელმა არმიამ მოკლე დროის განმავლობაში ზედიზედ ჩასცა ლახვარი ფაშისტურ ჯარებს დონის

---

[4] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1949, გვ. 29.

როსტოვთან, ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან, როცა მოსკოვთან წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ ჰიტლერელთა ე. წ. „ელვისებური" გამარჯვების გეგმა ქვიშაზე იყო აგებული და ის საბოლოოდ იქნა დასამარებული. ჰიტლერელთა მძარცველურ არმიას გაუცრუვდა თავისი ბინძური განზრახვა, რომ გაძარცვავდა მოსკოვს, ლენინგრადსა და კავკასიის, მან დაკარგა გამარჯვებისა და ომის სწრაფად დამთავრების რწმენა, დადგა მთელი მსოფლიოს წინაშე იმ ადამიანთა საზიზღარი სახით, რომლებმაც ადამიანის სახე დაკარგეს.

ყველგან, სადაც კი საბჭოთა ტერიტორიაზე ფეხს შემოდგამდნენ გერმანელი დამპყრობნი, ისინი ანგრევდნენ და აოხრებდნენ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ჟლეტდნენ საბჭოთა ადამიანებს, არ ინდობდნენ უმწეო ბავშვებს და მოხუცებს, გერმანიის სარდლობის დავალებით ქმნიდნენ „უდაბნოს ზონას".

საბჭოთა მთავრობის 1942 წლის 6 იანვრის ნოტაში გამოქვეყნდა გერმანელი ფაშისტების მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი ზხეცობის მრავალი ფაქტი.

✓ 1941 წლის 30 ივნისს, როცა ჰიტლერელი ბანდიტები შეიჭრნენ ქ. ლვოვში, იქ მოაწყეს მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. ჰიტლერელთა ზხეცობა და ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ მოკლულთა „გამოფენა" მოაწყეს პასაჟის შენობაში. სახლების კედელთან დალაგებული იყო დასახიჩრებული გვამები, უმთავრესად ქალებისა. ამ შემაძრწუნებელი „გამოფენის" პირველ ადგილზე იყო ქალის გვამი, რომელსაც ხიშტით ჰქონდა მილურსმული თავისი ბავშვი. დაბა კრასნაია პოლიანაში, მოსკოვთან, გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა 1941 წლის 2 დეკემბერს თავი მოუყარეს სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს; ჩაამწყვდიეს ისინი ცივ შენობაში და არ ზისცეს მათ 8 დღის განმავლობაში არც პური, არც წყალი. ასეთ წამებაში მყოფმუშა ქალებს: ზაიცევას, გუდკინას, ნალიოტკინას და მიხეილოვას ხელზე მოუკვდათ ძუძუმწოვარა ბავშვები. ხშირად, გამხეცებული ჰიტლერელები საბჭოთა ბავშვებს სამიზნედ იყენებდ-

ნენ სროლის დროს. კრასნაია პოლიანას რაიონის სოფ. ბელირა-სტში მთვრალ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფმა ერთი სახლის წინ სამიზნედ დააყენა 12 წლის ვალოდია ტკაჩოვი და ტყვიით დაცხრილა. მათვე გააჩერეს ქუჩაში მიმავალი კოლმეურნე ქალი მოსოლოვა მისი 3 შვილითურთ და ყველანი იქვე დასერიტეს. კურსკის ოლქის რაიონულ ცენტრ ვოლოვოში გერმანელთა ოფიცერმა კედელს თავი მიახლევინა და მოკლა ბოიკოვას ორი წლის ეაჟი იმისათვის, რომ ბავშვი ტიროდა. კალინინის ოლქის სოფ. სემიონოვსკში გერმანელმა ავაზაკებმა გააუპატიურეს წითელარმიელის ცოლი, სამი ბავშვის დედა, 25 წლის ოლგა ტიხონოვა, რომელიც ორსულობის უკანასკნელ პერიოდში იმყოფებოდა. თოკით შეუკრეს მას ფეხები, ხელები, გაუპატიურების შემდეგ მას ფაშისტებმა ყელი გამოსჭრეს, დაუჩხვლიტეს და სადისტურად დაუხვრიტეს ორივე ძუძუ. იმავე სოფელში ოკუპანტებმა დახვრიტეს 13 წლის ბიჭუნა და მის შუბლზე ამოჭრეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ჰიტლერელთა მხეცობას საზღვარი არ ჰქონდა.

რა სიზუსტით განსაზღვრა ფაშისტი ვანდალების მხეცური სახე დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ. იგი წერდა: „ფაშიზმი, დიდი ხანია უკვე დროა გავიგოთ, ეს არის ავადმყოფი, მომაკვდავი კლასის სადიზმი. ფაშისტები მხეცებზე უფრო სისხლისმსმელები არიან, მაგრამ მხეცებზე უფრო მშიშარები".

გორკი თაღლითებსა და არამზადებს უწოდებდა ფაშისტებს და თანაც დასძენდა: „ამ ტერმინებს მხოლოდ იმიტომ ვხმარობ, რომ უფრო ძლიერი ტერმინები ვერ გამომინახავსო".

მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსე იყო მგზნებარე სიძულვილით ყაჩაღ ოკუპანტთა მიმართ, რომლებიც ჩადიოდნენ აუწერელ მხეცობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, საშინელ ტანჯვა-წამებას და შეურაცხყოფას აყენებდნენ საბჭოთა ადამიანებს.

ომის მსვლელობაში წითელ არმიას ემატებოდა ახალი სასიცოცხლო ძალები, ის ივსებოდა მომზადებული ადამიანებით, ახალი სარეზერვო დივიზიებით.

ჩვენი მრეწველობა, რომელმაც გარდაქმნა მუშაობა ომის საჭიროების მიხედვით, მეტი რაოდენობით აწვდიდა ფრონტს სამხედრო ტექნიკას. წითელ არმიას საშუალება მიეცა ხელში აეღო ინიციატივა და გადასულიყო შეტევაზე უზარმაზარი ფრონტის მთავარ უბნებზე. მოსკოვთან ბრძოლებში მან სასტიკად დაამარცხა გერმანელთა ფაშისტური ჯარები, რომლებიც გარშემორტყმით ემუქრებოდნენ საბჭოთა დედაქალაქს, და 1941—1942 წლის ზამთრის პერიოდის 4 თვის განმავლობაში ზოგ ადგილას გაიარა 400 კილომეტრი და გარეკა მტერი დასავლეთისაკენ. ამ დროისათვის ის სამხედრო უპირატესობა, რაც მათ ომის პირველ თვეებში გააჩნდათ უეცრობისა და მოულოდნელობის მომენტთა სახით, როგორც გერმანელ ფაშისტთა ჯარების რეზერვი, ამოიწურა.

ამიერიდან ომის ბედს სწყვეტდა არა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივი მოქმედი ფაქტორები, როგორიცაა ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები პარტიის გარშემო და გააძლიერა მუშაობა ფრონტისათვის მეტი დახმარების გასაწევად. ფაბრიკა-ქარხნებში ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, საფრონტო დაკვეთის ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესასრულებლად. წარმოებებს დაუბრუნდა ბევრი ძველი კვალიფიციური მუშა, რომლებიც დიდი ხანია წასული იყვნენ წარმოებიდან მათი სამეურნეო და სხვა სამუშაოზე დაწინაურების ან პენსიაზე გადასვლის გამო. ბევრი დიასახლისი წარმატებით დაეუფლა ახალ პროფესიას. დღითი დღე მრავლდებოდა ომის დროის სტახანოველთა რიცხვი. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი მ. კობერიძე, რომელიც გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, 1942 წლის აპრილში ყოველდღიურად ანაღდებდა 10 ნორმას, ხოლო ზეინკალი ა. ჭუმბურიძე საჭიროების შემთხვევაში ხარატისა და შემდუღებლის მოვალეობასაც წარმატებით ასრულებდა. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ზეინკალი

ა. ბენდიანიშვილი 9—10 ნორმას ასრულებდა. აბრეშუმის ფაბრიკის მოწინავე მუშა სონია პაველიაშვილი, რომელიც გეგმას 150%-ით ასრულებდა, დაეუფლა 4 დაზგაზე მუშაობას. ათასობით მუშა 2—3—4 და მეტ ნორმას ასრულებდა. საქართველოს მრეწველობა ყოველდღიურად ადიდებდა ფრონტისათვის საჭურვლისა და საომარი მასალის მიწოდებას.

(სამშობლოსადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ჩატარდა 1942 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საკოლმეურნეო სოფლის მგზნებარე პატრიოტებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ფრონტისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ისევე საჭიროა, როგორც საბრძოლო იარაღი.)

ომიანობის დროის სიძნელეთა გადალახვის გზით მიღწეულ იქნა თესვის გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება. მახარაძის რაიონმა სახელმწიფო გეგმის ზევით დათესა სიმინდი 600 ჰექტარი, ბოლნისის რაიონმა—616 ჰექტარი თავთავიანი კულტურები და სხვ.

ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული მოსახლეობისათვის ძმური დახმარებისა და ქვეყნის თავდაცვის სახალხო ფონდის გასაძლიერებლად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რამდენიმე ათასი ჰექტარი სხვადასხვა კულტურები დაითესა გეგმის ზევით. ამ კეთილშობილურ საქმეში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა აფხაზეთის ასსრ, თელავის, დუშეთის, ხაშურისა და ბევრმა სხვა რაიონმა.

სამამულო ომის მხოლოდ პირველი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა თავდაცვის სახალხო ფონდში შეიტანეს ნაღდ ფულად 57 მილიონ მანეთზე მეტი, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები 52 მილიონ მანეთზე მეტი და ამას გარდა ბევრი სხვა ძვირფასეული (პლატინა, ოქრო, ვერცხლი) ნივთი.

(მთელი თავისი შემოქმედებითი მუშაობით და პრაქტიკული ღონისძიებებით საქართველოს მშრომელები იძლეოდნენ ხალხთა შორის მეგობრობის, ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობის ნიმუშს. ისინი ისწრაფოდნენ დაეჩქარებინათ მტრის განადგურება. თუკი ზურგში დარჩენილი ქართველი

მოქალაქე შრომის ფრონტზე დაუღალავად, თავდადებულად მუშაობდა წითელი არმიის დასახმარებლად, ომში წასული ქართველი მებრძოლი გმირულად იბრძოდა თითოეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის, რომელ ფრონტზედაც არ უნდა ყოფილიყო იგი, რადგან მას შეგნებული ჰქონდა, რომ ის იცავდა თავის საბჭოთა სამშობლოს, თავის კერას, მშობლებსა და ცოლ-შვილს. ხშირად მოდიოდა სასიხარულო ცნობები წითელი არმიის გამარჯვებებზე და მათ რიგებში ქართველი ხალხის შვილთა გმირობაზე სხვადასხვა ფრონტებზე. ომის პირველ თვეებშივე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში საგმირო საქმეებისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოებით დაჯილდოებულ ქართველებს შორის იყვნენ სახელოვანი არტილერისტი კონსტანტინე ლესელიძე, ბაგრატ ვაშაგაშვილი, მფრინავი შოთა ჭანტურია, ბატალიონის კომისარი ჩარგეიშვილი, ტანკისტი პირტახია, კაპიტანი აკაკი კუპუხიძე, რომლის ბატალიონი მშობლიური უკრაინის მიწა-წყალზე ანადგურებდა მტერს, წითელი ფლოტელი გერონტი ლაფერაძე ოდესის გმირ დამცველთა შორის იბრძოდა და ბევრი სხვა.

საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 9 ივლისის ცნობაში მოხსენებული იყო კაპიტან წურწუმიას გმირობა, ხოლო გაზ. „კრასნი ფლოტის" 10 ივლისის ნომერში დაწვრილებით იყო გაშუქებული შავი ზღვის ფლოტის ყუმბარმშენთა ესკადრილიის გმირობა და მამაცობა კაპიტან წურწუმიას მეთაურობით. პოლიტხელი ივანე ფიდოს ძე გოგიშვილი, რომელიც თეთრფინელებთან ბრძოლაში მამაცობისა და გულადობისათვის დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის" ორდენით, თავისი არტილერიით კიევის მისადგომებზე გმირულად ებრძოდა ფაშისტთა ტანკებს. კიევის დაცვისათვის გაფთრებულ ბრძოლებში მან დაკარგა ცოლი და შვილი. „საყვარელი შვილი, საყვარელი ცოლი დავკარგე მტერთან ბრძოლაში,— სწერდა იგი მოხუც დედასა და ამხანაგებს გურჯაანში,— ბრძოლისა და შურისძიების გრძნობა უფრო მატულობს. გული აიკლო და მეწვება შურისძიების ცეცხლით. ვიბრძოლებ მანამდე, სანამ საკადრისს არ მივუზღავ მტერს დედებისა და ბავშვების სისხლისათვისო".

ქ. სოხუმის მახლობელ სოფ. მაჭარაში მცხოვრებ კოლმეურნე სოლომონ შანგუას ოჯახმა 1942 წლის აპრილში ფრონტიდან მიიღო N ნაწილის მეთაურის წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენი შვილი გიორგი შანგუა ჩვენს ნაწილში მსახურობს და ჩვენთან ერთად ანადგურებს გერმანელ ოკუპანტებს... ჩვენმა პარტიამ და დიდმა მრავალმილიონიანმა ხალხმა მას ჩააბარა მრისხანე მანქანა, რომელსაც იგი სიყვარულით უვლის და რომლის მადლიან ხელში მანქანა უკან არ იხევს ფაშისტების მიერ მოწყობილ არაერთარ დაბრკოლებათა წინაშე. თქვენმა შვილმა გიორგიმ თავისი ტანკით მოსპო მტრის 51 ქვემეხი, 31 ტყვიამფრქვევი და 200-მდე გერმანელი დამპყრობი. სოფ. გრიადისათვის ბრძოლაში მან გაჟლიტა 65 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. იგი გმირულად შურს იძიებს ჰიტლერელ კაციჭამიებზე ჩვენი შებღალული მიწისათვის, ჩვენი შვილების უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისათვის, ჩვენი დედებისა და მამებისათვის... ძვირფასო მამავ და დედავ! ჩვენ ვამაყობთ თქვენი შვილით და მადლობას გიცხადებთ თქვენ, ასეთი გმირის აღზრდისათვის. მოგილოცავთ თქვენი შვილისათვის მაღალი ჯილდოების მიცემას“[5].

საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებები მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას იწვევდა. ომის პროცესში წითელი არმია უფრო ორგანიზებული და ძლიერი გახდა, მან შეძლო თავდაცვიდან მტრის ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა და გაწმინდა ფაშისტებისაგან საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ქართველი ხალხი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად მთელი ენერგიით მუშაობდა წითელი არმიის ძალისა და ძლიერების განსამტკიცებლად. ჩვენში ფრონტი და ზურგი ერთიან და განუყრელ ბანაკს წარმოადგენდა, რომელიც მზად იყო გადაელახა ყოველგვარი სიძნელე და გამხეცებულ მტერზე გამარჯვება გამოეკედა.

---

[5] გაზ. „კომუნისტი“, 1942, № 93.

3. საძართველოს მშრომელთა დახმარება საბჭოთა არმიისათვის ძავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში

1941—1942 წლის ზამთრის პერიოდში, წითელმა არმიამ მოიგერია რა გერმანელების იერიში მოსკოვზე, ხელფ იგდო ინიციატივა. გადავიდა შეტევაზე. რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გარეკა გერმანელთა ჯარები დასავლეთისაკენ და სერიოზული ზიანი მიაყენა მას. ჯერ კიდევ 1941 წლის 5 ნოემბერს, მოსკოვზე შეტევის ათი დღით ადრე, ჰიტლერელები შეტევაზე გადავიდნენ სამხრეთის ფრონტზე, რომლის მიზანი იყო როსტოვისა და ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრით, აქეთკენ მოეზიდათ საბჭოთა არმიის რეზერვები და ამით გაეადვილებინათ თავიანთი მთავარიამოცანის შესრულება—მოსკოვის დაპყრობა.

მაგრამ სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების კონტრშეტევამ საშუალება არ მისცა მტერს შეჭრილიყო ჩრდილოეთ კავკასიაში. სამხრეთში გერმანელთა მთავარი დამკერელი ძალების—გენერალ კლეისტის არმიის დამარცხებამ აიძულა იგი დიდი ხნით გადასულიყო თავდაცვაზე. ამან საშუალება მოუსპო ჰიტლერელებს ეს ძალები გამოეყენებინათ მოსკოვთან. სადაც იმ დროს წარმოებდა გადამწყვეტი ბრძოლები და რომლებზედაც დამოკიდებული იყო ომის შემდგომი მსვლელობა.

მოსკოვის — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გულის დასაცავად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 1941 წლის 25 ნოემბრის ცნობაში ნათქვამი იყო: „მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია ომს დაამთავრებენ მხოლოდ მტრის სრული განადგურებით. მტრის ეს განადგურება უნდა დაიწყოს მოსკოვთან“[6].

მართლაც საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა დაგვირგვინდა მოსკოვთან მოწინააღმდეგის ყველაზე ძლიერი დაჯგუფების განადგურებით და ჰიტლერული „ელვისებური“ ომის გიჟური გეგმის დამსხვრევით. მხოლოდ მოკლულთა და ტყვეთა სახით ჰიტლერელებმა აქ დაკარგეს 300 000-მდე თავიანთ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შემადგენლობა. მოსკოვთან საბჭოთა

---

[6] გახ. „კომუნისტი“, 1941 წ. 25 ნოემბერი.

ჯარების ბრწყინვალე გამარჯვება ჰიტლერული არმიის განადგურების დასაწყისი იყო.

საბჭოთა ჯარების ეს გამარჯვება მოწმობდა სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების ძლიერებას, მოწმობდა ღრმა მეცნიერულ საბჭოთა სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის უპირატესობას და კიდევ უფრო ააშკარავებდა ჰიტლერული სტრატეგიის ავანტიურისტულ ხასიათს. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა დაჰკარგეს ომის სწრაფად დამთავრების იმედი, კიდევ უფრო დაეცა ჰათი მორალური მდგომარეობა. დაიმსხვრა ინგლის-ამერიკელ რეაქციონერთა იმედი და ოცნება საბჭოთა კავშირის დამარცხებაზე. საბჭოთა ჯარების შესანიშნავმა გამარჯვებებმა ჰიტლერელთა მიერ დამონებულ ევროპის ხალხს ჩაუნერგა იმის მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა არმია წარმოადგენდა იმ ერთადერთ ძალას, რომელიც გაანთავისუფლებდა მათ ფაშისტური ჩაგვრისაგან.

საბჭოთა კავშირი, რომლის გმირული ბრძოლა იწვევდა მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას, გახდა ანტიჰიტლერული კოალიციის ცენტრი, რომელიც თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხს აერთიანებდა. მაგრამ ინგლისისა და ამერიკის მთავრობები, მიუხედავად საზეიმო დაპირებისა, აჭიანურებდნენ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. ამ ქვეყნების რეაქციული წრეები არ იყვნენ დაინტერესებული გერმანიის სწრაფი დამარცხებით, რადგან იმპერიალისტებს არ სურდათ დაჰკარგოდათ უამრავი მოგება, რასაც მათ ომი აძლევდა, არ სურდათ გერმანიის ფაშიზმის დაღუპვა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ევროპაში ძირეული დემოკრატიული გარდაქმნები. ამას გარდა, ომის გაჭიანურებით ისინი ფიქრობდნენ მიეღწიათ საბჭოთა კავშირის ძალებისა და ძლიერების მაქსიმალური დასუსტებისათვის.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტები დაეხმარნენ გერმანელ ფაშისტთა მთავარსარდლობას, მისცენ მას შესაძლებლობა შეეგროვებინა თავისი რეზერვები, აგრეთვე თავისი სატელიტების რეზერვე-

ბი და გადმოესროლა ისინი საბჭოთა გერმანიის ფრონტზე. ამრიგად, მოწინააღმდეგეს საშუალება მიეცა 1942 წლის იენისის თვის ბოლოსათვის თავი მოეყარა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ 235-მდე დივიზიისათვის. ისარგებლეს რა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, ჰიტლერელებმა 1942 წლის ზაფხულში მოაყარეს მთელი ძალები, გაარღვიეს ჩვენი ფრონტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, უდიდესი ზარალის ფასად წინ წამოიწიეს და ვორონეჟის, სტალინგრადის, ნოვოროსიისკის, პიატიგორსკის, მოზდოკის რაიონებში გამოვიდნენ.

გერმანელები ამ დროისათვის უკვე აღარ იყვნენ იმდენად ძლიერნი, რომ ერთდროულად წარემართათ შეტევა სამივე მიმართულებით, სამხრეთით, ჩრდილოეთითა და ცენტრალურ ფრონტებზე, როგორც ეს მათ შესძლეს პირველ ხანებში, 1941 წლის ზაფხულში. მაგრამ ისინი კიდევ საკმაოდ ძლიერნი იყვნენ იმისათვის, რომ მოეწყოთ სერიოზული შემოტევა ერთი მიმართულებით. სწორედ იმის შედეგად, რომ მეორე ფრონტი არ არსებობდა, გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა ცოცხით მოხვეტეს თავისი რეზერვები, მოაყარეს ისინი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, სახელდობრ ამ ერთი მიმართულებით შექმნეს ძალთა დიდი სიჭარბე და დროებით მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს. ჩვენი არმიის ძლიერებისა და სამხედრო ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო ჰიტლერელთა მთავარსარდლობამ ვერ შეძლო მოეწყო შეტევა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით და იძულებული იყო შეტევა ეწარმოებინა მხოლოდ ერთი მიმართულებით. ამაში მდგომარეობდა 1942 წლის ზაფხულის შეტევის ჰიტლერული გეგმის არსებითი განსხვავება 1941 წლის ზაფხულის შეტევის გეგმისაგან.

გერმანელთა 1942 წლის ზაფხულის ოპერაციის მთავარი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა, მისი ეკონომიური რესურსების, ნავთობიანი რაიონებისა და მარგანეცის, ისე როგორც მსოფლიო მნიშვნელობის კომუნიკაციების, ხელში ჩაგდება.

სამამულო ომის მეორე წელი საბჭოთა კავშირისა და ჰიტლერული გერმანიის ძალთა სულ სხვა შეფარდებისა პირო-

ბებში დაიწყო, ვიდრე ომის დასაწყისში იყო. წითელი არმია ბევრად უფრო ძლიერი, უკეთ შეიარაღებული და უფრო ორგანიზებული გახდა. მან ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინა, გამოიწვრთო ულმობელ მტერთან ბრძოლაში, დიდი შეტევითი ოპერაციებით სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მოწინააღმდეგეს და გააქარწყლა ჰიტლერელთა მიერ შექმნილი მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ, მაგრამ ინგლისამერიკის იმპერიალისტებმა მაშინ იხსნეს ჰიტლერული გერმანია კატასტროფისაგან იმით, რომ გადადვეს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა, საშუალება მისცეს გერმანელებს მთელი თავისი ძალები და თავის მოკავშირეთა რეზერვები გადმოესროლათ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ. ამრიგად, 1942 წლის ზაფხულისათვის გერმანელებმა ჩვენი ჯარების მიმართ მოაყარეს ორჯერ მეტი ძალები, ვიდრე მათ ჰყავდათ რუსეთის ფრონტზე პირველ იმპერიალისტურ ომში.

ამან საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს 1942 წლის ზაფხულში გაეღღვია ჩვენი ფრონტი და საფრთხეში ჩაეგდო სტალინგრადი, შავი ზღვის სანაპირო, გროზნი და ამიერკავკასიის რესპუბლიკები.

ჰიტლერელთა მთავარსარდლობის გეგმაში განსაკუთრებული ადგილი მინიჭებული ჰქონდა სტალინგრადს. დიდი სტრატეგიული პუნქტი ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებათა მიჯნაზე. სტალინგრადი ამავე დროს წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დამაკავშირებელ კვანძს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილსა და კავკასიას შორის.

ჰიტლერელებმა იცოდნენ, რომ თუ სტალინგრადის რაიონი საბჭოთა არმიის ხელში იქნებოდა, ეს საფრთხეს უქმნიდა ფაშისტური ჯარების კომუნიკაციას, მათი ჩრდილოეთით მოსკოვის ზურგისაკენ და სამხრეთით კავკასიისაკენ მოძრაობის დროს. სწორედ ამიტომ გერმანელები ცდილობდნენ პირველ რიგში ვოლგისაკენ გამოსვლით და სტალინგრადის დაპყრობით დაემთავრებინათ 1942 წლის ზაფხულის შეტევის პირველი ეტაპი და შემდეგ განეხორციელებინათ თავისი ძირითადი ზრახვები: აღმოსავლეთიდან ძლიერი დარტყმით დაეკავებინათ მოსკოვი და იმავე დროს დაეპყროთ მთელი კავკასია. ამ სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად მტერმა თავისი

ძალების ძირითადი მასა, ათასობით ტანკი, ქვემეხი, თვით-მფრინავი მოაყარა ფრონტის ვიწრო ადგილზე. საბჭოთა ჯარები იძულებული იყვნენ მაისის შუა რიცხვებიდან 1942 წლის 19 ნოემბრამდე ეწარმოებინათ მძიმე თავდაცვითი ბრძოლები შეტევაზე გადმოსულ მრავალრიცხოვან ფაშისტურ ურდოს წინააღმდეგ.

ამ პერიოდში ჩვენი ჯარების ამოცანა იყო ბრძოლებში მოექანცა, დაესუსტებინა მტერი და მოეგო დრო, დაეგროვებინა ძალები და საშუალებანი გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის.

კომუნისტური პარტიის უდიდესმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, წითელი არმიის სიმტკიცემ და მამაცობამ, ჩვენი ხალხის მასობრივმა გმირობამ ფრონტზე და ზურგში ჩაშალეს გერმანელთა გეგმები. მტერი შეჩერებულ იქნა სტალინგრადთან, სადაც ისტორიაში არნახული ბრძოლები წარმოებდა. ამ ბრძოლების შედეგებზე დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა სახელმწიფოს ბედი, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ფაშისტური არმიების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით, მასობრივი უმაგალითო გმირობით წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

სტალინგრადის გმირ დამცველებს ბაძავდა მთელი წითელი არმია, რომელსაც საბჭოთა ხალხი ამარაგებდა ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის.

1942 წლის ზაფხულში, როცა ფაშისტური ჯარები კავკასიის მთებს მოადგნენ, ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა ფრონტის დასახმარებლად, დაჭიმა თავისი ძალები, კიდევ უფრო განამტკიცა თავისი მეგობრული ურთიერთობა და კავშირი სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან, რათა საერთო ძალებით უკუეგდოთ მტერი, მკერდით დაეცვათ სოციალისტური სამშობლო.

1942 წლის აგვისტოს დასაწყისში მტერი ფიქრობდა რა, რომ ჩვენი ძალები სამხრეთში დასუსტებულია, თავისი მე-17 არმია და რუმინელთა ცხენოსანი კორპუსი წარმართა

ნოვოროსიისკისა და ტუაპსესაკენ, ხოლო პირველი სატანკო არმია ნალჩიკისა და ორჯონიკიძესაკენ. ფაშისტები ისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ ნავთობის მდიდარი საბადოები მაიკოპსა, გროზნოსა და ბაქოს რაიონებში, დაეპყროთ ყუბანის პურის რაიონები, ჭიათურის მარგანეცი და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვა სიმდიდრენი. მტერი ამასთან ერთად ისწრაფოდა გამოსულიყო შავი ზღვის სანაპიროზე, დაუფლებოდა ნავსადგურებს, წაერთმია შავი ზღვის ფლოტისათვის მისი ბაზები.

საბჭოთა მთავარსარდლობა დროზე მიუხვდა მტრის განზრახვებს და მიღებულ იქნა ყველა ზომა, რომ აცილებული ყოფილიყო ამიერკავკასიაში გამხეცებული მტრის შემოკრა, რომელსაც იმხანად რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა, განსაკუთრებით ტანკებსა და ავიაციაში.

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ქართველი ხალხი თავგამოდებით ეხმარებოდა თავის არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს. საქართველოში მოეწყო სამხედრო მრეწველობის მთელი რიგი დარგები. ათვისებულ იქნა სამხედრო იარაღების, სამხედრო აღჭურვილობათა წარმოება, დაკვრითი წესით წარმოებდა რკინიგზის ახალი ხაზებისა და გზატკეცილების მშენებლობა. ფართოდ გაიშალა მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალი მოსავლის მისაღებად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასადიდებლად ფრონტისათვის, მეტი რაოდენობით ნედლეულის მისაღებად მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის. საქართველოს მშრომელები —მუშები, გლეხები, მთელი ინტელიგენცია პატიოსნად და თავდადებით მუშაობდა ჩვენი ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მოეწყო წითელი არმიის ახალი შევსების გაძლიერებული მომზადება. გაფართოვდა მუშაობა თავდაცვის ფონდის შესაქმნელად, გაძლიერდა წითელი არმიის მომარაგება. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი დაძაბულად მუშაობდა და უზრუნველყოფდა ჯარის ნაწილების გადაყვანას და სამხედრო ტვირთების სწრაფად გადასროლას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალების თანახმად. საქართველოს კურორტებზე, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში მოეწყო დაჭრილ და ავადმყოფ

შეომართა მოელა და მკურნალობა. დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული კავკასიის ქედის მისადგომებზე და უღელტეხილებზე მრავალი სახის თავდაცვით ნაგებობათა მოსაწყობად, რომლებშიაც მთელი მოსახლეობა ღებულობდა მონაწილეობას. ამავე დროს ათიათასობით საქართველოს კოლმეურნე გლეხობა და ქალაქის მოსახლეობა, ჩვენი სპეციალისტების, ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა დახმარებით, დღე და ღამ შეუსვენებლივ მუშაობდა შავი ზღვის სანაპიროებისა და ნავსადგურების (ბათუმი, ფოთი, სოხუმი და სხვ.) გასამაგრებლად და დასაცავად, როგორც ხმელეთიდან ისე ზღვიდან. საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებული მხარეებიდან, აგრეთვე ფრონტისპირა ზონიდან, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებიდან, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სხვა მხარეებიდან ევაკუირებული მოსახლეობის, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა და ევაკოჰოსპიტლების მისაღებად და მოსაწყობად, ევაკუირებულ წარმოება-დაწესებულებათა ახალ ადგილზე ნორმალური მუშაობის ორგანიზაციისთვის. მთელი ქართველი ხალხი აქტიურ და მხურვალე დახმარებას უწევდა ჰიტლერელებისაგან განაწამებ. მშობლიური კერიდან ევაკუირებულ საბჭოთა მოსახლეობას მათი კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოებებში სამუშაოზე მოწყობით, თავისი საბინაო ფართობის ნაწილის დათმობით, კვების პროდუქტებითა და სათბობი მასალების დახმარებით. განსკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და ფრონტელთა ოჯახების წევრები, რომელთაც ყოველი ქართველი ოჯახი მშობლიურად ღებულობდა, როგორც თავის ახლობელთ და უზრუნველყოფდა მათ ბინით, მოვლით, კვებით, ტანისამოსით.

ფაშისტური ურდოები სამხრეთში წინ მიისწრაფოდნენ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ. რაც უფრო ძლიერდებოდა საშიშროება საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო ადიდებდა თავის დახმარებას ფრონტისადმი, რესპუბლიკის მშრომელები იჩენდნენ მეტ ინიციატივას, მოსაზრებულობას და გამჭრიახობას. უდიდესი ორგანიზებულობისა და დაძაბული მუშაობის მაგალითებს იძლეოდნენ თბილისის საწარმოო-

თა კოლექტივები. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლ-მავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის № 26 საამქრომ ივლისში რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება განახორციელა. ტექნოლოგიური პროცესი გაუმჯობესა, სწორად გაანაწილა ძალები და გეგმა 140%-ით შეასრულა. ამ საამქროში ამხ. ხაჟალიამ განახორციელა ისეთი წინადადება, რომლის შედეგად 8 საათის ნაცვლად 4 საათში უზრუნველყო ერთი სპეციალური დეტალის დამზადება. დროის განახევრება, ეს დიდ რამეს ნიშნავდა. არა მარტო მუშახელის ეკონომია, შრომის ნაყოფიერების გადიდება და თვითღირებულების შემცირება, არამედ, რაც მთავარია, დროის ეკონომია და სპეციალური დაკვეთის ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულება ნიშნავდა ჩვენი ჯარებისათვის ხელის შეწყობას მტრის განადგურების დაჩქარების საქმეში.

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებლობის ქარხანაში საჭირო შეიქმნა სწრაფად დაემზადებინათ ერთი დეტალი. ეს სპეციალური დაკვეთა იყო, მაგრამ არ იყო საამისო დაზგა; კიროველებმა სწორედ აქ გამოიჩინეს გამჭრიახობა და ინიციატივა. მექანიკური საამქროს უფროსი რუდნიჩენკო. ქარხნის საწარმოო განყოფილების ინჟენერი ნიკარაძე და კომკავშირის კომიტეტის მდივანი გეგელიძე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოდესღაც მწყობრიდან გამოსული დაზგის გამოყენებით შესძლებდნენ ამ დავალების შესრულებას. მათ აამოქმედეს ძველი დაზგა და სპეციალური დაკვეთა ვადაზე ერთი დღით ადრე შეასრულეს. პატრიოტიზმის გამოჩენის ასეთი მაგალითები აურაცხელი იყო.

ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების მიზნით სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა მრეწველობის ყველა დარგში. სამშობლოს წინაშე თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ საფეიქრო მრეწველობის, ფეხსაცმლის, სამკერვალო მრეწველობის მთელი რიგი ფაბრიკები. ფრონტი მოითხოვდა ზურგის გმირულ მუშაობას, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდასა და პროდუქციის გამოშვების ყოველდღიურ გადიდებას. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი თბილისის მაუდისა და მახარაძის რაიონის აბრეშუმ-ძაფსაღებმა ფაბრიკებმა. ეს ფაბრიკები გეგმებს

სისტემატურად ასრულებდნენ, მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლეოდნენ. წარმატებით ასრულებდნენ დავალებებს აგრეთვე თბილისის ძაფსართავი, სამტრედიის ძაფსაღები და სხვა ფაბრიკები. თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა გეგმების წარმატებითი შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პრემია მიიღო. მრისხანე ქამს, როცა ჰიტლერელი ყაჩაღები კავკასიონის ქედის კალთებს მოაჯგნენ, მრეწველობის მუშაკებმა, კოლმეურნეებმა და საქართველოს ყველა ვაჭრომელმა უფრო ენერგიულად გაშალა მუშაობა წითელი არმიის დასახმარებლად.

მიუხედავად უდიდესი ზარალისა, რასაც მტერს აყენებდა წითელი არმია, ჰიტლერელები მაინც წინ მოძვრებოდნენ. გაცოფებული ჰიტლერი ანგარიშმიუცემლად მოერეკებოდა თავის ჯარებს, აჩქარებდა მათ რაც არ უნდა დაჯდომოდათ დაეპყროთ კავკასია. საშიშროება იზრდებოდა. 1942 წლის 25 აგვისტოდან ქ. თბილისში შემოღებულ იქნა სამხედრო წესები. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს თავს დასტრიალებდა მრისხანე საფრთხე.

„თბილისში, 1942 წლის 23 აგვისტოს ჩატარდა ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი, რაც ხალხთა ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. აქ გაისმა მოძმე ამიერკავკასიის ხალხთა მძლავრი პატრიოტული ხმა: „არც ერთი ნაბიჯი უკან! ამაყი კავკასიონის მთაგრეხილთან მოვსპოთ მტერი! არ დაეუთმოთ მტერს შესაბილწად ჩვენი წინაპრების სახელი და ღირსება, ავაცდინოთ ჩვენს დედებს, მამებს, შვილებსა და დებს ბინძური ფაშისტური ჩექმის ველური თარეში. ფრონტზე გმირული ბრძოლით და ზურგში თავდადებული შრომით დავიცვათ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, დავიცვათ სოციალისტური სამშობლო“[7].

არასოდეს არ ყოფილა ასე მტკიცედ დარაზმული კავკასიის ხალხი, როგორც ამ უდიდესი განსაცდელის ქამს. ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების სიტყვებში გაისმოდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისადმი მტკიცე რწმენა და

---

[7] გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 24 აგვისტო.

მხურვალე მოწოდება ყველაფერი გააკეთონ გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად.

მიტინგზე სიამაყის გრძნობით აღინიშნებოდა იმ ადამიანების სახელები, რომლებიც ფრონტზე და ზურგში გაუგონარ გმირულ საქმეებს სჩადიოდნენ. ჰიტლერელ ბარბაროსთა სისხლიანი ხელები გამოშვერილი იყო ამიერკავკასიის სიმდიდრეებისაკენ. ამ მშიერ მგლებს სურდათ წაერთმიათ ჩვენი პური, ნავთი, სპილენძი, მარგანეცი, ქვანახშირი, ბაღ-ვენახები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები. მაგრამ ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება იყო კავკასიონის მისადგომებთან უნდა გაითხაროს სამარე მიხაკისფერი ჟირისა, როველიც ისტორიაში უმაგალითო მხეცობით, მკვლელობითა და ვანდალიზმის შემაძრწუნებელი აქტებით ცდილობდა ჩვენი ხალხის დამონებას.

ჩვენი ხალხი არ შედრკა და არ შეუშინდა მტერს. გმირული სულისკვეთება სუფევდა ამიერკავკასიის ხ ა ლ ხ თ ა შ ო რ ი ს, როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს შორის.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილეთა მხურვალე მოწოდება ღრმად ჩაწვდა თითოეულ საბჭოთა ადამიანს, აღაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის, კიდევ უფრო აღანთო საძულველი მტრის წინააღმდეგ.

ხალხმა გმირული საქმეებით უპასუხა ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილეთა მოწოდებას. თითოეული თავდადებით შრომობდა თავის სამუშაო უბანზე, დღითი დღე აძლიერებდა ფრონტისადმი დახმარებას. თითოეული ქალაქი, რაიონი, სოფელი ციხე-სიმაგრედ იქნა ქცეული. ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობა და დისციპლინა ამაღლდა და განმტკიცდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით: კიდევ უფრო გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი, რათა დაჩქარებულ იქნეს მტრის განადგურება სტალინგრადთან, კავკასიის მთების ძირში, ლენინგრადის კედლებთან, დონის ნაპირებთან.

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ გაჩაღდა თავდადებული მუშაობა. სექტემბრის თვის გეგმები და სპეცია-

ლური დაკვეთები წარმატებით შეასრულეს თბილისის კიროვის სახელობის, ავტოსარემონტო, კალინინის სახელობისა და სხვა ქარხნებმა. აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკებმა. ბათუმის მომთუთიებელმა ქარხანამ, მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკამ. თბილისის წისქვილკომბინატმა და სხვა წარმოებებმა. ამ ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით, გამოუშვეს პროდუქცია გეგმის გადამეტებით და ამავე დროს რაციონალურ წინადადებათა განხორციელებით დაზოგეს საგრძნობი თანხები, მისცეს სახელმწიფოს მასალის, საწვავის და ელექტროენერგიის დიდი ეკონომია. ჭიათურის მარგანეტრესტის მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა მარტო სექტემბერში ფრონტს მისცა გეგმის გადამეტებით 120000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. ამასთან ერთად დაზოგა 20 ტონა თუჯი და დიდი რაოდენობის კოქსი. მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკამ 9 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 1 120 000 მან. პროდუქცია, ამასთან საგრძნობი რაოდენობით დაზოგა ქვანახშირი და ნავთი.

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით და სანიმუშოდ შეასრულა სპეციალური დავალება, რისთვისაც სახალხო კომისარიატისაგან მიიღო ფულადი ჯილდო 60 000 მანეთი. სპეცდავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო პრემიები დაიმსახურეს მთელმა რიგმა საწარმოთა კოლექტივებმა. მრეწველობის ბევრი მუშაკი დაჯილდოვდა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. ტვირთზიდვის დარგში მთავრობისა და სამხედრო სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობით დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

მრეწველობაში და ტრანსპორტზე მუშახელის ნაკლებობის დაძლევის საქმეში დიდი როლი შეასრულა შრომითი რეზერვების სისტემამ. შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ წარმატებით შეასრულა და-

ვალება კვალიფიციური მუშებისა და მასობრივი პროფესიების მუშების მომზადების დარგში.

საქართველოს კოლმეურნეთა მასებში უდიდეს პატრიოტულ აღმავლობას ჰქონდა ადგილი. მთელი ძალები მიმართული იყო იქითკენ, რომ გადიდებულიყო ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარება. პარტიამ საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასახა ამოცანა მიეცა ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისათვის მეტი პური, ხორცი, კარტოფილი და სხვა პროდუქტები და მეტი ნედლეული მრეწველობისათვის.

მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებანი ფართოდ იყო გავრცელებული. კოლმეურნეობებს უხდებოდათ დიდი სიძნელეების გადალახვა. მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი ფრონტზე იყო წასული. საგრძნობი იყო იარაღ-მანქანებისა და ტრანსპორტის ნაკლებობა. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეს სიძნელეები დაძლეულ იქნა. ქალთა შრომის მაქსიმალური გამოყენებით, ზურგში დარჩენილი მთელი სოფლის მოსახლეობის საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების გზით მიღწეულ იქნა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარება. საკოლმეურნეო წყობილების უპირატესობის შედეგად, მიუხედავად ომიანობის პირობებით გამოწვეული დიდი სიძნელეებისა, შესაძლებელი გახდა საქართველოს კოლმეურნეობებს წინა წლებთან შედარებით გაედიდებინათ 1942 წელს ნათესი ფართობი 58 000 ჰექტარით. გაზრდილ იქნა ისეთი კულტურების ნათესი, როგორიც არის მარცვლეული, შაქრის ჭარხალი, ზეთოვანი კულტურები, ბოსტნეული და კარტოფილი. მოსავალი მიღებულ იქნა გაცილებით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ამასთან ერთად, ცხენების გამოკლებით, გაიზარდა საკოლმეურნეო მეცხოველეობის სულადობა. ომის მძიმე პირობებში სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებებისათვის საქართველოს სსრ გადაეცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისა და სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნა „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინე-

ბულის“ ნიშნით საქართველოს სოფლის მეურნეობის 11 : მოწინავე მუშაკი: ნოვატორები, სპეციალისტები, საკოლმეურნეო წყობილების საუკეთესო ორგანიზატორები. მთელი რიგი რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით ასრულებდა დავალებებს. საბჭოთა მეურნეობებმა 15 დღით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა და სახელმწიფოს ჩააბარეს 820 ტონით მეტი ჩაი, ვიდრე 1941 წელს.

საქართველოს სსრ მთლიანად, ვადაზე ადრე, ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავისათვის შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, სახელმწიფოს ჩააბარა 60 000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ანუ 3900 ტონით მეტი, ვიდრე 1941 წელს. ამავე დროს მთელი ჩაბარებული ჩაის ფოთლის რაოდენობიდან 27 000 ტონაზე მეტი პირველი ხარისხისა იყო. ასევე ვადაზე ადრე გადაჭარბებით იქნა შესრულებული სახელმწიფოსათვის ნაკრის ბარბლის, ყურძნის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, თამბაქოსა და სხვა პროდუქციის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს მშრომელები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ყოველდღიურად გაეძლიერებინათ დახმარება ფრონტისათვის. ისინი მზად იყვნენ გაეღოთ ყოველგვარი მსხვერპლი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად.

დღითი დღე უფრო გააფთრებული ხდებოდა ბრძოლა სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენი მებრძოლები გზას უღობავდნენ მტერს, რომელიც წინ მოიწევდა. ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მრავალი ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარეს. მათ ყველას უჩვენეს, რომ შესწევთ უნარი მაგრად ურტყან მტერს როგორც თავდაცვის, ასევე შეტევის დროსაც.

ყოველ დღეს მოჰქონდა ცნობები ჩვენი სახელოვანი მეომრების უმაგალითო გულადობისა და გმირობის შესახებ. მათ რიცხვში იყვნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებიც, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ყველა ფრონტზე თითოეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ქართველმა ხალხმა მრავალი სახელოვანი მებრძოლი აღუზარდა დედა სამშობლოს. ომის პირველ თვეებშივე ბევრი მათგანი ცნობილი გახ-

და მთელს ქვეყანაში, ასეთებია: ლესელიძე, ჩანჩიბაძე. ნანეიშვილი. წურწუმია, ლებანიძე, ჯახიევის ჯავშნოსანი მატარებლის მთელი ეკიპაჟი, საბჭოთა კავშირის გმირი იოსელიანი, ხარაზია და მრავალი სხვა პატრიოტი, რომელთაც გვიჩვენეს სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიმუშები. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა სამამულო ომის სახელოვან ისტორიაში.

მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, ოდესისა და სევასტოპოლისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის შვილები, მოძმე ერების ხალხთა შვილებთან ერთად, დიდ მამაცობას იჩენდნენ. ისინი თავგამოდებით იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას, რადგან ყოველი ქართველისათვის მშობლიური და ძვირფასია საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხე, მასში მტკიცე იყო და არის იმის შეგნება, რომ ქართველის სამშობლო და მისი ქვეყანა მთელი საბჭოთა კავშირია ამიტომ იყო, რომ მრავალი ათასობით ქართველი მეომარი სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა ყველა ფრონტზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, წითელი არმიის ყველა გვარეობის ნაწილში, ხმელეთზე, ზღვაში თუ ჰაერში.

სამართლიანად ხაზს უსვამდა გაზეთი „პრავდა" იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ გასტელოს თავგანწირვა და ივანოვის ტარნები, სუპრუნის გასაოცარი საბრძოლო გაფრენები და პოტაპოვის მამაცობა, წითელი არმიის ლეგენდარული სარდლის მიხეილ ფრუნზეს სახელოვანი შვილის—თემურ ფრუნზეს შეუპოვარი კვეთება მტრის წინააღმდეგ, კოჟედუბისა და ბევრი სხვა გმირი მფრინავის საბრძოლო საქმეები მუდამ ბრწყინვალე ვარსკვლავად დარჩება საბჭოთა ავიაციის ისტორიაში. ეს იყო უდიდესი და წარმტაცი მაგალითი ყველასათვის.

გმირი საბჭოთა მფრინავების დიდ ოჯახში აღიზარდნენ და ამჟამადაც იზრდებიან ქართველი ხალხის მამაცი შვილები. ბევრმა მათგანმა გაითქვა სახელი სამამულო ომის მძიმე დღეებში. ალექსანდრე წურწუმია და იოსებ ჭაბუკიანი, მიხეილ ჯარმელაშვილი, ვლადიმერ მაჩაიძე და მრავალი სხვა მამაცი ქართველი მფრინავი გაიცნო საბჭოთა ქვეყანამ სამამულო ომის პირველ წელსვე.

კაპიტან ჯარმელაშვილმა მარტო ომის პირველ დღეს, 1941 წლის 22 ივნისს 11 საჰაერო ბრძოლა ჩაატარა და გამარჯვებული გამოვიდა. 1942 წლის მაისამდე ამ უშიშარმა მფრინავმა 60 ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ფაშისტების 10 თვითმფრინავი ჩამოაგდო. კაპიტანი აბზიანიძე ერთ შემთხვევაში ფაშისტთა 12 თვითმფრინავს შეებრძოლა მარტოდმარტო. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო, დანარჩენი უკუაქცია და, ამრიგად, მტრის 12 თვითმფრინავთან გააფრთებულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. ასეთი თავგანწირული გმირობის მაგალითი ბევრი იყო.

ჩვენი სახელოვანი მეომრები თავიანთი სამშობლოსადმი თავდადებული, თავისი საქმის სამართლიანობაში დარწმუნებული, მთელი ხალხის მხარდაჭერით და მზრუნველობით აღფრთოვანებული მტკიცედ ურტყამდა მტერს და დაღუპვას უმზადებდა მუხანათ თავდამსხმელებს.

წითელი არმიის ყოველი ახალი გამარჯვება ახარებდა ჩვენს ხალხს. ქართველი ხალხი აღფრთოვანებული იყო საბჭოთა ჯარების მეომართა უმაგალითო გმირობით, რომელთა რიცხვში იყვნენ ქართველებიც. ფრონტზე ეს საგმირო საქმეები მაგალითიც იყო და მოწოდებაც ზურგში მომუშავე მშრომელებისათვის. თითოეული მათგანი თავიანთ უბანზე საგმირო საქმეებით უპასუხებდნენ ფრონტელთა გმირობას. ზურგში დარჩენილი ქართველი მოსახლეობა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ფრონტის მებრძოლებს და თავის მხრივ მოუწოდებდა ფრონტზე გაგზავნილ შვილებს დაუნდობლად მოესპოთ მტერი, ესახელებინათ სამშობლო. ფრონტელებს ახალ ძალას მატებდა თავისი ხალხის უდიდესი ზრუნვა, მისი დაუღალავი მუშაობა საბჭოთა არმიის დასახმარებლად. ეს იყო ფრონტისა და ზურგის შეჯიბრება, ურთიერთმოწოდებაც, ურთიერთშემოწმებაც და მთელი ხალხის განუყრელი ერთიანობა ულმობელი და ვერაგი მტრის განადგურებისათვის.

ჰიტლერელი ყაჩაღები შეიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, სისხლით შეღებეს ყუბანის წყალი, ხანძარი გაუჩინეს სტანიცებსა და აულებს. ქოფაკი ფაშისტები კავკასიის სიღრმეში მოისწრაფოდნენ. თავის გზაზე ოკუპანტები სპობდნენ ყვე-

ლაფერს, მათ სურდათ საპყრობილედ ექციათ ეს მხარე. „ღა-ბალ რასას" უწოდებდნენ ისინი კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას. გერმანელ დამპყრობლებს სურდათ თავიანთ მონებად და მსახურებად გაეხადათ თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა ხალხები, თავიანთი ბინძური ჩექმებით გადაეთელათ ამიერკავკასიის მინდორ-ველები, ყანები, პლანტაციები. გაენადგურებინათ ფაბრიკა-ქარხნები, დაეშალათ კოლმეურნეობანი, გაეძარცვათ მთელი ქონება, აეწიოკებინათ, ეწამებინათ და გაეყლიტათ დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მტერი გააფთრებული იყო.

ფრონტი სტალინგრადთან გადიოდა და კავკასიონის კალთებს მოუახლოვდა.

ჰიტლერს სურდა გაეკვეთა ჩვენი ფრონტი, მოეწყვიტა ჩრდილოეთი სამხრეთისაგან, გაეწყვიტა კავშირი ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებსა და კავკასიას შორის. ამასთან ერთად ვერაგი მტერი ღებულობდა ყველა ზომას, მიმართავდა ყოველგვარ ბინძურ ხრიკებს და ცდილობდა. გაეწყვიტა ძმური კავშირი, რომლითაც კავკასიის ხალხები საბჭოთა ხალხების მთლიან ოჯახთან არიან დაკავშირებულნი. მაგრამ საშარცხვინოდ ჩაიშალა ჰიტლერელი არამზადების ყველა საზიზღარი ცდა შუღლი ჩამოეგდოთ საბჭოთა ხალხებს შორის.

ამიერკავკასიის ხალხებმა კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით მოიპოვეს მათ თავისუფლება, მოიშორეს უუფლებობის, სიღატაკისა და მონობის მძიმე უღელი. საბჭოთა წყობილების დროს გაიფურჩქნა მშრომელთა ახალი, ბედნიერი ცხოვრება, განმტკიცდა ხალხთა შორის ძმობა და ერთობა. ჩვენმა ხალხმა კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასიის ხალხების უდიდეს მონაპოვართა შორის ყველაზე დიდი და ძვირფასია უმტკიცესი, ურღვევი მეგობრობა, რომელიც სუფევს ამიერკავკასიის ხალხთა შორის, ყველა საბჭოთა ხალხს შორის.

1942 წლის 27 სექტემბერს თბილისში შედგა ამიერკავკასიის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ანტიფაშისტური მიტინგი, რომელმაც უდიდესი ძალით ასახა ის განცდები, რი-

თაც იმ დღეებში ცხოვრობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდობა.

პირსისხლიანი ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლის მგზნებარე მოწოდებად გაისმოდა მიტინგზე შეკრებილთა სიტყვები:

„ამიერკავკასიის ახალგაზრდობავ!—ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე სულაბერიძე, რომელიც ხსნის ანტიფაშისტურ მიტინგს,—მტერი კარზეა მომდგარი, მთების ძირში წარმოებს ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომელიც ერთი წუთითაც არ ცხრება. ახლა ამ ბრძოლებში წყდება მშობლიური მხარის ბედ-იღბალი. შეეფიცოთ სამშობლოს, პარტიას, ხალხს ჩვენ არ გაეხდებით გერმანელთა მონები, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ, გავწყდებით, მაგრამ მტერს არ შემოვუშვებთ. ჩვენი მკერდით გადავუღობავ ჰიტლერელ დამპყრობთ მშობლიურ მიწა-წყლის გზას“.

მიტინგის ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ ბაქოს ნავთის მუშაკთა წარმომადგენელი მეხტიევი და სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორდენოსანი მსახიობი საზანდარიანი; მოქმედი არმიიდან ჩამოსული წითელარმიელი დოლებეკოვი, მაღაროელი შიხკიანი და სამამულო ომში დაღუპული გმირის შალამბერიძის დედა, აზერბაიჯანელი პოეტი ჯამილი და შავზველი კრავჩენკო.

ჩვენმა ახლგაზრდობამ არ იცოდა ჩაგვრისა და მონობის უღელი, რადგან ისინი დაიბადნენ თავისუფალ საბჭოთა ქვეყანაში და იზრდებოდნენ პარტიის მზრუნველობით და სიყვარულით გარემოსილნი. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ თუ რა მოჰქონდათ ჰიტლერელებს, რომლებმაც, სადაც კი ფეხი შედგეს, გადასწვეს სახლები, ააწიოკეს, დაასახიჩრეს, დახვრიტეს, აწამეს და დატანჯეს ქალი და კაცი, დიდი თუ პატარა. საზიზღარი მტერი ვერ იხილავს ჩვენს მიწა-წყალს. ასეთი იყო ამიერკავკასიის ახალგაზრდობის მტკიცე გადაწყვეტილება. პარტიისადმი მიმართულ სიტყვებში ისინი ამბობდნენ:

„გეფიცებით, რომ ყოველ მთას, ყოველ გორაკს, ხეობას, ბუჩქს გადავაქცევთ მიუვალ ზღუდედ და შავ სამარეს გავუმზადებთ მტერს ამიერკავკასიის კარიბჭესთან. გეფიცებით,

რომ დავდგებით მიუვალ სალკლდესაკით და არ დავუთმობთ მტერს არც ერთ მტკაველ მშობლიურ მიწას"[8].

ეს დიდი და წმიდა ფიცი ამიერკავკასიის ხალხთა შვილებმა საქმედ აქციეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მათ მტერთან ბრძოლაში მკერდზე ეწერათ შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი".

სტალინგრადთან და კავკასიის ამაყი მთების ძირში გიგანტური სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გრძელდებოდა. ჰიტლერელი ავაზაკები, მიუხედავად იმ კოლოსალური ზარალისა, რასაც მათ წითელი არმია აყენებდა, მაინც წინ მოძვრებოდნენ. გერმანელები ჩქარობდნენ. მათ უნდოდათ რათაც არ უნდა დაჯდომოდათ ზაფხულის შეტევის სერიოზული შედეგისათვის მიეღწიათ ზამთრის დადგომამდე დარჩენილი დროის განმავლობაში.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის ფრონტისა და მთელი ჩვენი ხალხის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეეჩერებინა მტრის შემოტევა, არ მიეცა მისთვის საშუალება შემოჭრილიყო შავი ზღვის ნაპირებსა და ამიერკავკასიაში, ბრძოლებში მოექანცა, დაესუსტებინა მოწინააღმდეგე და მოეგო დრო კონტრშეტევის მოსამზადებლად.

საბჭოთა ჯარებმა, მთელი ხალხის აქტიური დახმარებით, წარმატებით შეასრულეს ეს ამოცანა. საბჭოთა ჯარების განუწყვეტელი მზარდი წინააღმდეგობის შედეგად ჰიტლერელებმა, მხოლოდ აგვისტოს ბოლოს შესძლეს მიეღწიათ კავკასიის მთების მისადგომებამდე. 1942 წლის მთელი შემოდგომის განმავლობაში—სექტემბერ-ნოემბერში მოწინააღმდეგემ რამდენიმეჯერ სცადა იერიშით აეღო ტუაპსე და ორჯონიკიძე, მაგრამ კავკასიის გმირმა დამცველებმა ჩაშალეს ფაშისტური ჯარების ყოველგვარი ცდები ამ მიმართულებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავის დროზე გატარებულ ღონისძიებათა და საბჭოთა ჯარების გმირული

---

[8] გაზ. „კომუნისტი", 1942 წ. 28 სექტემბერი.

სიმტკიცის შედეგად 1942 წლის ნოემბრის ბოლოსათვის შეჩერებულ იქნა მოწინააღმდეგის შემოტევა კავკასიის მთავარ ხეილის დასავლეთ ნაწილში და ორჯონიკიძის მიმართულებით, მის მისადგომებთან. საბჭოთა მეომრებმა უკვადვი სახელი მოიხვეჭეს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. მათ რიგებში იყვნენ ქართველები, სომხები, აზრებაიჯანელები, აფხაზები, ოსები, დაღესტნელები და სხვა ეროვნებათა შვილები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით. ისინი თავიანთი მკერდით აჩერებდნენ მტერს და ანადგურებდნენ მას.

კავკასიაში, ისე როგორც სტალინგრადთან, მოწინააღმდეგემ შესძლო მიეღწია მხოლოდ ტაქტიკური წარმატებისათვის, მაგრამ მან ვერ შესძლო გადაექცია იგი სტრატეგიულ წარმატებად.

ფაშისტურმა ჯარებმა ვერ შესძლეს ვერც ჩვენი ჯარების განადგურება, რასაც ისინი მიზნად ისახავდნენ, ვერც ამიერკავკასიაში შემოჭრა და ვერც შავი ზღვის სანაპიროთა დაპყრობა. მტერმა ვერ მოიპოვა რა გამარჯვება და განიცადა უდიდესი ზარალი, იძულებული იყო გადასულიყო თავდაცვაზე.

საბჭოთა ჯარების მოფიქრებულმა და კარგად ორგანიზებულმა თავდაცვითმა ბრძოლებმა, რაც წარმოებდა 1942 წლის ივლის-ოქტომბრის თვეების განმავლობაში სტალინგრადის მიმართულებით და ჩრდილოეთ კავკასიაში, განსაზღვრეს ბრძოლების შემდგომი მსვლელობა სამხრეთის ფრონტზე.

ჩვენმა ჯარებმა თავგანწირული წინააღმდეგობის გაწევით და აქტიური საბრძოლო მოქმედებით შესძლეს მიეყენებინათ მტრისათვის უდიდესი ზარალი და შეეჩერებინათ მისი წინსვლა სტალინგრადისა და ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით. გამხეცებული ფაშისტური ურდოები შეჩერებულ იქნენ სტალინგრადის კედლებთან და კავკასიის ქედის ჩრდილოეთ მისადგომებთან.

სამამულო ომის ბედისათვის ამ გადამწყვეტი ამოცანის შესრულებაში საქართველოს მშრომელებმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

სამამულო ომი ხალხთა მთელი ძალების გამოცდისა და შემოწმების უდიდესი სკოლა შეიქნა. საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც ახორციელებდა საკავშირო კომ-

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებებს, წარმართავდა საქართველოს მშრომელების მრავალფეროვან და რთულ მუშაობას საბჭოთა არმიისათვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად.

1941 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ დანიშნეს თანიანთი რწმუნებულები რაიონების ჯგუფების მიხედვით. რწმუნებულებს დაევალათ ადგილობრივ ორგანიზაციებზე დახმარება თავდაცვით ღონისძიებათა თავის დროზე გატარებისა და საბჭოთა ჯარის ნაწილებისათვის მოსახლეობის ყოველმხრივი დახმარების ორგანიზაციის საქმეში. რწმუნებულებმა დიდი დახმარება გაუწიეს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ყველა იმ საკითხის პრაქტიკულად გატარებაში, რაც გამომდინარეობდა საკავშირო კომპარტიის ცეკას, სახკომსაბჭოსა და სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივებიდან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გარდაქმნეს მუშაობა ომის ვითარებასთან შეფარდებით და მთელი თავიანთი საქმიანობა ფრონტის ინტერესებს, მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს დაუმორჩილეს. შეიცვალა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები. უწინარეს ყოვლისა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში იმ მიმართულებით, რომ თითოეულ საბჭოთა ადამიანს შეეგნო მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა. რომ უკუეგდოთ უზრუნველობისა და მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, რაც დამღუპველი იყო ახალ პირობებში, როცა ომმა ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ საწარმოთა, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებულ მუშაობას იმისათვის, რომ მიეწოდებინათ ფრონტისათვის მეტი რაოდენობით საომარი იარაღები და მასალები, ტანისამოსი და კვების პროდუქტები.

ომის წლებში არა მარტო შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სამრეწველო წარმოების მაღალი დონე, არამედ გაძლი-

ერდა კიდეც მთელ რიგ დარგებში ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელსაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. პარტიის მოწოდების საპასუხოდ საქართველოს ნავთის, ქვანახშირის, მარგანეცის მრეწველობის, ფეროშენადნობთა ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშები ყოველდღიურად სულ უფრო მეტ პროდუქციას აწვდიდნენ ფრონტს.

ომამდე საქართველოს მრეწველობა არ უშვებდა სამხედრო პროდუქციას, ხოლო სამამულო ომის წლებში მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები გადაყვანილ იქნენ თავდაცვითი ხასიათის პროდუქციის გამოშვებაზე. წარმატებით იქნა ათვისებული ახალი პროდუქციის გამოშვება. ამას გარდა, მოეწყო სრულიად ახალი საწარმოები, რომლებიც მრისხანე იარაღს აწვდიდნენ ფრონტს. ჩვენი ჯარებისათვის საჭურველისა და საომარი მასალების გამოშვებასთან ერთად მოეწყო ავტომანქანების, ტანკებისა და სხვა იარაღების სათადარიგო ნაწილების დამზადება და რემონტი.

ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ათასოვანის, ნიკონ ტაგილის ერთ-ერთი ქარხნის მღარავის დიმიტრი ბოსის შესანიშნავი გამოცდილება ფართოდ გავრცელდა საქართველოს წარმოებებში. რაც უფრო დაძაბული ხდებოდა ბრძოლები ფრონტზე, მით უფრო ახალი ძალით ჩაღდებოდა სოციალისტური შეჯიბრება მუშებსა, სპეციალისტებსა, მუშათა კოლექტივებსა და საწარმოთა შორის ფრონტისათვის მეტი საომარი იარაღისა და მასალების დასამზადებლად. ამ საქმეში საქართველოს მუშებისათვის აღმაფრთოვანებელი მაგალითი იყო რუსი მუშების თავდადებული და გმირული მუშაობის შესანიშნავი მაგალითები.

1941 წელს საქართველოს ბევრმა საწარმომ და მრეწველობის ახალმა დარგებმა ვადამდე ადრე შეასრულეს წლიური გეგმა და სახელმწიფოს მისცეს საგრძნობი რაოდენობით პროდუქცია გეგმის ზევით. საწარმოებში მომზადებულ იქნა ახალი კადრები მუშებისა და მუშა ქალებისა, რომლებიც წარმოებაში მოვიდნენ არმიაში მობილიზებულთა ნაცვლად. განუწყვეტლივ ივსებოდა ორასოვანთა და ხუთასოვანთა რიგები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საწარმოთა შინაგანი რეზერვების გამოვლინებას, ფრონტისათვის იარაღის, საომა-

რი მასალების, ტანისამოსისა და კვების პროდუქტების გამოშვების ტემპების გაძლიერებას. ამ კეთილშობილურ საქმეში შემოქმედებითი ინიციატივას იჩენდნენ მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომელთა შორის პირველ რიგებში იყვნენ კომუნისტები და კომკავშირლები.

ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა და სპეციალისტების საგრძნობი ნაწილის ფრონტზე წასვლასთან დაკავშირებით წარმოებათა მუშახელით უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პროდუქციის გამოშვების გადიდებული პროგრამის შესასრულებლად. ეს სერიოზული დაბრკოლება გადალახულ იქნა იმის შედეგად, რომ წარმოებაში ნებაყოფლობით მოდიოდნენ ქალები, მოზარდები, აგრეთვე წარმოებიდან დიდი ხნით ადრე წასული მუშები. ძველი მუშების პატრიოტულ ინიციატივას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები.

1942 წლის 14 იანვარს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში ჩატარებულ თათბირზე კადრის ძველი მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას, კვლავ დადგნენ დაზგებთან, აქტიურად დაეხმარონ მშობლიურ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა განადგურებაში. თათბირზე გამოსულმა მუშებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მათ შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ისინი სიამოვნებით უბრუნდებიან დაზგებს და მთელ თავიანთ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას, საქმის ღრმა ცოდნას მოახმარენ სამრეწველო გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებას. ამასთან, თავიანთ ცოდნას გაუზიარებენ ახალგაზრდა მუშებს. ამავე თათბირზე 70 მაღალკვალიფიციურმა, კადრის ძველმა მუშამ განაცხადა წარმოებაში დაბრუნების სურვილი. ასე მაგალითად: სადგურ თბილისის საკვანძო პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ზეინკალი ს. გლურჯიძე წავიდა საამუშაოდ ორთქლმავალ-სარემონტო ქარხანაში; საზეინკლო მუშაობის 30 წლის სტაჟის მქონე ნ. ოგანეზოვი—26 კომისრის სახელობის ქარხანაში; ორთლქმავალსარემონტო ქარხნის საკვირთო ვაგონების პარტორგი ი. ხუციშვილი—იმავე ქარხანაში ძველ სპეციალობაზე და სხვ.

ამ შესანიშნავმა პატრიოტულმა ინიციატივამ ფართო გამოძახილი პოვა მთელ საქართველოში. ასობით ძველი კვალიფიციური მუშა დაუბრუნდა წარმოებას, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წარმოებაში მოსული ახალი მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ფრონტის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში. ძველი კვალიფიციური მუშები შეფობას უწევდნენ წარმოებაში მოსულ ახალ მუშებს. პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტგანყოფილებების ხელმძღვანელობით ომის მარტო პირველ თვეებში სპეციალურ კურსებზე და ინდივიდუალური სწავლების წესით რკინიგზის ტრანსპორტზე მომზადებულ იქნა 1700 სხვადასხვა პროფესიის კვალიფიციური მუშა. ამას გარდა, 2000-მდე ქალი, ძირითადად რკინიგზელთა ცოლები და მათი ოჯახის წევრები, წინათ დიასახლისები, გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას, ემზადებოდნენ მეისრეებად, კონდუქტორებად, სადგურის მორიგეებად, ზეინკლებად, მემანქანის თანაშემწეებად.

სოფლად პარტიული ორგანიზაციები მთელ მუშაობას წარმართავდნენ ფრონტისათვის დახმარების კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად. თესვის ყოველმხრივ მაღალხარისხოვნად მომზადება, ნათესი ფართობისა და მოსავლიანობის გადიდება, მეცხოველეობის ზრდა, შრომის რეზერვების მაქსიმალურად გამოყენება, ფრონტისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მეტი რაოდენობით მიწოდება პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო დაყენებული. დიდი მუშაობა ჩატარდა ფრონტზე წასულ მუშაკთა შესაცვლელად კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე ახალი კადრების შერჩევისა და წამოყენების საქმეში. ახლად დაწინაურებულ მუშაკთა შორის ბევრი იყო მოწინავე კოლმეურნე ქალი და სპეციალისტი სასოფლო-სამეურნეო განათლებით. სოფლად მომუშავე კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რომ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებასთან ერთად ეადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას, რაც ყველაზე შრომატევადი სამუშაოა

სოფლად, რომ თითოეული ზედმეტი კილოგრამი პური ხელს უწყობდა მტერზე გამარჯვების დაჩქარებას. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით ინიციატივას უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში.

პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ამ საქმეში უდიდესი ორგანიზებულობისა და მოქნილი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდნენ.

გორის რაიონის, სოფ. პატარა გარეჯვრის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ მთელი თავისი მუშაობა უხვი მოსავლის მიღების, მისი უდანაკარგოდ აღების პრაქტიკულ ამოცანებს დაუკავშირა. აქ ღია პარტიულ კრებაზე განიხილეს მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხები. კრებას ესწრებოდა საკოლმეურნეო აქტივი,—ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, მოწინავე კოლმეურნეები; მათ გულდასმით განიხილეს მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი და მთელი ენერგიით შეუდგნენ მის განხორციელებას. წინასწარ ჩატარდა საჭირო იარაღ-მანქანების რემონტი, სათანადოდ მოამზადეს ბეღლები, შეიძინეს ტომრები, მოამზადეს ცელები და ნამგლები, შეაკეთეს ურმები და რამდენიმე კევრი, მოაწყეს კალოები, გულდასმით გაატარეს საკოლმეურნეო დოვლათის დაცვისა და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი. ამავე კრებაზე განხილული იყო მუშახელის სწორად განაწილების საკითხი. მაქსიმალურად იყენენ ჩაბმული საკოლმეურნეო წარმოებაში ქალები და მოზარდები. ასეთმა მოფიქრებულმა ღონისძიებებმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღებაში სოფლად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებები, რომლებიც სათანადო შედეგს აღწევდნენ მტს-ის მუშაკების, ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და მთელი კოლექტივის დაძაბული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. ყველა ღონისძიებით განამტკიცებდნენ შრომის დისციპლინას, ამოწმებდნენ შრომადღეების სწორად დარიცხვას, ფონდების სწორად

განაწილებას და უზრუნველყოფდნენ პირველი მცენების— სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ვადაზე ადრე შესრულებას.

1942 წელს საქართველოში დაითესა 53 000 ჰექტარით მეტი ფართობი, ვიდრე 1941 წელს. ამასთან ერთად გადიდდა მოსავლიანობა. რამდენიმე ათასი ჰექტარი სხვადასხვა კულტურა დაითესა გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად, აგრეთვე გერმანელი ოკუპანტებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის ძმური დახმარების გასაწევად.

ომიანობის პირობებით გამოწვეულ სიძნელეთა გადალახვას და სახელმწიფო დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებას კოლმეურნეობები იმიტომ აღწევდნენ, რომ მასების პატრიოტულ მოძრაობას სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ პარტიული ორგანიზაციები. კომუნისტები და კომკავშირლები იყვნენ ფრონტის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ისინი ხელმძღვანელობდნენ ხიდების, გზების, კავშირგაბმულობის, ელექტროსადგურების, წყალსადენების, არხების, საკოლმეურნეო საწყობებისა და იარაღ-მანქანების დაცვას, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას. მინდვრებსა და პლანტაციებში ეწყობოდა საგუშაგოები, სადაც კომკავშირლები და პიონერები მორიგეობდნენ. ისინი იჩენდნენ მზრუნველობას, დახმარებას უწევდნენ წითელარმიელთა ოჯახებს ნათესების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლის აღების საქმეში.

ომიანობის წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, აგრეთვე ინტელიგენციის კავშირი და ურთიერთდახმარება. მუშათა კლასი არა მარტო მუშაობის საუკეთესო მაგალითებს აძლევდა სოფელს, არამედ ამასთან ერთად უწევდა მას შეფობას, უგზავნიდა მანქანა-იარაღებს, სათადარიგო ნაწილებს, ეხმარებოდა სპეციალისტებით. სოფლად დაძაბული მუშაობის სეზონში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, საშუალო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლობა მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა

მეურნეობებს ნათესების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლის აღების სამუშაოთა ჩატარებაში. სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ომის პირველ თვეებში სხვადასხვა კურსებსა და წრეებში მომზადებულ იქნა ათეულ ათასობით მოსამსახურე და საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლე.

ომის დაწყების პირველ დღიდანვე ქალაქად და სოფლად პარტიული ორგანიზაციები დაუღალავად მუშაობდნენ ჯარში გაწვევის სანიმუშოდ მომზადებისა და ახალგაწვეულთა ფრონტებზე ორგანიზებულად გაგზავნის მოსაწყობად, ფრონტისათვის საჭირო რეზერვების მოსამზადებლად. საყოველთაო-სამხედრო სწავლება ის რგოლი იყო, რომელსაც ხელი ჩასპიდეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და მოამზადეს წითელი არმიის მასობრივი შევსება, გაწრთვნილი სამხედრო რეზერვები.

ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსახლეობის მოსამზადებლად საჰაერო თავდაცვისათვის. სსრკ სახკომსაბჭოს 1941 წლის 2 ივლისის დადგენილების შესაბამისად წარმოებადაწესებულებებსა და სკოლებში მოეწყო თავდაცვის ჯგუფები, სადაც ხდებოდა 16-60 წლის მთელი მოსახლეობის სავალდებულო მომზადება საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის.

ჰიტლერელ არამზადებს განსაკუთრებით აშინებდათ ჩვენი ზურგის ერთიანობა და სიმტკიცე. საბჭოთა ზურგში დეზორგანიზაციის შესატანად ფაშისტები აგზავნიდნენ თავიანთ ჯაშუშებსა და დივერსანტებს, რისთვისაც იყენებდნენ სისხლის სამართლის ბანდიტებს, თეთრგვარდიელებს, ყოფილ კულაკებსა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს. ომის მრისხანე ქამი, საომარი ვითარება მოითხოვდა კომუნისტებისა და კომკავშირლებისაგან, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებისაგან, ყოველი საბჭოთა მოქალაქისაგან მაქსიმალურ რევოლუციურ სიფხიზლეს. ქალაქებსა და რაიონებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ იქნენ გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც ებრძოდნენ მტრის პარაშუტისტებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს. ბატალიონების კომისრებად იყენენ პარტიის რაიკომების, ქალაქკომების მდივნები. მოწყობილი იყო გამანადგურებელი ბატალიონების პარტიულ-კომკავშირული აქტივის სადღეღამისო მორიგეობა,

რომ დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ და შეეპყროთ მტრის პარაშუტისტები. ბატალიონები დღედაღამ იცავდნენ გზებს, ხიდებს, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ წითელი არმიის წინსვლას.

დიდ მუშაობას ეწეოდნენ პარტიული ორგანიზაციები გერმანელების მიერ ოკუპირებული რაიონებიდან ევაკუირებული მოსახლეობის, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების მისაღებად და მოსაწყობად. საქართველოს კომუნისტური პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად იხილავდნენ ევაკუირებული მოსახლეობის, ფრონტელთა ოჯახის წევრების სამუშაოზე მოწყობის, მათი ბინებით, პროდუქტებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით იყვნენ გარემოცულნი ფრონტელთა ოჯახის წევრები და უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები. ევაკუირებული მოსახლეობისათვის გამოყოფილ იქნა. კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონლის სათანადო ფონდები. მოსახლეობა ეხმარებოდა მათ სურსათით, თბილი ტანსაცმლით, სათბობით და სხვ. 1942 წლის სექტემბრისათვის საქართველოში მიღებული იყო ათი ევაკუირებული საბავშვო ბაღი 800 აღსაზრდელით. ამათ გარდა, საბავშვო სახლებში იმყოფებოდა 584 ბავშვი, ხოლო პატრონირებული იყო 2340 და მიშვილებული—320 უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი.

რესპუბლიკის საბავშვო ბაღებსა და საბავშვო სახლებში მოწყობილ იქნა ათასობით საბჭოთა ბავშვი ევაკუირებული სევასტოპოლიდან, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან და სხვა ფრონტისპირა ზონიდან. ასობით უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი შვილად ჰყავდათ ქართველ დედებს, განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდნენ მათ, აწყობდნენ სკოლებში, არ აკლებდნენ მშობლიურ ალერსსა და პატრონობას.

მოწყობილ იქნა ფართო საზოგადოებრივი დახმარება ჯანმრთელობის ორგანიზაციებისათვის დაჭრილი საბჭოთა მეომრების მოვლისა და მკურნალობის სანიმუშოდ დასაყენებლად.

საბჭოთა არმიის დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა და მეთაურთა მკურნალობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური დამხმარე რესპუბლიკური კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივნის კ. ნ. შეროზიას თაოსნობით, რომელმაც მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ჰოსპიტლების ფართო ქსელის მოწყობის. მათზე წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების შეფობის ორგანიზაციის, კულტურული მომსახურებისა და ჩვენი სახელოვანი მეომრებისათვის საჩუქრების შეგროვების საქმეში. ჯანდაცვის დაწესებულებათა მთელი ორგანიზაცია ემსახურებოდა სამამულო მოთხოვნებსა და პრაქტიკულ ამოცანებს. გაიხსნა ახალი საბავშვო ბაგები, ბაღები და ინტერნატები. რკინიგზის სადგურებში მოეწყო ბავშვთა სპეციალური მიმღები პუნქტები, ევაკუირებული მოსახლეობის საერთო საცხოვრებლებში დაწესებულ იქნა ბავშვთა ექიმებისა და მედიცინის დების მორიგეობა. ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებანი ტარდებოდა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა 1941 წელს სამშობლოს მისცა სპეციალისტების ორი გამოშვება. ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების, მედიცინის დების, დონორების მომზადების საქმეში.

მთელ საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად საქართველოს სამედიცინო დარგის მუშაკებმა ომის წლებში გამოავლინეს მაღალი პატრიოტული გრძნობები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრონტისა და ზურგის კეთილსინდისიერად მომსახურების საქმეში.

ფართო ხასიათი მიიღო ფრონტზე ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა დელეგაციების მივლინებამ, აგრეთვე ჩვენი სახელოვანი მეომრებისათვის დიდი რაოდენობით საჩუქრების გაგზავნამ.

1942 წელს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 24 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მშრომელთა დელეგაციები გაიგზავნენ ყირიმისა და სამხრეთის ფრონტებზე. ამ ფრონტის მეომრებს საქართველოს მშრომელებმა დიდძალი საჩუქრები გაუგზავნეს. ოქტომბრის რევო-

ლუციის 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელებმა უამრავი საჩუქარი გაუგზავნეს ამიერკავკასიისა და სხვა ფრონტების მებრძოლებს, რომლებიც გმირულად იცავდნენ კავკასიას.

ფრონტისა და ზურგის კავშირი იყო ურღვევი და განუყოფელი. გარდა იმისა, რომ ათეულათასობით კომუნისტი და კომკავშირელი ფრონტზე წავიდა გამხეცებული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამდენიმე ათასი კომუნისტი მობილიზებული იყო ჯარში პოლიტიკურ სამუშაოზე.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში აღზრდილმა კომუნისტებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა ომის ფრონტებზე და უკვნობი სახელი მოიხვეჭეს. პარტიის მიერ აღზრდილმა პოლიტხელმძღვანელმა მისეულ ლევანის ძე გახოკიძემ მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლაში. ის 6 თვის განმავლობაში ცეცხლის ხაზზე იდგა, სულ მცირე ჯგუფით მტრის ბატალიონს ებრძოდა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. უდიდეს განსაცდელის ჟამსაც მ. გახოკიძე მტერზე გამარჯვების მტკიცე რწმენით იყო აღსავსე. ფრონტიდან გამოგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში ის შეუღლეს სწერდა: „...ძველებურად ვურტყამთ ჩვენს მიწა-წყალზე შემოკრილ ჰიტლერელებს და დაუზოგავად ვანადგურებთ იმ ქოფაკებს. შენ იცი ჩემო ვერა, როგორ გაზრდი ჩვენ შვილს. ის ისეთი ვაჟკაცი უნდა გამოვიდეს, რომ მამა ასახელოს, მთელი ჩვენი ქვეყანა ასახელოს. ჯერჯეროობით კი მე შევეცდები გასახელოთ ყველა თქვენ და ვასახელო ჩემი პარტია და ჩემი სამშობლო. ჩვენი ჯავრი ნუ გექნებათ. არავითარი ეჭვი არ არის, რომ მალე მოვუღებთ ბოლოს საზიზღარ ჰიტლერელებს, აშკარად შესამჩნევია, რომ ჰიტლერელების ჯარი ის აღარ არის, რაც შარშან ამ დროს, ან თუნდაც შემოღგომაზე იყო...“[9]

წითელი არმიის სახელოვანი მებრძოლები მთელ მსოფლიოს უჩვენებდნენ თუ რას ნიშნავს საბჭოთა ადამიანი, რომელიც იარაღით იცავს ყველაზე ძვირფას საგანძურს—სოციალისტურ სამშობლოს.

---

[9] გახ. „კომუნისტი“, 1942 წ. 19 იელისი.

1942 წლის 1-ლი ივლისის ნომერში გაზეთი „კრასნი ჩერნომორეცი“ წერდა ამხ. ჟიდილოვის ნაწილის სნაიპერ-ინსტრუქტორის ზემდეგ ადამიას უმაგალითო გმირობაზე.

1942 წლის 26 ივლისის მეთაურ წერილში გაზეთი „პრავდა“ წერდა „...გუშინ გამოქვეყნებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო მეზღვაურის ზემდეგ ნოე ადამიასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მამაცი საბჭოთა პატრიოტი, სევასტოპოლის გმირული დაცვის მთელი 250 დღის განმავლობაში საზღვაო ქვეითი ჯარის რიგებში იბრძოდა. დეკემბრის ბრძოლათა დღეებში, როცა მისი ხელქვეითები მწყობრიდან იქნენ გამოყვანილნი, იგი თვითონ მიუწვა ტყვიამფრქვევს და ერთ ბრძოლაში 50 ფაშისტი მოჰკლა. ივნისის ბრძოლათა დღეებში ამხ. ადამიამ ისეთივე მამაცების მცირე ჯგუფით, როგორიც თვითონ არის, მოიგერია მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების იერიში, პირადად დააზიანა მტრის ტანკი და გაჟლიტა 20ი ფაშისტი“[10].

(ასეთივე თავგანწირული გმირობის მაგალითები აურაცხელი იყო, რაც ახარებდა და აღაფრთოვანებდა ზურგის მშრომელებს. ომის მრისხანე დღეებში დიდი იყო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის როლი. აგიტატორთა არმია ომის პერიოდში ახალი ადამიანებით შეივსო. პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი იყო 7—10 კაცისაგან შექმნილი შტატგარეშე აგიტატორთა ჯგუფები. ომიანობის დროის აგიტატორები დიდ მუშაობას ეწეოდნენ.) მათი მგზნებარე, მართალი სიტყვები ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, სამამულო ომის მიმდინარე მომენტებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე აღაფრთოვანებდა მშრომელებს მამაცი შრომისა და ბრძოლისათვის.

(1942 წლის 19 ოქტომბერს თბილისში შედგა სარესპუბლიკათაშორისი თათბირი პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებზე. ამ თათბირზე ესწრებოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების პროპაგანდისა და აგი-

---

[10] გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 27 ივლისი.

ტაციის დარგის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც გაუზიარეს ერთიმეორეს მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

სამამულო ომის დღეებში ფართოდ გავრცელდა პოლიტიკური აგიტაციის საინტერესო ფორმები და მეთოდები. ეწყობოდა მშრომელთა მასების შეხვედრები სამამულო ომის გმირებთან, ფრონტებზე იგზავნებოდნენ მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა დელეგაციები. ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. საბჭოთა მეომრებს ეგზავნებოდათ მშრომელთა დიდძალი საჩუქრები. მასობრივი ხასიათი მიიღო ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა პატრიოტულმა მიმოწერებმა. აგიტატორები აწყობდნენ ფრონტის მეომართა წერილების ხმამაღალ კითხვას, საინფორმაციო ბიუროს ცნობისა და საბჭოთა მეომრების გმირული ბრძოლის ეპიზოდების გაცნობას.

წარმოებებში, კოლმეურნეობებში, მშრომელთა კრებებზე ეწყობოდა მხატვრული თვითმოქმედების ბრიგადების გამოსვლები, კინო სურათების ჩვენება, ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლები. სააგიტაციო მუშაობაში ჩაბმული იყვნენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ომის დღეებში არაჩვეულებრივად გაიზარდა მშრომელთა უფართესი მასების ინტერესი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი. ეს მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციებისაგან ბოლშევიკური აგიტაციის მთელი არსენალის ამოქმედებას ომიანობის დროის ამოცანების შესაბამისად.

პოლიტიკური აგიტაციის საკითხებს პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა პარტიული აქტივის კრებაზე სპეციალურად განიხილა ომის პირობებთან შეფარდებით პოლიტიკური აგიტაციის დაყენების საკითხი. ასევე ქუთაისის რაიკომმა პლენუმზე განიხილა პოლიტიკური აგიტაციის მდგომარეობა რაიონში. გორის რაიკომმა პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა

რაიონული თათბირი მიუძღვნა პოლიტიკური აგიტაციის ამოცანების განხილვას.

პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკური მუშაობის ჩატარებას ეკონომიის რეჟიმის საკითხებზე. ეწყობოდა მოხსენებები და საუბრები ყველაფერში ეკონომიის სასტიკი რეჟიმის დაცვისა და ფრონტისათვის მეტი პროდუქციის მიცემის შესახებ ნაკლები მუშახელით, ლითონის, ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის მაქსიმალური ეკონომიით.

მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის პარტიული ორგანიზაციები გულდასმით სწავლობდნენ გენიალური ლენინის მითითებებს პოლიტიკური აგიტაციის მნიშვნელობისა და მისი ორგანიზაციის შესახებ.

ლენინური ორატორული ხელოვნების შესწავლა უდიდეს ძალას აძლევდა ჩვენს აგიტატორებს. ყველა პოლიტმუშაკისათვის დიდი მაგალითი იყო პარტიის მგზნებარე ტრიბუნები კიროვი, ორჯონიკიძე და სხვ., რომლებიც შთაგონებული, პოლიტიკურად გაჟღენთილი, მართალი აგიტაციით ქვეყნისათვის უმძიმეს დღეებში აღაფრთოვანებდნენ მასებს უდიდეს ისტორიულ ამოცანათა შესასრულებლად.

1942 წლის 19 ოქტომბერს, იმ დღეებში, როცა საბჭოთა ჯარები კავკასიის მთებთან მკერდით აჩერებდნენ გამხეცებულ ფაშისტთა ურდოებს, ჩატარდა თბილისის პარტიული აქტივის საერთო საქალაქო კრება, რომელსაც 2000-მდე და მეტი კაცი დაესწრო. ამ კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საკითხზე „საბჭოთა კავშირის სამხედრო პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

თბილისის ბოლშევიკებმა მტკიცე სიტყვა მისცეს პარტიას, რომ წარმოებაში რკინისებური დისციპლინისა და სანიმუშო წესრიგის დანერგვით, შინაგანი რესურსების გამოყენებით, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებით, მასებში პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებით, დაუდევრობისა და უდარდელობის ყოველგვარ გამოვლინებასთან დაუნდობელი ბრძოლით დაე-

ხმარებიან საბჭოთა ჯარებს ფაშისტ-დამპყრობთა განადგურების საქმეში.

მათ შეჰფიცეს პარტიას, რომ დღითი დღე გააძლიერებენ ყოველმხრივ დახმარებას ფრონტისადმი, თავიანთ მოვალეობას ზურგში შეასრულებდნენ ისეთივე თავდადებით, როგორითაც მას მებრძოლები ასრულებდნენ ფრონტზე.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო შეამჭიდროვეს თავიანთი რიგები საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მთელ თავის ძალას ახმარდნენ ფრონტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, ულმობელი მტრის განადგურების კონკრეტული ამოცანების შესრულებას.

სამამულო ომის პირველ წლებში, საბჭოთა არმიის რიგებში წავიდა 52 600 კომუნისტი, ანუ საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაციის რიცხვობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები სწრაფად იზრდებოდნენ ახალი წევრებისა და კანდიდატების მიღების ხარჯზე.

1942 წელს, ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე დღეებში, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში შევიდა 7 000-ზე მეტი კაცი, ხოლო 1943 წელს—12 000-ზე მეტი.

მძიმე განსაცდელის ჟამს პარტიაში მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა ლტოლვის გაძლიერება იმის მაჩვენებელი იყო, თუ რა უსაზღვროა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ნდობა და სიყვარული მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

ამიერკავკასიის ხალხების მიერ პარტიისადმი მიცემული ამ ფიცის შესრულებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა, რომელიც მტკიცედ ახორციელებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებას, ფრონტზე და ზურგში თავდადებით იბრძოდა მტერზე გამარჯვების დაჩქარებისათვის.

თავი მესამე

ქართველი ხალხის მონაწილეობა კავკასიაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში

(1942 წ. ზამთარი—1943 წ. შემოდგომა)

1. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლა და გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან

მძიმე თავდაცვით ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე წითელმა არმიამ გზა გადაუღობა ფაშისტ მხეცებს. საბჭოთა ხალხი სამარადისოდ შეინახავს ხსოვნას სევასტოპოლისა და ოდესის გმირული დაცვის შესახებ, მოსკოვთან და კავკასიის მისადგომებთან, რჟევის რაიონში და ლენინგრადთან შეუპოვარი ბრძოლების შესახებ, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლების შესახებ სტალინგრადის კედლებთან.

გერმანელებმა 1942 წლის შემოდგომისათვის თავიანთი ჯარების რაოდენობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე აიყვანეს 266 დივიზიამდე. მათ შემადგენლობაში იყო: გერმანელების—193 დივიზია, რუმინელების—22 დივიზია, ფინელების—14 დივიზია, უნგრელების—13 დივიზია, იტალიელების—10 დივიზია, სლოვაკთა—ერთი დივიზია და ესპანელთა—ერთი დივიზია[1]. ამან საშუალება მისცა მტერს სათანადოდ გაეძლიერებინა თავისი დაჯგუფებანი სტალინგრადთან. ფაშისტები ლამობდნენ რა ერთი დარტყმით დაუფლებოდნენ სტალინგრადს, აქ მოაყარეს თავისი მთავარი დაჯგუფების ძირითადი ძალები, რომლებიც შედგებოდა 29 დივიზიისაგან,

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1949, გვ. 73.

ვათ შორის 4 სატანკო და 3 მოტორიზებული დივიზია იყო; ამას გარდა, მოწინააღმდეგეს გააჩნდა ძლიერი სამხედრო საჰაერო ფლოტი.

1942 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან მტერი შეტევაზე გადმოვიდა. დაიწყო სტალინგრადის გმირული დაცვის ისტორიული დღეები.

საბჭოთა მთავარსარდლობამ დროზე გამოიცნო ჰიტლერელთა ზრახვები და დასახა მტრის გასანადგურებლად ღრმად მოფიქრებული სამხედრო-სტრატეგიული გეგმა. ამ შორსმჭვრეტელურ გეგმას საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცება, მდგომარეობის ყოველმხრივი სწორი ანალიზი, ყველა მოვლენის შემდგომი განვითარების წინასწარი გათვალისწინება. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოჰყო საჭირო რეზერვები და მიიღო ყველა ზომა სტალინგრადის დასაცავად. სტალინგრადის ფრონტის სარდლად დაინიშნა გენერალი ა. ი. ერიომენკო (ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი), ხოლო სამხედრო საბჭოს წევრად— ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი.

საბჭოთა მეომრებთან ერთად სტალინგრადის დასაცავად გამოვიდა ქალაქის მთელი მოსახლეობა. სტალინგრადელებმა ფიცი მისცეს პარტიას დაეცვათ საყვარელი ქალაქი, შეუფერხებლად მოემარაგებინათ ფრონტი საბრძოლო იარაღ-მანქანებით. ბრძოლებში გამობრძმედილ მუშებს, რომლებმაც სამოქალაქო ომის წლებში ცარიცინი დაიცვეს, ახლა შვილები ამოუდგნენ გვერდში. 1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მუშათა რაზმებისა და სახალხო ლაშქრის მებრძოლები—80000-ზე მეტი სტალინგრადელი შეუერთდა 62-ე არმიას და საბჭოთა არმიის ნაწილებთან მხარდამხარ გმირულად იბრძოდა ფაშისტ მტაცებელთა წინააღმდეგ.

სტალინგრადის დაცვაში მონაწილეობდნენ ვოლგის სამხედრო ფლოტილიისა და სამდინარო ფლოტის მეზღვაურები, აგრეთვე შავი ზღვის, წყნარი ოკეანისა და კასპიის სამხედრო ფლოტის მეზღვაურები, რომლებმაც საოცარი თავდადება და გმირობა გამოიჩინეს სამშობლოს მტერთან ბრძოლაში. ლეგენდარული ქალაქის ყველა დამცველის საერთო აზრი და გრძნობა გამოხატა წყნარი ოკეანის ფლოტის მეზღვაურმა,

სახელგანთქმულმა სნაიპერმა, სერჟანტმა ვასილ ზაიცევმა, რომელმაც თქვა: „სტალინგრადის დამცველთათვის ვოლგის გაღმა სიცოცხლე არ არსებობ“.

რაც უფრო ძლიერდებოდა წითელი არმიის წინააღმდეგობა, მით უფრო უსაზღვრო იყო ჰიტლერელთა გაცოფება და სიმხეცე. რათაც არ უნდა დაჯდომოდა მტერს—იგი არაფერს ზოგავდა, რათა დაეპყრო სტალინგრადი. ახალ-ახალ ძალებსა და აურაცხელ სამხედრო ტექნიკას აყრიდა აქ. თუ რამდენად დიდი იყო საფრთხე და რა გამხეცებულ მტერთან ჰქონდა საქმე ჩვენს საბჭოთა არმიას, საკმარისია მოვიგონოთ, რომ სტალინგრადის მისადგომებზე და თვით ქალაქში ბრძოლების დროს ჰიტლერელებმა მოაწყეს დიდი სამხედრო იერიში 4-ჯერ, თითოეულ შემთხვევაში 10 დივიზიის ძალებით, რომელთაც დიდძალი ტანკები და თვითმფრინავები ეხმარებოდა. თითოეული ეს შეტევა რამდენიმე დღე-ღამე გრძელდებოდა. ამას გარდა, მტერმა 100-ზე მეტი იერიში მოაწყო შედარებით ნაკლები ძალებით. მოწინააღმდეგის არტილერიამ და ნაღმტყორცნებმა რამდენიმე ათეული ათასი ტონა ყუმბარა და ნაღმი დაუშინეს ჩვენს სამხედრო ნაწილებს, ხოლო მტრის სამხედრო თვითმფრინავებმა მილიონამდე ბომბი ჩამოყარეს. ქალაქს ყოველმხრიდან 1500-ზე მეტი ქვემეხი უშენდა. მრავალრიცხოვანი თვითმფრინავი ყოველდღე აყრიდა ცეცხლგამჩენ ყუმბარებს, მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ გასტეხა ჩვენი ჯარების მხნეობა და ნებისყოფა. სტალინგრადი მამაცურად იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის 25 წლისთავის წინ სტალინგრადის ფრონტის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები საბჭოთა მთავარსარდლობას სწერდნენ: „სტალინგრადთან ჩვენ ვიცავთ ჩვენს სამშობლოს, ვიცავთ ყველაფერს იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია, ურომლისოდაც ჩვენ სიცოცხლე არ შეგვიძლია. აქ სტალინგრადთან, ჩვენი სამშობლოს ბედი წყდება, აქ სტალინგრადთან, წყდება საკითხი იქნება თუ არა საბჭოთა ხალხი თავისუფალი... ჩვენ ფიცს გაძლევთ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკ-

ანასკნელ ამოსუნთქვამდე, გულის უკანასკნელ ძგერამდე დავიცავთ სტალინგრადს და მტერს არ მივუშვებთ ვოლგამდე"[2].

მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სტალინგრადთან ვამართულ, ისტორიაში გაუგონარ ბრძოლებს. სტალინგრადის დამცველთა სიმტკიცე, ვაჟკაცობა და მათი სამხედრო ხელოვნება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას იწვევდა. საბჭოთა არმიამ შეინარჩუნა სტალინგრადი. ჰიტლერელთა ყოველგვარი ცდა აეღოთ ქალაქი, რომელიც მათ აურაცხელი მსხვერპლი უღირდათ—მათი სრული კრახით დამთავრდა.

ჩაეშალათ რა სტალინგრადის აღების გეგმა, ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს გადასულიყვნენ თავდაცვაზე, გამოეზამთრებინათ სტალინგრადის რაიონში იმ ანგარიშით, რომ დაეგროვებინათ ძალები, კვლავ გადასულიყვნენ შეტევაზე და 1943 წლის გაზაფხულზე მაინც ისევ შედგომოდნენ 1942 წლისათვის დასახული გეგმის შესრულებას, მაგრამ საბჭოთა მთავარსარდლობამ მოწინააღმდეგის ეს ჩანაფიქრიც ჩაშალა. საბჭოთა ჯარების ძლიერი დარტყმით მტერი განადგურებულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე ის შესძლებდა შედგომოდა თავისი შავი ზრახვების განხორციელებას.

სტალინგრადთან და ჩრდილოეთ კავკასიაში თავდაცვითი ოპერაციების დროს საბჭოთა მთავარსარდლობამ გაშალა მუშაობა გადამწყვეტი კონტრშეტევის მოსამზადებლად, რომ მიღწეული ყოფილიყო სტალინგრადის მიმართულებით მოქმედი მტრის მთავარი ძალების განადგურება... ეს ჩანაფიქრი ემყარებოდა იმას, რომ ომის მსვლელობაში გაიზარდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ეკონომიური ბაზა, ამაღლდა საბჭოთა ჯარების სამხედრო ძლიერება, რომლებმაც დააგროვეს ომის წარმოების დიდი გამოცდილება. 1942 წლის შემოდგომისათვის დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. მიუხედავად მეტად მძიმე პირობებისა, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის უდიდეს ღონისძიებათა შედეგად უზრუნველყოფილ იქნა ფრონტისათვის საჭირო შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და საწვავის მიწოდება ტა-

---

[2] ა. პანკრატოვა, დიდი რუსი ხალხი, 1954, გვ. 230—231.

ნკებისა და თვითმფრინავებისათვის. ამან შესცვალა სამამულო ომის მსვლელობა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ.

1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში (№ 345) ვკითხულობთ: „მტერმა უკვე თავის ტყავზე გამოსცადა წითელი არმიის წინააღმდეგობის უნარი... შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული"[3]. 12 დღის შემდეგ, წინასწარი დამუშავებული გეგმით საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ყველაზე უბრწყინვალესი შეტევითი ოპერაციები.

1942 წლის 19 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტისა (სარდალი ნ ფ. ვატუტინი) და დონის ფრონტის (სარდალი კ. კ. როკოსოვსკი) ჯარები, რომლებიც გაძლიერებული იყვნენ სტრატეგიული რეზერვებითა და დიდძალი ტექნიკით, კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამ დაჯგუფებათა შესახვედრად გაემართნენ სტალინგრადის ფრონტის ჯარები, რომლებმაც 20 ნოემბერს ძლიერი დარტყმა აგემეს მტერს სტალინგრადის სამხრეთით. კონტრშეტევის მოკლე დროის განმავლობაში, 19-დან 30 ნოემბრამდე, საბჭოთა ჯარებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

ჩვენმა ჯარებმა ამ დროის განმავლობაში გაანადგურეს მტრის 11 ქვეითი, 1 კავალერიისა და 2 სატანკო დივიზია, მოსპეს 95 000 და ტყვედ წამოიყვანეს 72 000 ფაშისტთა ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადთან მოქმედი მტრის მთავარი ძალები 300 000 კაცის რაოდენობით მთლიანად გარშემორტყმულ იქნენ საბჭოთა ჯარების მიერ.

მოამწყვდიეს რა რკალში მტრის დიდი დაჯგუფება, საბჭოთა ჯარებს ამასთან ერთად უნდა გადაეწყვიტათ ორი დიდი მნიშვნელოვანი ამოცანა: პირველი—მტკიცედ დაეცვათ ჩვენი ჯარების შენაერთები დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მტრის დარტყმისაგან, რადგან ეკვი არ იყო, რომ ჰიტლერელები ყველა საშუალებით შეეცდებოდნენ გაერღვიათ ჩვენი ფრონტი და ეხსნათ თავიანთი ჯარები. მეორე—მოესპოთ სტა-

---

[3] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მე-5 გამოც. გვ. 85—87

ლინგრადთან გარშემორტყმული ჰიტლერელთა ძალები, რომლებიც ტყვედ არ ნებდებოდნენ. ჰიტლერელები თავგანწირულ ზომებს ღებულობდნენ თავიანთი გარშემორტყმული დაჯგუფებების დასახსნელად, მაგრამ ამაოდ.

საბჭოთა მეომრები სიცოცხლეს არ ზოგავდნენ, ისინი გმირულად იბრძოდნენ გაშმაგებული მტრის წინააღმდეგ. სტალინგრადის დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა შვილები. მათ შორის იყვნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, რომელთაგან ბევრმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი.

ფრონტის ერთ-ერთ ეიწრო უბანზე, მდინარე აქსაისთან მტერმა მოაყარა 300 ტანკი, მოტორიზებული ნაწილები, ავიაცია და გადავიდა იერიშზე. ამ სასტიკ ბრძოლებში, რომლებიც 5 დღეს გრძელდებოდა, უქკნობი სახელი მოიხვეჭეს პოდპოლკოვნიკების ა. ი. ასლანოვისა და მ. ს. დიასამიძის ნაწილებმა. 5 დღე-ღამის განმავლობაში მათ უკუაგდეს მტრის ჭარბი ძალების 30 შეტევა, რასაც ფაშისტები იმეორებდნენ ყოველ 4 საათში. მტერმა ვერც ერთ უბანზე ვერ შესძლო გაერღვია ჩვენი ფრონტი. ამ ბრძოლებში ასლანოვისა და დიასამიძის მებრძოლებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 40 ტანკი და ორი ბატალიონი. ბრძოლის საუკეთესო ორგანიზაციისა და თავდადებისათვის ასლანოვსა და დიასამიძეს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ხოლო მათი ნაწილების ბევრი მებრძოლი და ოფიცერი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით[4].

სახელოვანმა საბჭოთა მეომრებმა კარგად იცოდნენ, რომ სტალინგრადთან წყდებოდა ბედი ჩვენი ქვეყნისა, რომ აქ ისინი იბრძოდნენ არა მარტო ქალაქ სტალინგრადისათვის, არამედ მთელი ჩვენი სამშობლოსათვის. ისინი აქ იცავდნენ საბჭოთა ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამიტომ იყო, რომ სტალინგრადთან განსაკუთრებით ძლიერ გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანის მორალური თვისებები. ყუმბარებისა და ბომბების ხანძარში კიდევ უფრო იწრთობოდა ხალხთა მეგობრობა. სტალინგრადის ცენტრალურ ნაწილში ერთ-ერთი სახლის დამც-

---

[4] Ф Воробьев и Кравцов, Победы Советских Вооруженных сил в Великой Отечественной войне. 1954, გვ. 196.

ველთა შორის, რომელმაც „პავლოვის სახლის“ სახელწოდება მიიღო, იყვნენ რუსი პავლოვი, უკრაინელი გლუშენკო, ქართველი მოსიაშვილი, უზბეკი ტურგუნოვი, ყაზახი მურჩაევი, ტაჯიკი თურდიევი და თათარი რამაზაევი. ამ სახლის გარნიზონი სულ 22 კაცისაგან შედგებოდა, რომელსაც პავლოვი მეთაურობდა. ამ გმირებმა უკუაგდეს მტრის მრავალი იერიში და სახლი, რომელსაც იცავდნენ, ფაშისტებისათვის მიუვალ სიმაგრედ აქციეს. 58 დღე გრძელდებოდა ამ სახლის გმირული დაცვა. მტრის ყუმბარებმა და ბომბებმა დაანგრია „პავლოვის სახლი“ მაგრამ მტერმა ვერ შესძლო მისი აღება და ეოლგაზე გასვლა. ხოლო როცა ჩვენი ჯარების შეტევა დაიწყო, მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „პავლოვის სახლის“ დამცველებმა. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სამშობლოსათვის ამ თავგანწირული მებრძოლების გმირულ მოქმედებას[5].

ჩვენი ჯარების შეტევის მარტო ორი თვის განმავლობაში— 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 19 იანვრამდე, ტყვედ წამოყვანილ იქნა 200 000 მეტი გერმანელი, იტალიელი, უნგრელი და რუმინელი ჯარისკაცი. მტრის მრავალი თავგანწირული ცდა გაერღვია საბჭოთა ფრონტი და გამოსულიყო გარემოცვიდან უშედეგო გამოდგა. 1943 წლის 3 თებერვლისათვის საბჭოთა ჯარებმა დაამთავრეს სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის მთავარ დაჯგუფებათა ჯარების ლიკვიდაცია.

სამხედრო ხელოვნების ამ უშესანიშნავესი ოპერაციების შედეგად ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაანადგურეს ჰიტლერელთა მე-6 არმია და მე-4 სატანკო არმია, ტყვედ წამოიყვანეს 91 000 კაცი, მათ შორის 2500 ოფიცერი და 24 გენერალი. აგრეთვე ხელთ იგდეს დიდძალი საბრძოლო ტექნიკა: 700 თვითმფრინავი, 1550 ტანკი, 6700 ქვემეხი, 1462 ნაღმტყორცნი, 8135 ტყვიამფრქვევი, 90 000 თოფი, 61 102 ავტომანქანა, 7369 მოტოციკლი და მრავალი სხვა სამხედრო ტექნიკა.

---

[5] Ф. Воробьев и В. Кравцов, Победы Советских Вооруженных сил в Великой Отечественной войне, 1954, გვ.196.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების ამ ბრწყინვალე გამარჯვებას და მტრის მთავარი ძალების ლიკვიდაციას უდიდესი ნნიშვნელობა ჰქონდა სამამულო ომის საერთო მსვლელობაში.

„სტალინგრადი გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო. სტალინგრადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ველარ შესძლეს წელში გამართულიყვნენ"[6].

საბჭოთა ჯარების კონტრშეტევით სტალინგრადთან, რომელიც გადაიზარდა ჩვენი არმიის ძლიერ საერთო შეტევად სტალინგრადიდან კავკასიის მთებამდე, დაიწყო ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მტრის ურდოების მასობრივი განდევნა.

სტალინგრადის დამცველთა მასობრივი ლეგენდარული გმირობა იყო შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი მაგალითი ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ფრონტზე და ზურგში. მათ მაგალითზე საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალი თაობანი აღიზრდებიან.

2. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება კავკასიის მისადგომებთან. ჰიტლერელ ოკუპანტთა განდევნა ჩრდილო კავკასიიდან და ტამანის ნახევარკუნძულიდან

სტალინგრადზე შეტევასთან ერთად ჰიტლერელთა ურდოები კავკასიისაკენ მოეშურებოდნენ. საბჭოთა მიწის ყოველ კილომეტრს მტერი თავისი ჯარისკაცების გვამებითა და ტანკების ნამსხვრევებით ავსებდა, მაგრამ, მიუხედავად დიდი დანაკლისისა, ძაინც წინ მოძვრებოდა. ფაშისტი დამპყრობლები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ კავკასია ვოლგის რაიონებისათვის, ხელთ ეგდოთ ბაქოს ნავთი და ამიერკავკასიის სხვა სიმდიდრენი, დაეშონებინათ თავისუფლებისმოყვარე საბჭოთა ხალხები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შემოტევა ხორციელდებოდა ორი მიმართულებით: ჩრდილო კავკასიის რკინიგზით, კავკასიონის მთაგრეხილის შემოვლით და მაიკოპი-ნოვოროსიისკის მიმართულებით, შავი ზღვის სანაპიროებისაკენ.

---

[6] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მე-5 გამოცემა, გვ. 119.

ცნობილია, რომ კავკასიის დაპყრობა გერმანელი ოკუპანტებისაგან ძველი ოცნება. მათი დიდი ხნის ნატვრა იყო. 1918 წელს, როცა გერმანიის წინაშე დამარცხების აჩრდილი იდგა, ავსტრიის გენერალური შტაბის უფროსი არცი თავის ხელმძღვანელობას სწერდა: „მას (გერმანიას) სურს სამუდამოდ განამტკიცოს თავისთვის მესოპოტამიისა და არაბეთისაკენ მიმავალი ყველაზე უშიშარი გზა ბაქოზე და სპარსეთზე გავლით. ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით მომხიბლველია გერმანელებისათვის ამჟამად, როცა მათ უკრაინის ოკუპაცია მოახდინეს. გზა აღმოსავლეთისაკენ გადის კიევსა, ეკატერინოსლავსა და სევასტოპოლზე, საიდანაც მიდის გზა ბათუმისა და ტრაპიზონისაკენ. ჩემის აზრით, გერმანელებს ამ მიზნით განზრახვა აქვთ დაიტოვონ ყირიმი როგორც თავიანთი კოლონია ან სხვა რაიმე ფორმით... ამ განზრახვებს ადასტურებს გენერალ ლეიტენანტ გრენერის აშკარა განცხადება იმის შესახებ, რომ რამდენადაც ინგლისი გერმანიას დასავლეთში ზღუდავს, გერმანიის მთავარი ინტერესები მიმართულია უკრაინასა და ყირიმზე გავლით ინდოეთისაკენ"[7].

სამამულო ომის დღეებში, როცა გერმანელი დამპყრობნი კავკასიას მოუახლოვდნენ, ისინი გატაცებით ეძლეოდნენ მოგონებებს 1918 წელს კავკასიაში გერმანელი ოკუპანტების ყოფნის შესახებ. გერმანული გაზეთი „დოიჩე უკრაინიშე ცაიტუნგი" 1942 წლის 8 სექტემბერს წერდა: „1918 წლის აპრილში გენერალი კრესი ჯარებით გაემართა კონსტანტინეპოლიდან შავი ზღვით ბათუმს, შემდეგ თბილისიდან მან ბავარიელთა სამთო რაზმები გაგზავნა საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც ისინი ვანტზე იდგნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. როცა ფიქრობ, რომ დღეს იმავე ადგილებში კვლავ გაჩნდნენ სამთო ჯარები, რათა 1918 წლის ანდერძი შეასრულონ, ნათლად უნდა წარმოიდგინო მსოფლიო ისტორიის ლოგიკა. ახლა ხორციელდება გერმანიის გამარჯვება, რომელიც 25 წლის წინათ გადაიდო".

---

[7] იხ. მ. ი. კალინინის წერილი „ბრძოლა კავკასიისათვის". გაზ. „კომუნისტი", 1942 წ. 24 ოქტომბერი.

როგორც მ. ი. კალინინი მიუთითებდა, ანალოგიური მკვეთარა სტატიებით იყო აჭრელებული ბევრი გერმანული გაზეთი, ჟურნალებსა და სპეციალურ თხზულებებშიც კი სერიოზული სახით ამტკიცებდნენ, გერმანიას უფლება აქვს კავკასიას ფლობდესო.

ჰიტლერელთა სულელურ გეგმაში კავკასიას გერმანელთა სამხედრო კოლონიის როლი ჰქონდა განკუთვნილი.

კავკასიის ხალხებს თავს დასტრიალებდა სასიკვდილო საფრთხე. ულმობელი და გულქვა მტერი თავის გზაზე ცეცხლითა და მახვილით სპობდა ყველაფერს. ფაშისტ ყაჩაღთა აღვირახსნილი ჯარისკაცები მოხუცებსა და ბავშვებს სცემდნენ, ბევრ მათგანს ხოცავდნენ, ქალებს აბუჩად იგდებდნენ, ნამუსსა ხდიდნენ. სწორედ იმ დღეებში იყო, რომ მ. ი. კალინინი წერდა: „მტერი ფეხკვეშ თელავს და სპობს ყველაფერს, რაც კი ძვირფასია კავკასიელის სულისა და გულისათვის"[8].

ჭკუამოკლე პრუსიელი აგრესორები დიდი ხნიდან ოცნებობდნენ კავკასიის დაპყრობაზე. გერმანელი ოკუპანტების, ჰიტლერის ამ წინამორბედთა თავაშვებულ თარეშს მენშევიკურ საქართველოში ამჯერად იგონებდნენ ფაშისტი დამპყრობნი, რომელნიც ცდილობდნენ აეოხრებინათ კავკასია, დაემონებინათ კავკასიის ხალხები და გაეკვლიათ გზა ინდოეთისაკენ. ისინი იხსენიებდნენ იმას, რომ ხალხის უბოროტესი მტრების მენშევიკების ბატონობის დროს, 1918 წელს, გენერალ ფონ კრესის ჯარები როგორ ავაზაკობდნენ ბათუმში და პარპაშობდნენ თბილისში, წვავდნენ მთიელთა სოფლებს საქართველოს სამხედრო გზაზე, აბუჩად იგდებდნენ და ყლეფდნენ უდანაშაულო მოსახლეობას, ყაჩაღურად იტაცებდნენ ხალხის დოვლათს. ჰიტლერელი კაციჭამიები ტყუილად ზეიმობდნენ წინასწარ. ფუჭი იყო მათი ოცნება ამიერკავკასიის დაპყრობაზე. საბჭოთა ხალხმა გააქარწყლა ფაშისტ დამპყრობთა შავი ზრახვები.

მუხანათ აგრესორს მოტყუებით, სიცრუითა და ცილისწამებით სურდა არევ-დარევა შეეტანა საბჭოთა ხალხებში. ეპოვა გამცემნი თავისი ბილწი მუშაობისათვის, მაგრამ ჩრდილო კავ-

---

[8] გახ. „კომუნისტი", 1942 წ. 24 ოქტომბერი.

კასიისა და ამიერკავკასიის ხალხებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს.

ავანტიურისტ ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ სასიკვდილო საფრთხის წინაშე, გერმანელი ტანკებისა და გამხეცებული ფაშისტების წინაშე გაცამტვერდებოდა კავკასიის ხალხთა მეგობრობა, დაიწყებოდა ურთიერთშორის შუღლი და ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ მტერი მწარედ მოტყუვდა ანგარიშში. მან ვერ გაითვალისწინა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოიკვეთა ამიერკავკასიისა და ყველა საბჭოთა ხალხის ისეთი მტკიცე მეგობრობა, რომლის დარღვევა არც ერთ ძალას არ შეუძლია. კავკასია წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, თუ რა უდიდესი გარდატეხა მოხდა ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა წყობილების დროს, თუ როგორ უმაგალითოდ გაიფურჩქნა და აყვავდა ეკონომიკა და კულტურა, თუ რა უდიდესი კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საბჭოთა წყობილებამ ხალხის ფსიქოლოგიაზე, მის ხასიათზე.

„განა ყოველივე, რაც კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების 25 წლის არსებობაში მოხდა სასწაულს არ წარმოადგენს?" —წერდა მ. ი. კალინინი ომის მძიმე წლებში,—დიახ, ეს სასწაულია, ეს სწორედ ის არის, რისთვისაც მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა ლენინი"[9].

ყოველივე ამ უდიდესი მონაპოვრის დანგრევა, პირისაგან მიწისა აღგვა სურდა ფაშისტ აგრესორს.

1942 წლის აგვისტოსათვის მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში, მტერი კავკასიის მთებს მოადგა და საქართველოში შემოჭრას ლამობდა. იგი არავითარ ვერაგობას არ ერიდებოდა, ცდილობდა დეზორგანიზაცია შეეტანა და მოეშალა საბჭოთა არმიის ზურგი. ამ მიზნით ფაშისტები გზავნიდნენ ჯაშუშებს, მკვლელებს, დივერსანტებს. ჰიტლერელებმა აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყეს საქართველოს ტერიტორიაზე საჰაერო დესანტების გადმოსხმა, რომ მოეშალათ ტრანსპორტი, შეეფერხებინათ საწარმოთა მუშაობა, დაებრკოლებინათ ჩვენი არმიისათვის საჭურველის მი-

---

[9] მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი, გაზ. „კომუნისტი", 1942 წ. 24 ოქტომბერი.

წოდება. გაევრცელებინათ პანიკური ხმები, შეეგროვებინათ ჯაშუშური ცნობები და ამით გაეადვილებინათ თავიანთი ჯარების წინსვლა.

გაცოფებულ მტერს სურდა კელავ ექცია საქართველო გასავლელ გზად, როგორც ეს იყო მენშევიკების დროს, დაემონებინა მუშები, გლეხები. მთლიანად მოესპო ჩვენი ინტელიგენცია, გაეპარტახებინა ქვეყანა, წაეშალა ხალხის გმირული წარსულის ხსოვნა.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა იმით, რომ თურქეთის მმართველი წრეები ატარებდნენ ფაშისტური გერმანიის სასარგებლო პოლიტიკას. ომის დასაწყისში მათ ფარისევლურად ნეიტრალიტეტი განაცხადეს, მაგრამ ფაქტიურად ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ, ყველა საშუალებით ეხმარებოდნენ გერმანიას და ამზადებდნენ თავიანთ ძალებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. დარდანელისა და ბოსფორის სრუტით თავისუფლად დადიოდნენ გემები, რომელთაც მოჰყავდათ ახალი შევსება გერმანელი ჯარებისათვის, მოჰქონდათ საომარი მასალები და პროდუქტები.

კავკასიაზე შემოტევის წინ ჰიტლერმა თურქეთს მოსთხოვა თავისი ჯარების თავმოყრა სსრ კავშირის საზღვრებზე. თურქეთის მმართველმა წრეებმა მონური მორჩილებით შეასრულეს ეს მოთხოვნა და მოახდინეს თავიანთი ჯარების დიდი ნაწილის კონცენტრაცია სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან. თურქეთის აგრესიული წრეების ასეთი მუხანათური მოქმედების გამო საბჭოთა მთავარსარდლობა იძულებული იყო წითელი არმიის მნიშვნელოვანი ძალები პყოლოდა საბჭოთა სახელმწიფოსა და თურქეთის საზღვრებთან, რომ საიმედოდ დაეცვა ეს საზღვარი აგრესორის მოსალოდნელი შემოჭრისაგან.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან, გროზნისა და ნოვოროსიისკის მიმართულებით მძიმე თავდაცვით ბრძოლებთან ერთად, საბჭოთა ჯარები გადამწყვეტ ბრძოლებს ეწეოდნენ კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის უღელტეხილებზე.

ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს დაეპყროთ მთავარი უღელტეხილები, გამოსულიყვნენ სოხუმის რაიონში, გაეთიშათ

ჩვენი ფრონტი და მახეში მოემწყვდიათ საბჭოთა ჯარების შავი ზღვის დაჯგუფების ძალები, რომლებიც თავდადებით იცავდნენ ტუაფსეს, სადაც ისინი აჩერებდნენ ფაშისტთა დიდძალი ნაწილების შემოტევას. სოხუმის მიმართულებით, ფრონტის ვიწრო უბანზე მტერი გადმოვიდა შეტევაზე 49-ე სამთო მსროლელი კორპუსის ძალებით, რომელიც სპეციალურად იყო მომზადებული მთებში მოქმედებისათვის და ჰქონდა მაღალ მთიან პირობებში ბრძოლის სერიოზული გაწვრთვნა. ეს აგვისტოსათვის, მეტად ჭარბი ძალებით, მტერმა შესძლო დაეკავებინა ზოგიერთი უღელტეხილი (ქლუხორი, სანჭარო). ამავე დროს ფაშისტები აწყობდნენ საჰაერო თავდასხმას, ზედიზედ დაბომბეს ქ. სოხუმი და სხვა საკურორტო ქალაქები. ჰიტლერელები არ ზოგავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილი ფაშისტი მტარვალები, სადაც კი მოასწრებდნენ, საკოლმეურნეო ბაზრებზე, ჩაის პლანტაციებში და სანატორიუმების ტერიტორიაზე თვითმფრინავებიდან ტყვიამფრქვევით ხვრეტდნენ ქალებსა და ბავშვებს, დამსვენებლებს თუ ავადმყოფებს, ანგრევდნენ სკოლებს, ჰოსპიტლებს, საბავშვო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ბინებს.

სტალინგრადის დასაცავად გმირული ბრძოლების პარალელურად კავკასიის მისადგომებზე გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა. სასოწარკვეთილებით გამძვინვარებული, აზარტული მოთამაშეებივით თავგზააბნეული ჰიტლერელები უკანასკნელ ძალებს სდებდნენ ბედის სასწორზე. ისინი, ანგარიშმიუცემლად, საკუთარი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამების გორებზე მოაბიჯებდნენ, რომ რათაც არ უნდა დაჯდომოდათ დაეპყროთ საქართველო, დაეპყროთ ამიერკავკასიის რესპუბლიკები. მაგრამ მტერმა ვერაფრით ვერ გასტეხა ჩვენი არმიისა და ხალხის სიმტკიცე, ნებისყოფა. მთელი ქართველი ხალხი ფეხზე დადგა წითელი არმიის დასახმარებლად. კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა მოძმე ხალხების მეგობრობა და ერთიანი ფრონტი კავკასიის დასაცავად.

წითელი არმიის მამაცი მებრძოლები და მეთაურები გააფთრებულ ბრძოლებში მკერდით იცავდნენ კავკასიის გადასასვლელებს, მათ მხარს უჭერდა და აქტიურად ეხმარებოდა მთელი მოსახლეობა. ამ პერიოდში მთელი ყურადღება კავკასიისაკენ იყო მიპყრობილი. კავკასიას იცავდა მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ეროვნების შვილი. ყველა მებრძოლს აკავშირებდა წმინდა გრძნობა, კეთილშობილური მისწრაფებანი, ურყევი მეგობრობა, სოციალისტური სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული.

კავკასიისათვის ამ გააფთრებულ ბრძოლების დღეებში მწერალი ილია ერენბურგი წერდა: „მოსკოვს იცავდა არტილერისტი გენერალი ლესელიძე, სევასტოპოლისათვის ბრძოლაში თავი ისახელა მისეულ გახოკიძემ... ძველი რუსული ქალაქის—რჟევის კედლებთან ქართველმა ჩანჩიბაძემ... ახლა კავკასიისათვის იბრძვიან რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და უზბეკები. თავისი სიამაყისათვის—კავკასიისათვის იბრძვის მთელი რუსეთი. გერმანელები სისხლში ახრჩობენ ყაბარდოს, ისინი უკვე სტანჯავენ ქალებს ოსეთის სოფლებში... ნუთუ საშუალებას მივცემთ ფაშისტებს ილხინონ კახეთის ბაღებში?, არა, ვერ მოითმენს ამას ჩვენი გული“[10].

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიესალმებოდა 1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში გამართულ ანტიფაშისტური მიტინგის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის ხალხები „მიუვალ ზღუდეებად გადააქცევენ მთის ყოველ ბილიკს, ყოველ ხეობას, სადაც მტერს ყველგან დაუდარაჯებს ულმობელი სიკვდილი“[11].

ამ მრისხანე დღეებში ქართველი ხალხისა და კავკასიის ხალხთა ფიქრი იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ დაეცვათ თავისი სამშობლო, გაენადგურებინათ ულმობელი მტერი. ამ წმინდა გრძნობამ მოიცვა მთელი ხალხის აზრი და გონება. ხალხი აღსდგა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. უსაზღვრო იყო ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება

---

[10] Илья Эренбург, Война, 1943, გვ. 218.

[11] გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 24 აგვისტო.

გერმანელ დამპყრობთა საძაგელი ძალადობისა და მხეცობის გამო.

სისხლიანი ჰიტლერელები გაშმაგებით მოეშურებოდნენ საქართველოს გულისაკენ — თბილისისაკენ. ვერაგმა მტერმა ვერ შესძლო სისრულეში მოეყვანა თავისი ზრახვები. კომუნისტური პარტიის მოწოდებით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შვილები აღსდგნენ კავკასიის ხალხთა თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. ვერაგ მტერს ანადგურებდნენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილები, რომლებიც თავგანწირვით იცავდნენ კავკასიას. მათ თავიანთი მკერდით გზა შეუკრეს ფაშისტთა ურდოებს.

საქართველოს მთელი მოსახლეობა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ყველა ფეხზე დადგა საყვარელ სამშობლოს დასაცავად. ისინი თავდადებით მუშაობდნენ წარმოებებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში, ჰოსპიტლებსა და საავადმყოფოებში, რათა მაქსიმალური დახმარება აღმოეჩინათ წითელი არმიის ნაწილებისათვის, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ ულმობელ მტერს კავკასიის უღელტეხილებზე და მისადგომებზე.

ამ პერიოდში სტალინგრადისა და კავკასიის დაცვაზე მიპყრობილი იყო მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ყურადღება. ამას მოწმობს პირველ ყოვლისა ჯარების შემადგენლობა, რომლებიც იცავდნენ როგორც სტალინგრადს, ისე კავკასიას. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ამიერკავკასიის ფრონტი გაამაგრა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვებით. უზრუნველყოფილ იქნა ჯარების სათანადოდ მომარაგება იარაღით, საჭურველითა და სურსათით.

სტალინგრადის დამცველთა გაუტეხელი სიმტკიცე და მასობრივი ლეგენდარული გმირობა აღმაფრთოვანებელი მაგალითი იყო ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ფრონტზე და ზურგში.

სტალინგრადი! ეს სიმტკიცის მაგალითი, გულადობის ნიმუში აღფრთოვანებას იწვევდა და გამარჯვების რწმენას ამტკიცებდა ჩვენს ხალხში.

სტალინგრადულად ურტყათ მტერს! ასეთი იყო კავკასიის დამცველთა დევიზიც.

ქართველი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაუღალავად ამზადებდა და შეუწყვეტლივ აწვდიდა ახალ-ახალ შევსებას ჩვენი არმიისათვის. სამხედრო ტემპებით მიმდინარეობდა წითელი არმიის რეზერვების მომზადება. სამხედრო-საავალდებულო სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ყოველ ქალაქსა და რაიონში სპეციალურ დანაყოფებში ხალხის რჩეული შვილები სწავლობდნენ ომის წარმოების ყველა თანამედროვე საშუალებას, რთულ სამხედრო ხელოვნებას. ისინი ეუფლებოდნენ ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებს, შაშხანას, სნაიპერულ ხელოვნებას, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს, ტაქტიკას, მწყობრს, სწავლობდნენ საჰაერო და ქიმიურ დაცვას. რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზრუნავდნენ და ყოველდღიურ დახმარებას უწევდნენ სამხედრო კომისარიატებს მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო სწავლების საქმეში. სისტემატურად ტარდებოდა ლექცია-მოხსენებები და საუბრები მშრომელებთან, ეწყობოდა ფრონტელთა შეხვედრები და სხვ.

სამხედრო-საავალდებულო სწავლებამ დიდი როლი შეასრულა ფრონტისათვის მაღალკვალიფიციური, ბრძოლის უნარიანი რეზერვების მომზადების საქმეში. ფრონტზე იგზავნებოდა ისეთი შევსება, რომელიც მზად იყო ყოველგვარ პირობებში დაეცვა ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

წითელი არმიის საბრძოლო წყობილებაში ჩადგნენ ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ნაწილები.

სამამულო ომის მძიმე პერიოდში მომზადდა და ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული დივიზია. ამ დივიზიებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და თავი ისახელეს კავკასიის მისადგომებზე და ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელი ოკუპანტების განადგურებაში, ტამანის ნახევარკუნძულისა და ყირიმის განთავისუფლების საქმეში.

წითელი არმიის შევსება მზადდებოდა არა მარტო სამხედრო კომისარიატების ხაზით. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა ომის პირველ დღეებიდანვე გაშალეს აქტიური მუშაობა საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის მოსახლეობის ფართო მასების მოსამზადებლად. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს თბილისის ორგანიზაციებმა. მარტო 1942 წელს თავდაცვა ავიაქიმის ორგანიზაციებმა თბილისში მოამზადეს საჰაერო და ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნორმით 183 582 კაცი. 1941 — 1943 წლების განმავლობაში მომზადებულ იქნა 356 000 კაცი[12].

თავდაცვა ავიაქიმის ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივ საჰაერო თავდაცვის შტაბებს თავდაცვითი ჯგუფების მომზადებისა და ქიმიური თავდაცვის საკითხების პროპაგანდაში. ამასთან ერთად ავიაქიმის ორგანიზაციებმა ფართოდ მოაწყეს მუშაობა სამხედრო კადრების მოსამზადებლად. ამ ორგანიზაციებმა მარტო თბილისში 1941 — 43 წწ. მოამზადეს. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების 110 საათიანი პროგრამით, 9203 მსროლელი კაცი, 2522 მსროლელი ქალი. მეტყვიამფრქვევები, ტანკების გამანადგურებლები, სნაიპერები და სხვა — 10 000 კაცზე მეტი; ტელეგრაფისტები, ტელეფონისტები, რადისტები და სხვა სპეციალისტები — 2046 კაცი[13].

ომის პირობების შესაბამისად გარდაქმნეს მუშაობა საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციებმა. 1941 — 1943 წწ.

---

[12] იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელ. ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა პერიოდის განყ. არქივი (სამამულო ომის არქივი) ფონდი 4. საქ. 17, ფვ. 1. ამ არქივის მთელი ფონდები ამჟამად გადაცემულია და დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში. რედ.)

[13] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4. საქ. 17, ფვ. 2.

წარმოებიდან მოუწყვეტლად მომზადებულ იქნა 1885 მედიცინის და, ხოლო ავიაქიმის ხაზით 540. რომლებმაც შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო მუშაობა შეასრულეს წითელი არმიის ნაწილებში, საავადმყოფოებსა და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ფორმირებებში. ამათ გარდა, სპეციალური პროგრამით მომზადებულ იქნა 9100 სანიტარული რაზმელი ქალი[14].

წითელი ჯვრის ორგანიზაციები მეტად სასარგებლო მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში სამხედრო-სანიტარული ცოდნის პროპაგანდის მხრივ, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა მოსამზადებლად „მზად ვარ სსრკ სანიტარული თავდაცვის" ნიშნის ნორმების ჩასაბარებლად. ისინი ეხმარებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს დაჭრილ მებრძოლთა მკურნალობის უკეთესი ორგანიზაციის საქმეში, შეფობას უწევდნენ ევაკოჰოსპიტლებს და მშობლიურ მზრუნველობაში იჩენდნენ ჩვენი მეომრების მიმართ.

საქართველოს მშრომელები არა მარტო საომარ მასალას აწვდიდნენ საბჭოთა მეომრებს და ამარაგებდნენ მათ კვების პროდუქტებით, არამედ ამასთან ერთად საკუთარ სისხლსაც არ იშურებდნენ დაჭრილთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მათი გამოჯანმრთელების დასაჩქარებლად.

სამამულო ომის წლებში, განსაკუთრებით კავკასიის გმირული დაცვის მძიმე დღეებში, საქართველოში გაჩაღდა მოხალისე დონორების რიცხვი. ზურგში დარჩენილი მოქალაქენი, ფრონტისათვის დაძაბულ შრომასთან ერთად, მასობრივად ცხადდებოდნენ სისხლის გადასხმის ინსტიტუტსა და მის ფილიალებში. ისინი თხოულობდნენ აეღოთ მათგან სისხლი ფრონტზე დაჭრილ მებრძოლთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამ მიზნით ბევრმა მოხალისე დონორმა ომის წლებში 10 — 20 ლიტრი და კიდევ მეტი სისხლი გაიღო. დაჭრილთა სამკურნალოდ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ა. ურუშაძე და ა. ბოკერია (თითოეულმა მათგანმა 21 ლიტრი), ა. ლექვინაძე (23 ლ), ჯ. ტყემალაძე (32 ლ) და მრავალი სხვა, რომლებიც დაჯილდოებულ იქნენ სამკერდე ნიშნით „სსრკ საპატიო დონორი"[15].

---

[14] იხ. სამამულო ომის არქივი, ფონ. 4, საქ. 17 გვ. 1.

[15] იქვე, გვ. 3.

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ომის წლებში მოაწყუს თავდაცვითი ფიზკულტურული კადრების მომზადება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის რეზერვის შესაქმნელად. ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსახლეობაში და მოსწავლეთა შორის ნორმების ჩასაბარებლად „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის". ფიზკულტურული ორგანიზაციები ამზადებდნენ ალპინისტებს, მეთხილამურეებს, ავტომძღოლებს, ხელჩართული ბრძოლის ოსტატებს და სხვა. მარტო თბილისში 1941 — 1943 წლებში მომზადებულ იქნა 44 000-ზე მეტი ნიშნოსანი. მათ შორის იყო 4000 მეთხილამურე. უმთავრესად ახალგაზრდები, რომლებიც მეცადინეობდნენ სავალდებულო სწავლების დანაყოფებში. წითელი არმიისათვის სათანადო სპეციალობის კადრების მომზადებას ხელს უწყობდა სამხედრო სპარტაკიადები, მთის მწვერვალებზე ასვლა და სიმაღლეთა დაძლევა, სპეციალური შეჯიბრებები, რომელთა ორგანიზაციას ახდენდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციები.

სპეციალურ სპორტულ ღონისძიებებში 1942 წ. მონაწილეობდა 160 310 კაცი, ხოლო 1941 — 1943 წლებში — 336 231 კაცი. საქართველოს ბევრმა სპორტსმენმა და ფიზკულტურულმა მუშაკმა თავი ისახელა სამამულო ომის ფრონტზე. თბილისის ბავშვთა სპორტსკოლის აღზრდილმა, მოჟიდავე თენგიზ ჯაფარიძემ და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივიდან გიმნასტმა ირაკლი ციციშვილმა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურეს. საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რეკორდსმენი დიმიტრი იოსელიანი, რომელიც დიდხანს იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ ბელორუსიის პარტიზანთა რაზმში, დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით და პარტიზანის 1-ლი ხარისხის მედლით. თბილისის ალპინისტებიდან, რომლებიც კავკასიას იცავდნენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: პოლკოვნიკი ს. გელაშვილი, პოდპოლკოვნიკი გ. ნარიმანიძე, კაპიტანი დ. წერეთელი, ი. მარი და რ. ჩხეიძე; უფროსი ლეიტენანტები — შ. ასათიანი, დ. ფურცელაძე, ა. ივანიშვილი, ლ. ელიავა, ლეიტენანტები — ლ. მარუაშვილი, ზ. მაისურაძე, მ. გეგეჭკორი და სხვ.[16]

---

[16] იხ. სამამულო ომის არქივი ფ. 4. საქ. 17, გვ. 4.

1942 წლის მეორე ნახევარი იყო ყველაზე მძიმე და კრიტიკული პერიოდი კავკასიისათვის ბრძოლაში. აგვისტოს თვის ბოლო რიცხვებიდან ნოემბრამდე ჰიტლერელებმა რამდენიმე ძლიერი იერიში მიიტანეს საქართველოს საზღვრებზე. ერთი მხრივ გერმანელი ოკუპანტები ქ. ორჯონიკიძესთან მოვიდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ხელთ ეგდოთ ქალაქი ორჯონიკიძე, გამოჭრილიყვნენ დარიალის ხეობით და საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ. მეორე მხრივ გაშმაგებული მტერი ძლიერ აწვებოდა უღელტეხილებს, ლამობდა გამოსულიყო სოხუმის მიდამოებში და გადაეჭრა ჩვენი ჯარების მთავარი კომუნიკაციები. ამ გზით ფაშისტ ოკუპანტებს განზრახული ჰქონდათ რკალში მოემწყვდიათ ჩვენი ჯარების დაჯგუფება ტუაპსეს მიმართულებით, ამავე დროს დაეპყროთ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურები, ხელთ ეგდოთ შავი ზღვის მთელი ფლოტი და გაბატონებულიყვნენ შავ ზღვაზე. შემდეგი შეტევითი ოპერაციების განვითარებით მტერი ვარაუდობდა ხელთ ეგდო მთელი დასავლეთი საქართველო და ქუთაისით გამოსულიყო თბილისისაკენ. ამ ნაწილებს უნდა შეერთებოდა გერმანელი ოკუპანტების ერთი ჯგუფი, რომელსაც უნდა გადმოელახა ბამბისონის უღელტეხილი და სხვა გადასასვლელები და ოსეთის სამხედრო გზით გამოსულიყო ქუთაისსა, სტალინირსა და გოროში. ამას გარდა, ჰიტლერელთა სპეციალური დაჯგუფება ავითარებდა შემოტევას გროზნის ნავთის რაიონების დასაპყრობად, რომელსაც ამოცანად ჰქონდა დასასული შემდგომი ოპერაციების განვითარება კასპიის ზღვის ნაპირებით მასაჩყალასა და ბაქოს დასაპყრობად. ამრიგად, გერმანელ ოკუპანტებს განზრახული ჰქონდათ შემოეკლოთ კავკასიის მთავარი ქედისათვის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან და ერთი და იმავე დროს გადმოელახათ ის ჩრდილოეთიდან უღელტეხილებით, მარწუხში მოექციათ ამიერკავკასიის რესპუბლიკები და ამ გზით რათაც არ უნდა დაჯდომოდათ დაეპყროთ საბჭოთა ამიერკავკასია[17].

---

[17] სამამულო ომის ისტორიის სათანადო არქივებში დაცული დოკუმენტები ამხელენ, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა კაციჭამია ჰიტლერი ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს დაპყრობას. ერთ-ერთ საუბარში თავის გენერალურ შტაბის მეშაკებთან, ეხებოდა რა მაიკოპისა და ტუაპსეს მიმართულებით შეტევით ოპერაციებს, 1942 წლის სექტემბერში ჰიტლერი ამბობდა: „ეს შეტევა წარმოადგენდა ჩვენი მოქმედების საფუძველს კავკასიაში... მე მუდმივად მიეუთითებდი შავი ზღვის

ჰიტლერს ელანდებოდა მაიკოპის, გროზნისა და ბაქოს ნავთი, ჭიათურის მარგანეცი, მთელი ამიერკავკასიის სიმდიდრენი. ის შეპყრობილი იყო მხეცური ქინით—დაეპყროთ და აეწიოკებინათ საქართველო, ფეხქვეშ გაეთელათ და აეოხრებინათ თბილისი.

გერმანელთა პირველ სატანკო არმიას უმთავრეს ამოცანად ჰქონდა დასახული დაეპყრო შავი ზღვის სანაპიროები, მოესპო შავი ზღვის ფლოტი, ხელთ ეგდო ბაქო, დაეპყრო საბჭოთა საქართველო. ჰიტლერის მითითების თანახმად საქართველოს დაპყრობა დავალებული ჰქონდა გერმანელ ოკუპანტთა მე-17 არმიას. გერმანიის ფაშისტური არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივებში ნათქვამი იყო: „მე-17 არმიამ უნდა დაიპყროს შავი ზღვის სანაპიროები ანაპიდან ფოთამდე, რომ შემდეგ თავისი ნაწილებით განახორციელოს შეტევა, ერთი მხრივ, ბათუმისა და, მეორე მხრივ, თბილისისაკენ“[18].

საბჭოთა საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა. ფაშისტთა ურდოები ქ. ორჯონიკიძის განაპირა რაიონებს ჰიტლერიის ცეცხლს უშენდნენ, ჰაერიდან თვითმფრინავებით ასობით და ათასობით ბომბს აყრიდნენ, სისხლისმსმელი მტერი საქართველოს შემოსასვლელი კარების შელეწვას ლამობდა. ტუაპსესა და ორჯონიკიძის მიმართულებით შემოტევასთან ერთად ფაშისტი ბანდიტები მოაწვნენ კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებს. აგვისტოს მეორე ნახევრიდან 9 სექტემბრამდე ფაშისტებმა მოასწრეს ქლუხორის, ზარუხის, სანჭაროსა და

ნაპირებისაკენ გასელის მიზანშეწონილობაზე ყოველ [illegible]ებანში... რამდენადაც მე ვიცი დარჩა ნაპირებისაკენ გასელის სამი შესაძლებლობა. ერთი—დასავლეთით მაიკოპიდან ტუაპსეზე, რაც შემდგომი წინასვლის შესაძლებლობას გვაძლევდა შავი ზღვის ნაპირებით. მეორე—საქართველოს სამხედრო გზა და მესამე—კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ბაქოსაკენ.

ამ სამი გზიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მე მიმაჩნდა პირველი, ტუაპსესაკენ... მე მუდმივად ხაზს ვუსვამდი, რომ ტუაპსეს ფრონტის გაწოლვა ჩვენთვის გადამწყვეტია... ჩვენ უნდა გავყვეთ იმ ხაზს, სადაც გადის რკინიგზები. ეს არის პირველ ყოვლისა გზა კავკასიის დასავლეთით ბათუმიდან თბილისისაკენ და, მეორე მხრივ, კავკასიის აღმოსავლეთით ბაქოდან თბილისისაკენ“.

[18] იხ. სამამულო ომი არქივი, ფ. 2. საქ. 2320, გვ. 22.

ზოგიერთი სხვა უღელტეხილის დაპყრობა და იწყეს გადმოსვლა უღელტეხილების სამხრეთ ფერდობებზე; სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე 26 აგვისტოს ჰიტლერელებმა დაიპყრეს მაღალმთიანი სოფელი ფსხუ. 1-ლი სექტემბრისათვის მტრის ზოგიერთი ნაწილი ერთ-ერთ უბანზე იმყოფებოდა 20—25 კილომეტრზე ზღვის ნაპირებიდან[19].

გამხეცებული დამპყრობლები ჩქარობდნენ გამოსულიყვნენ გუდაუთსა და სოხუმში. შეიქმნა უშუალო საშიშროება ქ. სოხუმისა და ჩვენი ჯარების ძირითადი კომუნიკაციებისათვის, რომლებიც შავი ზღვის ნაპირებს მიჰყვებოდა ტუაპსესაკენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ მძიმე ბრძოლებში დაღლილი და დაქანცული საბჭოთა ჯარების ნაწილები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ გამხეცებული მტრის ჰარბი ძალების მოწოლის გამო. რომელსაც იმხანად კიდეე ჰქონდა რიცხვობრივი უპირატესობა სამხედრო ტექნიკის მხრივ. განსაკუთრებით ტანკებისა და ავიაციის დარგში. მეორე მხრივ, გერმანელებმა იმიტომ მიაღწიეს უღელტეხილების დაპყრობას, რომ მათ ფრონტის ამ უბანზე მოიყვანეს სპეციალურად შერჩეული, დიდი ხნით ადრე მომზადებული სამთო ალპიური დივიზიები, რომელთაც ჰქონდათ მაღალმთიან პირობებში საომარი მოქმედებისათვის პრაქტიკული გაწრთვნა, ბრძოლისათვის სათანადო აღჭურვილობა, სპეციალურად შერჩეული მსუბუქი ტანისამოსი და სხვა მოწყობილობა. ამას გარდა, ზოგიერთი უღელტეხილი წინასწარ არ იყო სათანადოდ მომზადებული და შესაფერისად დაცული.

საქართველოს კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობის სერიოზული შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავის დროზე საკმაოდ არ გაამახვილა ყურადღება უღელტეხილების წინასწარ სათანადოდ გამაგრების საკითხებზე და დროზე ვერ მოაწყო მათი შესაფერისად დაცვის ორგანიზაცია. არ წარმოებდა გადამწყვეტი ბრძოლა არასწორი და მავნე შეხედულებათა წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს შორის, რომლებიც არასწორად ფიქრობდნენ, რომ კავკასიის მთავარი ქედი და მაღალი მთები თავისთავად წარმოადგენენ მტრისათვის მიუვალ სიმაგრეს და განსაკუთრებულ დაცვას არ საჭიროებენო.

---

[19] იხ. საბჭოთა ომის არქივი, ფ. 2. საქ. 23. გვ. 13.

მტერი, ლამობდა რა ამიერკავკასიაში შემოჭრას, არ ყმაყოფილდებოდა თავისი ძალების მოქმედებით ძირითადი მიმართულებებით. გერმანელები ამავე დროს იყენებდნენ სპეციალურად მომზადებულ ნაწილებს, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც მსხვილი ძალებით, ისე ცალკეული ჯგუფებით—დივერსანტებით, რათა შემოჭრილიყვნენ ყოველგვარი გზებითა და ბილიკებით.

1942 წლის აგვისტოში საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ მოითხოვა ძირითადი ოპერაციული მიმართულებით მტკიცე დაცვის შექმნასთან ერთად გაეძლიერებინათ უღელტეხილების დაცვა. ერთ-ერთ თავის დირექტივაში, კავკასიის დაცვის ორგანიზაციის საკითხზე, ი. ბ. სტალინი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რა ღრმად ცდებიან ის მეთაურები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კავკასიის ქედი თავისთავად წარმოადგენს მტრისათვის გაუვალ სიმაგრეს. მტკიცედ უნდა დავიმახსოვროთ, მიუთითებდა ამხანაგი სტალინი, გაუვალია მხოლოდ ის ზღუდე, რომელიც მომზადებულია მოხერხებულად და რომელსაც შეუპოვრად იცავენო.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დახმარებით გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები ფაშისტთა ურდოების შესაჩერებლად და ამიერკავკასიის რესპუბლიკების დასაცავად მტრის შემოსევისაგან. ამიერკავკასიის ფრონტი გამაგრებულ იქნა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვებით. ტუაპსესა და ორჯონიკიძეს, მახაჩყალა—ბაქოს ძირითად მიმართულებათა დაცვის გაძლიერებასთან ერთად გამაგრებულ იქნა კავკასიის ქედის უღელტეხილები და გადასასვლელები.

1942 წლის 25 აგვისტოდან საქართველოში შეიქმნა 46-ე არმია, რომლის სარდლად დაინიშნა ბრძოლებში გამოწრთობილი გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, ხოლო შტაბის უფროსად—გენერალი მიქელაძე, სამხედრო საბჭოს წევრებად კი ამხანაგები: ემელიანოვი, სანაკოევი, გაგუა და სხვ.

ახლად შექმნილი 46-ე არმიის წინაშე პირველი რიგის ამოცანად დასახული იყო მტრის განადგურება ჭლუხორისა და სანჭაროს უღელტეხილებზე, ბრძოლის გადატანა კავკასიის ქე-

დის ჩრდილოეთ მხარეზე, ფაშისტ დამპყრობთა შოქანცვა-დასუსტება და შემდეგ მისი სრული განადგურება.

ამიერკავკასიის დაცვის უკეთესი ორგანიზაციისა და კავკასიის მისადგომებზე ფაშისტ დამპყრობთა განადგურების მიზნით 1942 წლის სექტემბრის დასაწყისში მოხდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რეორგანიზაცია და შეიქმნა ამიერკავკასიის ფრონტი. ჩატარდა ჯარის ნაწილების სათანადო გადაჯგუფება.

საქართველოს კომპარტიის ცეკამ და სახკომსაბჭომ თავიანთი რწმუნებულები გაგზავნეს ფრონტის სხვადასხვა უბნებზე ამიერკავკასიის ფრონტის ჯარის ნაწილებისა და შავი ზღვის ფლოტისათვის კონკრეტული დახმარების გასაწევად კავკასიის დაცვის საქმეში. პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს . ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და კავკასიის დამცველებისათვის ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად. ფართოდ იქნა ორგანიზებული სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მასობრივი მონაწილეობა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაში. ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მოეწყო კავკასიის დამცველებისათვის შეიარაღების, სომარი მასალებისა და კვების პროდუქტების შეუფერხებელი მიწოდება.

კავკასიის უღელტეხილებით ფაშისტ დამპყრობთა მოახლოებისა და ზღვიდან მტრის დესანტების გადმოსხმის საშიშროებასთან დაკავშირებით ქ. სოხუმში, ფოთსა და ბათუმში შეიქმნა თავდაცვის კომიტეტები. გაძლიერებულ იქნა ქალაქებისა და ფრონტისპირა რაიონების დაცვა. შეესებულ და გაძლიერებულ იქნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც ადრე იყო შექმნილი ქალაქებსა და რაიონებში.

კავკასიის დასაცავად საქართველოში 1942 წლის აგვისტოს თვეში დამატებით შეიქმნა ახალი ნაწილები ადგილობრივი მოსახლეობიდან. კრიტიკულ მომენტში ქ. სოხუმიდან სანჭაროში გაიგზავნა გამანადგურებელი ბატალიონი 200 კაცის შემადგენლობით, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა მოხალისეთა ხარჯზე ადგილობრივი მოსახლეობიდან და უმკლავდებოდა მტერს ჩვენი მაშველი ჯარის მოსელამდე. ამას გარდა, სო-

ზუმში აგრეთვე ადგილობრივი ძალებით ფორმირებულ იქნა სპეციალური რაზმი 500 კაცისაგან სანჭაროს უღელტეხილის დასაცავად[20].

კავკასიის უღელტეხილებზე მოქმედი ჩვენი ჯარების დასახმარებლად მოეწყო სამთო ნაწილების მომზადება. სოხუმში, გუდაუთაში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ონში ჩამოყალიბდა ალპინისტთა სპეციალური რაზმები, რომელთა შემადგენლობაში შერჩეულ იქნენ ყველაზე ჯანმრთელი და მომზადებული მებრძოლები, მეთაურები, აგრეთვე ინსტრუქტორთა კადრები საქართველოს ალპინისტთა საზოგადოების წევრებიდან. მათგან შეიქმნა ოცეულები და ასეულები, რომელთაც მოკლე დროში მიიღეს მაღალმთიან პირობებში ბრძოლისათვის სათანადო გაწრთვნა და შემდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის დაცვის საქმეში.

კავკასიონის მისასვლელებთან და მის მაღალ მთებში ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში წითელი არმიის მრავალმა მებრძოლმა და მეთაურმა ისახელა თავი. მათ შორის ბევრი იყო ქართველი მთასელელი. საქართველომ 2000-ზე მეტი მთასვლელი მისცა სამშობლოს. ომამდე ისინი წლების განმავლობაში სწავლობდნენ მთებს, მთის სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში იწრთობოდნენ. სიძნელეთა გადალახვა, რთულ პირობებში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა მათ მომავალ ბრძოლებში მტრის დამარცხებას ასწავლიდა.

კავკასიის დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამთო ნაწილების შექმნას. ამ მეტად საჭირო საქმეში საქართველოს მთასვლელებმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ისინი ხელმძღვანელობდნენ სამთო რაზმების შემადგენლობის გაწაფვას და შემდეგ მთაში გასვლას. მთასელელები მებრძოლებად გადაიქცნენ. დადგა დრო, როდესაც მშვიდობიან წლებში სპორტის მოყვარულთა მიერ მიღებული ცოდნა და მდიდარი გამოცდილება მტერთან ბრძოლაში უნდა შემოწმებულიყო.

ქელეშში ონიანი სტახანოველი ზეინკალი იყო, სანდრო გვალია—სპორტის ოსტატი, ილია დიღმელიშვილი—მათემატი-

---

[20] იხ. სამამულო ომის არქივი. ფ. 4, საქ. 13. გვ. 3, 5.

ქის მასწავლებელი. ლევან ელიავა—ინჟინერი. ნიკო ხიმშია-შვილი—გეოლოგი, არჩილ მაჭავარიანი—იურისტი, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები—სოფლის მუშაკები. შოთა რევიშვილი—ლიტერატურათმცოდნე, შალვა ასათიანი—ფიზკულტურის მუშაკი, გივი მელია—ეკონომისტი, ხოლო შაქრო მაისურაძე ძველი ქართული კერამიკის საიდუმლოებას იკვლევდა, მაგრამ ყველანი მთამსველელები იყვნენ. სამშობლოსათვის მძიმე დღეებში ისინი სათაევში ჩაუდგნენ სამთო რაზმებს, უმაგალითო გმირობითა და თავგანწირვით იბრძოდნენ ისინი საყვარელი კავკასიონის, კავკასიის ხალხთა ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად.

პოდპოლკოვნიკმა გიორგი ნარიმანიძემ სახელი გაითქვა. როგორც დახელოვნებულმა მზვერავმა და მამაცმა მებრძოლმა. ათასეული, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, მრავალჯერ შეჭრილა მტრის ზურგში კავკასიონის უღელტეხილებითა და უვალი ბილიკებით. იგი წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

უფროსი ლეიტენანტი შ. ასათიანი. სამთო რაზმის ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი, რვა თვეს ებრძოდა მტერს კავკასიონის მთებში. საშინელ ქარბუქსა და ნამქერში მიპყავდა მას რაზმი მტრის დაზვერვაზე. აწვდიდა სურსათს მოწინააღმ ხაზის მებრძოლებს, გამოპყავდა დაჭრილები. 28-ჯერ გაიარა მან რამდენიმე თოვლიანი უღელტეხილი.

სვანმა მთამსველელებმა პარტიზანული რაზმი შექმნეს. ისინი მოულოდნელად და გაბედულად ესხმოდნენ მტერს, თოვლსა და ქარბუქში მიდიოდნენ დაზვერვაზე მტრის ზურგში და მოჰქონდათ მნიშვნელოვანი ცნობები; აქტიურად ეხმარებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს.

უფროსი ლეიტენანტი სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით ფრონტისპირა რაიონებში მიმდინარეობდა სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორთა მომზადება, შემდეგში ამ ინსტრუქტორებმა ათასზე მეტი კაცი მოამზადეს. ს. გვალიამ თავისი ცოდნა წითელი არმიის ნაწილებს გაუზიარა. კავკასიონის ქედის ყველაზე რთულ და პასუხსაგებ უბანში მოუხდა თვითონ მას დაზვერვის წარმოება. მანვე შეადგინა მთავარი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის გზა-ბილიკების რუკა. გვალიას ხელმ-

ძღვანელობით მთამსველელთა ერთმა ჯგუფმა ზამთარში უეალ ადგილებში გაჰკვეთა ათეული კილომეტრობით თოვლიანი გზა და სასახელოდ შეასრულა საბრძოლო დავალება, რისთვისაც ამ-ხანაგი გვალია დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის" ორ-დენით, ხოლო მისი ჯგუფის მონაწილენი ლ. ფანჯაკიძე და ნ. მიქაბერიძე—მედლებით საბრძოლო დავალებისათვის.

გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინეს მოხეევ ალპინისტებ-მა, სახელგანთქმული მეგზურისა და მთამსვლელის იაგორ კა-ზალიკაშვილის სამმა ვაჟმა—სტეფანე, ალექსი და ისიდორე კაზალიკაშვილებმა.

„არ ყოფილა სახე ჯარისა, რომელშიც ქართველ მთამსველე-ლებს არ ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. გრ. გიორგობიანი —ქიმიურ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, ცაცა ღლონტი (დ:-ჯილდოებული მედლით საბრძოლო დამსახურებისათვის), ბო-რის ანთელიძე თავის სადასტაქრო ხელოვნებით დაჭრილ მებ-რძოლებს ეხმარებოდნენ, მაიორი ლ. ჭელიძე დანაყოფის საბრ-ძოლო მომზადებას ხელმძღვანელობდა, ლეიტენანტი ლევან მარუაშვილი უღელტეხილთა აღწერას და სამხედრო გეოგრა-ფიულ აღწერილობათა აპარატით ხელში მისდევდა ჯარს. მის მიერ გადაღებულ ქრონიკებში აღიბეჭდა კავკასიისათვის ბრძოლის შესანიშნავი ეპიზოდები. ამ საქმისათვის იგი წითე-ლი ვარსკვლავის და სამამულო ომის მეორე ხარისხის ორ-დენებით იქნა დაჯილდოებული. ყუბანის ჭაობებში დასტაქრად მუშაობდა ექიმი თამარ გოთუა. მთამსველელობამ ასწავლა მას გამბედაობა, გააკაჟა, შემატა ხასიათის სიმტკიცე. ამ თვისე-ებებმა შეაძლებინეს მას ცეცხლქვეშ ოპერაციების გაკეთება და დღე-ღამის განმავლობაში საოპერაციო მაგიდასთან დგომა"[21].

მრავალმხრივ სასარგებლო მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ალპინისტები. სპორტის ცნობილი ოსტატი ალექსანდრა ჯაფა-რიძე წარმატებით ასრულებდა სარდლობის დავალებას ავიაციი-ისათვის ამინდის პროგნოზის მიცემის შესახებ. კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე ალპინისტ-პოლკოვნიკი ს. გელაშვი-

---

[21] კ. ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი მთამსველლები კავკასიონი-სათვის ბრძოლაში, საქართველოს ალპიური კლუბის გამოცემა, 1945, გვ-19—20.

ლის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა მუშაობამ უზრუნ-ველყო ფრონტი კარტოგრაფიული მასალით. ᲫᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ ქარ-თველმა მთამსველელმა. ინჟინერმა ირაკლი ლუკაშვილმა ომის პერიოდში დიდი მუშაობა გასწია კავკასიონის მთავარი უღელ-ტეხილების აღწერის საქმეში. საქართველოს მთამსველელობის ერთ-ერთი პიონერთაგანი დოც. ი. ასლანიშვილი თავის დოსტა-ქრულ გამოცდილებას და ცოდნას მებრძოლთა განკურვნას ანდომებდა.

წითელი არმიის მამაცი ოფიცრების სახელი მოიხენეᲕᲔᲑᲓᲐ ალპინისტებმა—ლეიტენანტმა დავით ფურცელაძემ, კაპიტანმა ი. მარმა, ინჟინერ-კაპიტანმა დ. წერეთელმა, რ. ჩხაიძემ, ა. ივა-ნიშვილმა, ნ. ასტახიშვილმა. გ. გავაშელმა და სხვა მრავალმა.

კავკასიის გმირული დაცვის დროს დაგროვილ შესანიშნავ გამოცდილებათა განზოგადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საᲭᲝᲗᲐ ალპინიზმის განვითარებისათვის. ამ გააფთრებულ ბრძოლებში მრავალი ახალი მთამსველელი აღიზარდა. მათ მიერ მომზადებული მებრძოლები და ოფიცრები შემდეგში წარმატებით იბრძოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ ნორვეგიაში, უნგრეთსა და კარპატების მთებში.

სექტემბრის პირველ რიცხვებში აფხაზეთში სულ რამდე-ნიმე საათის განმავლობაში ფორმირებულ იქნა ორი ახალი რაზმი სანᲕᲐროს უღელტეხილზე მოქმედი ჩვენი ნაწილების დასახმარებლად. ერთი მათგანი სოხუმიდან გაიგზავნა დოუს უღელტეხილისაკენ, ხოლო მეორე გაგრის რაიონიდან რიწᲐ ტბით გადაყვანილ იქნა ჩრდილოეთით. ორივე რაზმი შემოკ-ლით მტრის ზურგში მოექცა და მათი დახმარებით 7 და 8 სექ-ტემბრის ბრძოლებში ფსხუსთან განადგურებულ იქნა ფა-შისტთა მთელი პოლკი.

1942 წლის 8 სექტემბერს სოფ. ფსხუ მოსახლეობის აქ-ტიური დახმარებით განთავისუფლებულ იქნა ჰიტლერელი ოკ-უპანტებისაგან[22].

ამრიგად, ფაშისტი ბანდიტების სოხუმისა და გუდაუთი-საკენ გამᲝᲕრისა და შავი ზღვის ნაპირებზე გამოსვლის საშიშ-როება ლიკვიდირებულ იქნა.

---

[22] იხ. სამამულო ომის არქივი. ფ. 2, საქᲔ 23, გვ. 16.

— 1942 წლის 15 სექტემბრისათვის, ჩვენი ჯარების გმირული წინააღმდეგობის შედეგად, კავკასიის მთელ ქედზე გერმანელ დამპყრობთა შემოტევა შეჩერებულ იქნა. მაგრამ მტერი არ ცხრებოდა. გამხეცებული ჰიტლერი თავისი ჯარებისაგან მოითხოვდა: რათაც არ უნდა დაჯდომოდათ დაეპყროთ საქართველო და მთელი ამიერკავკასია. მოწინააღმდეგეს კვლავ ახალი ძალები მოჰყავდა. სექტემბერ-ნოემბრის თვეებში გერმანელმა დამპყრობლებმა რამდენიმეჯერ მოაწყეს გააფთრებული იერიში, სცადეს გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა. მაგრამ ამაოდ. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, საბჭოთა არმიის მეომრები მტკიცედ ასრულებდნენ სამშობლოს დავალებას. „არც ერთი ნაბიჯი უკან“, ასეთი იყო კავკასიის დამცველთა დევიზი.

უაღრესად მძიმე და მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ ჩვენს ნაწილებს სამხედრო ოპერაციების ჩატარება მაღალმთიან ადგილებში. გერმანელ დამპყრობლებს ეკავათ მთავარი სიმაღლეები, უზარმაზარი კლდეების ირგვლივ მოწყობილი ჰქონდათ რთული დაცვა, ყველა ბილიკი და მისასვლელი გზა მტრის ტყვიამფრქვევებისა და ნაღმტყორცნების ცეცხლის ქვეშ იყო მოქცეული. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეომრები წინ მიიწევდნენ. ისინი ძლევდნენ უდიდეს აღმართებს, ციცაბო კლდეებს, გადიოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც წინათ ადამიანს არ გაეკლო და ფაშისტებთან სასტიკ ბრძოლებში ათავისუფლებდნენ თითოეულ მეტრ საბჭოთა მიწას, რასაც ჰიტლერელები სასიკვდილოდ ებღაუკებოდნენ. გააფთრებულ ბრძოლებში ზოგიერთი სიმაღლე და უღელტეხილი რამდენიმეჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. ჩვენი მებრძოლები საოცარ გმირობასა და სიმტკიცეს იჩენდნენ. 1942 წლის ნოემბერში, უკიდურესად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში, საბჭოთა არმიის ერთი ოცეული, ლეიტენანტ ლორთქიფანიძის მეთაურობით, ათი დღის განმავლობაში გმირულად იცავდა ერთ-ერთ სიმაღლეს ქლუხორის უღელტეხილთან. ისინი გმირულად დაეცნენ, მაგრამ მტრის ჯარბ ძალებს გზა გადაუღობეს თავიანთი სიცოცხლის ფასად და საშუალება მისცეს ჩვენს მაშველ ნაწილებს უკუეგდოთ მტერი[23].

---

[23] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 23, გვ. 20.

სასტიკ ბრძოლებში მტრის ძალების დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა უღელტეხილებზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩვენმა მეომრებმა განდევნეს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ მხარისაკენ და აიძულეს იგი შეეჩერებინა შეტევა.

ამრიგად, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა უღელტეხილებით ფაშისტ დამპყრობთა კავკასიის ქედის სამხრეთის დაბლობზე გადმოსვლის საშიშროება.

1942 წლის ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის პირველ რიცხვებში ფაშისტურმა ურდოებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ქ. ორჯონიკიძეზე, ალაგირ—ორჯონიკიძის მიმართულებით. მტერი ბომბავდა სოფლებს, გზებს, ხიდებს, ათეული ტონობით ბომბებს აყრიდა სოფლებს და ქალაქებს, მშვიდობიან მოსახლეობას, ცეცხლს უკიდებდა და სპობდა ყველაფერს. ქ. ორჯონიკიძისა და მისი რაიონის დაცვას ხელმძღვანელობდა ორჯონიკიძის თავდაცვის კომიტეტი ამხანაგების—მაზინის, კულოვის, კისელიოვის, გაზაევის, ტეკაევისა და სხვათა შემადგენლობით.

2—4 ნოემბერს ჰიტლერელებმა მოაწყეს ავიაციის გაძლიერებული თავდასხმა ქ. ორჯონიკიძეზე და მის გამაგრებულ რაიონში. 1500-ზე მეტი ბომბი ჩამოყარეს, მაგრამ კარგად ორგანიზებულ საჰაერო თავდაცვის გამო მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. ორჯონიკიძის დამცველთა მისაშველებლად თბილისიდან გაიგზავნა ჯარის ნაწილები, არტილერია და სხვა ტექნიკა. 7—8 ნოემბერს ჩვენი ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და უკუაგდეს იგი. 10 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს გიზელი, გაანადგურეს მტრის ძალები და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი[24].

საბჭოთა ჯარების ნაწილები, რომლებმაც საკმაო რაოდენობით მიიღეს საბრძოლო ტექნიკა და ომის მსვლელობაში დიდი გამოცდილება დააგროვეს, მტრის რისხვად გადაიქცნენ. ისინი ძლიერ ურტყამდნენ, შესვენებისა და მოფიქრების საშუალებას არ აძლევდნენ გერმანელ დამპყრობლებს. გიზელის ოპერაციის შედეგად გერმანელებმა დაკარგეს 171 ტანკი, 2050 ავტომანქანა, 181 მოტოციკლი, 60 ქვემეხი და სხვა ტექნიკა.

---

[24] იხ. საჰამელო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 7. გვ. 6, 10, 11.

ფაშისტებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 5000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მარტო მოკლულთა სახით.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში გიზელის ოპერაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლებმა ყველას უჩვენა კავკასიის დამცველთა ძალა და უნარი, რომლებიც არა მარტო გაუმკლავდნენ მტერს, არამედ იმის უნარიც, რომ მათ შეუძლიათ გაანადგურონ ვერაგი თავდამსხმელი. ჩვენი ჯარების ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ განემტკიცებინათ მიღწევები, გაენადგურებინათ მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა. არ მიეცათ შესაძლებლობა გერმანელი დამპყრობლებისათვის გამაგრებულიყვნენ ახალ საზღვრებზე. გერმანელი ოკუპანტები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ჯარის ნაწილებს, მათ მოიყვანეს „სს“ ელთა სპეციალური დივიზია „ვიკინგ“ და სცადეს საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერება, მაგრამ ამაოდ.

1942 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან ამიერკავკასიის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარებმა (ფრონტის სარდალი ი. ვ. ტიულენევი) ისეთი ძლიერი კონტრდარტყმა მიაყენეს ჰიტლერელებს მოზდოკისა და ნალჩიკის მიმართულებით, რომ შემდეგ მტერი წელში ვერ გაიმართა. ჩვენს მეომრებს ამსნევებდა და აღაფრთოვანებდა სტალინგრადელთა მიღწევები. როგორც მთელმა ქვეყანამ, კავკასიის დამცველებმა 22 ნოემბერს სიხარულით გაიგეს, რომ სტალინგრადის სახელოვანმა მებრძოლებმა, რომლებიც 19 ნოემბრიდან ფართო მასშტაბით ძლიერ კონტრშეტევაზე იყენენ გადასულნი, წაიწიეს წინ 60—70 კილომეტრით და სასტიკად ანადგურებდნენ ფაშისტთა ურდოებს. სტალინგრადთან გადამწყვეტი ბრძოლების პარალელურად ნოემბერსა და დეკემბერში ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ და ანადგურებდნენ გერმანელ დამპყრობლებს, „თავისუფლებდნენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს საზიზღარი დამპყრობლებისაგან.

1942 წლის 25 დეკემბერს ფრონტის სარდალი ტიულენევი ჩავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში ფრონტის მოწინავე ხაზზე. სურხ-დიგორთან და კონკრეტული მითითებები მისცა საბჭოთა ჯარის ნაწილებს, მის მეთაურებს და პოლიტმუშაკებს. სურხ-დიგორა, რომელსაც გერმანელები ძლიერ ებღაუჭებოდნენ და რომელიც 17-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, საბჭოთა

მებრძოლებმა სწრაფად აიღეს გამანადგურებელი დარტყმით და მტერი შორს უკუაგდეს[25].

გერმანელმა დამპყრობლებმა, ვერ შესძლეს რა უღელტეხილებით შავი ზღვის ნაპირებისაკენ გამოსვლა, ახლა მთავარი დარტყმა წარმართეს მაიკოპ-ტუაპსეს მიმართულებით, შეეცადნენ გადაელახათ კავკასიის ქედის დასავლეთი ნაწილი და 25 სექტემბერს მე-17 არმიის ძალებით გადავიდნენ ძლიერ შეტევაზე. ბრძოლებმა აქ გააფთრებული ხასიათი მიიღო. ეს ბრძოლები დეკემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდებოდა. მტრის ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა სადგურ ინდიუკ-ტუაპსეა რაიონს და არ იძლეოდა შესაძლებლობას ჩვენი დამხმარე ძალების წინსვლისათვის. საჭირო იყო მტრის ძალების გატეხა, შაუმიანის რაიონის შენარჩუნება. ჩვენი ჯარები მტკიცედ ასრულებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებას და მტერს არ უშვებდნენ ტუაპსეში. ამ პერიოდში 46-ე არმიის ჯარები ემზადებოდნენ იერიშისათვის. მათ გადაწყვიტეს მტრის ზურგის შემოვლა მთაზე გადასვლით. მტერი რამდენიმეჯერ შეეცადა გაერღვია ჩვენი თავდაცვა, მაგრამ საბჭოთა ჯარებმა უკუაგდეს ოკუპანტების ყველა შემოტევა და კონტრშეტევით გაანადგურეს მტრის დაჯგუფება. უდიდესი ზარალის გამო ჰიტლერელები იძულებული შეიქნენ ფრონტის ამ უბანზეც შეეჩერებინათ შეტევითი ოპერაციები.

კავკასიისათვის თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში, როცა ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ პირველი რიგის ამოცანა იყო მტრის შეჩერება, მისი მოქანცვა და დასუსტება, საბჭოთა არმიამ მოიგო დრო, რაც საჭირო იყო კონტრშეტევის მოსამზადებლად. თავდაცვით ბრძოლებთან ერთად მიმდინარეობდა ჩვენი ჯარების ყოველმხრივ მომზადება ფართო კონტრშეტევითი ოპერაციებისა და ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისათვის.

სტალინგრადთან დაწყებული საბჭოთა ჯარების ძლიერ კონტრშეტევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში თავდაცვითი ოპერაციების წარმატებით დასამთავრებლად.

---

[25] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 422. გვ. 21.

1942 წლის ბოლოსათვის ჩვენი ჯარები ყოველმხრივ მოამზადებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში ძლიერ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები შეიესო ახალი ნაწილებით. საბჭოთა მეომრები უზრუნველყოფილი იყვნენ საჭირო თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, რომლის საგრძნობი ნაწილი დამზადებული იყო საქართველოს წარმოებებში. ჩვენმა მებრძოლებმა და მეთაურებმა მძიმე თავდაცვითი ბრძოლების პერიოდში დააგროვეს სამხედრო ოპერაციების წარმოების დიდი გამოცდილება, რასაც წარმატებით იყენებდნენ მტრის დასამარცხებლად.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების ისტორიულმა გამარჯვებამ ძირეულად შესცვალა მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე და პირველ რიგში კავკასიის მიმართულებით. სტალინგრადისა და კავკასიის დაცვისათვის ჩვენი ჯარების საბრძოლო ოპერაციები გაერთიანებული იყო საერთო სტრატეგიული გეგმით, რაც გამომდინარეობდა სამხრეთში ფაშისტური ჯარების განადგურების საერთო გეგმიდან.

სტალინგრადთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა ნოემბერ-დეკემბერში რამდენიმე ძლიერი შეტევითი ოპერაციით ორჯონიკიძესთან, გიზელთან და სხვა უბნებზე დიდი ზარალი მიაყენეს ჰიტლერელთა დაჯგუფებას. მოწინააღმდეგე სულ დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩვენმა ჯარებმა მას არ მისცეს საშუალება კავკასიიდან თავისი დივიზიები გადაესროლა სტალინგრადისაკენ და იქ მიშველებოდა გერმანელთა დაჯგუფებას, რომელიც გარემოცვის საბედისწერო რკალში იყო მომწყვდეული.

ჰიტლერი და მისი მთავარსარდლობა ფიქრობდა მოსკოვიდან საბჭოთა სამხედრო რეზერვები სამხრეთისაკენ მიეზიდა, მაგრამ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის წინდახედულობით შემუშავებულმა და განხორციელებულმა ღონისძიებებმა ფაშისტთა არმიის დიდი ნაწილი კავკასიის მთებს მიაჯავა და ჰიტლერელთა შავი ზრახვები საბოლოოდ ჩაიფუშა.

1943 წლის იანვრის დასაწყისში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ შეტევის წარმოება 46-ე არმიის ჯარის ნაწილებს, რომლებიც მოქმედებდნენ ტუაპსესთან ჰიტლერელთა დაჯგუფებე-

პის წინააღმდეგ. ჩვენი მებრძოლები და მეთაურები განსაკუთრებულ სიმტკიცეს და მასობრივ გმირობას იჩენდნენ. მკაცრი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მათ უმოკლეს ვადაში მაღალი მთებისაკენ გაიყვანეს გზა მტრის ზურგში შემოსასვლელად. მთებზე ხელით და ზურგით გადაიტანეს საომარი მასალები, არტილერიისა და სხვა ტექნიკის მატერიალური ნაწილები და 6 იანვარს ძლიერ შეტევაზე გადავიდნენ.

ტუაპსეს მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ჩაშალეს მტრის გეგმა და ულმობელ ბრძოლაში დაამარცხეს მოწინააღმდეგის დაჯგუფება.

გადალახეს რა მტრის წინააღმდეგობა, საბჭოთა ჯარის ნაწილები გადავიდნენ კავკასიის ქედის ჩრდილო დაღმართზე. იანვრის პირველ რიცხვებში შეტევაზე გადავიდნენ მოზდოკის მიმართულებით, ხოლო იმავე თვის შუა რიცხვებში შეტევა დაიწყო კრასნოდარის მიმართულებითაც. გერმანელი ოკუპანტების განადგურებამ ტუაპსესთან და კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე გადაწყვიტა ორჯონიკიძე-მოზდოკის რაიონში მოქმედი ჰიტლერელთა დაჯგუფების ბედი. ამავე დროს, 1943 წლის იანვრის დასაწყისში საბჭოთა არმიის სტალინგრადის ფრონტის (რომელსაც ეწოდა სამხრეთის ფრონტი) ჯარები, ანადგურებდნენ რა სტალინგრადთან გარშემორტყმული მტრის დაჯგუფებას, სწრაფად მიიწევდნენ წინ როსტოვისაკენ. გერმანელ დამპყრობთა ჯარები, რომლებიც მოქმედებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, დადგნენ რა გარშემორტყმის საფრთხის წინაშე, შეეცადნენ სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ და ამით ეხსნათ თავი უეჭველი ტყვეობისაგან.

ჰიტლერი დაჟინებით მოითხოვდა თავისი ჯარებისაგან, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ დაეცვათ ჩრდილოეთ კავკასიაში მათ მიერ მოწყობილი ზამთრის სიმაგრეები, რომ გამოეყენებინათ ისინი „კავკასიის დასამორჩილებლად 1943 წლის გაზაფხულზე“, მაგრამ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა რომელთაც ხელში აიღეს ინიციატივა, გადალახეს ყოველგვარი სიძნელეები, გაარღვიეს მტრის თავდაცვითი ზღუდეები და გამანადგურებელი დარტყმები აგემეს ფაშისტ ოკუპანტებს. მტერი ბევრჯერ შეეცადა მოეწყო ჩვენი ჯარების წინააღმდეგ კონტრშეტევა, მაგრამ საბჭოთა ჯარები საშუალებას არ აძლევდნენ

მოწინააღმდეგეს გონს მოსულიყო და სადმე ახალ საზღვარზე გამაგრებულიყო.

საბჭოთა ჯარებმა 1943 წლის 21 იანვარს გაათავისუფლეს ქ. სტავროპოლი. მძაფრი ბრძოლები გაიმართა ქ. არმავირთან, რომელსაც გერმანელები დიდხანს გულდასმით ამაგრებდნენ. ქ. არმავირსა და მის გარშემო რაიონში გერმანელებმა ინჟინერულ ნაგებობათა მთელი სისტემა შექმნეს და მაგრად იცავდნენ მას, რადგანაც ისინი კარგავდნენ რკინიგზის დიდ კვანძს და ამავე დროს აშკარა საფრთხეში ეარდებოდა გერმანელთა დაჯგუფება მაიკოპის რაიონში.

ჩვენმა ჯარებმა ძლიერი დარტყმით დაანგრიეს მტრის თავდაცვითი ნაგებობანი, მძაფრი იერიშით 23 იანვარს აიღეს ქ. არმავირი და ხელთ იგდეს: 218 თვითმფრინავი, 1530 ავტომანქანა, 4300 ავტომატი, 113 ნაღმტყორცნი და სხვა სამხედრო ტექნიკა და 7 საწყობი საქონლითა და მასალებით[26].

ავითარებდნენ რა სწრაფ შეტევას, ჩვენმა ჯარებმა იმავე წლის 30 იანვარს გაათავისუფლეს მაიკოპი. 1943 წლის თებერვლის დასაწყისში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები როსტოვთან შეუერთდნენ სამხრეთის ფრონტის ჯარებს. 12 თებერვალს ჩვენმა ჯარებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს კრასნოდარი, ხოლო 14 თებერვალს — ქ. როსტოვი. ამრიგად, 1943 წლის გაზაფხულისათვის ჩრდილოეთი კავკასია, ყუბანის დაბლობის მცირე უბნის გამოკლებით, მთლიანად გათავისუფლებულ იქნა ფაშისტური ურდოებისაგან.

თავიანთი სამარცხვინო გაქცევის დროს ჰიტლერელები ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც ყველგან, აფეთქებდნენ ხიდებს, ნაღმავდნენ გზებს, ცეცხლს უკიდებდნენ დასახლებულ პუნქტებს, სპობდნენ კვების პროდუქტებს, აწამებდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. დროებით ოკუპირებული საბჭოთა სოფლებისა და ქალაქების განთავისუფლების შემდეგ, ყველგან, სადაც კი ფეხი შედგეს ფაშისტმა ყაჩაღებმა, გამოაშკარავდა ჰიტლერელთა მხეცობისა და საშინელ ბოროტმოქმედებათა შემაძრწუნებელი ფაქტები.

---

[26] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 422, გვ. 36.

აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაღალმთიანი სოფელი ფსხუ ერთადერთი დასახლებული პუნქტი იყო საქართველოს ფარგლებში, რომლის დაპყრობაც ჰიტლერელებმა მოახერხეს.

გერმანელ დამპყრობთა შემოსევის წინ სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი. მოხუცები, ბავშვები და ქალები, ვინც სახლებში დარჩნენ, გერმანელებს საშინელი ტეროროისა და შიშის ქვეშ ჰყავდათ დაყენებული. მორალურად დაცემული და გახრწნილი ფაშისტი ოფიცრები და სალდათები აშკარად ძარცვავდნენ მოსახლეობას, ართმევდნენ საქონელს, ფრინველს, მარცვალს, მიმართავდნენ უკიდურესად უხეშ ძალადობას, სჩადიოდნენ ათასგვარ საზიზღროებას. ვინც ოდნავ წინააღმდეგობას გაბედავდა სცემდნენ, აწამებდნენ, სვრეტდნენ.

ფაშისტებმა დაანგრიეს ფსხუს კოლმეურნეობა, დაიტაცეს კოლმეურნეობის მუშა საქონელი, აგრეთვე პროდუქტიული საქონელიც, მარცვალი და სხვა. სულ 13 დღეს დარჩნენ გერმანელი ოკუპანტები ფსხუში და ამ დროის განმავლობაში მთლიანად გაძარცვეს, სრულიად გააპარტახეს ეს სოფელი. გაქცევის წინ ჰიტლერელებმა თან გაიტაცეს რის წაღებაც კი მოასწრეს, ხოლო რის წაღებაც ვერ მოახერხეს დასწვეს, დაამტვრიეს და გააფუჭეს. ბევრი საცხოვრებელი სახლი ჰიტლერელებმა დაანგრიეს, მაგრამ რაც გადარჩა ისიც შიგნით დაბომბილს ჰგავდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ფაშისტმა ყაჩაღებმა სახლების კარ-ფანჯრები თოფის კონდახებით შელეწეს, წიგნებისა და ტანისამოსის კარადები გადმოაყირავეს და დაამტვრიეს, ჭურჭლეულობა, თეფშებიც კი ჩამოყარეს და დალეწეს, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსი და ქვეშსაგები, რომლის წაღებაც ვერ მოახერხეს, ნაკუწნაკუწად დასჭრეს და გადაყარეს. მოსახლეობა გაოცებული და აღშფოთებული იყო გერმანელი ოკუპანტების საშინელი მხეცობისა და საზიზღარ მოქმედებათა გამო.

ხალხი რომ ააწიოკეს, ბევრი მათგანი გაექცეს, მაგრამ ამ ცხოველებსა და ფუტკარს მაინც რაღას ერჩოდნენ, — გაოცებით კითხულობდნენ სოფ. ფსხუს მცხოვრებლები.

საქმე იმაში იყო, რომ გაქცევის რამდენიმე საათით ადრე ფაშისტმა დამპყრობლებმა ტყვიამფრქვევებით დახოცეს კოლ-

ლმეურნეობიდან და კოლმეურნეებიდან მიტაცებული ასეულობით მსხვილფეხა საქონელი, რომლის წაყვანას ოკუპანტები ვერ ასწრებდნენ. ფსხუში ხელსაყრელი პირობების გამო კოლმეურნეობას რამდენიმე ასეული ფუტკრის ოჯახი ჰყავდა. თაფლის მთელი მარაგი ჰიტლერელებმა მაშინვე დაიტაცეს, ხოლო გაქცევის წინ სკებს ტყვიამფრქვევები დაუშინეს. მთელი საფუტკრეები დაცხრილეს და გადააყირავეს. ხალხი გაკვირვებული უყურებდა ამ საშინელ სურათს და ყველას ერთი დასკვნა გამოჰქონდა — „ჰიტლერელები მხეცებზე უარესები არიან".

შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი ულამაზესი ბაღი-ქალაქის — სოხუმის დაბომბვის დროს გერმანელებმა დახოცეს ქალები, ბავშვები, დამსვენებლები. დაანგრიეს ასეული შენობა, მათ შორის საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სანატორიუმისა და კულტსაყოფაცხოვრებო შენობები. გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებში ფაშისტები ბომბებს უშენდნენ პლანტაციებში მომუშავე ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც ჩაის ფოთოლს კრეფდნენ ან თამბაქოს მოსავალს იღებდნენ.

უსაზღვრო იყო ფაშისტი ბანდიტების მხეცობა ყველგან, სადაც კი ისინი ერთი ორი დღით მაინც მოასწრებდნენ შესვლას.

ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. ჩიკოლაში რამდენიმე ფაშისტმა გააუპატიურა მასწავლებელი ქალი კრიჩმანი, შემდეგ სცემეს და დახვრიტეს იგი. მის 6 თვის ბავშვს თავი კედელზე მიახლეინეს და მოკლეს, ხოლო მისივე 12 წლის ბიჭი დახვრიტეს.

ფაშისტებმა დაანგრიეს კრასნოდარი, არმავირი, ნალჩიკი, და მთელი რიგი სხვა ქალაქები, სოფლები: აგრეთვე — მრავალი ფაბრიკა, სკოლა, თეატრი, სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა შენობა, კულტურის ძეგლი. ოკუპანტები იძულებით ამუშავებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს 16—18 საათის განმავლობაში. ავადმყოფებს, რომლებიც სამუშაოზე ვერ გამოდიოდნენ, ჯოხებით სცემდნენ, მასწავლებლებსა და ექიმებს ძალით არეცხინებდნენ იატაკს, საცვლებს, საპირ-

ფარეშოებს. განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის საშინლად აწამებდნენ და ხვრეტდნენ.

ქ. „მინერალნიე ეოდის“ განთავისუფლების შემდეგ იქ აღმოჩნდა ტანსაწინააღმდეგო არხის მარტო ერთ უბანში (სიგრძით 80 მეტრზე და სიგანით 2.5 მეტრი) 10 000-ზე მეტი გვამი საბჭოთა მოქალაქეებისა, რომლებიც ფაშისტებმა დახვრიტეს. ათი ათასობით მოქალაქენი, განსაკუთრებით ქალიშვილები ოკუპანტებმა ძალით გარეკეს გერმანიაში. მარტო პიატიგორსკიდან ძალით წაიყვანეს 15 000 საბჭოთა მოქალაქე, სოფ. სტეპნოედან (სტავროპოლის მხარე) მთელი ახალგაზრდობა 400 კაცის რაოდენობით (მათ შორის 14 — 15 წლის მოზარდები) იძულებით წაიყვანეს. ხოლო კრასნოდარის მხარის სოფ. ნოვომიშაკოვსკაიაში გერმანიაში წასვლაზე წინააღმდეგობისათვის ჰიტლერელებმა დახვრიტეს 17 წლის კორნიეენკო, 18 წლის ნესტერენკო, 28 წლის მიხაილენკო და სხვ. ფაშისტმა ბანდიტებმა სოფ. სტარომიშაკოვსკაიას 50-ზე მეტი მცხოვრები, მათ შორის ქალები ძუძუმწოვარი ბავშვებით ერთ-ერთ ფარდულში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო ვინც ცეცხლმოკიდებული ფარდულიდან გამოსელა მოასწრო ავტომატით დახვრიტეს.

ოკუპანტების თვითნებობას, ძალადობასა და მათ მიერ მოსახლეობის საყოველთაო მძარცველობას საზღვარი არ ჰქონდა. კრასნოდარის მხარის სოფ. სოვეტსკაიაში ბურგომისტრმა ვალტერმა 1942 წლის 30 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება № 15, რომლითაც მოსახლეობას უცხადებდა, რომ თითოეული მოსახლე იბეგრება გადასახადით არა მარტო მსხვილფეხა საქონელზე, არამედ ყოველგვარ ფრინველზე და ძაღლებზედაც კი. თითოეულ ძაღლზე ოკუპანტებმა დააწესეს გადასახადი 50 მან., ხოლო ვინც ამ ბეგარას დაწესებულ ვადაში არ შეიტანდა ჯარიმდებოდა 200 მანეთით.

მოძალადე ოკუპანტები გაუგონარ მხეცობამდე მიდიოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, შეურაცხყოფდნენ და აწიოკებდნენ საბჭოთა ადამიანებს. ერთ-ერთმა ფაშისტმა კოლმეურნე ქალს ვოლოშკოს წაართვა ღორი, რომელიც მარხილზე დააგდო, ხოლო მარხილში თვითონ კოლმეურნე ქალი, ღორის პატრონი შეაბა, ოკუპანტიც ზედ მარხილზე დაჯდა და აიძულა ქალი რკი-

ნიგზის სადგურამდე მარხილით ეთრია ფაშისტი გერმანელი მის მიერ მიტაცებული ღორით[27].

ფაშისტი ოკუპანტების მხრივ ძალადობას, საყოველთაო მძარცველობასა და მხეცობას იმდენად აშკარა და მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რომ თვით გერმანელებიც იძულებული იყვნენ ეღიარებინათ ეს უდავო ჰეშმარიტება.

1942 წლის 10 ნოემბერს ჩრდილოეთი ოსეთის ასსრ, გიზელის რაიონში საბჭოთა ჯარის ნაწილების მიერ ტყვედ იქნა წამოყვანილი გერმანელთა მე-13 სატანკო დივიზიის უფროსი ალფრედ მაიერი, რომელმაც განაცხადა: „რუსეთში საომარი მოქმედების დაწყებიდან გერმანიის არმიის სალდათები მიმართავენ მძარცველობასა და ძალადობას ოკუპირებული რაიონების მშვიდობიან მოსახლეობის მიმართ. ისინი ართმევენ მოსახლეობას როგორც კვების პროდუქტებს, ისე სხვა მატერიალურ ფასეულობას. ამ ბოროტმოქმედებებში სალდათებისათვის მაგალითის მაჩვენებელი იყო ჩვენი ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი კლაუსი. მას მიჰქონდა ყველაფერი, რასაც მოასწრებდა, ამასთან მძარცველობას თან სდევდა ძალადობა, ქალებისა და ბავშვების ცემა. ერთხელ მან გაგზავნა სალდათი მოხუც ქალთან რძის მოსატანად. მაგრამ ქალმა არ შეასრულა ბრძანება. მაშინ უფროსი ლეიტენანტი თვითონ წავიდა. სასტიკად ცემა მოხუცი ქალი და წაართვა მას ყველაფერი, რის წამოღებაც კი შეიძლებოდა. ასეულში პოლიტმეცადინეობაზე კლაუსი ასწავლიდა სალდათებს მოსახლეობის მიმართ სასტიკ მოპყრობას. ის ამბობდა: „ეს ცხოველები ყველგან დაყოველთვის ჩვენს მათრახს უნდა გრძნობდნენო". „ჩვენდა სამარცხვინოდ მე უნდა ვაღიარო, რომ ამ ომში გერმანიის არმია არის მკვლელების, მძარცველებისა და მოძალადეთა არმია"[28].

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციები წარმატებით გრძელდებოდა. გამხეცებული მტერი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს მონობისა და ჩაგვრის უღლით ემუქრებოდა, უკუგდებულ იქნა შორს კავკასიის მთე-

---

[27] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 20, გვ. 95, 96, 111, 124.
[28] იქვე, გვ. 99, 100.

ბის მისადგომებიდან და უკან იხევდა საბჭოთა არმიის ძლიერი დარტყმის შედეგად. არმიისა, რომლის რიგებშიაც დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ საქართველოს, სომხეთის, აზრებაიჯანისა და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების შვილები. ჩვენი არმიის ნაწილები, მებრძოლები და მეთაურები მასობრივი გმირობის მაგალითებს იძლეოდნენ.

ქართველი ხალხის ბევრმა სახელოვანმა შვილმა თავისი სიცოცხლე შესწირა კავკასიის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. ბევრმა ქართველმა მებრძოლმა და მეთაურმა თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების დროს ლეგენდარული გმირობა გამოიჩინა და მარად უკვნობი სახელი მოიხვეჭა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ყუბანში სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა. ჩვენი მეომრები სასტიკი ბრძოლებით ათავისუფლებდნენ ოკუპანტებისაგან თითოეულ მეტრ საბჭოთა მიწას.

მწერალი პ. პავლენკო იმ დღეებში წერდა: „ფრონტის ვიწრო უბანზე მოქმედებდა თავისი მებრძოლებით უმცროსი ლეიტენანტი პეტროშვილი, მაგარი და დინჯი კახელი. ფრონტის ის უბანი, სადაც იბრძოდა უმცროსი ლეიტენანტი პეტროშვილი ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო იყო... პეტროშვილის ოცეულს ხელთ ეპყრო დიდი გამარჯვების გასაღები და მებრძოლებს ესმოდათ, რომ ეს იერიში მათი ბოროდინოა, მათი სტალინგრადია. გერმანელები განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდნენ ამ უბანს. ბრძოლების მსვლელობაში პეტროშვილი ორივე ხელებზე დაიჭრა. ჭრილობები სასიკვდილო არ იყო, მაგრამ მას მეთაურის მოვალეობის შესრულება უკვე აღარ შეეძლო... პეტროშვილმა მოიხმო თავისი ძველი მებრძოლი ამხანაგი აკოპ ავაკიანი, გამოცდილი მებრძოლი და ოცეული მას ჩააბარა. პეტროშვილს ჭრილობები შეუხვიეს... ის უნდა გაეგზავნათ ზურგში, მაგრამ მას არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა მიეტოვებინა ოცეული გადამწყვეტი იერიშის დროს. ოცეული წინ მიიწევდა... შეუმჩნეველად, ჩირგვებით პეტრროშვილი ხოხვით მივიდა მტრის ძელმიწურთან და ძოულოდნელად თავისი ტანით დაფარა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ამბრაზურა. მეთაურის თავგანწირვამ, რომ ეხსნა

მებრძოლთა სიცოცხლე, შთამაგონებლად იმოქმედა საბჭოთა მებრძოლებზე და ისინი მიდიოდნენ წინ ისე, რომ არ იცოდნენ რა არის შიში და საშიშროება. პეტროშვილის გმირული მოქმედება გამარჯვების გზას უხსნიდა მებრძოლთ"[29].

ქართველ მებრძოლებს აღაფრთოვანებდა სტალინგრადისა და მოსკოვის დამცველთა უმაგალითო გმირობა; მარად უკვდავი, 28 გვარდიელი პანფილოველის ლეგენდარული გმირობა, რომლებმაც თავიანთი მკერდით გადაუღობეს მტერს მოსკოვის გზა.

საქართველოს მამაც შვილებს თავდადებისაკენ მოუწოდებდნენ ჩვენი ლეგენდარული გმირის გიორგი საკაძის, კუტუზოვის სახელოვანი თანამებრძოლის ბაგრატიონის, სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირების ორჯონიკიძისა და „ქართველი ჩაპაევის" კიკვიძის უკვდავი სახეები.

მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი პოლიტხელმა ლურსმანაშვილმა, რომლის 4 ძმა სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის გმირის ლურსმანაშვილის მებრძოლებმა უშიშართა სახელი მოიხვეჭეს კავკასიის დამცველთა შორის. ისინი პირველნი მიდიოდნენ შეტევაზე და ყველაზე ბოლოს გამოდიოდნენ ბრძოლიდან. მოულოდნელი თავდასხმით, გაბედული და სწრაფი იერიშით ისინი ყოველთვის ამარცხებდნენ გერმანელ ფაშისტებს. ლურსმანაშვილმა 19-ჯერ წაიყვანა თავისი მებრძოლები იერიშზე და ამდენჯერვე გამარჯვება მიუმატა მან კავკასიის დამცველთა გამარჯვებებს. ყველაზე ბრწყინვალე ბრძოლები ჩაატარა ლურსმანაშვილმა ბალყარეთის მთებში... 27 ქართველი მებრძოლით შეიჭრა ლურსმანაშვილი სოფელში. მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში მათ ჭაანადგურეს მტრის ბატალიონი, დაიპყრეს ფაშისტების შტაბი. ჩვენი მებრძოლები დაიყენენ ჯგუფებად და აიძულეს გერმანელები ჩაბმულიყვნენ ხელჩართულ ბრძოლაში. ლურსმანაშვილის მებრძოლებმა ხელჩართული ბრძოლის იშვიათი ხელოვნება უჩვენეს. ამ ბრძოლაში მარტო ერთმა ჯგუფმა ლაპიაშვილის, გვახარიასა და

---

[29] Героические сыны Грузинского народа, 1943, გვ. 84—86.

ქელეხსაშვილის შემადგენლობით მოსპო გერმანელ დამპყრობთა 44 სალდათი და ოფიცერი.

კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლების მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ალექსი პირმისაშვილის ბატარეამ მოსპო 1884 გერმანელი სალდათი და ოფიცერი, 6 ტანკი, 80 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, ააფეთქა რამდენიმე ათეული ძელმიწური და გადასასვლელი. ერთ-ერთ ბრძოლაში პირმისაშვილის ქვემეხმა მანქანასთან ერთად მოსპო გერმანელთა სატანკო დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ფონ მაკკი. მისი შტაბის უფროსი გრაფი ფონ გაგენი და მთელი მისი ამალა. მაჩაბლის ბატარეასთან მოულოდნელად გამოჩნდა გერმანელთა 60 მეავტომატე. მაშინ მაჩაბელი და კიდევ 4 უშიშარი ქართველი მებრძოლი ხელყუმბარებით გაემართნენ მტრის წინააღმდეგ. ქართველმა მებრძოლებმა რამდენიმე წუთში მოსპეს 40 ოკუპანტი, დანარჩენები გაიქცნენ. პირმისაშვილის არტილერისტებმა მარტო ერთ ბრძოლაში 500-მდე გერმანელი სალდათი და ოფიცერი მოსპეს. ალექსი პირმისაშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[30].

ქართველი ხალხის სახელოვან შვილთა შორის, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას, მუდამ დაუვიწყარი იქნება კაპიტან ბუხაიძის სახელი. გადამწყვეტ ბრძოლაში კაპიტანი ბუხაიძე უშიშრად მიუძღოდა წინ თავის მებრძოლებს. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ დაიჭრა, მან არ დასტოვა ბრძოლის ველი. თავისი მამაცობით, პირადი მაგალითით ის აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, მიჰყავდა ისინი გამარჯვების გზით, სანამ მტრის ნაღმმა არ შესწყვიტა სამშობლოს ამ უსაზღვრო პატრიოტის სიცოცხლე. კაპიტან ბუხაიძის გმირობაზე პოეტი ირაკლი აბაშიძის მიერ დაწერილი შესანიშნავი ლექსი ჩვენი ხალხის სასიმღერო რეპერტუარში შეიდა.

კავკასიის მთების კალთებზე ხელჩართულ ბრძოლებში კაპიტან იაშვილისა და ლეიტენანტ რუსაძის ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის მრავალგზისი იერიში. პოლიტხელი კანკავა ტრიალებდა მებრძოლთა შორის ყველაზე საშიშ ადგილებზე.

---

[30] Героические сыны Грузинского народа. 1943, გვ. 11, 17.

მას არ აშინებდა მტრის ჭარბი ძალები. მისი სიმტკიცე ვერ შეარყია მტრის ცეცხლის გრიგალმა. მებრძოლთა და მეთაურთა მეგობრული, ერთსულოვანი გმირობით გატეხილ იქნა მტრის წინააღმდეგობა. სახელოვანმა საბჭოთა მეომრებმა ბრძოლის ველი მოჰფინეს 250-ზე მეტი ჰიტლერელთა გვამით, ამასთან ერთად მოსპეს მტრის 6 ტანკი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი და გმირთა სიკვდილით დაეცა ვლ. კანკავა, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა[31].

გმირულად იბრძოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ კავკასიაში ბატარეის მეთაურის მოადგილის პოლიტნაწილში ნეერო მეგრელიშვილის არტილერისტები. მეგრელიშვილის 6 ძმა სამამულო ომის ფრონტზე იყო. სამი ძმა მეგრელიშვილები—ნეერო, მირონი და პოლიო თავიანთი მკერდითა და სისხლით იცავდნენ კავკასიას.

ყუბანში მწვავე ბრძოლების დროს თავი ისახელა წითელარმიელმა კომუნისტმა ფ. ლეგაშვილმა. ერთხელ თავისი ტყვიამფრქვევიდან მან 20 ფაშისტი მოსპო. მიუხედავად იმისა რომ ლეგაშვილი დაიჭრა, მან ამხანაგები არ მიატოვა და თავისი ტყვიამფრქვევით ჩვენს მეომრებს წინსვლა გაუადვილა.

მაიორმა რევაზ გაბარაევმა, რომელიც 8-ჯერ იყო დაჭრილი ფრონტზე, განსაკუთრებული მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინა კავკასიის დაცვაში. ის თავისი პოლკით იცავდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას. გერმანელები ორჯერ მეტი ძალებით უტევდნენ გაბარაევის პოლკს, მაგრამ მტერი უკუგდებულ იქნა. მესამე დღეს კი გაბარაევის უნარიანი ხელმძღვანელობით და ჩვენი მებრძოლების თაედადებით მტრის ჭარბი ძალები დამარცხებულ იქნენ. ჩვენმა მეომრებმა ხელთ იგდეს მტრის 6-ლულიანი ნაღმტყორცნი, 30 ტყვიამფრქვევი, 60 ცხენი, 4 რადიოსადგური, 18 კილომეტრი ტელეფონის კაბელი და სხვა. ჰიტლერელებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს მარტო მოკლულთა სახით 600-მდე სალდათი და ოფიცერი[32].

---

[31] Героические сыны Грузинского народа, 1943, გვ. 53.
[32] იქვე, გვ. 106

ქართველ მეომართა შესანიშნავი გმირობის ბევრი ფაქტი იყო. ყველგან—ხმელეთზე. ზღვასა და პაერში საბჭოთა არმიის ყველა სახეობის ნაწილებში საქართველოს სახელოვანი შვილები თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად.

სტალინგრადთან გერმანელთა შერჩეული ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემორტყმა და განადგურება, საბჭოთა ჯარების შეტევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, ძლიერი დარტყმები, რაც გერმანელებმა იგემეს კავკასიაში, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა და მთელი რიგი სხვა ბრწყინვალე ოპერაციები, რაც ჩვენმა ჯარებმა უდიდესი ორგანიზებულობით განახორციელეს, ამ იშვიათმა მოვლენებმა მთელს მსოფლიოს გადაუშალა არაჩვეულებრივი სურათი საუცხოოდ განხორციელებული, გრანდიოზული შეტევისა, რომლის მსგავსი ისტორიაში არ ყოფილა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ოკუპირებული ქალაქებისა და რაიონების განთავისუფლების დროს საბჭოთა მებრძოლებისა და მეთაურების წინაშე იშლებოდა ჰიტლერელთა მიერ ჩადენილი ზხეცობის საშინელი სურათები. ეს აღანთებდა საბჭოთა მეომრებს თავგანწირული ბრძოლებისათვის, რომ შური ეძიათ კაცობრიობა ჰიტლერელებზე საბჭოთა ადამიანების მიმართ ძალადობის, მათი წამებისა და უკიდურესი დამცირებისათვის. საბჭოთა ჯარებს ყოველმხრივ ხელს უწყობდა და აქტიურად ეხმარებოდა მთელი მოსახლეობა.

კავკასიის დაცვის პერიოდში, როგორც თავდაცვითი ბრძოლების, ისე შეტევითი ოპერაციების განხორციელების დროს, ჩვენს ჯარებს დიდ დახმარებას უწევდნენ სახალხო შურისმგებლები — საბჭოთა პარტიზანები. ისინი აწარმოებდნენ მტრის ძალების დაზვერვას, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ ოკუპანტების ცალკეულ ნაწილებს, მათ გარნიზონებს, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მტრის ზურგში, მოსახლეობას აძლევდნენ სწორ ინფორმაციას ფრონტზე მდგომარეობის შესახებ და ხელს უწყობდნენ საბჭოთა ჯარების წინსვლას.

კავკასიაში პარტიზანული მოძრაობის კიდევ უფრო გაძლიერებისა და მათი მოქმედების კოორდინაციის მიზნით 1942

წლის დეკემბერში შეიქმნა სპეციალური შტაბები და პარტიზანული მოძრაობის ოპერატიული ჯგუფები, რომლებსაც სელმძღვანელობდნენ ამხანაგები: სუსლოვი — ორჯონიკიძის ოლქში, ივანოვი — ჩრდილოეთ ოსეთში, ტიმოშენკო — კრასნოდარის მხარეში[33].

საბჭოთა ჯარების ძლიერი და შეუნელებელი დარტყმების შედეგად მტერი უკან იხევდა, სტოვებდა რა ბრძოლის ველზე, თავის სამხედრო ტექნიკას, დაჭრილ სალდათებსა და ოფიცრებს. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები თებერვლის დასაწყისში აზოვის ზღვისაკენ გავიდნენ და სამხრეთის ფრონტის ჯარების დახმარებით გზა გადაუღობეს ჰიტლერელთა კავკასიის დაჯგუფებას. ჩვენმა ჯარებმა 30 დღის განმავლობაში ბრძოლით გაიარეს 700 კილომეტრი. მაის-აგვისტოს თვეების განმავლობაში ჩვენი ჯარები ახდენდნენ ნაწილების სათანადო დაჯგუფებას, აუმჯობესებდნენ თავიანთ პოზიციებს და ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტევისათვის ტამანის ნახევარკუნძულზე გერმანელთა დაჯგუფების გასანადგურებლად.

ქართულმა ნაწილებმა, ქართველმა მებრძოლებმა და მეთაურებმა თავი გამოიჩინეს როგორც კავკასიაში თავდაცვითი ბრძოლების, ისე შეტევითი ოპერაციების განხორციელების დროს. დიდი იყო ქართველი ხალხის მონაწილეობა ჩრდილოეთ კავკასიისა და კრასნოდარის მხარის ჰიტლერელებისაგან გათავისუფლების საქმეში; ყუბანის ველებში, ნოვოროსიისკთან და ტამანის ნახევარკუნძულზე მტრის განადგურებაში.

1943 წლის 10 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს შეტევითი ოპერაციები ნოვოროსიისკთან. გენერალ კ. ლესელიძემ დიდი წარმატებით და გმირულად განახორციელა ე. წ. მცირე მიწაზე, ხაკოს კონცხზე დესანტის გადასხმის ოპერაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნოვოროსიისკის განთავისუფლებისათვის. სამხედრო შენაერთებმა გენერალ ლესელიძის მეთაურობით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი ზღუდე ნოვოროსიისკთან, რომელსაც ჰიტლერელები მთელი წლის განმავლობაში ამაგრებდნენ, ხუთი დღის ბრძოლე-

---

[33] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 7, საქ. 32, გვ. 7.

ბის შედეგად გაანადგურეს მოწინააღმდეგის ოთხი დივიზია და რამდენიმე სპეციალური ნაწილი, იერიშით აიღეს ქალაქი ნოვოროსიისკი. ამ ქალაქთან გამართული ბრძოლების დასახასიათებლად საკმარისია მოვიგონოთ, რომ ლესელიძის ნაწილებმა მარტო შეტევის პირველ დღეს გერმანელებს თავს დააყარეს 100 000-ზე მეტი ყუმბარა და ნაღმი.

ნოვოროსიისკის განთავისუფლებამ გადაწყვიტა მოწინააღმდეგის ბედი ტამანის ნახევარკუნძულზე. რაც გერმანელებს მიუვალ სიმაგრედ მიაჩნდათ და საიდანაც კავკასიაზე ახალი შემოტევის მოწყობაზე ოცნებობდნენ.

ქვეითი ჯარების შეტევასთან ერთად შავი ზღვის სამხედრო ფლოტმა (სარდალი ფ. ს. ოქტიაბრსკი) ნოვოროსიისკში გადმოსხა საზღვაო დესანტი. ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან საბჭოთა არმიის, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის კომბინირებული დარტყმის შედეგად გატეხილ იქნა მტრის გააფთრებული წინააღმდეგობა და 16 სექტემბერს ნოვოროსიისკი განთავისუფლებულ იქნა ფაშისტ დამპყრობთაგან. მალე 414-ე ქართულმა დივიზიამ (მეთაური გენერალი ყურაშვილი) ფაშისტებისაგან გაანთავისუფლა ანაპა და „ანაპის დივიზიის“ საპატიო სახელწოდება ღაიმსახურა. ეს დივიზია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ტუაპსესა და ნოვოროსიისკთან გამართულ ბრძოლებში, ტამანის ნახევარკუნძულზე მტრის განადგურებაში, ხოლო შემდეგ, ჰიტლერელებისაგან ყირიმის განთავისუფლებაში. ამ დივიზიის მებრძოლებიდან და მეთაურებიდან ბევრმა ისახელა თავი მტერთან ბრძოლაში. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პოლკის მეთაურებმა—პოლკოვნიკმა ქანთარიამ, პოდპოლკოვნიკებმა ფროლოვმა და მანაგაძემ; დივიზიის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში პოდპოლკოვნიკმა ჯანჯღავამ, კაპიტანმა დავითულიანმა და ბევრმა სხვამ.

სექტემბერსა და ოქტომბრის დასაწყისში სასტიკი ბრძოლები წარმოებდა ტამანის ნახევარკუნძულზე. გერმანელები ძლიერ ებღაუჭებოდნენ და არავითარ შემთხვევაში არ უნდო-

დათ ამ პლაცდარმის დატოვება. დიდი ხნის განმავლობაში აქ მათ მოაწყეს სერიოზული ზღუდეები, ე. წ. „ცისფერი ხაზი" კაპიტალური საინჟინერო ნაგებობებით, რომლებსაც მიუვალ სიმაგრედ თვლიდნენ და შეუპოვრად იცავდნენ. საბჭოთა ჯარები წინასწარ, სათანადო მომზადების შემდეგ გადავიდნენ ძლიერ შეტევაზე და მასირებული დარტყმით დაანგრიეს მტრის უკანასკნელი სიმაგრე კავკასიაში—„ცისფერი ხაზი".

შავი ზღვის ფლოტმა გადმოსხა დესანტი, საბჭოთა ავიაცია აწყობდა განუწყვეტელ თავდასხმას მტერზე. ამრიგად, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის დახმარებით, 9 ოქტომბერს დაამთავრა გერმანელი ოკუპანტების განადგურება ტამანის ნახევარკუნძულზე.

ტამანის ნახევარკუნძული მთლიანად გაწმენდილ იქნა ჰიტლერელებისაგან. ლიკვიდირებულ იქნა ოპერატიული თვალსაზრისით მტრის მნიშვნელოვანი პლაცდარმი ყუბანში. ფაშისტები მას იყენებდნენ ყირიმის დაცვაში, აგრეთვე ფიქრობდნენ, რომ შესძლებდნენ ძალების ხელახლა შეკრებას და მოხერხებულ დროს შეტევის კვლავ განვითარებას კავკასიისაკენ. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა ჩაშალეს ჰიტლერელთა ეს გეგმა. კავკასიის დაცვაში მაღალმთიან უღელტეხილებზე, ორჯონიკიძესთან, ტუაპსესთან, ნოვოროსიისკთან და ტამანის ნახევარკუნძულზე გადამწყვეტ ბრძოლებში ბევრმა ქართულმა ნაწილმა, მებრძოლმა და მეთაურმა მოიხვეჭა უჭკნობი სახელი და ლეგენდარული გმირობით ასახელა თავისი ხალხი.

(კავკასიისათვის 15 თვის გააფთრებული ბრძოლა საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვებას უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ტამანის ნახევარკუნძულზე მტრის დიდ დაჯგუფებათა ლიკვიდაციით შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საბჭოთა ჯარების შემდგომი ფართო შეტევითი ოპერაციების განვითარებისათვის.)

3. საქართველოს მშრომელთა თავდადებული მუშაობა კავკასიაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეტევითი ოპერაციების პერიოდში

სტალინგრადთან გადამწყვეტ ბრძოლებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებამ შექმნა ხელსაყრელი წინაპირობები საბჭოთა არმიის წარმატებებისათვის დანარჩენ ფრონტებზე და პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე.

კავკასიის მისადგომებზე ფაშისტ დამპყრობთა ლიკვიდაცია. ამჟრკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ბრწყინვალე გამარჯვებები იმას მოწმობენ, რომ კავკასიაში ძლიერი და მუხანათი მტრის განადგურება განხორციელებულ იქნა საერთო ძალებით, სხვადასხვა ფრონტების ურთიერთმოქმედებით და დახმარებით.

კავკასიისათვის გმირული ბრძოლა წარმოადგენდა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მთელი საბჭოთა ხალხისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების საერთო ბრძოლის შემადგენელ და განუყრელ საწილს. საბჭოთა არმიას უდიდეს ძალას აძლევდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და ის გადამწყვეტი პირობა, რომ ჩვენი არმია ეყრდნობოდა მტკიცე საბჭოთა ზურგს, მას მხარს უჭერდა მთელი საბჭოთა ხალხი.

თანამედროვე ომების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების ბედი წყდება არა მარტო უშუალოდ ფრონტებზე, არამედ ზურგშიაც.

ომი,—როგორც გეასწავლის ვ. ი. ლენინი,—არის თითოეული ერის ყველა ეკონომიური და ორგანიზაციული ძალის გამოცდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის მიუთითებდნენ მტკიცე და ორგანიზებული ზურგის უდიდეს მნიშვნელობაზე ომის წარმოებისათვის.

„ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტკიცე, ორგანიზებული ზურგი. ყველაზე საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი არ იქნებიან საკმარისად შეიარაღებული, სურსათით მომარაგებულნი, გაწ-

რთვნილნი. ეს იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არ საჭიროებს"[31].

სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდან კომუნისტური პარტია თავის დირექტივებში მიუთითებდა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია ყველაფერი, რაც საჭიროა ვერაგი და ძლიერი მტრის გასანადგურებლად.

კომუნისტური პარტია ყოველგვარი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების დროს ეყრდნობა მუშათა კლასს, მშრომელ მასებს. პარტიის ძალა და უძლეველობა მდგომარეობს მის ყოველდღიურ და მჭიდრო კავშირში ხალხის ფართო მასებთან.

ომის პირობები მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის კიდევ უფრო დარაზმვას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაშალეს ფართო იდეური და ორგანიზატორული მუშაობა ხალხთა მასების ყველა ძალის მობილიზაციისათვის ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

საქართველოს მშრომელები საბჭოთა ჯარების როგორც თავდაცვითი ბრძოლების, ისე შეტევითი ოპერაციების დროს ყველაფერს აკეთებდნენ მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად. ასეული ათასობით თავისი საუკეთესო შვილი ქართველმა ხალხმა გაგზავნა სამამულო ომის ფრონტებზე. ბევრი მათგანი უშუალოდ კავკასიას იცავდა. უზარმაზარ ფრონტზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე ქართველი მამაცი პატრიოტები საბჭოთა ჯარების სხვადასხვა გვარეობის ნაწილებში თავდადების სწორუპოვარ მაგალითებს იძლეოდნენ. მრავალი იყო შემთხვევა, როცა ერთი ოჯახიდან მამა და შვილები ან ყველა სრულწლოვანი ძმა იარაღით ხელში იბრძოდა გაშმაგებული მტრის წინააღმდეგ. წითელარმიელი ავქსენტი კიკალეიშვილი და მისი შვილი უფროსი ლეიტენანტი იოსები ერთ ნაწილში ერთად იბრძოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, როგორც ძველთაგანვე იბრძოდნენ ქართველი მამები და შვილები სამშობლოს დასაცავად. კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში გაზ. „პრავდა"

---

[31] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 72—73.

წერდა: „ჩვიდძეტი ძმა იყო ქართველი კოლმეურნე აბესაძის ოჯახში, თოთხმეტი მათგანი იბრძვის სამამულო ომის ფრონტებზე. შინ დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანნი. ქეეითი ვლადიმერ აბესაძე და კავალერისტი ლადო ლენინგრადს იცავენ, მესაზღვრე ვანო დასავლეთის ფრონტზე იბრძვის, ბეზენიტე ვასილი შავი ზღვის ფლოტში მსახურობს, არჩილი, თედო, შაქრო და კიდევ შვიდნი ძმანი მთებში იბრძვიან და იცავენ თავის მშობლიურ კავკასიას. თავის საყვარელ საქართველოს, თავის საბჭოთა სამშობლოს"[29].

ქართველ ხალხს კარგად ესმოდა კავკასიის ფრონტის მნიშვნელობა სამამულო ომში და ყველა საშუალებით ეხმარებოდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც კავკასიას იცავდნენ. საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სძლევდნენ ყველა სიძნელეს და ყოველდღიურად აძლიერებდნენ ფრონტისადმი დახმარებას. .

კომუნისტური პარტია გამარჯვების რწმენას ამტკიცებდა საბჭოთა ადამიანების შეგნებაში. არასოდეს, მაშინაც კი, როცა პირსისხლიანი ფაშისტები კავკასიის მთებს და უშუალოდ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ, ქართველ ხალხს არ დაუკარგავს ჩვენი გამარჯვებისა და ვერაგი მტრის განადგურების მტკიცე რწმენა. ქართველი ხალხისათვის იმ მეტად მძიმე და კრიტიკულ დღეებში გაზ. „პრავდა" წერდა: „საქართველოს ათასწლოვანი ისტორია ეს არის თავისუფლებისათვის მგზნებარე ბრძოლის ისტორია, ეს არის ისტორია შეუპოვარი ბრძოლისა დიდი კულტურისათვის, რომელიც ქართველმა ხალხმა მზრუნველობით გამოატარა ყველა ისტორიულ განსაცდელში. განა შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ ქართველი ხალხის ყველა მონაპოვარი, რომ ყველა მისი საუკუნეობრივი ოცნება, რაც სინამდვილედ იქცა, ჰიტლერის ტირანიამ წაშალოს? არა, ეს წარმოუდგენელია და არც არასოდეს არ მოხდება"[30].

ჩვენი ჯარები წარმატებით ახორციელებდნენ კონტრშეტევას, რაც ემყარებოდა ომის მსვლელობაში საბჭოთა ქვეყნის გაზრდილ სამხედრო ეკონომიურ ბაზას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო ძლიერებას.

---

[29] გაზ. „პრავდა", მეთაური წერილი, 1942 წ. 14 ოქტომბერი.
[30] გაზ. „პრავდა", მეთაური წერილი, 1942 წ. 6 სექტემბერი.

სოციალისტური ხუთწლედების პერიოდში შექმნილი მძიმე მრეწველობა საშუალებას იძლეოდა ომის წლებში საბჭოთა არმია შეიარაღებულიყო ყველა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით.

საქართველოს მშრომელები დღითი დღე აძლიერებდნენ ფრონტისადმი დახმარებას. ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა მთლიანად შეფარდებული იყო ომის საჭიროებასთან. ამ საწარმოებში აღიზარდნენ ახალი კადრები, რომელთაგან ბევრი ომში წავიდა, მაგრამ ისინი სხვებმა შესცვალეს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმოების მუშები აძლიერებდნენ მუშაობის ტემპებს, ისინი მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ დიდი ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ ომის დროს ყველაფერი უნდა კეთდებოდეს „ომის დროის სისწრაფით", რადგან ყოველგვარი დაყოვნება სიკვდილს უდრის. ჩვენს ქვეყანაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფართოდ იყენებ ჩაბმულნი საქართველოს მშრომელები. სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოავლინა შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდის უდიდესი შესაძლებლობა. სტახანოველები ამსხვრევდნენ ძველ ნორმებს, ამყარებდნენ უფრო მაღალ ნორმებს, გამოჩნდნენ ომის პერიოდის სტახანოველებიც კი, რომლებიც 2—3 და 10 ნორმას ასრულებდნენ.

1942 წელს, თავდაცვის სახალხო კომისრის ი. ბ. სტალინის საპირველმაისო ბრძანების საპასუხოდ, მთელ ჩვენს ქვეყანაში ახალი ძალით გაიშალა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. მრეწველობის ყველა დარგში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ამ ძლიერი სახალხო მოძრაობის სათავეში იდგნენ კომუნისტები და კომკავშირელები, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებას, რაც 1942 წელს გაიშალა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის დაიწყო იმ მომენტში, როცა ჩვენი ეკონომიკის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ცენტრალური ამოცანა იყო მთელი საწარმოო სიმძლავრის ათვისება, პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდება, როცა ომის პირველი პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა და საბჭოთა არმია აგროვებდა საჭირო ძალებსა და რეზერვებს გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლისათვის. სოციალისტური შეჯიბრე-

ბის მონაწილენი ვალდებულებას იღებდნენ არა მარტო შეესრულებინათ, აღემატებულად საგრძნობლად გადაეჭარბებინათ გეგმები, გაეადიდებინათ შრომის ნაყოფიერება, გაეწიათ მასალების, საწვავის უმკაცრესი ეკონომია და შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელობით კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულიყვნენ მშრომელთა ფართო მასები. ომის დროს სტახანოველები ხალხის ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ფრონტისადმი დასახმარებლად მშრომელთა დარაზმვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და წარმოებებზე ოპერატიული ხელმძღვანელობის საქმეში მოწინავეთა რიგებში იდგნენ თბილისის პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც სწრაფად გადმოქონდათ მოსკოვის პარტორგანიზაციების მდიდარი გამოცდილება და ეფექტიურად იყენებდნენ მას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ფაბრიკა-ქარხნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შრომის უკეთესი ორგანიზაციის, საწარმოოთა მთელი სიმძლავრის მთლიანად გამოყენების, ეკონომიის მკაცრი რეჟიმის გატარებას, ადგილობრივი რესურსების გამოვლინებისა და მათი რაციონალურად გამოყენების საკითხებს. მთელმა რიგმა საწარმოებმა მოკლე დროში შეცვალეს თავისი პროფილი, წარმატებით აითვისეს ახალი სახის თავდაცვითი პროდუქციის გამოშვება. კომუნისტები და კომკავშირელები იჩენდნენ ინიციატივას რაციონალურ წინადადებათა დანერგვის, ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებისა და ფრონტის სპეციალური შეკვეთების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ფაბრიკა-ქარხნების უზრუნველყოფა მუშახელითა და კვალიფიციური ხელოსნებით. მოკლე დროში თბილისის ძირითად წარმოებებს, ვაგონსარემონტო ქარხანას, კიროვისა და 26 კომისრის სახელობისა და სხვა ქარხნებს 200 კვალიფიციური მუშა დაუბრუნდა ნებაყოფლობით

იმ მუშების რიცხვიდან. რომლებიც მოხუცებულობის, ან სხვა მიზეზების გამო. წარმოებიდან იყვნენ წასულნი.

ომში წასულთა შესაცვლელად დიდი მნიშვნელობა ჰქონა და ქალთა შრომის გამოყენებას. ამ მიმართულებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს. 1942 წლის აპრილში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა სპეციალურად განიხილა წარმოებებში ქალთა შრომის გამოყენების საკითხი. მარტო ორი თვის განმავლობაში რაიონული პარტორგანიზაციების მიერ 23 საწარმოში გაგზავნილ იქნა სამუშაოდ 1340 ქალი; მათ შორის: ლენინის სახელობის რაიონში —210, სტალინის სახელობის რაიონში—255, ოქტომბრის სახელობის რაიონში—81, ორჯონიკიძის სახელობის რაიონში—263, კიროვის სახელობის რაიონში—45, ხოლო 26 კომისრის სახელობის რაიონში—460 ქალი. ამათ გარდა, იმავე პერიოდში თვით წარმოებებმა თავიანთი ინიციატივით ჩააბეს მუშაობაში 252 ქალი. სამუშაოზე გაიგზავნა ქალაქის მოსახლეობიდან 600 კაცი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიაში მტრის განადგურების საქმეში[37].

ომში წასულთა შესაცვლელად წარმოებაში ჩაბმული ახალი მუშები, ქალები, ახალგაზრდები იძლეოდნენ თავდადებული მუშაობის ნიმუშებს. ახალგაზრდული, ფრონტული ბრიგადების შექმნის ინიციატორები იყვნენ კომკავშირის ორგანიზაციები, რომლებიც მხარში უდგნენ პარტიულ ორგანიზაციებს ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების საქმეში.

ფაშისტური გერმანიის ყაჩაღურმა თავდასხმამ კომკავშირის ორგანიზაციებიდან მოითხოვა გაათკეცებული სიფხიზლე, ორგანიზებულობა, დისციპლინა და თავისი რიგების შემჭიდროება.

ლენინურმა კომკავშირმა ომის წლებში სავსებით გაამართლა პარტიის ნდობა. ფრონტზე და ზურგში მუშაობისა და ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადისა და სხვა ორგანიზაციები. ომის და-

---

[37] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 7, გვ. 4, 5.

წყების პირველ დღეებშივე მოსკოვის ორგანიზაციებიდან ფრონტზე წავიდა 260 000 კომკავშირელი. ლენინგრადისა და მისი ოლქის ასეულათასობით ახალგაზრდამ ომის პირველ დღეებშივე განცხადება შეიტანა ჯარში მოხალისედ წასვლის შესახებ. ლენინის ქალაქის ყოველი ათი კომკავშირელიდან ცხრა ფრონტზე წავიდა[38].

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმა თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს კომკავშირმა სამამულო ომის ფრონტზე გაგზავნა 148 137 კომკავშირელი. ისინი მიდიოდნენ იქ, სადაც საჭირო იყო ყველაზე საიმედო, გაბედული, მამაცი, დისციპლინიანი მეომრები: გვარდიულ შენაერთებში, სანაღმტყორცნო ნაწილებში, სატორპედო კატერებზე, საჰაერო-სადესანტო დანაყოფებში.

სამამულო ომის დაწყების მარტო პირველ ხანებში საქართველოს კომკავშირმა სპეციალური ნაწილების დასაკომპლექტებლად გაგზავნა რამდენიმე ათასი კომკავშირელი. მათ შორის საჰაერო-სადესანტო ნაწილებში—937, კავშირგაბმულობის ჯარებში—885, საჰაერო თავდაცვის ნაწილებში—3746, ჯარების სხვა შენაერთებში—5514. ამათ გარდა, ჯარში მოხალისედ წავიდა 13640 კომკავშირელი და საბჭოთა ჯარების რიგებში ჩადგნენ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები—137 კაცი.

კავკასიის დაცვის მძიმე პერიოდში საქართველოს კომკავშირმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები პარტიის გარშემო. ფრონტზე და ზურგში გმირული საქმიანობით კომკავშირის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა. განსაკუთრებით გაიზარდა ახალგაზრდობის ლტოლვა კომკავშირში კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში. ასე მაგალითად, 1941 წლის მეორე ნახევარში საქართველოს კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა 20 266 მოწინავე ახალგაზრდა, 1942 წელს—22 166, ხოლო 1943 წელს—38 388. სამამულო ომის პირველი სამი წლის

---

[38] იხ. М. Семенов, Орден Ленина—Комсомолу, 1954, გვ. 9.

განმავლობაში საქართველოს კომკავშირში შევიდა 100 000 მოწინავე ახალგაზრდა. ომის პერიოდში სამხედრო სწავლება გაიარა 82 000 კომკავშირელმა.

კომკავშირის ორგანიზაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ სამხედრო კომისარიატებს ფრონტისათვის ახალი შევსების მომზადების საქმეში. საქართველოს კომკავშირის ინიციატივით შეიქმნა 667 სამხედრო სასწავლო პუნქტი, დამზადდა 30 000 სასწავლო ხელსაწყო, პოლიტხელმძღვანელებად გამოიყო 535 კომკავშირული მუშაკი. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სისტემაში ახალგაზრდობისათვის სამხედრო სპეციალობათა შესასწავლად შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები, სადაც მომზადდა: 3990 ნაღმტყორცნელი, 3777 მეტყვიამფრქვევე, 3581 მეავტომატე, 3300 ტანკის გამანადგურებელი, 8290 სამთო მსროლელი, და სხვა, სულ— 24 000 კაცზე მეტი.

1942—1944 წლებში მედიცინის დებად მომზადებულ იქნა 6479 კომკავშირელი ქალი. ამავე პერიოდში სამხედრო სწავლება გაიარა 71671 კომკავშირელმა, 1943 წელს მომზადებულ იქნა 1100 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, ხოლო ომის პერიოდში საჰაერო და ქიმიური თავდაცვის ნორმები ჩააბარა 170 000 კაცმა. საბჭოთა არმიისათვის კადრების მომზადების საქმეში აქტივობისათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით წითელი არმიის ფრიადოსნის ნიშნით დაჯილდოებულ იქნა 30 კაცი, საქართველოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაკები[39].

საწარმოებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში მომუშავე ქართველი ახალგაზრდობა ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა დედა სამშობლოს. 1942 წლის თებერვალში სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მომუშავე 257 კომკავშირელიდან 104 კაცი 200—300%-ით ასრულებდა საწარმოო დავალებას. სავაგონო დეპოს კომკავშირელებმა გეგმის ზეკით რემონტიდან გამოუშვეს 10

---

[39] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 7, გვ. 2, 3.

ორთქლმავალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდულ ბრიგადების შრომითი მამაცობა. ლენინის რაიონის ქარხნებში 200 ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობდა. ისინი 2-3 ნორმას ასრულებდნენ. მათ გეგმის ზევით სამშობლოს მისცეს 1 080 356 მანეთის თავდაცვითი პროდუქცია, ამავე დროს დაზოგეს 718 151 კილოვატსაათი ელექტროენერგია და შეაგროვეს 639 ტონა ლითონის ჯართი; ამ ბრიგადებიდან 84-მა ფრონტული ბრიგადის სახელი დაიმსახურა. ფრონტულმა ბრიგადებმა შრომის საუკეთესო ორგანიზაციისა და მუშაობის ნაყოფიერების მკეთრად გადიდების შედეგად 500 ახალგაზრდა გაათავისუფლეს სხვა სამუშაოებზე გამოსაყენებლად.

კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით საქართველოს ფაბრიკებსა და ქარხნებში 925 ახალგაზრდული და 351 ფრონტული ბრიგადა იყო შექმნილი. აღნიშნულ ბრიგადებში 4912 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა მუშაობდა. მათ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს წარმოების ტექნიკის ათვისებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 23 წლისთავისა და საბჭოთა არმიის 26 წლისთავთან დაკავშირებით გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მარტო ორი თვის განმავლობაში რესპუბლიკის მუშა-ახალგაზრდობამ სამშობლოს გეგმის ზევით 15 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა.

სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა მუშების ტექნიკურ სწავლებას და შრომითი რეზერვების სისტემაში კადრების მომზადებას. მარტო 1943 — 44 წლებში ტექნიკური სწავლება გაიარა 16 000 მუშამ, თანრიგი აიმაღლა 20 077 მუშამ. ომის პერიოდში სახელოსნო სასწავლებლებმა საწარმოებს 20 000 მუშა შემატეს, რომელთაც სამშობლოს მისცეს 23 749 600 მანეთის პროდუქცია. სამამულო ომის წლებში საქართველოს საწარმოებში სამუშაოდ მოვიდა 4000-ზე მეტი კომკავშირელი ქალიშვილი.

ახალგაზრდა ხარატი ხიზანიშვილი ომამდე გეგმას 120%-ით ასრულებდა, ხოლო 1944 წლისათვის — 700 — 750%-ით. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდა მუშების შრო-

მის ნაყოფიერება ომამდე საშუალოდ 105 — 115%-ს შეადგენდა, ხოლო 1944 წელს — 500 — 600%-ს.

კიროვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდულ ბრიგადებში მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების 25%-ით გაზრდის შედეგად ამ ბრიგადებმა მიაღწიეს მუშახელის რიცხობრივი შემადგენლობის შემცირებას, რამაც შესაძლებელი გახადა ქარხნის სხვა საამქროებისათვის ჩამოყალიბებულიყო 4 ახალი ბრიგადა.

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ლითონის ჯართის შეგროვებაში. მარტო 1942 — 1943 წლებში რესპუბლიკის ახალგაზრდობამ შეაგროვა და სახელმწიფოს ჩააბარა 50 000 ტონა შავი და ფერადი ლითონის ჯართი. ჯართის შეგროვებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციამ მესამე ადგილი მოიპოვა და დაჯილდოებულ იქნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით[40].

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავს ჩვენი ხალხი ფრონტზე და ზურგში დაძაბული გმირული საქმიანობით შეხვდა. სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა. საწარმოთა კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრონტის გაზრდილ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების საქმეში. კომუნისტები და კომკავშირლები ყველგან მოწინავეთა რიგებში იყვნენ და წარმართავდნენ მშრომელთა მასების შემოქმედებით ინიციატივას. კიროვის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა გეგმებს გადამეტებით ასრულებდა. ქარხნის კოლექტივის მოწინავე ადამიანებს შორის გამოირჩეოდნენ ომის დროის სტახანოველები — ბენდიანიშვილი, ზინჩენკო, სვანი, ჩერნიგოროვი, ფირცხალავა, ბიკოვი და სხვები, რომლებიც 5 — 10 ნორმას ასრულებდნენ. ქარხანას ენერგიული და თავდადებული მუშაობით ამშვენებდნენ ხარატი ქალი ინდუაშვილი, რომელიც ორ დაზგაზე მუშაობდა, და ანა ბუზიაშვილი, რომელმაც ომის პერიოდში ხარატის პროფესია შეისწავლა, და სხვ.

...მოწინავე საწარმოებს შორის იყო თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა. წინა საოქტომბრო შეჯიბრებაში ამ ქარხნის

[40] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 7, გვ. 10, 13.

მე-7 საამქრომ გადაზე ადრე შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა პატრიოტებმა — ზეინკალმა მ. ჯოხაძემ და პიპირიდიმ, რომლებმაც 29 ოქტომბერს გეგმა 1188%-ით შეასრულეს.

ომის ინტერესებს მთლიანად ემსახურებოდა სპილენძის სატკეცი ქარხანა, რომლის კოლექტივი ენერგიულად და წარმატებით ასრულებდა სახელმწიფო დავალებას. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ცნობილმა მტკეცავმა ახობაძემ და ამავე ქარხნის მუშის მჭედლიშვილის მოწინავე ბრიგადამ, კიკნაძის, დავითაშვილისა და სიჭინავას შემადგენლობით.

დიდ და პასუხსაგებ მუშაობას ეწეოდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კოლექტივი. ამ ქარხანაში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებმა — ამხანაგებმა: ფხაკაძემ, ლორთქიფანიძემ, თუთარაშვილმა, აღლაძემ, ჩიკაშუამ და სხვებმა, რომლებმაც საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, სამამულო ომის წლებში შესანიშნავი ინიციატივა, გამჭრიახობა და მოსაზრებულობა გამოიჩინეს. მათ შესძლეს ქარხნისათვის საჭირო დეფიციტური ნედლეულის ადგილობრივი ნედლეულით შეცვლა და სრულიად ახალი შენადნობის გამოშვება, რომელსაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ქარხანაში მრავალი მოწინავე სტახანოველი და შესანიშნავი მეტალურგი აღზარდა, რომელთა შორის ომის წლებში გამოირჩეოდნენ სვანიძე, ალეიკო, დემეტრაშვილი, ფედორენკო, ჩიტორელიძე და სხვ.

კავკასიის დამცველებს და ზურგში მომუშავე მთელს ჩვენ ხალხს აღაფრთოვანებდა სტალინგრადის დამცველთა ლეგენდარული გმირობის მაგალითები. ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით თბილისის მშრომელებმა სტალინგრადის დამცველებს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც ნათქვამი იყო: „პირობას გაძლევთ, რომ კიდევ უფრო მაგრად დაგეხმარებით თქვენ და მთელ ჩვენს მშობლიურ წი-

თელ არმიას, გამოუშვებთ კიდევ უფრო მეტ საომარ პროდუქციას, განვამტკიცებთ და გავამრავლებთ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების წარმატებებს, შურს ვიძიებთ ჰიტლერელ ბარბაროსებზე ყველა მათი ბოროტმოქმედებისათვის"[41].

თბილისის მშრომელები, როგორც მთელი ქართველი ხალხი, წარმატებით ასრულებდნენ სტალინგრადელებისათვის მიცემულ პირობას. ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების წარმატებათა განმტკიცებით ისინი ადიდებდნენ ფრონტისათვის საომარი მასალებისა და კვების პროდუქტების გამოშვებას.

როცა კავკასია თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყო საბჭოთა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებს, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები გმირულად მუშაობდნენ და თავიანთი თავდადებული შრომით უზრუნველყოფდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ძირითად საწარმოთა და შავი ზღვის ფლოტის მომარაგებას საქართველოს ქვანახშირით.

კავკასიის დაცვის მძიმე პერიოდში საქართველო გახდა ქვანახშირის ძირითად ბაზად ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და შავი ზღვის ფლოტისათვის. ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში მოწინავეთა შორის იყვნენ: ტყიბულის ქვანახშირის ცნობილი მნგრეველი, ლენინის ორდენოსანი ქასრაშვილი, გაბრიაძის, ლანჩავას, ხორხომელიძის, არსენიძის, ობოლაძის და სხვათა ბრიგადები; ტყიბულის ქვანახშირის მნგრეველი ორდენოსანი აიბა და მაქაცარია, ორდენოსანი ქალი გრინი.

სამამულო ომის წლებში ფრონტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად თავდადებით მუშაობდნენ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მემაღაროელები. გმირული შრომით აქ გამოირჩეოდნენ ორდენოსნები ფოფხაძე, სამხარაძე, აგრეთვე მიროტაძე, გაფრინდაშვილი, ლაბაძე, ბარაბაძე, ჩუბინიძე, კაპანაძე, რომლებიც დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ ყოველდღიურ დავალებებს.

---

[41] გაზ. „კომუნისტი", 1942, № 265.

საქართველოს ნავთის წარმოების მუშაკები გეგმის ზევით ყოველთვიურად ათასობით ტონა ნავთს იძლეოდნენ საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის ფონდში. ბურღვის ოსტატებმა შაქრო ბაკაშვილმა, სერგო კოჩიევმა, სიანენკომ და ბევრმა სხვა მოწინავე მუშამ და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა გაითქვა სახელი სამამულო ომის წლებში.

ტრანსპორტის დარგის მუშაკთა კოლექტივები დაუბეზელ მუშაობას ეწეოდნენ ფრონტისა და ზურგის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა სახელმწიფო დავალებებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებდა. მოწინავე მუშები მჭედელი ილურიძე, ხაჟალია, ზეინკალი ბაბაევი, ჭანჭიკმჭრელი ეკატერინა ხუბულური, მექვაბე ზუბიევი, ზეინკალი ქოიავა და ბევრი სხვა თავდადებული მუშაობის ნიმუშებს იძლეოდნენ, 5—10 ნორმას ასრულებდნენ. ამიერკავკასიის რკინიგზას თავისი ლუნინელებიც ჰყავდა, რომელთა შორის სახელგანთქმულნი იყვნენ: თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები ყიფიანი, ბაქაშვილი, კოხრეიძე, დეპოს ზეინკალი ხიზანიშვილი, ხაშურის დეპოს მემანქანეები მათიაშვილი, ბუხრიკაშვილი, კუზიშვილი, ბათუმისა და სამტრედიის მემანქანეები შევარდნაძე, კოხრეიძე და სხვ.

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა მთელი არმია მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული და მთელ ძალასა და შესაძლებლობას ახმარდა ჰიტლერელთა განადგურების საქმეს. საქართველოს სსრ სამშობლოს აწვდიდა რამდენიმე სახის სტრატეგიულ ნედლეულს, როგორიცაა ვოლფრამი, მოლიბდენი, მიშიაკი და სხვ.

მანქანათმშენებლები, დაზგათმშენებლები, მარგანეცისა და ქვანახშირის მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, ადგილობრივი მრეწველობის, ტრანსპორტის მუშაკთა კოლექტივები და საქართველოს ყველა მშრომელი მაღალი პატრიოტიზმის გრძნობით მუშაობდა და სახელმწიფო დავალებებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებდა; სულ მეტი და მეტი რაოდენობით აწვდიდნენ ფრონტს იარაღს, საჭურველს, ტანსაცმელს, კვების პროდუქტებს. ბევრმა მოწინავე საწარმომ პატიოსანი და გმირული მუ-

შაობით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ფრონტისადმი დახმარების საქმეში ომიანობის დროის განმავლობაში დიდ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტი. ტრანსპორტელი მუშებისა და მოსამსახურეთა თავდადებული მუშაობის შედეგად უზრუნველყოფილი იყო ჯარის ნაწილების თავის დროზე გადაყვანა, ფრონტისათვის საჭურველის, საომარი მასალების, სურსათისა და ჩაცმულობის თავის დროზე მიწოდება.

ომის წლებში ამიერკავკასიის რკინიგზას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის 6-ჯერ გადაეცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშა, რომელიც საბოლოოდ მას ჩაბარდა მუდმივ შესანახად. ამიერკავკასიის რკინიგზის პირველ მოწინავე მუშაკი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკიდან 1221 კაცი, სოლო ცნობილ მემანქანეებს ა. ვ. წიკლაურს, შ. ტ. კოხრეიძესა დ ნ. ვ. გელაძეს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

საქართველოს მუშები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს ისინი ფრონტისათვის მეტად საჭირო პროდუქციის მიწოდებით აქტიურად ეხმარებოდნენ გმირულ წითელ არმიას კავკასიაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში.

ქართველი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას სახელოვან სტალინგრადელთა ფართო შეტევითი ოპერაციების წარმატებით განხორციელების შესახებ. სტალინგრადის გმირ დამცველებს ქართველი ხალხის სახელით გაეგზავნა მისალმების წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძვირფასო ძმებო! საქართველოს მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი... მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ახალ-ახალ საბრძოლო საქმეებს აკეთებენ მტრის გასანადგურებლად. ქართველი ხალხი ამრავლებს თავის ყველა საუკეთესო მხედრულ ტრადიციებს. კავკასიონის მთებთან სამარეს პოვებენ პირსისხლიანი გერმანელი ოკუპანტები. ჩვენ ხალხს ბრძოლაში წინ მიუძღვის სტალინგრადელთა მამაცობის, მასობრივი გმირობის და გულადობის მაგალითები. სტალინგრადელთა ლეგენდარულ ბრძოლებს უმღერიან ჩვენი პოეტები. თაობიდან თაობას გადაეცემა სტა-

ლინგრადელთა გმირული ბრძოლების ამბები. თქვენ უკვდავი სახელი მოიხვეჭეთ ფაშისტ ავაზაკების წინააღმდეგ გიგანტურ ბრძოლაში და თქვენს სახელს საუკუნეები აღბეჭდავენ"[42].

საბჭოთა არმიის ძლიერი შეტევითი ოპერაციები აღაფრთოვანებდა როგორც მრეწველობის, ისე სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

პარტიის წინაშე დიდი ამოცანა იდგა: დროებით შემცირებულ ტერიტორიაზე მთლიანად გადაეწყვიტა მარცეულეულისა და სურსათის პრობლემა ქვეყნის შინაგანი რესურსების ხარჯზე. ეს ამოცანა რთულდებოდა კიდევ იმით, რომ კოლმეურნეობებიდან წითელი არმიის საჭიროებისათვის წაყვანილ იქნა ტრაქტორების, ავტომანქანების, ცხენების დიდი ნაწილი.

ფრონტზე წავიდა, სოფლის მეურნეობას მოწყდა მთავარი ძალა, ყველაზე ჯანსაღი და შრომისუნარიანი მამაკაცების დიდი ნაწილი. ასეთ პირობებში საჭირო იყო სოფლად სისტემატური, ღრმა პოლიტიკური მუშაობის წარმოება, სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა ყველა ფენის ჩაბმა აქტიურ მუშაობაში.

კავკასიის დაცვის მძიმე პერიოდში, როცა ამიერკავკასიის რესპუბლიკები თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყვნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს, პურის შემოზიდვა საქართველოში დროებით შეფერხდა. განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი ნათესი ფართობის გაზრდის, მოსავლიანობის გადიდებისა და სურსათის ადგილობრივი რეზერვების შექმნის შესახებ. საჭირო იყო არა მარტო ზურგის მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, არამედ ამასთან ერთად კვების პროდუქტების შეუფერხებელი მიწოდება კავკასიის დამცველებისათვის. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, რომლებიც 1941 წლის შემოდგომაზე შეიქმნა სოფლად პარტიული გავლენის გაძლიერების მიზნით.

---

[42] სტალინგრადის გმირ დამცველებს, გაზ. „კომუნისტი", № 281, 1942.

1942 წლის 2-3 მარტს ჩატარებულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი, დასახა კონკრეტული ღონისძიებები თესვისათვის ყოველმხრივი მომზადებისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველსაყოფად. მთავარ ამოცანად იქნა დასახული ნათესი ფართობის გადიდება, მოსავლიანობის ზრდა, მეცხოველეობის მეტი პროდუქციის მიღება ფრონტისა და ზურგის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. პლენუმზე განხილული იყო აგრეთვე კოლმეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების საკითხი. ცენტრალურმა კომიტეტმა დავალება მისცა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს მთელი მუშაობის გარდაქმნის შესახებ ფრონტისათვის დახმარების გაძლიერების მისაღწევად. ყურადღება გამახვილებულ იქნა შრომის დისციპლინის განმტკიცების, სიძნელეთა გადალახვის, ახალი კადრების აღზრდის, პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და საერთო ამოცანების გადასაწყვეტად მასების დარაზმვის საკითხებზე.

მტკიცედ ასრულებდნენ რა პარტიის მიერ დასმულ ამოცანას, საქართველოს კოლმეურნეობებმა არამცთუ არ დაუშვეს სათესი ფართობის შემცირება, არამედ კიდევ უფრო გაადიდეს იგი. მიუხედავად ომით გამოწვეული დიდი სიძნელეებისა, ნათესი ფართობი საქართველოში 1942 წელს წინანდელთან შედარებით 53 000 ჰექტარით გადიდდა. ქვეყნის თავდაცვისა და გერმანელი ოკუპანტებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის ძმური დახმარების ფონდისათვის დაითესა 7000 ჰექტარზე მეტი მარცვლეული. საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის თელავის, ხაშურის, აგარის, ქარელისა და აბაშის სატრაქტორო-საამანქანო სადგურებს გადაეცათ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და სსრკ მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პარტიული ორგანიზაციები ფართო განმარტებით მუშაობას ატარებდნენ სოფლის მოსახლეობაში, ეწეოდნენ მუშაობის საუკეთესო მეთოდებისა და მოწინავეთა გამოცდილების პოპუ-

ლარიზაციას, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, აქ-ტიურ საწარმოო მუშაობაში ჩაებნენ კოლმეურნეთა მეელი მასები. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავებისა და მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში საკოლმეურნეო სოფელს დიდ დახმარებას უწევდნენ ქალაქების მცხოვრებლები.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ სახკომსაბჭომ 1942 წელს ნება დართეს ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს სოფლის მეურნეობაში დაძაბული მუშაობის პერიოდში გამოეყენებინათ მობილიზაციის წესით კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში სამუშაოდ ქალაქებისა და დაბა-სოფლების შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომლებიც არ მუშაობდნენ წარმოებაში, მოსამსახურეთა ნაწილი, აგრეთვე მოსწავლეები. ამ მხრივ საქართველოს მთელმა რიგმა ქალაქებმა სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სატრაქტორო-სამანქანო სადგურებს.

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა რამდენიმეჯერ მოაწყეს ათეულათასობით ქალაქის მოსახლეთა, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების, საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა გაგზავნა სოფლის რაიონების დასახმარებლად. წინასწარ ეწყობოდა მათი მომზადება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. მარტო 1943 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე დასახმარებლად თბილისიდან გაიგზავნა 39 000 კაცი. ამას გარდა, წარმოებებში იქმნებოდა ინჟინერ-ტექნიკოსთა ბრიგადები, რომლებიც აწარმოებდნენ მტს-ებისა და კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორების და სხვა იარაღ-მანქანების დეტალებისა და სათადარიგო ნაწილების დამზადებას[43].

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მტს-ების მუშაკთა შორის ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე ადგილობრივი საშუალებებით. პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ ნერგავდნენ მოწინავეთა გამოცდილებას ადგილობრივი რესურსების გა-

---

[43] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 5, საქ. 7, გვ. 6.

მოვლენების, ძველი სათადარიგო ნაწილების აღდგენა-რესტავრაციისა და ახალი ნაწილების დამზადების საქმეში.

თელავის მტს-ის კოლექტივმა ადგილობრივი რესურსებით 917 მანეთის ნაწილები დაამზადა, ხოლო აღადგინა ძველი ნაწილები 2000 მანეთის ღირებულების. წნორის მტს-ის მუშაკებმა ძირითადად ადგილზე დაამზადეს საჭირო სათადარიგო ნაწილები. ჯარში წასულთა ნაცვლად მომზადებულ იქნენ ახალი კადრები—ხარატები, ზეინკლები, შემდუღებლები.

სერიოზული მიღწევები იქნა მოპოვებული კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. 1942 წლის პირველ ნახევარში საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ". ამ დადგენილებამ, რომელსაც საკოლმეურნეო მასები მოწონებით შეხვდნენ, დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების საქმეში. კოლმეურნეთა ყველა ჯგუფმა, მათ შორის მოხუცებმა, ახალგაზრდებმა და ქალებმა საგრძნობლად გაადიდეს თავიანთი შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში.

ომის წლებში გაიზარდა ახალგაზრდობისა და მისი ავაგარდის — კომკავშირული ორგანიზაციების როლი სოფლის მეურნეობაში. 1942 წელს საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების დროს გუთნისდედად მუშაობდა 5800 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა, ხოლო კომკავშირელთა ძალებით დაითესა 4500 ჰექტარი თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებლად შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადები. 1942 წლის მარტში კომკავშირის ინიციატივით ჩატარდა კვირეული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის სარეზერვო ნაწილების შესაგროვებლად. კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 135 000 კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ. მათ გამოიმუშავეს 460 000 მანეთი და 8000 შრომადღე. მთელი ეს შემოსავალი ახალგაზრდობამ თავდაცვის ფონდში გადარიცხა.

მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა მტს-ებში ომმუშავე ახალგაზრდობას. საგაზაფხულო სამუშაოებს 150—200%-ით ას-

რულებდნენ ტრაქტორისტები—თამარ ხუციურაული (ზირაქი), ელენე შოთაძე (სამტრედია), ოლია ბაბილოძე (ასურეთი), მარგარიტა აბრამიშვილი (თელავი) და სხვ. განსაკუთრებით ისახელეს თავი საგარეჯოელმა ტრაქტორისტმა ქალებმა: მარგო ხითარიშვილმა საშემოდგომო ხვნის გეგმა 200%-ით შეასრულა და 195 კილოგრამი საწვავი დაზოგა. კომკავშირელმა მარგო ჭიაურელმა გეგმა 188%-ით გაანაღდა.

1942 წელს ხულოს რაიონის ახალგაზრდობის ინიციატივით მოეწყო კოსმოდემიანსკაიას სახელობის ლაშქრობა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, რასაც ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს ახალგაზრდობა. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფო დავალებათა შესრულების საქმეს.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის გორის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

1943 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გორის, თელავის, ზუგდიდისა და ქობულეთის რაიონების ახალგაზრდობის წამოწყება მაღალი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. მასში ჩაება კომკავშირის 3560 პირველადი ორგანიზაცია, 98 700 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა. ახალგაზრდულმა ბრიგადებმა შეარემონტეს 485 ტრაქტორი, 132 კომბაინი, 224 000 წვრილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი და შეაგროვეს 106 000 მანეთის სათადარიგო ნაწილები. 1943 წლისათვის რესპუბლიკაში ტრაქტორისტად მუშაობდა 200 კომკავშირელი ქალიშვილი. 1943 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისა და საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გარდამავალი წითელი დროშა დაუტოვა გორის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას, სიგელებით დააჯილდოვა საქ. ალკკ ქობულეთის რაიონული ორგანიზაცია. სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამკერდე ნი-

შანი „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული“ მიეცა 29 მოწინავე ახალგაზრდა მუშაკს[44].

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაძაბულ პერიოდში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს საშუალო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. საკმარისია ითქვას, რომ მათ კოლმეურნეობებში გამოიმუშავეს 1941 წელს 1,5 მილიონი შრომადღე, 1942 წელს — 6 მილიონი, ხოლო 1943 წელს — 8 მილიონი შრომადღე[45].

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ომის წლებში ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს წარმოებებთან დამხმარე მეურნეობების, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა მიერ ინდივიდუალური ბოსტნების მოწყობის საქმეში. ამით მიღწეულ იქნა ნათესი ფართობების გადიდება და ქალაქის მოსახლეობის კარტოფილითა და ბოსტნეულით მომარაგების გაუმჯობესება.

1943 წლის 8 — 10 თებერვალს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების საკითხები. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის დროულად ჩატარებას, თესლის მომზადებას, თესვისა და სხვა სამუშაოთა ჩატარებას დაწესებულ ვადებში და ხარისხიანად.

პლენუმმა დაუშვებლად ჩათვალა, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა-საბჭოთა ორგანომ და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა შეასუსტეს ყურადღება სუბტროპიკული კულტურებისა და ზოგიერთი სხვა მრავალწლიანი ნარგავის მიმართ. შემუშავებულ იქნა ღონისძიებანი ზოგიერთ კოლმეურნეობაში დაღუპული პლანტაციების აღდგენის, გამეჩხერებული პლანტაციების რემონტის, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების მოვლის გასაუმჯობესებლად.

---

[44] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 7. გვ. 14—14.
[45] იხ. ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1943, № 9, გვ. 39.

ადგილობრივ ორგანიზაციებს დაევალათ გაეძლიერებინათ დახმარება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისადმი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ქალთა შრომის უკეთ გამოყენებისა და საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში.

საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ პირნათლად შეასრულა პარტიის მიერ დასმული ამოცანა. ომის პერიოდში მარცვლეულისა და სხვა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება რესპუბლიკაში არამცთუ არ შემცირებულა ომამდელ 1940 წელთან შედარებით, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მრავალწლიანი კულტურები, რაც ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს, მიუხედავად ომიანობით გამოწვეული დიდი სიძნელეებისა, შენარჩუნებულ იქნა განსაკუთრებული დანაკლისის გარეშე. შემცირდა მხოლოდ ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი 1941—1942 წწ. მკაცრი ყინვების გამო.

სამამულო ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მნიშვნელოვანი რაოდენობით აწვდიდნენ ფრონტს რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ნედლეულს მრეწველობას. მარცვლეულის, ჩაის, თამბაქოს, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, ტუნგოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით სრულდებოდა.

კავკასიის დაცვის მძიმე პერიოდში 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში მოსავლელად განაწილებული იყო დიდძალი ევაკუირებული საქონელი. მთელი ეს საქონელი თავისი ნამატით 1943 წელს დაუბრუნდა ფაშისტი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პატიოსანი და თავდადებული შრომით პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს. ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის ჯილდოებით ომის წლებში მოპოვებული წარმატებებისათვის.

საქართველოს მუშებსა და კოლმეურნე გლეხობას მხარში უდგა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც უყოყმანოდ მიდიოდა იქ, საითკენაც მოუწოდებდა ბოლშევიკური პარტია. მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და ძალას ის ახმარდა მტერზე გამარჯვების საერთო საქმეს. ქართველი ინტელიგენციის შემადგენლობიდან საგრძნობი ნაწილი წავიდა მოქმედი არმიის რიგებში მეთაურებად, კომისრებად და მებრძოლებად. ბევრი მათგანი იბრძოდა პარტიზანთა რაზმებში. მათგან საგრძნობმა ნაწილმა თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ხალხის ღირსებისა და თავისუფლების საქმეს.

საქართველოს მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მასწავლებლები, ექიმები, მწერლები, მხატვრები, არტისტები თავიანთ დარგებში თავდადებით მუშაობდნენ და სერიოზული წვლილი შეჰქონდათ სსრკ სამხედრო ძლიერების განმტკიცების საქმეში, ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა რიგებში მტერზე გამარჯვების ურყევი რწმენის განმტკიცებაში.

რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი, ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, ს. ჯანაშია, ი. ბერიტაშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ა. კეკელიძე, გ. ხაჭაპურიძე და სხვები აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასთან ერთად დიდი შემოქმედებით მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ ფრონტისა და ზურგის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავდნენ და მტკიცედ იყვნენ დაკავშირებული ინტელიგენციასთან. კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები იწვევდნენ სხვადასხვა პროფესიათა სპეციალისტების თათბირებს, ატარებდნენ მეცნიერ მუშაკთა კრებებს, მიტინგებს, წარმართავდნენ მათ მუშაობას ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოსაჩენად, სახალხო მეურნეობის, ტექნიკური პროგრესისა და ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად.

საბჭოთა ჯარების მიერ შეტევითი ოპერაციების გაძლიერებასთან ერთად ქართველი ხალხი განუწყვეტლივ აძლიერებდა თავის დახმარებას ფრონტისადმი. შესანიშნავი იყო ის, რომ

ეს დახმარება იყო მრავალმხრივი, სისტემატური და მასობრივი.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ სამხედრო განსაცდელის ჟამს ფრონტისადმი დახმარებაზე ზრუნვა უნდა იდგეს პირველ რიგში. „გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი, რომ დავეხმაროთ რომს, საკმარისად დაძაბულია თუ არა ჩვენი ძალები, საკმარისი დახმარება გაეგზავნა თუ არა ფრონტს“[46].

ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ არმიისათვის ყოველგვარი დახმარება ზურგში დაუყოვნებლივ მოქმედებს მებრძოლთა განწყობილებაზე, ფრონტზე, აძლიერებს მათ ბრძოლის უნარიანობას. ამიტომ „დავეხმაროთ წითელ არმიას ყველაფრით, რითაც კი შეუძლია დახმარება თითოეულს—ასეთია პირველი ძირითადი და უმთავრესი მოვალეობა თითოეული შეგნებული მუშისა და გლეხის“[47].

ასრულებდნენ რა პარტიის მითითებას, საქართველოს მშრომელები ყველაფრით ეხმარებოდნენ ფრონტის მებრძოლებს, სისტემატურად ზრუნავდნენ ფრონტის საჭიროებებზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ დაძაბულ მუშაობას ეწეოდნენ უშუალოდ ფრონტისპირა რაიონების მშრომელები.

ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს. მტერი რამდენიმე კილომეტრზე მოვიდა ყაზბეგის რაიონთან. გერმანელთა თვითმფრინავები ბომბავდნენ სოფლებს ლარსიდან გუდაურის უღელტეხილამდე, რომლის მსხვერპლი გახდა მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები. გამანადგურებელი ბატალიონი, რომელიც შეიქმნა რაიონში, ხელს უწყობდა, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა საბჭოთა მეომრებს. ყველა სოფელში მოწყობილი იყო სათვალთვალო პუნქტები. თავდაცვითი ნაგებობანი, რომლებიც მოეწყო ინჟინერ ანანიევის ხელმძღვანელობითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, გზას უღობავდა გაშმაგებულ მტერს. მოსახლეობის სიფხიზლის შედეგად შეპყრობილ იქნა დივერსანტი, რომელიც ხიდის აფეთ-

---

[46] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 25, გვ. 261.
[47] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 24, გვ. 432.

ქებას ლამობდა. დარიალის ხეობა, საქართველოს სამხედრო გზის კარები მტრისათვის მიუვალ სიმაგრედ გადაიქცა.

1942 წლის 18 ოქტომბერს გერმანელებმა ფასანაურის მიდამოებში გადმოსხეს პარაშუტისტები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეიპყრო მოსახლეობამ. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ალ. იოსებაშვილმა, ი. ჩანადირმა, ნ. ზაქაიძემ და სხვებმა. სამამულო ომის ინვალიდი კომკავშირელი ნ. გულაშვილი ტყეში მოულოდნელად წააწყდა ორ შეიარაღებულ კაცს. უშიშარმა გულაშვილმა ორივე საეჭვო პირი შეიპყრო. ისინი მტრის დივერსანტები აღმოჩნდნენ. კოლმეურნე მწყემსმა ნ. კობაიძემ სასწრაფოდ შეატყობინა მახლობელ ოპერატიულ ჯგუფს, რომ ტყეში საეჭვო პირი იმყოფებოდა. დივერსანტი შეპყრობილ იქნა. იგი მოწინააღმდეგის პარაშუტისტი აღმოჩნდა[48].

მეტად ძნელ პირობებში უხდებოდათ მოქმედება საბჭოთა ჯარის ნაწილებს, რომლებიც იცავდნენ მამისონის უღელტეხილს. მათ დიდ დახმარებას უწევდა ქუთაისის, ცაგერის, ონისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების მოსახლეობა. საბჭოთა მებრძოლებისათვის საომარი მასალების, ტანისამოსისა და პროდუქტების გადასაზიდად ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მობილიზაცია გაუკეთა 400-მდე ავტომანქანას. მთელი მოსახლეობა გამოვიდა ავტომანქანების დასატვირთავად და ჯარის ნაწილებისათვის საზამთრო მარაგის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად. მაღალ მთებში, შორს ხეობებში, ღრმა თოვლში მოსახლეობას ზურგით მიჰქონდა საომარი მასალები და პროდუქტები საბჭოთა მებრძოლებისათვის. ჩვენი მეომრები მოსახლეობის დახმარებით, მთებში, ხეობებში შემოუშვებდნენ მტრის ნაწილებს, მოულოდნელად გარს შემოერტყმოდნენ და ანადგურებდნენ ოკუპანტებს. მოსახლეობის დახმარებით ჩვენმა ერთ-ერთმა ნაწილმა, მაიორ გაბარაევის მეთაურობით, წარმატებით შეასრულა დავალება ოსეთის სამხედრო გზის მტრისაგან დაცვის შესახებ[49].

კავკასიის დაცვის მძიმე მომენტში, სამი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა 224-ე მსროლელი ქართული

---

[48] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 18, გვ. 3.

[49] იქვე, საქ. 23, გვ. 4.

დივიზია. ახლად შექმნილ დივიზიაზე სისტემატურად ზრუნავდა რაიონის მოსახლეობა,—ეხმარებოდა არა მარტო ჯარის ნაწილების მომარაგებაში, არამედ მასთან ერთად საბრძოლო დავალებათა შესრულებაში. ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების მოსახლეობამ 5000 ურემი და მისი გამცილებლები გამოიყვანეს ჩვენი მებრძოლებისათვის საომარი მასალების, პროდუქტებისა და ტანსაცმლის გადასატანად. ამ რაიონების მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯვარის, ფახულანისა და სხვა ადგილებში გერმანელთა მიერ თვითმფრინავებიდან გადმოსხმული დივერსიანტებისა და ჯაშუშების შესაპყრობად. ზემო სვანეთის მოსახლეობიდან შეიქმნა 250 კაცისაგან შემდგარი მოხალისეთა სპეციალური რაზმი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ჩვენს მეომრებს მტრის დესანტის შეპყრობაში, აქტიურ დახვერვაში და მაღალმთიან ადგილებში ფაშისტი ოკუპანტების განადგურებაში. სვანების მოხალისეთა რაზმებიდან განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჯაფარიძემ, რომელიც დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით, და ხერგიანებმა, ომლებმაც აგრეთვე დაიმსახურეს მთავრობის ჯილდოები.

მოსახლეობის ყოველმხრივი დახმარებით ფაშისტი დამპყრობლები განდევნილ იქნენ შორს სვანეთის მთებიდან[50].

კავკასიის დაცვის გადამწყვეტ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფოთის ნავსადგურს. ის გახდა ერთ-ერთი უდიდესი ბაზა, სადაც გროვდებოდა და საიდანაც იგზავნებოდა სხვადასხვა მიმართულებით დიდძალი სამხედრო ტვირთი, აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო მასალები. შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით ფოთში მივლინებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცეკასა და ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს რწმუნებული, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ევაკუირებული ტვირთის განაწილების, ნავსადგურში გემების და აგრეთვე რკინიგზის სადგურზე ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციის საქმეში. ფოთის ქალაქის მოსახლეობა, ისევე როგორც ქალაქ ბათუმისა და სოხუმის მოსახლეობა, განუწყვეტლივ დღედაღამ მუშაობდა

---

[50] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 18, გვ. 2.

გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, რითაც დიდ დახმარებას უწევდა შავი ზღვის სამხედრო ფლოტსა და კავკასიაში მოქმედ საბჭოთა ჯარებს[51].

კავკასიის მაღალმთიან უღელტეხილებზე მეტად მძიმე პირობებში მოქმედ ჩვენს ჯარებს უდიდესი სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ. გაუვალ ხევებში, ციცაბო კლდეებზე, ღრმა თოელში, მკაცრ ყინვასა და ქარბუქში საბჭოთა გმირი მეომრები მიდიოდნენ წინ, ებრძოდნენ სტიქიას, იჩენდნენ უჩვეულო სიმტკიცესა და გამძლეობას, დაუნდობლად ანადგურებდნენ ყაჩაღ ჰიტლერელებს. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარის ნაწილების თავის დროზე მომარაგებას საომარი მასალით, თბილი ტანსაცმლით, პროდუქტებით.

ქართველი ხალხი, რომელმაც კარგად იცოდა თუ რა საშინელ პირობებში უხდებოდა ჩვენს მებრძოლებს მტრის წინააღმდეგობის დაძლევა, არ ზოგავდა არაფერს გმირი საბჭოთა მეომრებისათვის. უღელტეხილებზე მოქმედ ფაშისტ ოკუპანტებს უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ იმ მხრივ, რომ ჩრდილოეთის მხრიდან ძირითად უღელტეხილამდე მოდიოდა საავტომობილო გზები, ხოლო სამხრეთის მხრიდან არ იყო სატრანსპორტო გზა რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე. ამიტომ ჩვენი მხრივ საჭირო ხდებოდა ტვირთის გადატანა კომბინირებული წესით, ხშირად ტრანსპორტის ყველა სახის გამოყენებით. ასე მაგალითად, მთებში მოქმედ ერთ-ერთი ნაწილისათვის საომარი მასალები და პროდუქტები რიწის ტბამდე მიჰქონდათ ავტომანქანებით, ტბაზე ტვირთი გადაჰქონდათ ნავებით, შემდეგ უღელტეხილის განსაზღვრულ უბნამდე ცხენებითა და ვირებით ეზიდებოდნენ, ხოლო შემდეგ მთელი ტვირთი რაიონის მოსახლეობას ზურგით მიჰქონდა ფრონტის წინა ხაზზე მოქმედი ჩვენი მებრძოლებისათვის[52].

უღელტეხილებზე მტრის განადგურებაში საბჭოთა ჯარებს დიდ დახმარებას უწევდნენ აფხაზეთის ასსრ რაიონების მშრომელები. მასობრივად მიდიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლე-

---

[51] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 32, გვ. 4.

[52] იქვე, საქ. 23, გვ. 9.

ბი ჩვენი ჯარების დასახმარებლად, თითოეული მათგანი ეხმარებოდა რითაც კი შეეძლო. აფხაზეთის რაიონებში ჰიტლერელებმა ბევრჯერ გადმოსხეს პარაშუტისტები ჯაშუშური მასალების შესაგროვებლად და დივერსიული აქტების შესასრულებლად, მაგრამ ისინი დაუყოვნებლივ იქნენ შეპყრობილი მოსახლეობის აქტიური დახმარებით. ჯაშუშები და დივერსანტები წინსავალ გზას ვერ პოულობდნენ, მოსახლეობა მათ გასაქანს არ აძლევდა. ადგილობრივი მცხოვრებლები მიჰყვებოდნენ ჩვენს მეომრებს გზის მაჩვენებლად. ეხმარებოდნენ დაზვერვაში, მტრის ზურგში გადასვლის მოწყობაში და მტერთან შეხვედრის დროს წითელარმიელებთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ანჩხას ულელტეხილიდან საჭირო შეიქნა საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ნაწილის სასწრაფოდ გადმოყვანა უგზო ადგილებით. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ადგილობრივი მცხოვრებლებიდან გამოიყო 12 კაცი გამცილებლებად, რომლებმაც კარგად იცოდნენ მთებში გადასვლის ყველა პირობა. მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს მათ გამოიჩინეს ურყევი სიმტკიცე და სამშობლოსადმი თავდადება. საბჭოთა მეომრებთან ერთად ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენ. 8 მათგანი გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მოწინააღმდეგის წინსვლა შეაფერხეს, ჩვენს მეომრებს საბრძოლო დავალების შესრულება გაუადვილეს[53].

აფხაზეთის მოსახლეობამ დიდი მუშაობა ჩაატარა კავკასიის დაცვის პერიოდში თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობის განხორციელების მხრივ როგორც ზღვის ნაპირებზე, ისე ულელტეხილებზე, აგრეთვე გზების მშენებლობაზე სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და გაგრის რაიონებში. გზების მშენებლობაზე 6 თვის სამუშაო 15 დღეში იქნა შესრულებული. საბჭოთა ერთ-ერთი ბატალიონი მაღალ მთაში მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დიდი თოვლის გამო ყველა გზისა და ბილიკის ჩაკეტვის შედეგად. გაიგეს თუ არა ეს გუდაუთის რაიონის მოსახლეობიდან მოხალისედ გამოვიდა 300 კაცი,

---

[53] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 778. გვ. 38.

რომლებმაც ღრმა თოვლსა და ყინვაში ზურგით მიაშველეს პროდუქტები ჩვენს მეომრებს, გაუხსნეს მათ გზა და დაღლილ-დაქანცული მეომრები უვნებლად ჩამოიყვანეს დასახლებულ ადგილებში. მთელი რაიონის მოსახლეობა შეხვდა მათ. კავკასიის გმირ დამცველ მებრძოლთა მოსახლეობასთან შეხვედრაზ სახალხო ზეიმის ხასიათი მიიღო[54].

საბჭოთა არმიის ოფიცერი რუდოი, რომელიც კავკასიის დაცვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, ასახელებს რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს თუ რა გმირულ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მშრომელები საბჭოთა ჯარის ნაწილებს, რომლებიც კავკასიის უღელტეხილებზე ებრძოდნენ მტერს.

უღელტეხილზე ერთ-ერთი ნაწილი გზების ჩაკეტვის გამო ერთი კვირა დარჩა პროდუქტების გარეშე. სოფ. ფსხუს მცხოვრებმა ნ. გეგიამ და გ. შიშინმა მოახერხეს მტრის ზურგში გადასვლა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი გადმორეკეს იქიდან და ჩვენს მეომრებს გადაეცეს.

იბრძოდნენ რა ფაშისტების წინააღმდეგ, ადგილობრივი მცხოვრებლები მიჰყვებოდნენ ჩვენს მებრძოლებს გამცილებლებად ძნელად გასასვლელ ბილიკებში, მონაწილეობას იღებდნენ საომარ მოქმედებაში.

1942 წლის სექტემბერში, როცა ჩვენმა მებრძოლებმა სოფ. ფსხუ გაათავისუფლეს ოკუპანტებისაგან, გუდაუთის რაიონის მოსახლეობის დელეგაციამ დიდძალი საჩუქარი აუტანა მთაზე საბჭოთა ჯარის ნაწილებს. კოლმეურნეობათა წარმომადგენლები თხოვდნენ მებრძოლებსა და მეთაურებს დაეჩქარებინათ მტრის განდევნა კავკასიის მთებიდან. სახელოვანმა მებრძოლებმა პირობა მისცეს მათ, რომ უახლოეს ხანში შეასრულებდნენ მშრომელთა თხოვნას და მოკლე დროში კიდევაც შეასრულეს ეს დაპირება.

მაღალ მთებში მოქმედი ნაწილების მომარაგებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ. ჩვენი უშიშარი მფრინავები რთულ პირობებში, მაღალ მთებს შუა, ხეობებში, მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში ახერხებდნენ საბჭოთა მეომრებისათვის საომარი მასალებისა და პროდუქ-

---

[54] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 23, გვ. 36.

ტების მიწოდებას. მეურინაეები ივანოვმა 13 დღის მანძილზე მთებში 75 გაფრენა მოაწყო. ამ საქმეში თავი ისახელეს მეურინაეებმა გელაშვილმა, დავთიანმა, ტულსკიმ, სურკოვმა, ალდატოვმა და სხვებმა[55].

მარტო აფხაზეთის რაიონებში, 1942 წელს, ყოველდღიურად საშუალოდ 8000-მდე კაცი უფასოდ მუშაობდა თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობაზე. იმავე წლის ნოემბრისათვის ამათ შესრულებული ჰქონდათ მიწის სამუშაოები 807 759 კუბური მეტრი, დამზადებული ჰქონდათ 70 000 კუბური მეტრი ხეტყის მასალა და მრავალი სხვა სამუშაო, რაზედაც დახარჯეს 716 000 კაცდღე და 81 351 ურემდღე. ბევრ ადგილს მოეწყო კაპიტალური თავდაცვითი ნაგებობანი, 19 კილომეტრ მანძილზე კი ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებანი[56].

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გმირული მუშაობა ზურგში, მათი მიღწევები, მათი მხნეობა და გამარჯვების მტკიცე რწმენა გადადიოდა ფრონტის მებრძოლებზე, რომლებიც უფრო გაბედულად უმკლავდებოდნენ ულმობელ მტერს. საბჭოთა ზურგის მებრძოლები უგზავნიდნენ ფრონტს არა მარტო ტექნიკას, საომარ მასალას, სურსათსა და ტანსაცმელს, არამედ მასთან ერთად შეჰქონდათ თაეიანთი დანაზოგი თავდაცვის ფონდში, გადასცემდნენ ფრონტს პატრიოტულ იდეებს. საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი გზავნიდა ფრონტებზე თავიანთ დელეგაციებს, უგზავნიდნენ ჩვენს სახელოვან მეომრებს გულითადი და ღრმა პატრიოტული შინაარსის წერილებს, რაც მათ ძალასა და ენერგიას მატებდა.

საქართველოს მშრომელები ყველა საშუალებით ეხმარებოდნენ შავი ზღვის სამხედრო ფლოტს. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს დახმარება სევასტოპოლისა და კავკასიის დაცვის მძიმე დღეებში. საქართველოს მშრომელები სისტემატურად უგზავნიდნენ სევასტოპოლის გმირ დამცველებს დიდძალ საჩუქრებს, აწვდიდნენ საომარ მასალას, სურსათს, ტანსაცმელს. სევასტოპოლის დამცველთა ოჯახების წევრები, ქალაქიდან გამოყვანილი დაჭრილები, ბავშვები, მოხუცები მოწყობილ იქნენ

---

[55] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 16, გვ. 23.

[56] იქვე, ფ. 4, საქ. 17, გვ. 1—2.

აფხაზეთის სანატორიუმებსა, დასასვენებელ სახლებსა და კოლ-მეურნეობებში. მოსახლეობა დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა შავი ზღვის ფლოტელთა ოჯახის წევრებს, აწყობდნენ მათ სამუშაოებზე, ყველაფრით ეხმარებოდნენ.

შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდალი, ვიცე ადმირალი ოქტიაბრსკი და სამხედრო საბჭოს წევრი კულაკოვი აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სახკომსაბჭოს სახელზე 1942 წლის 28 თებერვალს გამოგზავნილ წერილში სევასტოპოლის დამცველთა და შავი ზღვის ფლოტის მეთაურთა სახელით მადლობას უძღვნიდნენ აფხაზეთის მშრომელებს მათი მზრუნველობისა და იმ საჩუქრებისათვის, რაც გაეგზავნათ ფლოტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს[57].

შავი ზღვის ფლოტისადმი დახმარება იყო სისტემატური და განუწყვეტელი. რაც უფრო მძიმე ხდებოდა სევასტოპოლის დამცველთა მდგომარეობა, მით უფრო ძლიერდებოდა ხალხის დახმარება.

ვოლგის ლეგენდარულ სიმაგრეებთან გმირული ბრძოლების დღეებში სტალინგრადელებს გაეგზავნა საქართველოს წარჩინებულ ადამიანთა წერილი. ქართველი ხალხის სახელით გაგზავნილმა, ამ მხურვალე, პატრიოტულმა წერილმა სტალინგრადის გმირ დამცველებს დიდი სიხარული განაცდევინა, ძალა და მხნეობა შემატა. გამარჯვებული სტალინგრადელები საპასუხო წერილში მადლობას უძღვნიდნენ საქართველოს მშრომელებს. წერილში ნათქვამი იყო: „ძვირფასო ამხანაგებო, ძმებო, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელნო!... თქვენმა გამოგზავნილმა წერილმა სიმხნევე შეგვმატა და დიდი სიხარული განგვაცდევინა. სასიხარულო იყო იმის ცნობა, რომ გარშემორტყმული მტრის წინააღმდეგ იერიშისათვის მზადების გადამწყვეტ დღეებში თქვენი ფიქრები ჩვენთან იყო და თქვენ აკეთებდით ყველაფერს, რაც კი საჭიროა ჩვენი მამაცი არმიის გამარჯვების დასაჩქარებლად“[58].

ასეთი სახის წერილები ბევრი მოდიოდა საქართველოს მშრომელთა სახელზე სხვადასხვა ფრონტიდან. საბჭოთა არმიის

---

[57] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 6, გვ. 1.

[58] გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 4 მარტი.

მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მადლობის გრძნობით აღსავსე წერილებით მიმართავდნენ რესპუბლიკის მშრომელებს მათი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

ჩვენს არმიას ძალას მატებდა მთელი ხალხის მხარდაჭერა. მისი მეომრები გამსჭვალულნი იყვნენ საერთო მტრისადმი სიძულვილის ერთიანი გრძნობით. ისინი თავგანწირვით, მედგრად ებრძოდნენ მტერს იმ უბანზე, სადაც სამშობლო გზავნიდა. ამ ადამიანებზე ზრუნვა, მათთან ყოველდღიური კავშირი ხალხის უპირველესი მოთხოვნილება იყო. ომის წლებში ფართოდ გავრცელდა პრაქტიკაში ფრონტზე მშრომელთა დელეგაციების წარგზავნა, მრავალი სახის საჩუქრისა და პატრიოტული წერილის გაგზავნა. ქართველმა ხალხმა ბევრი დელეგაცია გაგზავნა საჩუქრებით სხვადასხვა ფრონტებზე, მათ შორის კავკასიის ფრონტზე.

საქართველოს ყველა რაიონიდან და ქალაქიდან კავკასიის დამცველებს მისდიოდათ ვაგონებით თბილი ტანსაცმელი, ჩაი, თამბაქო, ღვინო, არაყი, ჩურჩხელა, ლიმონი, მანდარინი, ვაშლი და სხვა. ბევრი იყო მაგალითი, როცა დელეგაციების შემადგენლობა, რომელთაც საჩუქრები მიჰქონდათ ჩვენი მეომრებისათვის, თვითონ რჩებოდნენ ჯარის ნაწილებში და იარაღით ხელში მონაწილეობდნენ მტერთან ბრძოლაში. სოხუმიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, მტრისგან ერთ-ერთ მთას იცავდა საბჭოთა არმიის ასეული. მათთვის საომარი მასალები და პროდუქტები სასაპალნე ცხენებითა და სახედრებით მიჰქონდათ, მაგრამ დიდი თოვლის გამო გზები ჩაიკეტა. ასეულს მარაგი გამოელია. მთაზე თვითმფრინავის დასაფრენი მოედანი არ იყო. ზოგიერთ დღეში პროდუქტებს ჩვენი მფრინავები აწვდიდნენ ჰაერიდან, მაგრამ მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების გამო ესეც შეფერხდა. სამხედრო ნაწილი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. საჭირო იყო ასეულის გამოყვანა ან მისი რაიმე საშუალებით სასწრაფოდ მომარაგება. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს ამოცანა დააყენეს სოხუმის რაიონის აქტივის წინაშე. კოლმეურნეებიდან და მუშა-მოსამსახურეებიდან გა-

მოვიდა 400-მდე მოხალისე, რომელთაც განაცხადეს სურვილი დაუყოვნებლივ მიშველებოდნენ ჩვენს მეომრებს და ზურგით აეტანათ მათთვის საჭირო ყველაფერი. თითოეულმა მათგანმა აიკიდა 20 კილოგრამი ტვირთი და გზას გაუდგა. სამი დღის განმავლობაში ისინი მიდიოდნენ თოვლსა და ყინვაში მეტად ვიწრო, საშიში ბილიკით, გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება და სამხედრო ნაწილს აუტანეს პროდუქტები და საომარი მასალები. მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრა მთაზე კავკასიის დამცველებთან დიდი ხნის სამახსოვროდ დარჩა. ისინი ერთიმეორეს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. სახელოვანი მეომრები მადლობას უხდიდნენ ზურგის წარმომადგენლებს მზრუნველობისა და დახმარებისათვის[59].

საქართველოს მშრომელები თავიანთ წმინდა მოვალეობად თვლიდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი, რაც მათ შეეძლოთ, რომ დახმარებოდნენ ფრონტს, ხელი შეეწყოთ საბჭოთა მეომრების მორალური სულისკვეთების ამაღლებისათვის, მათი ფრონტული ცხოვრებისა და ბრძოლის შემსუბუქებისათვის.

ს ფრონტისა და ზურგის ერთიანობის ერთ-ერთ შესანიშნავ და ძლიერ გამოვლინებას წარმოადგენდა თავდაცვის ფონდის შექმნა. საქართველოს კოლმეურნეები ერთსულოვნად და მხურვალედ გამოეხმაურნენ ტამბოვისა და სარატოვის ოლქების კოლმეურნეთა ღრმა პატრიოტულ თაოსნობას თავდაცვის ფონდის შექმნისა და ამ მიზნით ინდივიდუალური დანაზოგიდან სახსრების შეგროვების შესახებ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელებმა წამოაყენეს წინადადება სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნეს“ აგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცეკამ მოიწონა ეს ინიციატივა და დაავალა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ფართოდ გაეცნოთ ყველა მშრომელისათვის აღნიშნული რაიონების პატრიოტული მოწოდება. საქართველოს კოლმეურნეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და დაუყოვნებლივ შეუდგნენ სახსრების შეგროვებას. მარტო პირველი ორი დღის

---

[59] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 2, საქ. 778, გვ. 37.

ზანმაველობაში ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეებმა შეიტანეს ორი მილიონი მანეთი, ლაგოდეხის რაიონმა—ერთ მილიონზე მეტი, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა — ერთი მილიონი. სულ რამდენიმე დღეში საქართველოში სატანკო კოლონის ასაგებად კოლმეურნეებმა პირადი დანაზოგიდან შეიტანეს 72,5 მლნ. მანეთი. სატანკო კოლონის მშენებლობისათვის თანხების შეგროვება ფრონტისა და ზურგის ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ი. ბ. სტალინი წერდა: „გადაეცით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნე ქალებსა და კაცებს, რომლებმაც 72 500 000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნეს“ მშენებლობისათვის — ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა“[60].

სტალინის დეპეშის მიღების რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს კოლმეურნეებმა დამატებით შეაგროვეს სატანკო კოლონის ასაგებად 37 500 000 მანეთი, ამრიგად, რესპუბლიკის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნეს“ მშენებლობის ფონდში პირადი დანაზოგიდან 110 მილიონი მანეთი შეიტანეს. სახსრების შეგროვებამ განსაკუთრებით წარმატებით ჩაიარა და ყველაზე მეტი თანხა შეაგროვეს შემდეგ რაიონებში: ზუგდიდის — 5 020 000 მანეთი, გურჯაანის — 4 500 000 მან., მახარაძის — 4 145 000 მან., წითელი წყაროს — 4 000 000 მან., ვორის — 3 736 000 მან., წალკის — 3 288 000 მან., ახალციხის — 3 100 000 მან., ბოლნისის—3 020 000 მან., ახალქალაქის 3 010 000 მან., აფხაზეთის ასსრ — 8 100 000 მან., სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 5 600 000 მანეთი და სხვ.

სამამულო ომის ფრონტებიდან სასიხარულო ცნობებით აღფრთოვანებულმა ქართველმა ხალხმა იმ 110 მილიონი მა-

---

[60] ი. სტალინი, გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 25 დეკემბერი.

ნეთის დამატებით, რაც მათ ტანკების ასაგებად შეაგროვეს, 10—12 დღის განმავლობაში კიდევ შეიტანეს 151 მილიონი მანეთი. ამრიგად, სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სულ მოკლე დროში 261 მილიონი მანეთი შეაგროვეს.

საქართველოს კოლმეურნეებს სახელმწიფო გეგმის ზევით შეჰქონდათ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები წითელი არმიისა და ქალაქის მრეწველობის მუშებისა და ინტელიგენციის მომარაგების ფონდის გასაძლიერებლად.

1943 წლის 7 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეებმა, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფო ვალდებულებანი, გეგმის ზევით სახელმწიფოს ჩააბარეს მარცვლეული 168 000 ფუთი, ხორცი 17 000 ფ., ერბო-კარაქი და ყველი 1900 ფ., ბოსტნეული და კარტოფილი 45 000 ფუთი. დამატებითი პროდუქტების ჩაბარება მიმდინარეობდა საქართველოს ყველა რაიონში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით უმაღლესი მთავარსარდლობა ძმურ სალამსა და მადლობას უთვლიდა საქართველოს კოლმეურნეებს წითელ არმიაზე მზრუნველობისათვის[61].

სამამულო ომის წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოებები. სამამულო ომის დაწყებიდან 1942 წლის ბოლომდე საქართველოს რემედასელებმა ჰოსპიტლებში სამკურნალოდ მყოფ მეომრებს გადასცეს ერთი მილიონი მანეთის სხვადასხვა საჩუქრები, ფრონტის მებრძოლებს კი გაუგზავნეს ათეულათასობით თბილი ტანსაცმელი და, ამას გარდა, 5 მილიონი მანეთის საჩუქარი.

საბჭოთა ჯარების ძლიერი შეტევით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები მრავალ ახალ პატრიოტულ თაოსნობას იჩენდნენ. მათ წამოაყენეს წინადადება წითელი არმიის 25 წლისთავის სამზადისთან დაკავშირებით თავიანთი დანაზოგიდან შეეგროვებინათ თანხები. საბრძოლო თვითმფრინავთა

---

[61] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1943 წ. 10 იანვარი.

ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ფონდის შესაქმნელად. ამ მოწოდებამ ფართო გამოხმაურება პოვა.

საბრძოლო თვითმფრინავების ასაგები ფონდის შეგროვება ყველა ქალაქსა და სოფელში დიდი ენთუზიაზმით ჩატარდა. ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების მშენებლობის ფონდში საქართველოს მშრომელებმა ასეულ მილიონობით მანეთი შეაგროვეს. თავდაცვის ფონდში საქართველოს მშრომელების მიერ შეტანილმა თანხამ, აგრეთვე ომის წლებში სახელმწიფო სესხების სახით შენატანებმა 3 მილიარდ 170 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

წითელ არმიის 25 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 22 წლისთავზე სამხედრო საჰაერო ძალებს გადაეცა რესპუბლიკის მშრომელთა დანაზოგით აგებული საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“.

კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით მშრომელი ახალგაზრდობა განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ფრონტისათვის დახმარების საქმეში. ისინი აწყობდნენ კვირაობებს და შეგროვილი თანხები თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ, უგზავნიდნენ ფრონტელებს დიდძალ საჩუქრებს.

სოხუმის ნავსადგურის, ფეხსაცმლის ფაბრიკისა და სახელმწიფო თეატრის კომკავშირის ორგანიზაციებმა და ახალგაზრდობამ წამოაყენეს წინადადება საბრძოლო სატორპედო კატარღების აგების შესახებ. სტალინირის ხე-ტყის კომბინატის ახალგაზრდობამ დასვა საკითხი კომკავშირის სახელობის სატანკო კოლონის მშენებლობისათვის თანხების შეგროვების შესახებ.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს პატრიოტული ინიციატივა. მთელი ქართველი ხალგაზრდობა ჩაება ამ სასახელო საქმეში. ცნობილმა მერგოლურმა ვენერა ყუფუნიამ სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში 100 000 მანეთი შეიტანა. ყველა სოფელსა და ქალაქში დიდი წარმატებით ტარდებოდა თანხების შეგროვება. საქართველოს ახალგაზრდობამ 11 მილიონ მანეთზე მეტი შეიტანა ავიაესკადრილიის „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებ ფონდში.

1944 წლის 3 ნოემბერს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ი. ბ. სტალინი წერდა: „გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის კომკავშირელებს და ახალგაზრდობას, რომლებმაც შეაგროვეს 11 058 290 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის „საქართველოს კომკავშირის“ ასაგებად“[2].

რესპუბლიკის ახალგაზრდობის მთელმა რიგმა ჯგუფებმა, ცალკე პირებმა, კომკავშირის რიგმა რაიონულმა და საქალაქო ორგანიზაციებმა საბჭოთა არმიის მადლობა არა ერთგზის დაიმსახურეს თავდაცვის ფონდში ფულადი სახსრების, აგრეთვე პროდუქტებისა და სხვა საჭიროების შეგროვებისათვის.

საბჭოთა სარდლობისაგან მადლობის დეპეშა მიიღეს აბაშის რაიონის პიონერ-მოსწავლეებმა, რომლებმაც თავდაცვის ფონდში შეიტანეს 100 000 მანეთი ფულად და 30 000 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარა საქართველოს ახალგაზრდობამ ფრონტზე დაჭრილი წითელარმიელებისათვის სამკურნალო მცენარეებისა და გარეული ხილის შეგროვების საქმეში. ახალგაზრდა პატრიოტები სიხარულით აგროვებდნენ სამკურნალო მცენარეებს, რომელთა მარაგი უხვად მოიპოვება საქართველოში. მათ მთელი ახალგაზრდული ენერგია და ენთუზიაზმი გამოიჩინეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეეგროვებინათ სამკურნალო ნედლეული, ამით თავიანთი წვლილი შეეტანათ სამშობლოს დამცველთა განწრთელობის საქმეში.

1943 წლის 1-ლი იანვრისათვის ახალგაზრდობის ძალებით დამზადებული იყო 106 ტონა სამკურნალო მცენარეულობა და გარეული ხილი. სამამულო ომის წლებში სამკურნალო ნედლეულის დამზადების საქმეში თვალსაჩინო წარმატებისათვის საქართველოს კომკავშირი დაჯილდოებულ იქნა საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

კომკავშირული ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევდნენ ომის ინვალიდებს; ფრონტელთა ოჯახებს, პირველ რიგში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს. 1943 წელს ფრონტელთა

---

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 3 ნოემბერი.

ოჯახებისა და უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების დასახმარებლად კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დათესეს 300 ჰექტარი სხვადასხვა კულტურები და მთელი მოსავალი მოხმარდა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს და ფრონტელთა ოჯახებს.

1943 წლის მარტო ერთი კვირაობის დროს უდედმამოდ დარჩენილი ბავშვებისა და ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად საქართველოს ახალგაზრდობამ ერთ მილიონზე მეტი მან. შეაგროვა, ამავე მიზნით შეგროვილ იქნა 79 178 კომპლექტი თეთრეული და სხვა[62]

ფრონტის მებრძოლთათვის მრავალი სახის საჩუქრები, ავრეთვე წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკის მშენებლობისათვის თანხებს აგროვებდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: თავდაცვაავიაქიმი, წითელი ჯვარი და სხვა. საქართველოს მშრომელებს უწყვეტი კავშირი ჰქონდათ ფრონტის მებრძოლებთან, ყოველდღიურად უგზავნიდნენ მათ საჩუქრებს, დელეგაციებს, პატრიოტულ წერილებს. მუდმივი მშობლიური ზრუნვა ახარებდა და შეუპოვარი ბრძოლისათვის აღანთებდა ჩვენს მეომრებს.

1943 წლის 16 მაისს გაზ. „პრავდაში" გამოქვეყნდა „ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებისადმი", ქართველ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკების სახელით ამ წერილს ხელს აწერდა დელეგატთა კრების მონაწილე —2031 ქართველი მეომარი.

მთელ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ძალით გაისმა ქართველ მებრძოლთა ამ შესანიშნავი წერილის უბადლო სიტყვები. ეს იყო არა მარტო კავკასიის დამცველთა, არამედ საბჭოთა არმიის რიგებში ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე უზარმაზარი ფრონტის მთელ მანძილზე მეომარ ქართველთა გმირული საქმიანობის მოკლე ანგარიში თავისი ხალხისადმი. ისინი ფიცსა სდებდნენ სამშობლოს წინაშე, რომ თავგანწირვით იბრძოლებდნენ ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებამდე. ამ ღრმა პატრიოტულმა წერილმა უნაპირო სიხარული და ულრმესი აღფრთოვანება გამოიწვია არა მარტო ქართველ ხალხში, არამედ ყველა მოძმე საბჭოთა ხალხში.

---

[62] იხ. სამ. ომის არქ. ფ. 4, საქ. 7, გვ. 21-24.

საუკუნეთა მანძილზე საერთო მტერთან ბრძოლაში გამოიქედა სასურველი, ჭეშმარიტი მეგობრობა, რამაც დიდი რუსი და ქართველი ხალხები განუყრელ ძმებად შეაერთა.

„მოსკოვთან და სტალინგრადთან წარმოებულ ბრძოლებში,—წერდა გაზ. „პრავდა",—ბრძოლებში კავკავთან, თერგზე და ყუბანში ერთხელ კიდევ შეერია ერთმანეთს რუსი და ქართველი ხალხების შვილთა სისხლი, ერთხელ კიდევ განმტკიცდა წმინდა ძმათნაფიცობა..."[64]

საქართველოს მშრომელებმა ახალი, გადიდებული ვალდებულებებით უპასუხეს თავიანთი სახელოვანი შვილების მოწოდებას. მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. არმიისა და ხალხის ასეთი ერთიანობა და ორგანიზებულობა არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. ამაში განსაკუთრებით ნათლად და სრულყოფილად გამოვლინდა კომუნისტების ხელმძღვანელი და წამყვანი როლი.

სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხის მრავალმხრივი შემოქმედებით მუშაობაში აქტიურ როლს ასრულებდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. მთელი ქართველი მწერლობა მჭიდროდ დაირაზმა იარაღასხმული საბჭოთა ხალხის გარშემო. ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი იოსებ ნონეშვილი თბილისის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგის ტრიბუნიდან მოუწოდებდა:

„ქართლის დიდება დავიცვათ, კრემლის ნათელი ლამპარი,
ჩვენი სამშობლოს სახელი, ჩვენი ბავშვების აკვანი..."

ბევრი ახალგაზრდა მწერალი და პოეტი ფრონტზე წავიდა და იარაღით ხელში იბრძოდა პირსისხლიანი ჰიტლერელი ბანდიტების წინააღმდეგ. ახალგაზრდა პოეტებმა სეევერიან ისიანმა, მირზა გელოვანმა, სანდრო ჟღენტმა, დავით პატატაშვილმა და სხვ. თავიანთი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს თავისუფლებისა და ხალხთა ბედნიერების საქმეს. ჩვენმა გამოჩენილმა პოეტებმა, მწერლებმა, დრამატურგებმა სამამუ-

---

[64] იხ. გაზ. „პრავდა" მეთაური წერილი, სსრკ ხალხთა წმინდა მეგობრობა, 1943 წ. 16 მაისი.

ლო ომის წლებში ბევრი ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს, რომლებიც თავისი ღრმა პატრიოტული შინაარსით და მაღალი მხატვრული ღირსებით აღელვებდა და გმირული საქმისათვის აღაფრთოვანებდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს. პოეტებმა გიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა. გალაკტიონ ტაბიძემ, ირაკლი აბაშიძემ, ალიო მირცხულავამ, სიმონ ჩიქოვანმა. გრიგოლ აბაშიძემ, კარლო კალაძემ და სხვებმა შექმნეს შესანიშნავი ნაწარმოებები. რომლებშიაც ამაღელვებლად ასახეს საბჭოთა ხალხის თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

სამშობლოს თავგანწირვისა და გაცოფებული მტრის წინაშე ქედმოუხრელობის უმაგალითო საქციელი, რომელიც ტანკისტმა პირტახიამ ჩაიდინა, ძლიერ პოეტურ სახეებში გაიცოცხლეს გ. ლეონიძემ ლექსში „მსედარი პირტახია“ და ს. ჩიქოვანმა ლექსში „პირტახია“. პოეტი გ. ლეონიძე თავის ნაწარმოებში „ქართველ ქალს“ ჩვენს დედებს უქებს გამოზრდილ შვილებს. პოეტს სჯერა, რომ ქართველი ქალი არავის მისცემს უფლებას მისი „წმინდა მანდილი მტვერიანი ფეხით გადასთელოს“, მისი გაზრდილები ასახელებენ სამშობლო კერას, არ გასწირავენ მის „იავნანას“. გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“ ერთი შესანიშნავი ლექსთაგანია ქართულ პოეზიაში სამამულო ომის თემაზე დაწერილი. სამშობლოსათვის თავდადების ეშმარიტი განცდა და მისთვის ვაჟკაცური სიკვდილის ამბავი ამ ლექსში მოთხრობილია ღრმა უშუალობით.

მეომარი ქართველი ქალის საგმირო საქმე საინტერესოდ დახატა კ. კალაძემ ლექსში „ქართველი ქალი“. საბჭოთა ქალებს მშვენიერი ლექსები მიუძღვნეს ი. გრიშაშვილმა—„დედებს და დებს“, ი. მოსაშვილმა—„მისი წერილი“ და სხვა.

ფრონტისა და ზურგის ურღვევი კავშირი შესანიშნავ მხატვრულ ფორმებში ჩამოასხა ალ. აბაშელმა ლექსში „დედა და შვილი“. ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად იქცა. ლექსის თემა ისეთია, რომ ის მუდამ ააღელვებს მკითხველს სამშობლოსათვის

თაედადებული საბჭოთა მებრძოლის სულის სიდიადითა და კეთილშობილობით.

პოეტ გრიგოლ აბაშიძის „ძლევის ქედი“ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში იყო პირველი ყველაზე უფრო სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მკაფიოდ გადმოცემულია კავკასიის გმირული დაცვის ამბები. პოეტი მხატვრულ ფორმებში გადმოსცემს 1942 წ. მრისხანე განსაცდელის დღეებს, როდესაც კავკასიის მისადგომებთან მოსული ფაშისტთა ურდოები საქართველოს განადგურებით ემუქრებოდნენ. ამ კრიტიკული მომენტის დახატვასთან ერთად პოემაში გადმოცემულია ამიერკავკასიის ხალხების ერთსულოვანი გაერთიანება და შემართება მტრის წინააღმდეგ, მოძმე ხალხებისა, რომლებმაც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით უზრუნველყვეს კავკასიის დაცვა და ულმობელი მტრის განადგურება.

დიდი ქართველი კლასიკოსების დავით გურამიშვილის ცხოვრება და პოეტური მოღვაწეობის ეპიზოდები განსაკუთრებული სიძლიერით დახატა ს. ჩიქოვანმა თავის ნაწარმოებში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. იგი აქტიურად ეხმაურებოდა სამამულო ომის დღეებს, მოძმე საბჭოთა ხალხების მეგობრობის იდეას. ამ პოემაში განსაკუთრებით საინტერესოა ის მოწინავე პატრიოტული აზრი, რომელიც ქართველ, რუს და უკრაინელ ხალხთა მეგობრობის თემაზეა მიძღვნილი.

მე-18 საუკუნის შესანიშნავი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ლირიკულ ბიოგრაფიაში, რომლის ბედი მტკიცედ იყო დაკავშირებული რუსეთთან და წარმოადგენდა საქართველოს და რუსეთის ბედის, მათი მეგობრობისა და ისტორიული კავშირის სიმბოლიურ გამოხატულებას, პოემის ავტორმა შესძლო მშვენიერად გამოეხატა წარსულისა და თანამედროეობის კავშირი. სიმონ ჩიქოვანის ამ საინტერესო წიგნმა დაიმსახურა მაღალი ჯილდო—სტალინური პრემია.

ომის წლებში დაწერილ პროზაულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ლეო ქიაჩელის მოთხრობა „მამა და შვილი“. ხელოვანმა მწერალმა ამ ნაწარმოებში შესანიშნავად დახატა ფრონტისა და ზურგის ერთიანობა მამისა და შვილის თაეგა-

დასავლის ფონზე. შალვა დადიანმა მოთხრობაში „თამბაქო“ რუსი ქალის ლუდმილას და ქართველი ქალის დესის თავგადასავლის მიხედვით დაგვიხატა სამამულო ომის საინტერესო ეპიზოდები. ქართველი ქალი დესი, ქართველური სტუმართმოყვარეობით ხვდება ევაკუირებულ რუს ქალს ლუდმილას. მათი თავგადასავლის მოთხრობიდან მკითხველი იგებს თუ რა მამაცურად იბრძვიან რუსი და ქართველი ვაჟკაცები სამამულო ომის ფრონტებზე ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ჩვენმა გამოჩენილმა მწერლებმა, პოეტებმა, დრამატურგებმა და მათთან ერთად სამამულო ომის წლებში გამოზრდილმა ახალგაზრდა პოეტებმა სამამულო ომის თემაზე, სამშობლოს დაცვაში ქართველი ხალხის გმირობაზე ბევრი ბრწყინვალე, პატრიოტული ნაწარმოები შექმნეს. „ქართველმა საბჭოთა მწერლებმა ეს გმირული ეპოპეა უაღრესად საინტერესო პოეტური სიტყვით გააცოცხლეს და ამით საუკეთესოდ შეუნახეს შთამომავლობას საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობის, გმირობისა და დედასამშობლოსათვის მისი თავდადების ამბავი“[65].

სამამულო ომის წლებში ჩვენი თეატრები სცენაზე ასახიერებდნენ საბჭოთა ადამიანების მაღალ პატრიოტულ გრძნობებს. ამ პერიოდში ქართული თეატრების რეპერტუარი შედგებოდა ნათარგმნი და ორიგინალური ნაწარმოებებისაგან, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, აგრეთვე ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს, რომელიც აქტუალურად ეხმაურებოდა სამამულო ომის დღეებს. ასეთი პიესები იყო, მაგალითად: „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ცის ქვეშ“ და „პარტიზანების“—გ. მდივნის, „ირმის ხევი“—ს. ალდიაშვილის, „ბაგრატიონი“—ა. სამსონიასი, „რუსული საკითხი“ და „მელოდე“—კ. სიმონოვის, „კიკვიძე“—ვ. დარასელის, „კრწანისის გმირები“—ს. შანშიაშვილის და სხვ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სამამულო ომის წლებში ქართველი მხატვრები. მათ მოაწყეს რამდენიმე სპეციალური

---

[65] ს. ჯილაია, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა, სახელგამი, 1954, გვ. 259.

გამოფენა სოციალისტური სამშობლოს დაცვის თემაზე. ამ პერიოდში ქართველი მხატვრების მიერ შექმნილი ნაწარმოებებიდან გამოირჩეოდნენ გენერალ ჩანჩიბაძის სკულპტურული პორტრეტი შესრულებული იაკობ ნიკოლაძის მიერ, „წერილი ფრონტიდან"—მ. თოიძის, ფრონტზე გმირულად დაღუპული დორეულის პორტრეტი და სურათი „თამარ მეფე"—ქ. მაღალაშვილის, „სტალინი ფრონტზე"—ი. შარლემანის, „პარტიზანი არ გასცემს", „ტანია"—ი. თოიძის. საბჭოთა კავშირის გმირის გახოკიძის პორტრეტი და „დაჭრილის მოწოდება"—შესრულებული უჩა ჯაფარიძის მიერ და სხვ.

საქართველოს სახვითი ხელოვნების დარგში მიღწევებისათვის სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიენიჭათ მხატვარ უჩა ჯაფარიძეს, სკულპტორებს კ. მერაბიშვილსა და ს. კაკაბაძეს.

ჩვენი კომპოზიტორები ქმნიდნენ მაღალი პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულ ყველა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც ჩაქსოვილი იყო საბჭოთა ხალხის გმირული საქმეები. სამამულო ომის წლებში თბილისის კინოსტუდიამ 14 მხატვრული კინოსურათი გამოუშვა, ამას გარდა, ათობით მოკლემეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტალური კინოჟურნალები, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა არმიის გმირობას და ზურგის მშრომელთა მბურვალე პატრიოტიზმს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან პატრიოტული ფილმები „გიორგი სააკაძე" რეჟისორ ჭიაურელისა და „ჯურღაის ფარი" დოლიძისა და რონდელის. ამ სურათებს, რომლებმაც სტალინური პრემია დაიმსახურეს, მთელს საბჭოთა კავშირში დიდი ინტერესით ღებულობდნენ მაყურებლები. სახელგანთქმული დიდი ისტორიული ფილმი „გიორგი სააკაძე", რომელიც ასახავს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლის ერთ-ერთ საგულისხმო ფურცელს, შესანიშნავად ეხმაურებოდა სამამულო ომის დღეებს. იგი მილიონობით საბჭოთა ადამიანებს უძლიერებს მხურვალე სიყვარულს სამშობლოსადმი და მწვავე სიძულვილს მტრისადმი.

სამამულო ომის წლებში საქართველოს ხელოვნების მუშაკები აწყობდნენ სამხედრო საშეფო მხატვრულ ბრიგადებს, მართავდნენ სპექტაკლებს, კონცერტებს სპეციალური რეპერტუარით, რომელიც ფრონტზე მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებში აღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს და სიძულვილს მტრისადმი. ამ პერიოდში საქართველოს ფილარმონიამ მოაწყო 4690 საშეფო კონცერტი სამობილიზაციო პუნქტებში, ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში. ამას გარდა, ბევრი კონცერტი ეწყობოდა სპეციალური დანიშნულების ფონდების შესაქმნელად, ავიაესკადრილიის, სატორპედო კატარღების, ტანკების მშენებლობისა და ფრონტელთა ოჯახების, ომის ინვალიდების დასახმარებლად.

თავდაცვის ფონდისათვის საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა მარტო 1941—1943 წწ. შეაგროვეს 4 438 000 მან, ხოლო ფრონტელთა ოჯახებისათვის—ფულად 368 900 მანეთი. ამას გარდა, მათ დიდძალი საჩუქრები გაუგზავნეს სახელოვან საბჭოთა მებრძოლებსა და მეთაურებს.

ომის მკაცრმა პირობებმა აიძულა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მთელი რიგი კოლექტივები დროებით დაეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები. ბევრი მათგანი საქართველოში ჩამოვიდა. კერძოდ თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის მხატვრული აკადემიური თეატრი, 50 კაცის შემადგენლობით, სსრკ სახალხო არტისტის ნემიროვიჩ-დანჩენკოს მეთაურობით, მუსიკოსები, კომპოზიტორები 46 კაცის შემადგენლობით პროფ. გოლდენვეიზერის მეთაურობით; უკრაინის პეტროვსკის სახელობისა და შჩორსის სახელობის თეატრები, ლენინგრადის კომედიის თეატრი, სხვადასხვა თეატრების, ესტრადებისა და ფილარმონიის ერთეული შემსრულებლები, სულ—314 კაცი; მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის გამოჩენილი მხატვრები—32 კაცი. ისინი მიღებულ იქნენ საქართველოში, როგორც მშობლიური, მოძმე საბჭოთა ხალხების წარმომადგენლები. აქ მათ პოვეს თავიანთი მეორე სამშობლო და შემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად ყველა საჭირო პირობა. ისინი ჩაებნენ აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში და საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან ერთად თავდადებით ემსახურებოდნენ საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიად საქმეს.

საქართველოს ხელოვნების მუშაკების მხრივ თავდადებული კეთილშობილური მუშაობისა და ფრონტის საუკეთესო მომსახურებისათვის რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს და ხელოვნების მუშაკთა ორგანიზაციებს მოსდიოდა მადლობის ბევრი წერილი. ყირიმის ფრონტის პოლიტსამმართველოს წერილში ნათქვამი იყო: „მხატვრულმა ბრიგადამ თბილისის სახელმწიფო ოპერის არტისტის ს. გოცირიძის ხელმძღვანელობით, დიდი მუშაობა ჩაატარა ყირიმის ფრონტზე წითელი არმიის მომსახურებისათვის. 1942 წლის 10 თებერვლიდან 12 მარტამდე ბრიგადამ ჩაატარა 25 კონცერტი, მათგან 12 კონცერტი უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე. მიუხედავად ფრონტის მძიმე პირობებისა, ბრიგადამ გვიჩვენა მთელი კოლექტივის ორგანიზებულობა, სიმტკიცე და მაღალი კვალიფიციური დონე. ფრონტზე ასეთი ბრიგადის გამოსვლა აღაფრთოვანებს წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს გერმანელი ოკუპანტების განადგურების დასაჩქარებლად. ყირიმის ფრონტის პოლიტსამმართველო მადლობას უცხადებს ბრიგადის მონაწილე ყველა არტისტს მოქმედი არმიის ნაწილებში ჩატარებულ სანიმუშო მუშაობისათვის[66].

ასეთი წერილები ბევრი მოდიოდა სხვადასხვა ფრონტებიდან. ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1943 წ. მიიღო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო ჯარების გარდამავალი წითელი დროშა. სამხედრო საშეფო მუშაობის აქტივისტებს, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მოწინავე წარმომადგენლებს—328 კაცს გადაეცა საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების კომიტეტის საპატიო სიგელები. 1941—1943 წწ. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ძალებით ჩატარდა 21900 საშეფო სპექტაკლი და კონცერტი; მათ შორის სამხედრო ნაწილებში—12 495, ჰოსპიტლებში—8352. ამას გარდა, 200-ზე მეტი კონცერტი ჩატარდა სამხედრო ნაწილებისათვის უშუალოდ ფრონტებზე და ფრონტისპირა რაიონებში. ასზე მეტი საქართველოს ხელოვნების წარმომადგენელი ფრონტებიდან დაბრუნდა მთავრობის მიერ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული. მედლით „კავ-

---

[66] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 17, გვ. 12.

კასიის დაცვისათვის“ დაჯილდოებულ იქნა ხელოვნების 578 შემოქმედი მუშაკი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“— 1845, ხოლო 686 მუშაკს გადაეცა საპატიო სიგელები[67].

ომის მსვლელობის მთელ პერიოდში ქართველი ხალხი არც ერთ დღეს არ წყვეტდა კავშირს ფრონტის მებრძოლებთან. მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენა მთელ თავის ძალასა და შესაძლებლობას მტერზე გამარჯვების საქმეს აბმარდა. უმაღლესი მთავარსარდლის 1943 წლის 1-ლი მაისის ბრძანებაში ი. სტალინი წერდა: „საბჭოთა ხალხი უდიდეს ზრუნვას იჩენს თავისი წითელი არმიისადმი. ის მზად არის მთელი ძალები მოახმაროს საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შეძდგომ გადიდებას. 4 თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხალხებმა 7 მილიარდ მანეთზე მეტი შეიტანეს წითელი არმიის ფონდში. ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ომი გერმანელთა წინააღმდეგ ნამდვილად საერთო-სახალხო ომია საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხისა. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია მტკიცედ და მამაცურად იტანენ ომით გამოწვეულ გაჭირვებას და დაუცხრომლად შრომობენ საწარმოებსა და დაწესებულებებში, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“[68].

ფრონტისა და ზურგის ასეთი მძლავრი ერთიანობა, საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობა, უმაგალითო სიმტკიცე, გმირობა და თავდადება იყო ის უძლეველი სიმაგრე, რომელზედაც დაიმსხვრა გერმანელ ფაშისტთა სარდლობის ყველა ავანტიურისტული გეგმა.

საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ შექმნა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე გაუგონარი ხელსაყრელი პირობები ადამიანთა ყოველმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის გაშლისათვის, ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისათვის მტრის გასანადგურებლად.

კომუნისტურმა პარტიამ მოხერხებულად გამოიყენა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ყველა

---

[67] იხ. სამამულო ომის არქივი, ფ. 4, საქ. 17, გვ. 15.

[68] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1949, გვ. 107.

უპირატესობა, მოძრაობაში მოიყვანა ჩვენი საზოგადოების ყველა ძალა და განახორციელა დიდი მასშტაბის რთული ორგანიზატორული მუშაობა ძლიერი მტრის განადგურების უზრუნველსაყოფად. უდიდესი განსაცდელის ჟამს ჩვენი პარტია კიდევ და კიდევ გამოვიდა როგორც მთელი საბჭოთა ხალხის შეუდარებელი პოლიტიკური ხელმძღვანელი და აღმზრდელი.

სამამულო ომის წლებში პარტია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის უფართოეს მასებთან, რამაც უზრუნველყო მისი პოლიტიკის წარმატება. ომის მსვლელობაში უპარტიო მასები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ, დაუმეგობრდნენ კომუნისტებს, გაერთიანდნენ საერთო მიზნისათვის მებრძოლ საბჭოთა ხალხების ერთიან მძლავრ კოლექტივში.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისათვის ისტორიულ ბრძოლებში განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხების ძმობა და მეგობრობა.

ქართველი ხალხი, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით თავდადებით იბრძოდა ფრონტზე და ზურგში ჩვენი ქვეყნის ძლიერებისათვის. ისინი ერთად ომობდნენ, ერთად ღვრიდნენ სისხლს ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის, ერთად სჭედდნენ და გამოსჭედეს მტერზე გამარჯვება. გააფთრებული ბრძოლების ცეცხლში გამოიწრთო და კიდევ უფრო განმტკიცდა ქართველი და რუსი ხალხის ისტორიული მეგობრობა. ბევრი ქართველი იყო სტალინგრადისა და კავკასიის იმ სახელოვან მეომართა შორის, რომლებმაც ბრძოლებით გაიარეს მთელი გზა ბერლინამდე და თავისავე ბუნაგში გაანადგურეს ჰიტლერელთა ბანდა.

ბერლინის აღების მონაწილენი ბედნიერად თვლიდნენ თავს, რომ მათ წილად ხვდათ საპატიო ამოცანის შესრულება, დამამთავრებელი ბრძოლების წარმატებით დაგვირგვინება და ფაშისტი მხეცის მის ბუნაგში მოსპობა. სტალინგრადისა და კავკასიის გმირი დამცველები შეერთდნენ ბერლინში. დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე. ქართველმა მებრძოლებმა აქაც ისახელეს თავი. გვარდიელი ტანკისტი შ. გოგლიძე, რომელიც ბელორუსიისა და პოლონეთის მიწაზე ანადგურებდა ჰიტლერელებს, და გვარდიის ეფრეიტორი ტ. წულუკიძე „კატუშით" ერთ-ერთი პირველნი შეიჭრნენ ბერლინში. ლეიტენანტმა ვ. კა-

კაშვილმა პირველმა დაუშინა ქვემეხის ზალპი რაიხსტაგის შენობას. წითელარმიელებმა ხიდაშელმა, დემჩენკომ და ზაინულინმა უძნელეს პირობებში, მტრის ცეცხლის წვიმის ქვეშ, გააბეს კავშირი და სანიმუშოდ შეასრულეს საბრძოლო დავალებანი. კომკავშირელმა იაშაღაშვილმა სერჟანტ მასკარიანთან ერთად მცირე ჯგუფით სძლია მტერი, გამოიჩინა უმაგალითო გმირობა და სწრაფი იერიშით დაიპყრო ბერლინის მეტროს ერთ-ერთი სადგური. საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ტოლკაჩოვის გადმოცემით, „მამაცი ქართველი" ლეიტენანტი კალანდია ზარბაზნებში ტრიალებდა და თავისი ოცეულით გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა ბერლინში მოკალათებულ ფაშისტებს. პოლკოვნიკი კურკაციშვილი, ასეულის მეთაური თორაძე, არტილერისტი დარსალია, ბევრი სხვა ქართველი მებრძოლი და მეთაური სიცოცხლეს არ ზოგავდა სისხლისმღვრელი ომის საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებით დასამთავრებლად. კაპიტანი ვ. ილინის გადმოცემით, ბერლინის აღების დროს იშვიათი გმირობა გამოიჩინა წითელარმიელმა შოფერმა ნიკოლოზ მურუსიძემ. მან მტრის გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ ბერლინის ქუჩებში ოთხი კვარტალი გაირბინა, მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, მახქანა დანიშნულ ადგილას მიიყვანა. საბრძოლო დავალება შესასრულა. სამშობლოს ღირსებასა და დიდებას თავისი სიცოცხლე შესწირა. მურუსიძეს საბოლოო გამარჯვების ზეიმზე დასწრება არ ეღირსა, მაგრამ ამ მხურვალე პატრიოტის, შესანიშნავ გმირის სახე მუდამ ღარჩება ყველას მეხსიერებაში, ვინც მოწმე იყო მისი მამაცობისა[69].

დადგა ბერლინისათვის ბრძოლის გადამწყვეტი დღე. მთელი მსოფლიოს ყურადღება აქეთკენ იყო მიპყრობილი. ყველა საბჭოთა მებრძოლის ოცნება იყო, რომ ჩქარა აეფრიალებინათ გამარჯვების წითელი დროშა ბერლინზე. ამ ძნელი და საპატიო მოვალეობის შესრულება წილად ხვდა რუსი ხალხის შვილს ეგოროვსა და ქართველი ხალხის შვილს ქანთარიას, რომლებიც პოლკოვნიკ ფ. ზინჩენკოს დახასიათებით იყვნენ უშიშარნი და

---

[69] იხ. Штурм Берлина. Военное издательство Москва, 1948, გვ. 108, 156, 229, 366, 375.

გულადნი, რომელთაც გამოვლილი ჰქონდათ „ცეცხლი და წყალი“.

1945 წლის 30 აპრილს დაიწყო რაიხსტაგის იერიში. ძლიერი არტილერიის დახმარებით შეტევაზე გადავიდნენ კაპიტან ნეუსტროევის, დავიდოვისა და სამსონოვის ბატალიონები, გააფთრებული შეტაკების შემდეგ კაპიტან ნეუსტროევის ბატალიონმა დაიკავა რაიხსტაგის მთავარი შესასვლელის კიბე და შეიჭრა შენობაში. მოიერიშეთა შორის იყვნენ ეგოროვი და ქანთარია წითელი დროშებით. მებრძოლები სართულიდან სართულამდე გზას იკაფავდნენ ხელყუმბარებისა და ავტომატების ცეცხლით. აი როგორ მოგვითხრობს ამ ამაღელვებელი წუთების შესახებ თვითონ მიხეილ ეგოროვი:

„ინათა. ჩვენ დროშებით სახურავზე ვიყავით. მიმოვიხედეთ. მთელი ბერლინი ჩვენს ფეხებს ქვეშ იყო. ქალაქი ცეცხლის ალშია. სახურავზე ყუმბარები სკდება. ჩვენ ვდგავართ დროშებით და ვფიქრობთ, სად სჯობია დროშის დამაგრება, რომ ის მთელ ბერლინზე ჩანდეს? გუმბათზე. მაგრამ გუმბათი თითქმის მთლიანად დანგრეულია. როგორ ავიდეთ მასზე. მინები ჩალეწილია, დარჩენილია მარტო „ჩონჩხი“. მაგრამ დროს დაკარგვა არ შეიძლება, ირგელივ სროლაა. ქანთარია წინაა, მე უკან მივყვები, ხოხვით ავდივართ გუმბათის „ჩონჩხზე“. ყველაზე მაღალ ადგილს მივაკარით დროშა და ჩამოვედით ძირს. გადავირბინეთ მოედანი. ყველა მხრიდან გერმანელთა სნაიპერები ისვრიან... გაისმის ვაშა! ეს ჩვენი მებრძოლები მიდიან იერიშით რეიხსტაგზე. მათ მოუწოდებს ბრძოლისაკენ რეიხსტაგზე აღმართული წითელი დროშა“...[70]

ბერლინის ძლიერი იერიშით აღებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა არმიის გიგანტური ძალა, ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადება, ლეგენდარული გმირობა და სწორუპოვარი სამხედრო ხელოვნება.

გამარჯვების წითელი დროშა, რომელიც საბჭოთა ჯარებმა ბერლინში ააფრიალეს, იყო მძიმე და სისხლისმღვრელი გამათავისუფლებელი ომის საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებით დამთავრების სიმბოლო.

---

[70] იხ. М. Семенов, Орден Ленина—Комсомолу, გვ. 96—71.

* * *

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ბრწყინვალე გამარჯვებამ მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობა, როგორც ნამდვილად სახალხო წყობილებისა. ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, ყველა ერის ძმური თანამეგობრობით, დაძაბული შრომით, უმაგალითო გმირობით ფრონტზე და ზურგში უზრუნველყვეს სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცება და საშიში მტრის დამარცხება.

ამ დიდ ისტორიულ გამარჯვებაში ქართველმა ხალხმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. დიდი როლი შეასრულა ქართველმა ხალხმა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში, რაც საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შემადგენელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

კავკასიის გმირული დაცვის მნიშვნელობის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1-ლი მაისის ბრძანებულებით დაწესდა მედალი „კავკასიის დაცვისათვის". ამ საპატიო მედლით დაჯილდოებულ სამხედრო მოსამსახურეთა შორის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე რამდენიმე ათეული ათასი ქართველი მეომარი იყო. კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი იყო ისიც, რომ ზურგში თავდადებული მუშაობისა და საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევისათვის საქართველოს სამოქალაქო მოსახლეობიდან დაჯილდოებულ იქნა მედლით „კავკასიის დაცვისათვის" 50 000-მდე კაცი. ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურეს საქართველოს მოწინავე მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მოწინავეთა შორის ყველაზე მოწინავე ადამიანებმა, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ჯარის ნაწილებს კავკასიის დაცვაში და თავიანთი თავდადებული მუშაობით ზურგში ხელს უწყობდნენ ვერაგი მტრის განადგურების საქმეს. ქართველმა ხალხმა, უდიდესი გამოცდის ჟამს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორის წინასიტყვაობა 3
თავი პირველი, საბჭოთა საქართველო დიდი სამამულო ომის წინ 15
თავი მეორე, საქართველო დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში 35

1 დიდი სამამულო ომის დასაწყისი. საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა არმიის ძლიერების განმტკიცებისათვის 35
2. საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი მამაცობა 40
3. საქართველოს მშრომელთა დახმარება საბჭოთა არმიისათვის კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში 57
თავი მესამე, ქართველი ხალხის მონაწილეობა კავკასიაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში
1. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლა და გერმანელთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან 90
2. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება კავკასიის მისადგომებთან. ჰიტლერელ ოკუპანტთა განდევნა ჩრდილო კავკასიიდან და ტამანის ნახევარკუნძულიდან 97
3. საქართველოს მშრომელთა თავდადებული მუშაობა კავკასიაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეტევითი ოპერაციების პერიოდში 137